დუტუ მეგრელი.

მოთხრობები

მესამე შეკვეცილი გამოცემა

ფოთი
საჰხედრო სამინისტროს სტამბა
1920

საცოდავნი.

I.

(ეკ. ა – ს).

კვირა საღამოა, მშვენიერი მაისის ბუნება ერთობ მხიარულია და მასთან ერთად ჩვენი სოფლის ახალგაზდობაც მხიარულობს. განა მარტო ახალგაზდობა? ახლა ორი ადამიანიც არ მოიძებნება მთელ სოფელში, რომ რასმე აკეთებდეს: ძვირად იპოვით ვისმე სახლში, ყველანი „ობირეშ"-ში *) არიან და იქ ატარებენ დროს. მოუყრიათ თავი ას წლოვან ტაცხვ ქვეშ და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ დღევანდელ დღეს როგორ ისიამოვნონ. ბევრი წხვა-და-სხვა გვარი გასართობიც არის აქ

მოშორებით მოსჩანან პატარ ბიჭები, ბურთის თამაშით გარ-თულნი; ამათთვის ბურთისა და „ლელოს" მეტი არაფერი არ არ-სებობს ქვეყანაზე. თუნდაც ყველა დაიღალოს და ტანისამოსიც შემოეგლიჯოთ, მაინც არ მიატოვებენ თამაშს, სანამ სული არ დებნელლება.

აგერ ყმაწვილ ვაჟებსა და ქალებს გაუკეთებიათ წრე და გაუ-მართავთ ცეკვა-სიმღერა: ერთ მხარეზე დამდგარან მომღერალი ბიჭები, ჩაუყენებიათ შუაში მოდაირე ქალი და გაძახიან „რე-რო-რაშას", დანარჩერნნი-კი ზოგი ცეკვავს, ზოგიც გულს იყოლიებს იმათი ცქერით და ტაშს უკრავს.

---

*) „ობირეში" მეგრულათ ჰქვიან იმ ადგილს, სადაც თავს [illegible] ცეკვა-სიმღერისათვის—წარმოსდგება სიტყვიდან „ბირა"—სიმღერა.

იქვე დამსხდარან უფრო ხნიერი ქალები; ამათ ცეკვა აღარ შეშენინთ და მხოლოდ სტკბებიან ახალგაზდათა მხიარულებით.

ცოტა მოშორებით სხედან მოხუცებული დედაკაცები, მაგრამ ცეკვა-სიმღერას აღარ უგდებენ ყურს: ესენი ათამაშებენ თავიანთ პატარა შვილი-შვილებს და ემუსაიფებიან ერთმანეთს ყველაფერზე, რაც-კი ენაზე მოადგებათ.

აგერ დამსხდარან მოხუცი კაცები; ესენი საქმეზე ლაპარაკობენ. მთელ ამ გროვაში მხოლოდ ესენი იგონებენ წარსულ* დღეებს და ფიქრობენ ხვალინდელზე. აქ საერთო სჯაა ყველაფერზე, როგორც მუშაობაზე, ისე სხვა საქმეებზედაც.

ასე მთელი სოფელი—დიდი და პატარა, კაცი და ქალი აქ არის შეგროვილი და ყველას აქვს თავისი შესაფერი საქმე. აქ სრული ერთობა და მშიდობაა. საკვირველიც არ არის, რადგან ყველანი ერთი აზრით არიან გამსჭვალულნი. არ არის უფროსი, არ არის ბატონი, რომელსაც შეუძლია ვევა ამათის სიამოვნებისა. მბა[illegible] ჭკუას, გამოცდილებას და მოხუცებულებასა აქვს პატივი. შიში და ძალვა-კი არავისი არ არსებობს.

მაშ, აღარავის გინდათ ცეკვა? დაიძახა ერთმა ახალგაზდა ბიჭმა, რომელიც შუაგულ წრეში იდგა და ქალს ითხოვდა გამოსათამაშებლად.

— არა, არა, დავიღალეთ! მეუგო რამდენმამე ქალმა.

— აბა, ბიჭებო, ფერხული ახლა და გავათაეოთ! სთქვა ისევ იმან.

— კარგი, კარგი, ფერხული და მერე ვიბურთავოთ, სთქვეს ყმაწვილებმა.

— ჩვენც ჩავებმით ფერხულში, სთქვეს ქალებმა და ახალგაზდებმა ჩაკიდეს ერთმანეთს ხელი. გაკეთდა დიდი წრე და შეიქნა ორპირი, ერთნაირი სამღერა. წრის ორ მოპირდაპირე მხარეზე ერთი მეორეს სიმღერით ეკამათებოდა; ერთნი „მოსათეალავს“ ამბობდენ, მეორენი-კი ყველა ლექსის გათავებაზე ხმა-მაღლა გაძახოდენ „ჰოოი ძაბრა“-ს! ჯერ სიმღერას ნელა ამბობდენ და აყოლობდენ ფეხს, წრეც ნელა ტრიალებდა, მაგრამ მოუჩქარეს და მოუჩქარეს, სიმღერასთან

ეფხიც ააჩქარეს და ქალიშვილები იძულებულნი გახდენ დაენებებინთ წრისთვის თავი. ახალგაზდა ბიჭები, თითქო ამას უცდიდენო, ერთი შესდგენ და უეცრად დაიწყეს ჩქარი „ფერხისა". მშვენიერი სანახავი შეიქნა ახლა ეს მინდორი, სადაც გროვა ახალგაზდა ბიჭებისა ხმა-მაღალის სიმღერით და სწრაფის, სხვა-და-სხვა გვარის ფეხის თამაშით უვლიდა გარეშემო. აგერ თვალის დახამხამესბაზე დაეცა მთელი წრე ცალ მუხლზე და სიმღერა შეუწყვეტელად ყველანი ერთი მეორეს ბრაწებს უკეთებენ. აგერ, თვალის დახამხამებაზედვე წამოხტენ ყველანი, თითქო ერთი კაციაო, და რიგშეუშლელად მოყვენ ისევ გარეშემო ხტომასა და თამაშობას.

ყველა დაიღალა, ყველას ოფლი ასკდება, მაგრამ ჯერ არავინ გამოსულა წრიდან; ყველა ერთ ზომაზედ ირყევა და ხტის, თითქო დიდი უზარმაზარი გველი დახვეულიყოს და იკლაკნებოდეს. ქალიშვილები, ხნიერი ქალები. ჰაწაწა ბავშვები, მოხუცი დედაკაცები,—ყველანი ადევნებენ ამ თამაშობას თვალსა და სიამოვნებენ. მოხუცებულმა კაცებმაც-კი შასწყვიტეს მუსაიფი და მიაქციეს ყურადღება შესანიშნავ „ფერხისა"-ს

მაგრამ დაიძახა უეცრად ვილამაც: „ბატონი მოდის, ბატონი!"-ო, და ყველანი უნებლიედ შეკრთენ. ახალგაზდა ბიჭებმა ერთი კიდევ შემოსძახეს ხმა-მაღალი „ჰოოი ძაბრა" და ნელ-ნელა დაიშალენ. ჩამოვარდა სრული სიჩუმე და მოისმა მხოლოდ ცხენების ფეხის ხმა. ყველანი იქით იცქირებოდენ, საიდანაც ბატონი მოდიოდა. ბატონს ერთი ვიღაც გაჟაღარავებული რუსიც ახლდა, რომლის დანახვამ კიდევ უფრო გააკვირეა ყველანი.. მხოლოდ რამდენიმე მოხუცმა იცნო რუსი, რომელიც ჩვენში მაზრის უფროსად ყოფილიყო ოდესმე და ახლა-კი ქუთაისში მსახურებდა.

გავიდა რამდენიმე წამი. ბატონი მოადგა ამ ბქამდის მხიარულსა და ახლა-კი შეშინებულ გროვას.

— გამარჯვება თქვენი! დაიძახა ამან და გააჩერა ცხენი. სხვებიც შესდგენ. რუსმა მაშინვე ქალებისკენ დაიწყო უურება.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ბატონო! დაუძახეს მოხუცებულებმა და მძიმეთ დაუკრეს თავი. ახალგაზდები-კი ხმას არ იღებდენ. თი-

თქო ჯავრობდენ, რომ ამათს სიამოვნებას ხელი შაუშალეს.

— როგორ გაჩუმებულიხართ, რა ამბავია? მიმართა ბატონმა ყმაწვილებს: ჩემი შეგეშინდათ?

—არა, ბატონო! მიუგო ერთმა გამბედავმა.

— რათ მიატოვეთ ცეკვა? სთქა ბატონმა და სიცილით რაღაცა წასჩურჩულა რუსს. რუსმაც კმაყოფილებით ჩაიცინა.

— აბა ერთი ლეკური, ლეკური მაინც აჩვენეთ ამ უცხო კაცს! განაგრძო ბატონმა. არივინ არ ინძრეოდა.

— გიგო, დათა, სტეფა, არა გცხვენიათ, ერთი ლეკური გვაჩვენეთ! მიუბრუნდა ბატონი რამდენსამე ახალგაზდას.

—ახლავე! უპისუხეს ამათ და დაიწყეს ფაცა-ფუცი. გააკეთეს, როგორც იქნა, წრე, მოიყვანეს დაირის დამკვრელი და მორთეს „რე-რო-რაშა". მერე შეიქნა პატიჟი და გამოვიდა პატარა ბიჭი, როელმაც ჩამოურა.

გაათავა ბიჭმა და დაუკრა თავი ბატონს.

— გაგზარდა ღმერთმა! უთხრა ბატონმა. აბა, კიდევ, კიდევ! ვინმე კარგი მოთამაშე გამოიყვანეთ! მიუბრუნდა ეს სხვებს. შეიქნა კიდევ პატიჟი და რამდენისამე ხნის შემდეგ გამოვიდა ერთი ახალგაზდა. ამანაც ჩამოურა და გაათავა უცებ.

— არა, ასე ცოტა არ შეძლება, განაგრძე, განაგრძე! დაუძახა ბატონმა. ქალიშვილებო, თქვენ რატომ არ თამაშობთ? ქალებს შერცხვათ, გაწითლდენ და ჩაღუნეს თავი.—აბა ჰე, ვინც უკეთესი ცეკვა იცის, ის გამოვიდეს! ახალგაზდამ ხელ-აძლავ დაიწყო.

— ეკა გამოიყვანე, ეკა! დაუძახეს აქეთ იქიდან. ახალგაზრდა მართლაც მივიდა ერთ ქალთან, გაუსვა იმის წინ ფეხი და დაუკრა თავი. ქალი თავჩაღუნული იდგა და ყურადღებას არ აქცევდა ამხანაგ ქალების მუჯლუგუნებს.

— ეკა, გამოდი, ეკა! დაიძახეს კიდევ ვილაცებმა.

— ეგ ჩემი ნათლულია, რომ არ თამაშობს? იკითხა ბატონმა. გამოდი, ეკა, ნათლია ნუ მოგიკვდება! დაუძახა ეკას ბატონმა. ეკა

კიდევ იდგა რამდენსამე ხანს და ბოლოს ძლივს გადმოდგა ფეხი და გაშალა ხელი; გაშალა, მაგრამ მარტო ეს ხელის გაშლა ღირდა ერთ ქალად; ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა რამდენად მშვენიერი იყო, რომ ყველა აღტაცებაში მოყავდა. ყველანი სიამოვნებით უმზერდენ ეკას, თუმცა არა ერთხელ ენახათ ამისი ცეკვა, მაგრამ ყველაზე უფრო გმხიარული რუსი იყო. ეტყობოდა, ამისთანა თავის დღეში არაფერი ენახა; სულ ერთიანად თრთოდა ქუდიდან დაწყებული დეზებამდე, კანკალებდა და იღიმებოდა. ბოლოს ველარ მოითმინა და რამდენსამე ხანს „ბრავო, ბრავო!"-ს იძახდა.

— კარგი ქალი ხარ! უთხრა ბატონმა ეკას. ეკას უფრო მეტად შარცხვა და მიიმალა ქალებში.

— ივან პეტროვიჩ, ახლა კი წავიდეთ შინ, თორემ ჩაის მოგვასწრებენ! უთხრა ბატონმა რუსს და მიატრიალა ცხენი.

— მშიდობით, მშვიდობით, უმაწვილებო, ნახვამდის! გასძახა ამან გროვას და შემოკრა ცხენს მათრახი. ივან პეტროვიჩმაც მიატრიალა ცხენი, მაგრამ თვალები უკანა რჩებოდა. ეტყობოდა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ამაზე ეკამ და მისმა ლეკურმა.

II.

ეკას ჩვენს სოფელში ტოლი არა ყავდა. ყველგან პირველი იყო; უიმისოდ არც ერთი ახალგაზდათა შეკრებილება, არც ერთი „ობირეში" არ ვარგოდა. იქ, სადაც ეკა არ დაესწრებოდა, თითქო რაღაცა აკლდა; საცა-კი ეკა იქნებოდა, იქ ყველაფერს სხვა ფერი ედებოდა, ყველა სიამოვნებას გრძნობდა. ეკა ჩვენი სოფლის ახალგაზდობისათვის სწორეთ მზე იყო, ურომლისოდც ბუნება ყოველთვის მოწყენლია; ნამეტნავად ჩვენი სოფლის ახალგაზდა ბიჭები ეკას თაყვანსა სცემდენ და ეკაც ღირსი იყო ამ თაყვანის-ცემისა. ერთი ამისი დანახვა, ერთი ამისი დალაპარაკება ერუანტელს მოგვრიდა ყოველ ახალგაზდას და რა გასაკვირველია, თუ ჩვენ სოფელში ყველანი ერთად და თვითოეულნი ცალკე ცდილობდენ, დაემსახურებინათ ეკას ყურადღება. მაგრამ ეკა ჯერ არავის აქცევდა განსა-

კუთრებულ ყურადღებას და ყველას ერთნაირად უცქეროდა; ჯერ ერთობ ყმაწვილი იყო და ამისი გული არავის დაატყვევებინა, მაგრამ ისიც აშკარა იყო, რომ ეკას ამგვარი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანდა; რომ უსათუოდ შეიყვარებდა ვისმე, შეიყვარებდა მთელი თავისი არსებით. ეკას ბუნება უსათუოდ მოითხოვდა სიყვარულსა და ნეტავი იმას, ვისაც ეკა გააბედნიერებდა თავისი სიყვარულით! ჩვენი ახალგაზდა ბიჭებიც ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ, რომ როგორმე ეკას მოსწონებოდენ.

ახალგაზდებში ერთი ვინმეც იყო, რომელსაც ეკა, შეიძლება, ყველაზე უფროც უყვარდა; მაგრამ საერთო თაყვანებაში-კი მონაწილეობას არ იღებდა. ეს იყო ახალგაზდა მუნჯი. რომელიც ჯერ ისევ ბავშვი მოეყვანა ბატონს და თავისს სახლში გაეზარდა. სადაური, ან ვისი შვილი იყო კაცმა არ იცოდა. არც სახელი იცოდენ მისი და არც გვარი. მხოლოდ ეს იცოდენ, რომ მუნჯია იყო და ყველანი „მუნჯია-ს" უძახდენ. ან-კი ვისთვის რა საინტერესო იყო იმისი ვინაობა? რამდენი ამისთანა ჰამდა ჰადს ბატონის სახლში. ყურადღებას ვინ მიაქცევდა? იყო საბრალო თავისთვის და არავის აწუხებდა. სამაგიეროდ, ყველას, ვინც არ დაიზარებდა მახვილობის გამოჩენას, ყოველთვის შეეძლო მისი წვალება. ნამეტურ, საშინლად აწვალებდენ ბატონისას მყოფი გოგოები და ბიჭები, თუმცა არც სხვები აძლევდენ მოსვენებას უბედურს. მთელ ოჯახში მუნჯია ყველაზე უკანასკნელი იყო და პატარა ბალღსაც-კი შეეძლო მისი წვალება. ხედავდა საბრალო, რომ იმისთვის პატრონი არ არის და ყველაფერს ითმენდა, აბა რა უნდა ექნა? გრძნობდა, რომ ყველანი უსამართლოდ ეპყრობიან, მაგრამ ვისთვის და რა ნაირად ეთქვა რამე? სამაგიეროდ, თუ კი რომელსამე პატარა ბავშვს, რომელიც გაბხელებდა, მარტოდ ჩაიგდება ხელში, უსათუოდ ამოიყრიდა ჯავრს. მაგრამ ეს ჯავრის ამოყრა იაფათ არ უჯდებოდა. ერთი რომ შამოეკრა ვისმესთვის, მაგიერს ათ იმდენს გადაახდევინებდენ: მოიყრიდენ თავს, რაც ახლო-მახლო ბავშვები იქნებოდენ, და დაუშენდენ ჯოხებსა და ქვებს. ხანდახან ამ გვარ ქვის სროლაში მოზდილებიც კი გამოივარჯიშებდენ. იყო საბრალო მუნჯი ამ გვარად ყველასგან მოძულე-

ბული და, რასაკვირველია, თვითონაც ყველა ძულდა. ამიტომაც საში ნელი ავგული შეიქნა: როდესაც სადმე იყო და იცინოდენ, ყოველთვის ეგონა, მე დამცინიანო და არ იცოდა, რა ექნა? უნდოდა, რამენაირად ყველასთვის გადაეხადა სამაგიერო, მაგრამ კიდევ უფრო სკდებოდა გულზე, როცა დარწმუნდებოდა, რომ არაფერი არ შეუძლია. ხშირად ნახავდით მიმალულს სადმე კუთხეში ცხარის ცრემლით მტირალს. რაზედ სტიროდა? ყველაფერზედ, ერთად ერთი წა ალი ამისთვის ცრემლი იყო, ცრემლით უნდოდა, მოენელებინა თავისი ნაღველი, ცრემლში უნდოდა, გამოეხატა თავისი გულის ვითარება, მაგრამ საბრალოს აღარც ტირილს აცლიდენ ხოლმე: შემოესეოდა დიდი და პატარა, როცა მის ტირილს გაიგონებდენ, და შეიქნებოდა ერთი სარხარი, თითქო მაიმუნს ათამაშებენო. მაშინ უბედური ერთს გულ-ამოსკვნით ამოიოხრებდა და მიაშტერებდა ცრემლით ავსებულ თვალებს გარშემო მყოფთ, თითქო ეუბნებაო: „რაგინდათ ჩემგან, რატომ არ დამაყენებთ? რას მერჩით, განა მეც თქვენისთანა არა ვარ?“-ო, მაგრამ სად იყო კაცი, რომ ეს გაეგო?

მაგრამ არა, იყო ერთი კინმე, რომელსაც ესმოდა მუნჯიას ტანჯვა: ეს იყო ეკა და რა გასაკვირველია, თუ მუნჯიაც ეკას ლას ამჯობინებდა.

ეკა, როგორც ბატონის ნათლული, ხშირად დადიოდა ხოლმე ბატონისას, ქალბატონთან. და მხოლოდ ის იყო ერთად-ერთი არსება, რომელსაც მუნჯია ეცოდებოდა. ეკას მეტად ჩჩვილი გული ქონდა და ყველა დამცირებული და დატანჯული ებრალებოდა: ნამეტურ, თუ ხედავდა, რომ საწყალს კიდევ უფრო ცუდად ეპყრობიან. მაშინ მზად იყო, თვითონ აეტანა ყოველივე სატანჯველი, ოღონდ სხვის წვალებისათვის არ ეყურებინა. ამ გვარადვე საშინლად ებრალებოდა ეკას ყველასგან დაჩაგრული, ბუნებისგან დასჯილი, მუნჯია და ეს სიბრალული სიყვარულს ესაზღვრებოდა. მუნჯიაც, რასაკვირველია, გრძნობად, რომ ეკა სხვასავით არ უყურებდა, და თავისს მხრივ გაგიჟებით უყვარდა ეკა. მუნჯია ეკას ადამიანად არ ა რაცხდა; იმისთვის ეკა ღმერთი იყო. ან-კი განა შეძლო სხვებისათვის შეედარებია, როდესაც სხვესბა და ეკას შორის ასეთი განსხვავება იყო? როცა

მუნჯია ეკას ხედავდა, მაშინ იყო მხოლოდ კმაყოფილი. მთელი სახე დაუწყებდა სიცილს და თვალები მიშტერებული ქონდა ეკასაკენ; ლოყები და ტუჩები წამოუწითლდებოდა, თითქო ცეცხლი ეკიდებაო, და მთელი სხეული, ვერხვის ფურცელსავით, დაუწყებდა კანკალს. ამის სიამოვნებას მაშინ საზღვარი არა ქონდა და, ძაღლივით, დაიწყებდა ხოლმე წკმუტუნს. საკვირველია, რომ ეკა ყოველ მუნჯიას სურვილს ადვილად მიხვდებოდა და თვითონაც ყველაფერს უცებ გააგებინებდა, რაც უნდოდა. მშვენიერი სანახავი იყო, როცა ეს ორნი მარტჩა იყვენ და ერთმანეთს ემუსაიფებოდენ. მაგრამ სხვას ეს გულ-გახსნილი და არა ჩვეულებრივი საუბარი სიცილადაც არა ჰყოფნიდა. ნამეტნავად, ქალები საშინლად დასცინოდენ ეკას და მუნჯიას საცოლოს უძახოდენ, მაგრამ არავის ყურადღებას არ აქცევდა. ეკამ იცოდა, რომ მუნჯიასთვის სასიამენო იყო იმასთან ყოფნა და არ უნდოდა, ეს ერთად-ერთი სიამოვნება მაინც მოეკლო საბრალოსთვის.

III

გათენდა მეორე დილა.ბ-ნი ივანე ახალი ამდგარი იყო და აივანზე ბოლთასა სცემდა. ულვაშები ოდნავ უცინოდენ. ეტყობოდა, რაღაც სასიამოვნო რაზედმე ჰფიქრობდა და მხიარული იყო. მართლაც, ამ დროს რომ იქ ვინმე ყოფილიყო, აი რას გაიგონებდა, რადგან იმდენად გაეტაცნა სასიხარულო ფიქრს, რომ თითქმის მაღლა ლაპარაკობდა.

— არა, მე იმისთანა ჩემს დღეში არა მინახავს-რა! ამხელა კაცი გავზდილვარ და ეს პირველი ნახვა იყო იმისთანა მშვენიერების. ჰმ, რა მკლავები აქვს, რა კისერი, რა ლოყები!.. თვალები ხომ სულ ცეცხლს აფრქვევს!.. ოოჰ! — რაღაც სხვა ნაირად გააქნია ხელი ბ-ნმა ივანემ და სახე დაემანჭა, — უსათუოდ უნდა ვიშოვო ის, უსათუოდ, მაგრამ რა ნაირად?.. მმმ.. ყადვა არ შეიძლება... რა უთხრა იმას, ვინც ბატონ-ყმობა მოსპო!.. ახლა რომ ბატონ-ყმობა იყოს, რა მიჭირს? მიეცი ამდენი და ამდენი და ის, ვინც გინდა, შენია. ვინ

იცის, რამდენი მიშოვია ამ ნაირად და ეს კი... მმმ...

ამ დროს გამოვიდა აივანზედ ივანეს მხლებელი ვახთა ძიმწარია, რომელიც სამეგრელოდან წაეყვანა.

— ოო, ვახთა, შენა? კითხა ივანემ.

— დიახ, მე გახლავარ, ბატონო,—მიუგო ჩვეულებრივის ღიმილით ვახთამ, რომელიც ყოველთვის ილიმებოდა, როცა უფროსს ელაპარაკებოდა.

— როგორა ჯობს, მაშ, ვახთა, იმ საქმისა, წუხელ რომ ელაპარაკობდით? ვერაფერს ვერ მოვახერხებთ?

— არაფერია, ბატონო, მოვახერხებით,—სთქვა და ჩაიცინა ვახთამ.

— როგორ, როგორ, მე ნუ მოგიკვდე, მითხარი!..

— სულ ადვილად, ბატონო. ივანეს სახე გაუბრწყინდა სიხარულისგან.

— რა ნაირად, ვახთა, ა?... რა ნაირად მოვახერხებთ? მიეარდა ვახთას.

— აი, ბატონო, მე რა მოვიფიქრე და, სწორე უნდა მოგახსენოთ, მშვენიერი ფიქრიც არის.

ივანე სმენად გადაიქცა.

— თქვენ,—ღიმილით განაგრძო ვახთამ,—.უთხარით ბატონს. რომ ერთი ვინმე ახალგაზდა ქალი გინდათ შვილობილათ აიყვანოთ. ბატონმა იცის, რომ თქვენ ცოლი გაგდებული გყავთ და უთხარით რით, რომ მოხუცდით, მომველელი გჭირდებათ და იმისი ნათლული მოგწონთ. რა გენაღვლელაბათ, დაუმატეთ ისიც, რომ, როცა გათხოვებას მოინდომებს, თქვენ გაათხოვებთ და ყველაფერს იმას უანდერძებთ. არც ბატონს ეწყინება ეს საქმე და არც ეკას დედ-მამა ესტყვის ამაზე უარს, რადგან ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, შვილად აყვანას დიდი პატივი აქვს. ამაზე უკეთესს ვერაფერს მოვიგონებთ, ბატონო.

ესა სთქვა და გაჩუმდა ვახთა; მხოლოდ იმისი ტუჩები კვლავ ილიმებოდა მაცდურად.

— ოჰ, ჩემო ვახთა, ეგ სწორედ მშვენიერი აზრია! — წამოიძახა ივანემ, რომელსაც თვალის წამწამებმაც-კი დაუწყეს თამაში, — მაშ, შენ დარწმუნებული ხარ, რომ ამაზე უარს არ გვეტყვიან, ჰა?

— დარწმუნებული ვარ, ბატონო, მაგრამ ცოტა რამ „ფეშ-ქაშს“ შეპირდით ქალბატონს და ის უსათუოდ დაიყოლიებს ეკას. ჩემის მხრით,, რაც შემეძლება, იმის დედ-მამას ვურჩევ ძალიან და, მგონია, კიდეც დავითანხმებ.

— აბა შენ იცი, ჩემო ვახთა, და, თუ კაცი ვარ, მე ეიცი შენი პატივის-ცემა.

— დიდი მადლობელი გახლავარ, ბატონო, უთხრა ვახთამ და მძიმეთ დაუკრა თაეი. ამ დროს გამოვიდა აივანზე ქალბატონი და მიესალმა ივანეს.

— აბა, ვახთა, ჩაი უბრძანე! — უთხრა ამან ვახთას, რომელიც სწრაფ გაქრა ბრძანების შესასრულებლად.

— სხვა, ბატონო, ხომ კარგად გეძინათ წუხელის? კითხა ქალბატონმა ივანეს.

— კი, ბატონო, მშვენივრად, მიუგო ივანემ.

— ხომ არაფერმა შეგაწუხათ?

— არა, ბატონო. განა ამ დალოცვილ მხარეში შეაწუხებს კაცს რამე? თქვენ არ მომიკვდეთ, თქვენ სახლში რომ ვგრძნობ თავს, ისე სხვაგან არსად ვგრძნობ. ღმერთსა ვფიცავ, აქ სამსახური კიდეც მერჩია, რადგან თქვენისთანა მეგობარი მე სხვა არავინა მყავს.

ამ დროს ბატონიც გამოვიდა, ჩაიც გამოიტანეს და სამნივე წირვის დაწყებამდის მუსაიფობდენ. როდესაც წირვის დარეკეს, ყველანი მხიარულად გაემგზავრენ საყდრისაკენ, მაგრამ ყველაზე უფრო მხიარული ივანე იყო: ამან მოილაპარაკა თავისს საქმეზე და მასპინძლებიც შეპირდენ, — მოგიხებრხეთ, რაცა გსურთო.

IV

იმ დღესაც დღესასწაული დღე იყო და საყდარში ბევრი ხალხი მოგროვდა. როდესაც წირვა გადავდა, ბატონები და ივანე დას-

ხდენ ცაცხვის ძირში და მუსაიფი დაიწყეს. მოხუცი გლეხ-კაცები მიდიოდენ ამათთან და მოწიწებით თავს უკრავდენ, როგორც ბატონებს, ისე ივანეს.

— რასა იქთ, ხომ ყოჩაღადა ხართ? — კითხა ივანემ გლეხებს.

— გახლავარ ღვთისა და ბატონის წყალობით გვარიანად, მიუგო რამდენმამე ხმამ.

— ჰაი, შვილებო, რალა გიჭირთ? ბატონისაგან განთავისუფლდით, მაგრამ თქვენ ნანც კარგი ბატონი გყავდათ, არც ამის ხელში იყავით გლახად.

— აცოცხლა დმერთმა! როგორი ბატნიც ეგ იყო ჩვენთვის, ჩვენც იმისთანა ყმები ვიყავით მაგისთვის, მიუგო ერთმა მოხუცმა.

— ჰო, ბატონი მაინც არ უნდა დაივიწყოთ, სამსახური კიდევ გმართებთ.

— რაც შეგვიძლია, სამსახური, როგორც არ დაგვიკლია, არც კვლავ დავაკლებთ, მიუგო გლეხმა.

— სხვა ხომ არაფერმა შეგაწუხათ? როგორი მოხელენი გყავთ?

— თქვენისთანა კი ვერ არიან, ბატონო, და ისე არაფერი უჭირთ.

— ამისთანა კაცი მთელ გუბერნიაშიაც ძვირია, მაგრამ რა ვქნათ? — სთქვა ბატონმა: კაი კაცი რომ იყო, იმიტომაც უფრო დიდ ადგილზე გადაიყვანეს.

— იცოცხლოს და ღმერთმა ხელი მოუმართოს; როგორც იმისთვის სჯობდეს, ისე ამყოფოს! იმედია, არც იქიდან დაგვტოვებს უყურადღებოდ, — სთქვა კვლავ მოხუცმა გლეხმა.

— არა, მე და ჩემმა ღმერთმა, მე ყოველთვის მახსოვხართ და, რაშიაც-კი გამოგადგებით, ჩემ შრომას არ დავზოგავ.

მაშინ როდესაც ესენი ერთმანეთს ასე ტკბილად ესაუბრებოდენ, ქალბატონი გაცხარებით ელაპარაკებოდა ეკას, რომელიც ჩის ფეხთით იჯდა. ეკას ჯერ გაუგებრობა და უკამაყოფილება ეტყო, მაგრამ, რამდენი ხანიც გადიოდა, და ქალბატონიც ხელების შლით უმტკიცებდა თავისს ნალაპარაკევს, ეკას სახე თან-და-თან

ეცვლებოდა და ბოლოს სულ გაუბრწყინდა. ეტყობოდა, ჯეროდა, რასაც ეუბნებოდენ; ეტყობოდა, რომ გაიტაცა იმ მშვენიერმა სხვა და სხვა ფერად დახატულმა სურათმა, რომელიც თვალწინ წარმოუდგინეს; ეტყობოდა, ამისი ნორჩი, მგრძნობიარე, მიმზიდველი გული მოხიბლა იმ ბედნირებამ, რომელიც ქალბატონის სიტყვით მეოლოდა; ეტყობოდა, რომ ეკას ჩაეკედო გულში ქალბატონის რჩევა და სხვადა-სხვა ნატვრით სავსე გონებამ მართლა ყოველი მისი ტოლისათვის მიუწდომელი ნეტარება დაუსახა თვალ-წინ. ხუმრობა ხომ არ იყო: ეკა, უბრალო გლეხის შვილი, რომელიც თითო კაბას ძლივს იცვლიდა წელიწადში, იმისთანა წარჩინებული კაცის შვილობილი უნდა გამხდარიყო! ის ეკა, რომელსაც ჩვენი სოფლის მეტი თავისს სიცოცხლეში არაფერი უნახავს, ახლა ღირსი უნდა გამხდარიყო ქუთაისის ნახვის, იმ ქუთაისის, რომელზედაც, ვინ იცის, რამდენ-რასმე ლაპარაკობდენ! ოჰ, ვინ მოესწრება ამისანა ბედს ეკას ტოლებში? ვის ეღირსება ეს ნეტარება? ამისთანა ბედი უფრო ჭკვიანსა და გამოცდილსაც-კი აღაფრთოვნებდა და ეკა ხომ სიხარულით ცას უნდა დასწეოდა. რასაკვირველია, ეკა თავისს მხრით დაყვა ქალბატონის რჩევას და ახლა მხოლოდ მის დედ-მამაზე-ღა იყო დამოკიდებული თავიანთ შვილის გაბედნიერება.

ქალბატონმა, როდესაც ეკაზე ასე ადვილად გაიმარჯვა, ქმარსა და სტუმარს მიმართა:

— არ წავიდეთ სახლში?

— კი, ბატონო, მიუგო სტუმარმა და დააცქერდა, თითქო უნდა იმის სახეზე ამოიკითხოს თავისი ბედი და უბედობაო. ყველანი ადგენ და შინისკენ გაემგზავრენ. ივანეს ერთი კი მოიხედა უკან, რომ დაენახა ეკა, და მერე აჩქარებით იკითხა:

— რა ჰქენით, ბატონო?

— კი, ბატონო, თანახმაა; ძალიანაც უხარია თვითონ და არც იმისი დედ-მამა იტყის უარს.

— წირვაზე არ ყოფილა დღეს იმისი არც დედა და არც მამა?

— არა, საბრალოს მამა ყავს ძალიან ავად და დედა ავადმყოფს ვერ მოშორებია, დები-კი იყვენ.

— ისინიც აგრე ლაბაზები არიან?

— არა, ბატონო, ჩვენი ნათლული ყველაზე უნცროსია და ყველასაც ჯობია.

— მაშ, როდის შეეიტყობთ, დედ-მამაც თანახმანი არიან, თუ არა?

— ეკა შეგვატყობინეს ნასადილევს და თუ. თანახმა არ გახდენ, ან აქეთ დაეობარებ დედა მისს და ან მე თვითონ წავალ მათთან.

— ოო, სწორედ კარგი იქნება. ბატონო! აბა თქვენ იცით, ეს ერთი საქმე დამავალეთ, როგორც თქვენი ოჯახის მეგობარს, და მაგიერი მე მკითხეთ ნერე.

— არაფერია, ბატონო, ეს რა დავალებაა?

ამ ლაპარაკით ისინი ეზოში შეეიდენ. ქალბატონი წინდაწინ წავიდა, რომ სადილისათვის დაეხვედა; ბატონი და ივანე წყნარად მიდიოდენ.

ამ დროს ამათ შემოხვდათ მუნჯია, რომელიც ჭიშკრისკენ მხიარულად მიდიოდა: აქ გამოიევლიდა ეკა და იმის მზერით უნდოდა. მცირედ არის მაინც. დამტკბარიყო.

აქამდე მუნჯია ეკკლესიაშიაც დადიოდა, მაგრამ ახლა ეშინოდა, რადგან პატარა ბიჭები საშინლად ემტერებოდენ, და ჭიშკართან თუ ნახავდა ხოლმე ეკას.

მუნჯია ბატონმა გააჩერა და ივანეს ქება დაუწყო. მუნჯიამ. ერთი უგემურად შეხედა ივანეს. მოკაკვა საჩვენებელი თითი, ამოიოხრა და წავიდა. ამას ივანე არ მოსწონდა, თითქო გრძნობდა, რომ ის მეტილება ჩემ საყვარელ, ძვირფას ეკასაო.

V

ჭიშკარზე ცდა დიდხანს არ დასჭირებია მუნჯიას; შორიდანვე იცნო ეკა, რომელსაც გარს ეხვია მთელი გროვა ყვმაწვეულ ქალეშისა, რომელთა შორის ისე ერჩეოდა როგორც ვარსკვლავებში

მთვარე. იცნო მუნჯიამ ეკა და მორთო მბიარული წკმუტუნი, თითქოს ძაღლმა დაინახა თავისი დიდი ხნის უნახავი პატრონიო.

აგერ კიდეც მოუახლოვდა ეკა მუნჯიას და შეხედა თავის დიდ, გრძნობით სავსე, შავი თვალებით. მუნჯიას სიხარულს საზღვარი აღარა ქონდა: ეგონა, ჩვეულობრივად მოვა ჩემთან ჩემი ეკა და მკითხეს ზასმეო, მაგრამ ეკა დაუმხარდამხარდა, კიდევ შემოხედა და აუჩქარა ფეხს. მუნჯიამ, დაინახა თუ არა, რომ ეკა აღარა ჩერდება, საზარლად დაიბღაველა, თითქო პატარა სბომ დაუძახა დედასო. ეკამ ერთი კიდევ შემოხედა და დაუძახა, რომ ახლა შენთვის აღარა მცალიანო. მუნჯიმ გაიგო, საქმე როგორც იყო, და საშინლად შეწუხებული გაცქეროდა ეკას, რომელიც ისეთის აჩქარებით მიილტვოდა მისგან. მუნჯიას სახე ისეთნაირად იყო ახლა დაღმეპილი, რომ ნახვა კაცს შეაშინებდა. საბრალო მუნჯია! დღეს პირველად დაემდურა ეკას, იმ ეკას, რომელც იმისთვის ციდან ჩამოსული ანგელოზი იყო და რომელსაც, ღმერთსავით, შეხაროდა.

დიდხანს იდგა მუნჯია ჭიშკარზე და უცქეროდა მიმავალ ეკას იმ დრომდე, სანამ სულ არ მოეფარა თვალთაგან, და მერეც დიდხანს ქონდა მიშტერებული თვალები იქითკენ, საითაც ეკა გაქრა. ბოლოს, გაუელვა რაღაცა ფიქრმა თავში, გააღო ჭიშკარი და უნდოდა, გასულიყო. იფიქრა, გამოვუდგები უკან ეკას და გავიგებ, რას ნიშნავს ასეთი გულ-გრილობაო, მაგრამ ამ დროს დაინახეს პატარა ბიჭებმა, რომელნიც საყდრიდან მოდიოდენ, და მორთეს კიჟინა. ერთმა კიდეც ჰოირბინა ამასთან და მოუღერა ჯოხი, ვითომ დასარტყმელად. გაბრაზებულმა მუნჯიამ მოიხედა უკან, მოკიდა ჯოხს ხელი, მიითრია უცებ ბავშვი და დაბდუჯა ხელში.

ამ დროს მოცვიდენ დანარჩენი ბავშვებიც; მაგრამ ახლოს მისვლა ვერავინ გაბედა, რადგან მუნჯია, მხეცივით, აბრიალებდა თვალებს. საბრალო ბავშვი თანდათან უმატებდა ყვირილს და დანარჩენებმაც მორთეს საზარი ღრიალი. ბავშვების ყვირილზედ გამოცვივდნ ბატონის სახლიდან ბიჭები, სხვებიც მივიდენ და მიესხენ მუნჯიას, მაგრამ ადვილი არ იყო ამის ხელიდან ბავშვის გამოგლეჯა. ეს გააფთრებული დაჩერებოდა თავისს

მსხვერპლს, თითქო უნდა თვალებით გადაყლაპოს საბრალოვო. ამ გვარად გამხეცებული მუნჯია ჯერ არასოდეს არ ყოფილიყო და ყველას უკვირდა, ვინ მიცა ამდენი ღონე ამ საცოდავ არსებასაო.

ძლივს გამოართვეს ბავშვი მუნჯიას, მაგრამ ახლა ამისი დაკავება გაუჭირდათ. ბრდღვინავდა, ტყვია ნაკრავ დათვივით, და ხან ერთს მივარდებოდა და ხან მეორეს. არ იქნა, ვერას გზით ვერ გააჩერეს, თუმცა ბევრიც ურტყეს.

ბოლოს, როგორც იქნა, დაამშვიდეს და წაიყვანეს სახლში. საწყალი, ბავშვივით, ზლუქუნებდა და ისე მიდიოდა. მივიდა შინ და ახლა ბატონმა და ქალბატონმა დაუწყეს ჯავრობა, მაგრამ მუნჯია არავის ყურადღებას არ აქცევდა: ტიროდა, გულ-ამომჯდარი, და თხილის კაკლის ოდენა ცრემლებს აფრქვევდა.

ივანეც მივიდა მუნჯიასთან და ფერაობა დაუწყო. ამოიღო წვრილი ფული და ჩაუყარა ხელში. მუნჯიამ დახედა ფულს. ზერ შეხედა ნაღვლიანად ივანეს, საშილნად შებღაველა და გადაყარა ფულები.

მუნჯიამ გაშტერებით დაუწყო ცქერა. როცა ყველანი დასწვდენ ასაღებათ ფულს, და არ იცოდა, რა ექნა? საბრალო მუნჯია!..

VI

ვახთა ძიმწარია აქამდისაც იცნობდა ეკას მამას და დღეს, როცა ბატონები და ივანე საყდარში წავიდენ, იმის სანახავად წავიდა. რა აზრიც ქონდა ვახთას, ეს ჩვენ უკვე ვიცით, მაგრამ, როცა იქ მივიდა, თითქო ავადმყოფი მეგობრის სანახავად მისულიყოსო, ისე მოიქცა. უნდა გენახათ, როგორ გამხიარულდა ეკას დედა, როცა ვახთა ამათ ღარიბ ქოხში შევიდა. ამისთვის აღდგომა გათენდა დღეს, რაკი ამისთანა დიდი კაცი ეწვია. ეგონა, რომ ვახთას თვითონ გუბერნატორიც—კი ეკითხებოდა ხოლმე თავისს საქმეებში და ამისთანა კაცის წვევის ღირსი გახდა დღეს ამისი ოჯახი. რა არის გასაკვირველი ამის შემდეგ, რომ ვახთას სიტყვა „წმიდა-წმიდათა„ ყოფილიყო ამისთვის? ვახთაც, როგორც ჩინებულმა დიპლომატმა, პირდაპირ-კი არა თქვა თავისი მისვლის მიზეზი. რომ უეცრად არ წაეხდინა საქმე, შორიდან დაიწყო სიტყვა.

ვახთამ ჯერ გაჩოიკითხა ოჯახის ავი და კარგი, თითქო ძალიან ეპრიანება ამათი ამბის გაგებაო, და, რასაკვირველია, შეიტყო, რომ ამათი ცხოვრება სანატრელი აო არის. ეკას სამი ძმა ყავდა და სამი და; ყველას უნდოდა თავისი წილი გაეტანა. ეკას შამის ადგილ-მამული კი რომ სამად გაყოფილიყო, რაღა იქნებოდა? ახლა ოთხი ქალიშვილი, ოთხივეს გათხოვება, ოთხივეს მზითევი? აბა სად აუვიდოდა ყველას ერთი უბრალო ღარიბი, ამასთან მოხუცებული და დაავადმყოფებული გლეხ-კაცი?

— ეეჰ, სწორედ არ ვიცი, რა ვქნა, როცა მომაგონდება ყველა ესა, ამოოხვრით უთხრა ეკას მამამ ვახთას და მართლაც არ იცოდა საბრალომ, რა ექნა, როგორ გაწვდენოდა ყველაფერს.

ახლა შეეძლო ვახთას თევზის დაჭერა, რადგან წყალი საკმაოდ აიმღვრა. თვითონაც, რასაკვირველია, ეცადა, ეხმარა ყოველი საშუალება, რაც-კი იმის მაცდურ თავიდან გამოვიდოდა. ვახთამ ნათლად დაუყენა თვალ წინ საბრალო მოხუცებელთ სასუფეველი, თუ-კი მის რჩევას მიიღებდენ. მართლაც, ანწი რა ცუდი რჩევა იყო ვახთას რჩევა? ეკას მამას ბევრი შვილები ყავდა, ყველას ვერ ასდიოდა და რა იქნებოდა, რომ ერთი იმათგანი სხვისთვის მიეცა შვილობილად, როგორც მეგრელების ჩვეულება ყოფილა ძველიდგანვე? მერე ვისთვის? დიდ ივანესთვის, რომლის წინაშეც თვითონ იმისი ბატონიც კი თავს იხრიდა.

მაგრამ არც ისე ადვილი შეიქნა საქმე, როგორც ვახთას ეგონა. ეკას მამას არაფრის გულისათვის არ უნდოდა, დათანხმებულიყო, რომ იმისი შვილი ასე შორს წაეყვანათ; მერე ისიც უცხოელს, სხვა ტომის კაცს.

— არა, შვილო, არა; მაგათ მამა-შვილობა არ იციან... შვილი რომ გამიყიდოს, ვიღასა ვსდიო მერე? გულის ტკენით ამბობდა ეკას მამა.

ბევრი უმტკიცა ვახთამ, რომ ბატონი ივანე აქაური კაცია, თითქმის მეგრელიაო, გაჩვენებურდაო, აქაური ზნე და ჩვეულება შეითვისაო, მაგრამ მაინც ვერ დააჯერებდა, რომ ვახთას თვითონ ეკას დედაც არ გამოსარჩლებოდა. ცოლი ეუბნებო-

და ქმარს, რომ შენ არ გინდა შენის შვილების გაბედნიერება, კერპი და ჯინიანი ხარ, ეს ერთად ერთი ლონეა, რომ ჩვენი ოჯახი ფეხზე წამოვაყენოთო; რომ ამით მარტო ეკა-კი არა, მთელი ოჯახი გაბედნიერდება, რადგან ის კაცი დიდი კაცია და არც სხვებს დასტოვებს უყურადღებოთაო; რომ ჩვენც ამ სიბერის დროს მოვისვენებოთ და სხვა. ვახთაც ყოველ მის სიტყვას თავისს მხრივ კვერს უკრავდა და რაღა უნდა ექნა ამის შემდეგ ეკას მამას? ამისთანა მოხერხებული იერიში მოხუცებულის დასუსტებულ გულს, რასაკვირველია, სულ დაამსხვრევდა. ეკას მამაც დათანხმდა ბოლოს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ეკას სურვალზე მიეგდოთ საქმე: თუ ის ისურვებს, მაშინ არც მე ვიტყვი უარსაო.

ამ დროს ეკაც მოვიდა; გამხიარულებული, გადაეხვია დედას და შეეხვეწა, რომ ისიც და მამა მისიც დათანხმებულიყვენ და ნება მიეცათ, დიდი კაცის შვილობილი გამხდარიყო. დედას შვილის ბედნიერებით თვალებზე ცრემლი მოერია და გულში ჩაიკრა საყვარელი შვილი. ამის მერე მამასაც აბა რაღა ეთქმოდა, და ამ ნაირად გაიჩარხა საქმე.

ვახთამ. შეიტყო თუ არა ნამდვილი, მაშინვე გამოეთხოვა მასპინძელთ, თუმცა ბევრი პატიჟეს სადილათ, და გაეშურა, რომ გაეხარებინა თავისი ბატონის გული.

ვახთა დარწმუნებული იყო, რომ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და ღირსეულადვე მიიღებს ჯილდოს. ვისგან? ღვთისაგან?.. არა, ბატონ ივანესაგან. ღმერთი კარგა ხანია იმისთვის აღარ ჰსუფევდა, თუმცა ღმერთმა დაიფაროს, რომ ღმერთი არა და. იმისთვის რომ გეკითხათ, ღმერთი გწამს თუ არაო, თოფს გესვრიდათ, ან არა-და ხანჯალს მაინც ამოიღებდა წყრომითა და მუქარით ის მართლ-მადიდებელი ქრისტიანი იყო, „მამაო ჩვენო“ და „მრწამს ერთი ღმერთი“ ზეპირად იცოდა და ყოველ დილა საღამოს გულმოდგინებით ლოცულობდა.

VII

ეკას სიხარულით მიწაზე ფეხი აღარ ედგა, რაკი ხედავდა, რომ ჩემ ბედნიერებას წინააღმდეგი აღარავინა ყავსო. მხიარული იყო აგრეთვე იმისი დედაც, თუმცა ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდი-

ოდა დამჭკნარ ლოყებზე და ნიკაპის. წვერზე ესკვნებოდა მაგ-
რამ ეს ცრემლები სიცილზედ უფრო ტკიბილი იყო. მხიარულნი იყ-
ვენ ეკას დები, თუმცა არ შეიძლება, ცოტა არ იყოს, ეკას ამისთა-
ნა ბედნიერებისათვის შურით არ დაეწყოთ ცქერა. მხიარულნი იყვენ
ეკას ძმები... ერთი სიტყვით, მთელი სახლი, მთელი ეზო გამ-
ხიარულებული იყო. ასე გასინჯეთ, მურიაც-კი მხიარულადა ყეფდა
და ელაქუცებოდა ეკას, თითქო გრძნობს იმის ბედნიერებასო.
ზევით ჭერზე მერცხლებსაც-კი შეეტყოთ ეკას ბედნიერება და თა-
ვისს გაუთავებელის ჭიკჭიკით თანაუგრძნობდენ მის მხიარულებას.

მაგრამ იყო ერთი ვინმე კიდევ ამ სახლში, რომელსაც გული
რაღაც ცუდს ეუბნებოდა და რომელიც არ იღებდა მონაწილეობას
საერთო დღესასწაულში. იწვა ლოგინზე ბნელ კუთხეში და, თითქო არ
უნდა, შეუშალოს სხვებს მხიარულებაო, გადაბრუნებულიყო კედლისკენ
და ცხარე ცრემლით ქვითინებდა. ეს იყო ეკას მამა, რომელიც ოდეს-
ღაც ახლდა ბატონს ქუთაისში და იცოდა იქაური ამბები. ამას ცხადად
წარმოუდგა ახლა ქუთაისის ვიწრო და ტალახიანი ქუჩები, წარმო-
უდგა ეს ქუჩები დუქნებით, სამიკიტნოებით და ცუდი ყოფა-ქცევის ქა-
ლებით; წარმოუდგა ქუთაისის „სლაბოდკა“ ჯარის კაცებით და საზიზ-
ღარის სახლებით, ის „სლაბოდკა“, სადაც, ვინ იცის, რამდენი თა-
ვისი ქვეყნის ქალი უნახავს უპატრონოდ...

გაერთო ფიქრებში და, ვინ იცის, რაები არ ელანდებოდა. საბ-
რალოს? ხან ხედავდა ეკას მივარდნილ ქუჩაში, მშიერ-მწყურვალს,
უპატრონოდ; ხან—სამიკიტნოში, დვინის სმისაგან გაჟინჟღილებულს.
სადაც ყველა იმისი პატრონი იყო; ხან იმ სახლის ეზოში წარმოუდ-
გებოდა თვალ წინ ეკა, ურცხვად მოცინარე, რომელსაც ყოველთვის
ზიზღით უცქეროდა...

ამისთანა სურათები სულ სხვა-და სხვა გვარად ეხატებოდა
უბედურ მამას, როდესაც უთხრეს სადული ჰამეო. ავადმყოფი გად-
მობრუნდა და დაინახა, რომ სუფრას, რომელზედაც ფქვილის ღომი-
ნ და ნახევარ წველა კბილი ყველის მეტი არაფერი იყო, მთელი
ობა უჯდა.

დაინახა თავისი შვიდივე შვილი ერთად, მხიარულნი. დაინახა თავისი ცოლი, ბედნიერი, და გულში გაუელვა აზრმა, რისთვის უნდა წავიდე ეკა ჩემი სახლიდანო?

— განა ჩვენ ყველანი ერთად ბედნიერნი არა ვართ?– იფიქრა მოხუცებულმა.

მაგრამ ამ დროს გულიდან ვიღაცამ ამოძახა, რომ არა, შენი შვილები ბედნიერები არ არიან, ამათ ახლა ყველას ცოლები უნდა ჰყავდესთ და ქალები ხომ ხუთის წლის წინადაც გასათხოვრები იყვენო; რომ შენ არ შეგიძლიან ამათი გაბედნიერება; რომ ისინი ცოდვანი არიან შენს ხელშიო. და საბრალოს ნაღვლით აევსო გული.

ეკა არაფერს არა ჰამდა: ამას უნდოდა, მალე ამდგარიყვენ და ბატონისას წასულიყო.

ხედავდა უბედური მამა ეკას მხიარულებას, მაგრამ მაინც არა ჯეროდა, რომ ის ამაზე უფრო ბედნიერი გახდებოდა სადმე: არა სწამდა რაც მოუჩმახეს; წარმოდგენაც-კი არ შეეძლო მისი, რომ ეკა სადღაც, ვიღაცასთან, სამშობლოს, დედ-მამას, და-ძმებს, ტოლ-ამ ხანაგებს მოშორებული, ბედნიერი იქნებოდა.

ეკა ბატონი, ეკა დიდი კაცის შვილი, ეკა მდიდარი იმისთვის არ არსებობდა, მაგრამ ვისთვის ეთქვა რამე, ვისთვის გაეზიარებინა თავისი იქვნეულება?

VIII

ამ ნაირად ივანეს შეესრულდა თავისი სურვილი. თუმცა ეკაც ძალიან მხიარული იყო, მაგრამ ივანეს ნეტარებასთან ამისი მხიარულება არაფრად არა სჩანდა. ივანე სულ გაბავშვდა თითქმის და არ იცოდა, რა ექნა? უნდა გენახათ, როგორ უჩლინგებდა ეკას ენას და როგორ ეფერებოდა. ამნაირი ქცევით უცებ მოხიბლა ეკას უმანკო, ჩვილი გული და მიიზიდა. ივანემ იქვე უყიდა ეკას და შეუკერვინა რამდენიმე ხელი ტანისამოსი. ხუთშაბათისათვის წასვლას ეპირებოდა და ამ დღისთვის ეკაც მოამზადეს. ეკას მშვენიერი ბარგი გამოუწყვეს, იმისთანა ბარგი, რომლისთანაც თვით ქალბატონსაც არ

ღირსებია. არც ეკას დედ-მამა დატოვა ივანემ უყურადღებოდ, არც სხვები. თითქმის არ დარჩენილა ჩვენ სოფელში კაცი, ბავშვი მაინც, რომ არ მოემადლიერებინოს: ბატონებიდან დაწყებული უბრალო მოსამსახურემდის ყველას გაუკეთა გული, მხოლოდ მუნჯიასკი ვეოაფერი მოუხერხა.

მუნჯია ამ დღეებში სულ გამოიცვალა: ეგდო ნიადაგ საშზარეულოში, კუთხეში, და იყო; ეკასაც რაღაც გლახა თვალით დაუწყო ყურება, მაგრამ იმისი სულ მიტოვება არ შეეძლო. უეკაოდ მუნჯია ვერ იცოცხლებდა იქ, სადაც იმისთვის მეტი არავინ იყო.

მუნჯიას უყვარდა ეკა, უყვარდა მთელი არსებით, უყვარდა ისე კი არა, როგორც საყვარელი არსება კაცს, რომელიც თავისს თავს ყოველთვის აფასებს; უყვარდა, როგორც ძაღლს საყვარელი პატრონი, ძაღლს, რომელიც თავისს თავს არაფრად არ აგდებს, დიახ, ეს სიყვარული ინსტიქტიური იყო, პირუტყვული, ძაღლური, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი, ანგარიშს მოკლებული, შეუცვლელი, მტკიცე, გაუზომელი, გაუთავებელი. მხოლოდ ერთად ერთ სიკვდილს შეეძლო ამ სიყვარულის მოსპობა, სხვას არაფერს

ხუუთშაბათიც დადგა. წირვის დრო იქნებოდა, როცა ეკამ ჩამოიარა ყველა თავისი მეზობლები და გამოეთხოვა. ვახთა ახლა ამას დასდევდა უკან, როგორც მხლებელი. ეკა გამოეთხოვა, რასაკვირველია, თავისს დედ-მამასაც. დედა ტიროდა და ვერაფერს ამბობდა, როცა შვილს ეთხოვებოდა; მამამ-კი შემდეგი უთხრა ეკას გამოთხოვებისას:

— მშვიდობით, შვილო! უკანასკნელ ღონისძიებამდის ეცადე, დაიცვა პატიოსნება და ნამუსი. ღმერთმა ნუ გამაგონოს რომ შენ... მაგრამ ცრემლმა, რომელიც ყელში მოადგა, აღარ მიცა საბრალოს ნება, დაეთავებინა თავისი სიტყვები.

ვახთა მაშინ იქ იყო და იმასაც-კი ცრემლი მოერია, ამ კაცის ტანჯვას რომ უყურებდა. მხოლოდ ახლა გამოიღვიძა ვახთაში კაცურმა გრძნობამ, რომელიც აქამდე ჩამალული იყო სადღაც; მხოლოდ ალა იგრძნო ვახთამ, რომ უსამართლოდ ართმევენ მამას შვილს.

მაგრამ ეს გამოლვიძება წუთიერი იყო და, ეკას მამის სახლიდან რომ გამოვიდა, აღარც კი გახსენებია.

IX

ბატონის სახლის ეზო სავსე იყო ხალხით: თითქო რაღაცა დღეესასწაული არისო, კაცსა და ქალს, დიდსა და პატარას,—ყველას აქ მოეყარა თავი. ყველანი სიხარბით მიჩერებოდენ ხან ეკას და ხან ეტლს, რომელიც ივანემ დაიბარა საიდანღაც.—ვაი შენს ტყავსაო —ფიქრობდენ. ახალგაზდა ქალები,—რა დღეს მოესწარიო! ივანეს შვილობილობა, ქუთაისში წასვლა და ნამეტურ ეტლში ჩაჯდომა რაღაც დიდი ბედნიერება იყო ამათთვის.

ჩამოვიდენ ყველანი ძირს. წინ მოდის გახარებული ივანე, მერე ბატონი, მერე ქალბატონი და ეკა. ბარგიც გამოიტანეს და ჩააწყვეს ეტლში. ივანე უკანასკნელათ გამოეთხოვა ბატონებს და დაიჭირა ალაგი ეტლში; ეკაც გამოეთხოვა ქალბატონს, გამოეთხოვა ბატონს რომელმაც შუბლზედ აკოცა, გამოეთხოვა ტოლ-ამხანაგებს. რომლებთანაც გაეტარებინა თავისი სიყმაწვილე, რომლებთანაც იმდენი ემხიარულნა და ჩაჯდა ეტლში, ივანეს გვერდით.

ახლა-კი ყველა შეწუხდა. ეკა ყველას უყვარდა და ასე მოულოდნელი და უჩვეულო იმისი დაკარგვა ყველასთვის დასაღონებელი იყო. ახალ-გაზდა ქალები კარგავდენ საყვარელ ამხანაგს და ახალგაზდა ბიჭები კი—ლამაზ ქალს, რომლის შერთვაც, ვინ იცის, იქნება, რომელსაც მათგანს ღირსებოდა. მთელი ჩვენი სოფელი ობლდებოდა ამით და, რა გასაკვირველია, თუ ყველანი მწუხარენი იყვენ და ბევრნი კიდეც ტიროდენ.

ამ დროს ეკას დედაც თავისი სახლის კარებზე იდგა და მოუთმენლად ელოდა, როდის გამოვლის გზაზე ეტლი, რომ ერთხელ კიდევ დავინახო ჩემი საყვარელი შვილი; მამა კი ქვეშაგეპში იწვა; ამას აღარ შეეძლო ეკას ნახვა.

ვახთაც ავიდა ეტლის კოფოზე და მოუჯდა მეეტლეს. ცხენები დაიძრენ და ეტლი წავიდა.

ამ დროს მოისმა საშინელი ყვირილი, რომელიც უფრო მხეცის ხმასა გავდა, ვიდრე კაცისას. ეს მუნჯია იყო; მხოლოდ ახლა გამოვიდა სამზარეულოდან და დაინახა, რომ ეკა იმ საზიზღარ კაცთან ერთად ეტლით მიქროლავს სადღაც.

მუნჯიამ აქამდის არაფერი იცოდა, რადგან ეკას არ მიცეს ნება მასთან გამოთხოვებისა. ყველას ეშინოდა, არაფერი აეტეხნა მუნჯიას, როცა შეიტყობდა ეკას წასვლას. ეკაც იძულებული იყო, დამორჩილებოდა, რადგან თვითონაც ეშინოდა ახლა მუნჯიასი.

ერთი გაიზნიქა მუნჯია, გაიზმორა და მორთო ტირილი საშინელი ხმით.

ამ დროს მოიხედა ეკამ და შეხედა მუნჯიას. ამათი თვალები ერთმანეთს მოხვდენ და ახლა-კი ველარ გაძლო მუნჯიამ. გამოეკიდა გაქანებულ ეტლს, გამოეკიდა ისე, რომ კაცს ეგონებოდა, მიფრინავსო. ამის დანახვაზე შეიქნა ყვირილი და ყველანი გამოუდგენ უკან მუნჯიას. ერთი ბიჭი წინ დახვდა, მაგრამ მუნჯიამ ისეთის ძალით კრა გულზე ხელი, რომ მაშინვე მიწაზედ დაანარცხა.

ეს რომ მეეტლემ დაინახა, ცხენებს გაუჩქარა; ვახთაც მოეხმარა; ივანეც ხმას აძლევდა, ძლიერ გარეკეთ ცხენებიო. ამას ეშინოდა მუნჯიასი, რადგან იცოდა, რომ იმას ეზიზღებოდა ეს. ეკა ხედავდა მუნჯიას, ასე გამხეცებულს, და ტიროდა. ეკამ იგრძნო ახლა, რომ არ უნდა დაენებებინა საბრალოსათვის თავი; იგრძნო, რამდენად ჰყვარებია მუნჯიას და თვითონაც შეუყვარდა საწყალი. ახლა ბევრს მიცემდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო უკან დაბრუნება, მაგრამ გვიანღა იყო.

თუმცა ცხენები, რაც შეეძლოთ, მირბოდენ, მაგრამ, რადგან კარგი გზა ვერ იყო, მუნჯია მოეწია ეტლს; პირიდან, გაბრაზებულსავით, დორბლებს ყრიდა და ბრდღვინავდა. უეცრად გაიშვირა ორივე ხელი და მაგრად ჩაკიდა ეტლის ზურგს. ეტლი უეცრად დადგა, მეეტლე უჯავრდებოდა ცხენებს, მაგრამ ცხენები არ იძვროდენ. ვახთა ზევიდან გადმოწოლილიყო და უჯავრდებოდა მუნჯიას, მაგრამ მუნჯია, თითქო ლურსმნით მიუკრავთო, ეტლს არ შორდებოდა, შედგა ცალი ფეხი ეტლის საფეხურზე და უნდოდა მოხვეოდა ეკას,

რომელიც ტიროდა და ამისკენ იწევდა. ცოტაც და ბუნჯია მოიტაცებს თავისს ეკას, მაგრამ ამ დროს გავარდა დამბაჩა; კვამლმა მოიცვა ყველაფერი და ცხენებიც, თითქო დამბაჩის სროლას უცდიდენო, გადარეულნი გაქანდენ. კვამლი გაიბნა და იმ ადგილს, სადაც ეტლი იდგა, გამოჩნდა ულო-გვამი მუნჯიასი, რომელიც თავისსავე სისხლში ცურავდა. ამის დანახვაზე შეიქნა საშინელი კივილი და ყველანი, ზარდაცემულნი ამ საზიზღარ სურათის დანახვით, მიეხვიენ გვამს. ეტლი კი ისევ მიქროდა, თითქო აქ არაფერი ამბავი მომხდარიყოსო; თითქო ივანემ კაცი-კი არ მოკლა, უბრალო ჯირკს ესროლა დამბაჩაო. ან-კი რით განირჩევოდა მუნჯია ჯირკისაგან? ივანემ თავის დაცვის დროს მოკლა მუნჯია და ვინ გაამტყუნებდა?

ეკას სახლის წინაც გაირბინა ეტლმა, დედას ეგონა, ეკა ერთხელ კიდევ შემომაედავსო, მაგრამ მის განცვიფრებას საზღვარი აღარა ქონდა, როცა დაინახა, რომ ეკა, ჩვარივით, ეგდო ივანეს მუხლებზედ და არ ინძრეოდა. დედამ ამის დანახვაზე მიაკივლა და გამოვარდა კარში, მაგრამ ეტლი მიიმალა და ისიც ხელ ცარიელი დარჩა. რა ამბავიაო, კითხულობდა ეკას მამა, მაგრამ ცოლი ვერაფერს ვერ ებნებოდა და იცრემლებოდა ჩუმად. ამ დროს ამათი შვილებიც მოვიდენ და უამბეს, რა საზარელი სურათიცა ნახეს. საბრალო ავადმყოფი გაშტერებული უგდებდა ყურს, რასაც ამბობდენ; ბოლოს ვეღარ მოითმინა, ერთი საშინლად ამოიოხრა და სთქვა: „ვის ხელში ჩამაგდებინეთ შვილი, თქვე ულმერთონო!“-ო. ამის მეტი აღარაფერი უთქვამს. ეს უკანასკნელი სიტყვები იყო მისი. პატარა ხანს უკან ენა ჩაუვარდა, ცნობა დაეკარგა და მთელი ღამე-სულთმობრძავი იყო. გათენებისას კიდეც გათავდა.

X

გავიდა სამი წელიწადი და ამ ხნის განმალობაში აღარაფერი ამბავი შეუტყვიათ ეკასი. აღარც ივანე გაპაპანებულა მერე აქეთკენ. ამ რამდენისამე თვის წინად ბატონი კი იყო ქუთაისში და ჩამოიტანა ამბავი, რომ ივანე იქ აღარ არის, რუსეთში გადუყვანიათო.

— ეკა სად-ღა არისო?—იკითხა დედამ.

— არ ვიცი, შეიძლება, ჩემი ნათლულიც თან წაიყვანაო, მიუგო ბატონმა.

— როგორ თუ შეიძლება? განა უპატრონოდ დააგდებდა აქაო? ფიქრობდა საბრალო დედა და პასუხის მიმცემი არავინ იყო.

— თუ გაათხოვა—კარგი, თუ თვითონ წაიყვანა—ესეც კარგიო, მაგრამ თუ ქუთაისში დააგდო უპატრონოდო?—ამბობდა საცოდავი. საკვირველია, განა იმისთვის სულ ერთი არ იყო,— ეკა რუსეთში იქნებოდა, თუ სხვაგან სადმე გათხოვილი? იმისთვის ხომ მაინც დაკარგული იყო და რა ენაღვლებოდა, თუნდ ქუთაისშიაც ყოფილიყო უპატრონოდ? მაგრამ არა, შვილის უპატრონობა ასე ადვილი ასატანი არ იყო დედისთვის.

საბრალო დედა!.. ისედაც ბევრი უბედურება გადახდა ამ სამი წლის განმავლობიში და ახლა ეს ჯავრიც მიემატა! თუმცა წვრილი შვილები არ დარჩენია, მაგრამ მთელი ეს დრო საშინელ მდგომარეობაში იყო. ჯერ ხომ სიქვრივე, იმისთანა ქმრის დაკარგვა; მერე ეკას მოშორება. სინიდისი აწუხებდა: თავის თავს რაცდა დამნაშავეღ. როგორც შვილის დაკარგვაში, ისე ქმრის სიკვდილშიც.

ამ გვარად უბედურს ესეც ეყოფოდა, მაგრამ ბედმა ამას არ დააჯერა. მოუკვდა თუ არა ქმარი, დაირღვა იმისი ოჯახი: შვილებს ერთმანეთში უკმაყოფილება მოუვიდათ და ადგილების გაყოფას მიყვეს ხელი. ბევრი ეხვეწა უბედური დედა, რომ გასაყოფი არაფერი გაქვთ, მოითმინეთ, ნუ გამიმწარებთ ისედაც მწარე სიცოცხლესო, მაგრამ ვინ დაუჯერა? მაინც და მაინც უნდა გავიყარნეთო და გაიყარნენ. უფროსმა ძმებმა ცოლები შეირთვეს და ცალკე დაესახლენ; დედა და დები-კი უნცროს ძმასთან დარჩენ.

საცოდავი სანახავი იყო ახლა ეს ისედაც პატარა ეზო, რომელიც სამად იყო გაჭრილი და სამი ფაცხა იდგა შიგ. ბოლოს, როგორც იყო, უფროსი და გათხოვდა, უნცროსები მონოზნად შედგენ: შუათანა მონასტერში წავიდა და უნცროსი-კი სოფელის ეკკლესიის გალავანში დაბინავდა. ამ ნაირად სულ მარტოკა დარჩა საბრალო დედა და რის ვაითა და ვაგლახით მიათრევდა გაძაღლებულ

სიცოცხლეს. ახლა კიდეე ეკას ამბავი წამოეწია და სულ შეუწუხდა უბედურს გული. არ იცოდა, რა ექნა, და ღმერთს შესთხოვდა, მიეგბარებინა მისი სული. „მე რად გადურჩი ჩემ ქმარსო“,—ამბობდა ხოლმე ხშირად საწყალი:—„რატომ მეც იმასთან არ მოვკვდიო?“ მაინც აღარც შორს იყო ეს წამი. დღეები დათვლილი ქონდა. რა ხანია, სულ ავადმყოფი იყო და გულით უნდოდა, თუ ვერ ნახავდა, ამბავი მაინც შეეტყო ეკასი. „ღმერთო, ამას მაინც ნუ ჩამატან საფლავში ჯავრადო“, – ამბობდა, და ღმერთმაც ე' რთი თხოვნა მაინც შეუსმინა.

XI

ერთ დილას მთელმა სოფელმა დაიწყო ლაპარაკი—ეკა მოსულა, ეკაო! ეს ამბავი ზოგს სასიამოვნოდ დარჩა, ზოგს არაფრად ეეპაშნიკა, რადგანაც კარგა ხანია ცუდი ხმები დადიოდა ეკაზე, თუმცა დედა მისს არაფერს ეუბნებოდენ. ყველამ ეკვი აიღო ივანეს ქცევაზე და, რასაკვირველია, ქვესკნელში ჩამარხეს უბედური ეკა. რაც უნდა იყოს, ეს ამბავი ყველას გაუკვირდა და ყველას უნდოდა ეკას ნახვა. ამასთანავე იმ დღესვე ხმა გავარდა, რომ ეკას დედა მოკვდაო, და ყველანი წავიდენ ამ ამბის შესამოწმებლად. მართლაც წინა ღამეს მოსულიყო ეკა, რომდესაც თურმე მის დედას ენა ჩავარდნილი ქონდა, მაგრამ ცნობით ეი ეცნო თავისი შვილი და საშინლადაც გახარებოდა, თუ კიდეე შეიძლებოდა ამის მდგომარეობაში გახარება.

ეკას დედა დაასაფლავეს და ახლა მარტო ეკაზე იყო ლაპარაკი. სალაპარაკო მართლაც ბევრი ქონდათ. ეს ეკა სრულიად აღარ გავდა იმ ეკას, რომელიც სამი წლის წინად აქედან წაიყვანეს: მშვენიერ ახალგაზდა ქალიშვილს მაგიერ ახლა იყო რაღაც ლანდი, რომლის დანახვაც კაცს, ნამეტურ სოფლის კაცს, ზიზღს მოგვრიდა. წარმოიდგინეთ წვრილი, მაღალი, უშნო ჯოხი, რომელსაც ულაზათოდა აქვს შემოჯონჯილი სავა-და-სხვა ფერი, სხვა-და-სხვა გვარი ფართლის აპურჭკნულ-დაპურჭკნული კაბა, თითქო საფრთხობელზაე ძველი ჭინჭები შემოუხვევიათო; ჯოხზე გაკეთებული გამხდარი, უფერული, მაგრამ ფერ-უმარილით შეგლესილი პირისახე; გძელი, მაგრამ

ულაზათო კისერი. მხოლოდ თვალები-ღა შერჩენოდა ამ მართლაცა და ლანდს, როგორც „ნაშთი ძველის დიდებისა“, მაგრამ თვალებიც, ძველებურ ცეცხლის ფრქვევის მაგიერ, ეხლა ჩასცვივნოდა, ამოლილავებოდა და მხოლოდ კაკლები-ღა გამობეუტავდა, ისიც ურცხვად. ვინ მოიფიქრებდა, რომ მშვენიერი ეკა ასე გახდებოდა, რომ რამდენიმე წელიწადი ასე გამოცვლიდა? ყველანი პირჯვარს იწერდენ ეკას დანახვაზე და მართლაც პირჯვარის დასაწერი იყო ამისი საქმე.

ეკა დადგა დასთან სასენაკოში, მაგრამ, როგორც მთელი სოფელი ამბობდა, ეკა არ იყო ღირსი არც დასთან დგომისა და არც ეკლესიის ეზოში ცხოვრების; არ იყო ღირსი უწმინდურ ფეხებით ეთელა პატიოსან მკვდართა საფლავები, „ეშმაკის კერძია და საუდრის ეზოში რა უნდაო?“ — ამბობდენ სოფლის დედაკაცები. ნეტა რას ამბოდენ მაშინ ბატონები?

უბედური ეკა! რა საშინელი სანახავი იყო, როდესაც აჩვენეს საფლავები მამისა და მუნჯიასი, რომელნიც იმისი გამო ერთს დღეს დაიხოცენ. ეკა სრულიად გაშრა ყველას თვალ წინ, გაყვითლდა, სახის კანი დაემანჭა, მაგრამ ცრემლი-კი არ გადმოუგდია. ან-კი სადღა ექნებოდა ცრემლი? მერე ეკას სულაც აღარ გაუვლია იქითკენ, სადაც ისინი ემარხენ. არც გარეთ გამოდიოდა. ეტყობოდა, რომ ყველასი რცხვენოდა, ყველაფრისა ეშინოდა და ერიდებოდა. სულ მუდამ პატარა ფაცხაში იყო, რომელიც სამზარეულოდ ქონდა იმის დას. თვითონ სასენაკოში ვერ დგებოდა, რადგან იქ იმდენი ხატები ესვენა და ამას-კი ხატის ცქერა აღარ შეეძლო. უნდა გენახათ, როგორ წვალობდა ეკა, როდესაც გაიგონებდა დის ლოცვას და ეს-კი დღე-ღამეში ხუთჯერაც ლოცულობდა, მერე ყოველთვის ხმა-მაღა.

არა, ეკას არ შეუძლია ამ ნაირად ყოფნა! მაშ რა ქნას? სად წავიდეს? ვის მიადგეს კარს, ვინ მიიღებს? აქ არაევინ. მაშ ისევ იქ, იქ, ჭუთაისში; იქ არის ამისი ადგილი!. ახლაც რისთვის მოვიდა სოფელში? რა უნდოდა აქ? ნუ თუ იფიქრა, რომ შეეძლო გამობრუნება, შეეძლო აქ სხვასავით ცხოვრება? არა, ეს დაკარგულია სოფ-

ლისათვის. ეს იქ უნდა იყოს, თუ უნდა სიცოცხლე; და რომ სიცოცხლე უნდა. ეს ცხადია, თორემ აქამდისაც მოიკლავდა თას; დიახ, ეს დაღუპულია და ბოლომდის უნდა გამოცალოს ფიალა, რემელიც ძალით მიაჩეჩეს ხელში

ეკაც რამდენიმე დღის შემდგ წავიდა სოფლიდან.

სად წავიდა ეკა?.. მისმა დამ თქვა ქუთაისიდან წერილი მოუვიდა და იქ წავიდაო.

— ახლა მაანც რაღა მიარბენინებდა, არ ეყო, რაც ეთრიაო? — ამბობდენ სოფლის ქალები: დარჩებოდა და ძველ ცოდვებს მოინანიებდა, ახალში რომ ვარდება კიდევაო?! საკვირველია, ჯერ იძახდენ ეკლესიის ეზოში ნუაო, და ახლა ამბობდენ, დარჩენილიყოვო. სად დარჩენილიყო?

XII

გავიდა კიდევ რამდენიმე წელიწადი.

ერთხელ, როდესაც ჩვენ ეკლესიაში მონოზნად მყოფი ეკას და გარეთ გამოვიდა, შემდეგი სურათი წარმოუდგა თვალ-წინ. იქ, სადაც საცოდავი მუნჯია იყო დასაფლავებული, ერთი გლახა იწვა. თავით ედვა ძველი ტომარა, რომელშიაც ძველი ჭინჭები უნდა ყოფილიყო. თუ არა ამ გლახის გრძელი თმა, ადამიანი ვერ მიხვდებოდა, ვინ იყო, კაცი თუ ქალი, რადგან ტანისამოსი სრულიად არ ეცვა და საცოდავს ტანს ძლივს უფარავდა ძველი საძაგელი საცვალი და დახეული ფარაჯა, რომელშიაც გამოხვეულიყო და თავიც-კი შიგ ჩაემალა. მხოლოდ ტიტველა ფეხები უჩანდა უბედურს და ისინიც ისე იყო სისხლ-შამომხმარი, რომ გეგონებოდათ, ძველი, დახეული წულები აცვიაო.

დიდხანს ადგა გლახას მონოზანი, გაშტერებული, და არ იცოდა, რა ექნა? ბოლოს გლახა გაინძრა და ცალი ხელი გამოყო ფარაჯიდან. ამ ხელის დანახვამ სულ გადარია მონოზანი, რადგან ხელის მაგიერ რაღაც ერთი მეორეზე შეწყობილი ძვლები ნახა. კიდევ გაინძრა გლახა და ახლა კი თავიც გამოაჩინა. მაგრამ სადღა იყო თავი? თავის მაგიერ იყო მხოლოდ ორი თვალი, დაკრეჭილი კბილე-

ბი და ნიკაპი. დაინახა თუ არა გლახამ, რომ იმასთან ვილაცაა, შეჰოიხვია ფარაჯის კალთა, თითქო შერცხვაო. მონოზონმა კითხა, კინ ხარო?

— ქრისტიანი ვარ, ვკვდები! მოისმა საიდანღაც, თითქო საფლავში მყოფი მკვდარი ამოიძახისო. მონოზანმა, გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე წავიდა მღვდელთან, რადგან შეეშინდა, უზიარებლად არ მოკვდესო.

მღვდელი ახლოს იდგა და მაშინვე წამოვიდა. მანამ მღვდელი მოვიდოდა, გლახას სულთა ბრძოლის ჟამი მოუახლოვდა. მოვიდა მღვდელი და დაუწყო წმიდა საიდუმლოს მზადება. გლახამ შეხედა მღვდელს, დაინახა, რასაც აკეთებდა, და წამოჯდა; მაგრამ ფარაჯა-კი არ მოუსნია თავიდან. მღვდელმა დაიკავა კოვზი ხელში და აღსარება უნდოდა, ეთქმევინებინა. მონოზანი მოშორდა მათ.

— ვინა ხარ, შვილო?—კითხა მღვდელმა.

— ეკა ვარ, აქაური ეკა, – ამოიძახა გლახამ. მღვდელი შეკრთა და კინალამ დააქცია წმიდა საიდუმლო, ისე დაუწყო ხელმა კანკალი. ეს თვალებს არ უჯედებდა, რომ იმის წინ ის ეკა იყო, რომელსაც წინად იცნობდა.

— რამ მიგიყვანა მერე, შვილო, მაგ ზომამდის?

— ჩემმა თავმა და სხვებმაც ბევრმა. ღმერთმა მოკითხოს ყველას, ვინც ჩემ ამისთანა ყოფაში დანაშაული იყოს! ღმერ...

— კარგია, შვილო; ახლა კიდევ ნუ სცოდავ ღმერთს! ახლა დრო არ არის, ილაპარაკო იმაზე, ვისი ბრალიც არის შენი მაგნაირი ყოფა. მოიგონე, შვილო, ადამი და ევა, რომელნიც ცდილობდენ, სხვისთვის გედაებრალებინათ თავიანთი ცოდვები და ღმერთმა უმეტესად დასაჯა. მაშ, აღიარე შენი ცოდვები და ორივემ ვთხოვოთ ღმერთს, გაპატიოს.

— არ შემიძლია, არ მახსოვს და კიდეც რომ მახსოვდეს, ვეღარ მოვასწრებ; ვგრძნობ, ახლავე უნდა მოვკვდე.

— რამდენი ხანია, შვილო, ზიარება არ მიგიღია?

— ათი წელიწადია და, მგონი, კიდევ მეტიც.

— არაფერია, შვილო, სასოებას ნუ წარიკვეთ. ღმერთი ყოვლად მოწყალეა. შვილი ხომ არ გყოლია?

ამ კითხვაზე საცოდავს თრთოლა დააწყებინა.

— თქვი, შვილო, თუ გყავდა, სად არის?

— მო... მომა... კვლევი...ნეს! მოისმა ძლივს.

შენ თვითონ?!

— იძუ... ნუ მკითხავ, ნუ!.. და გააქნია უბედურმა ხელი. — არა, არა, მე არავინ არ მომიკლავს, სხვებმა მოკლეს, სხვებმა... მე... მე... ეე კაცის მკვლელი?.. არა, არა... ამბობდა საწყალი.

— დამშვიდდი, შვილო, დამშვიდდი! ახლა უკანასკნელი დროა. დაივიწყე ყველა, ვისაც რა ბოროტი შეუმთხვევია შენთვის, მიუტევე ყველას და ღმერთსა თხოვე. შენც შენი ცოდვები მოგიტევოს.. ახლა დრო არის, გაუტყდე ღმერთს იმაში, რაშიაც დამნაშავე ხარ.

— მე ისეთიკე დამნაშავე ვარ, როგორიც დანა, რომლითაც ერთი კაცი მეორესა კლავს... მე არაფერში არა ვარ დამნაშავე... მე ვიყავი სუსტი ერსება და ძლიერებმა ძალით წამართვეს ის, რის დაცვაც არ შემეძლო. მე მშიოდა, ნუყეროდა, მცივოდა, კაცი პატრონი არ იყო ჩემთვის და იძულებული ვიყავი, მეცხოვრა იმითი, რაცა მქონდა. მე მქონდა ერთი ჩემი თავი და მეც დავიწყე იმით ვაჭრობა. მე მითხრეს — შვილი ნუ გყავს, გადაგდეო, და მეც გადავაგდე. ოოჰ!.. მე... და ხმა ჩაუწყდა უბედურს...

— ილოცე, შვილო. ილოცე ეუბნებოდა მღვდელი, მაგრამ იმას ლოცვა აღარ შეეძლო. წაიქცა და უკანასკნელად ებრძოდა სიცოცხლეს. მღვდელმა არ იცოდა, მიეცა თუ არა წმიდა საიდუმლო. მღვდელი რომ ფიქრში იყო, ეკას უკანასკნელად გააკრეოლა და განუტევა სული...

სეიმონ მღვდელი

მეწყდა ზარის ხმა სუროთი შეფუთნულ მაღალ საკრეკლოზე და გაისმა: „აღდგომასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ“. ყველას აუბარძგალა გული ამ გალობამ, ვინც კი იყო მოგროვილი ვანის პაწაწა ეკლესიის ეზოში. დიდი და პატარა, კაცი და ქალი, მოხუცი და ყმა. წვილი, მდიდარი და გლახაკი—ყველა ერთი გრძნობით გაიმსჭვალა; ყველას დაავიწყდა ახლა თავისი ხარისხი, დაივიწყდა თავისი ვინაობა; მოაგონდა მხოლოდ, რომ ქრისტიანია და წმინდა სანთლით ხელში და წმიდის გრძნობით გულში, უნდა მიეგებოს აბ შესანიშნავ დღეს, როცა ,,აღსდგა ქრისტე მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“...

სწრაფ მოედვა ტკბილი გალობა მთელ არე-მარეს, მოედვა გარშემო მთებს; მთებმა გადასცეს იგი ღრუბლებს, ღრუბლებმა ვარსკვლავებს და მთელი ცა და ქვეყანა სმენად გადაიქცა.

რაღაც სადღესასწაულო ფერი მიიღო მთელმა იმ სერმა, რომელზედაც აშენებულია ვანის ეკლესია; რაღაც უცნაური ძაფი გაიბა ამ სერსა და ზეცას შუა. ეკლესიამ თითქო შეუერთა დღეს მარხვითა და ლოცვით გაწმენდილი მრევლი თავისს მხსნელს. ცა თითქო გაიხსნა და ანგელოზები თავს დასტრიალებენ ხალხს; მასთან ერთად უვლიან ეკლესიას და თავიანთ ფრთებით სანთლებს გაქრობისაგან იფარავენ.

თვითონ ეკლესიაში არავინ არის ახლა. ყველა გარეთ არის და საერთო დღესასწაულში იღებს მონაწილეობას. მხოლოდ ერთ-ერთ საკურთხევლის ბნელ კუთხეში ზის მოხუცი სვიმონ მღვდელი,

რომელსაც სიარული არ შეუძლია. საბრალო, თუმცა ისე მოხუცებულია, რომ თვალს საშინლად აკლია და ყურში-კი თითქმის სრულიად აღარ ეყურება, მაინც ვერ გაძლო დღეს საყდარში წამოუსვლელი და წამოაყვანია თავი თავისს შვილს, იესე დიაკონს. მაგრამ რაა ამისთანა წამოსვლა, როცა უბედურს აქაურობის აღარა გაეგება რა? დაუბუკავს ისედაც უსინათლო თვალები და ფიქრებში გართულა.

ნეტა რაზე ფიქრობს ახლა სვიმონ მღვდელი? — იმაზე, რაზედაც ფიქრობს ხოლმე ყოველი იმისი ხნის კაცი, თავისს წარსულზედ. აგონდება თავისი დიდი ხნის სიცოცხლიდან წამები. როცა ასე თუ ისე ბედნიერი იყო. ამისთანა წამები ბევრი არ მოიძებნება სვიმონის წარსულში, მაგრამ იმათით აწმყოსთან შედარებით მანც კმაყოფილია, როგორც ყოველი სიკვდილს მიახლოებული კაცი.

გაიტაცეს სვიმონი ფიქრებმა და დაუყენეს თვალ-წინ ახალგაზდა, ცოცხალი, მარჯვე დიაკონი. დიაკონს ცხრა გვერდი ეშმაკისა აქვსო რომ იტყვიან, სწორედ ამაზე იყო გამოპრილი. მართლაც, რა ეშმაკი იყო სვიმონა დიაკონი, რომ იცოდეთ, მაგრამ ცუდი ეშმაკი-კი არა. ის იყო, ეშმაკივით, მიმხდომი, ეშმაკივით, გონიერი, ეშმაკივით, მკვირცხლი, ეშმაკივით, გამოჩარხული ყოველისფერში, მაგრამ, ეშმაკივით, ბოროტი-კი არა. რა უყოთ მერე, თუ ხანდახან მოატყუებდა სვიმონა ნეოფიტე ბერს, თავისს მასწავლებელს „ეამნ-დავითნის“ კითხვის დროს? რა უყოთ მერე, თუ ხანდახან სალაროს კლიტესაც მოპარავდა და ჩუმად მის შენახულ ღვინოს, ან არაყს გადაკრავდა? რა უყოთ მერე, თუ ხანდახან ლოცვის მაგიერ კვირა საღამოს ქალიშვილებში ჩაერევოდა სვიმონა და ხუმრობასა და თამაშს დაიწყებდა? მაშ, რა უნდა ექნა ახალგაზდა სვიმონას, თუ კი ცხონებული ნეოფიტე ძალიან სასტიკი მასწავლებელი იყო, ერთობ ხელ-მოუერილი ეკონომოსი და მეტად შეუბრალებელი მოძღვარი?..

ერთხელ მთელი დღე მშიერი იყო სვიმონა, რადგან რომელიღაც გრძელი ლოცვა ვერ დაესწავლა იმ დღისთვის ზეპირად. „სანამ არ გეცოდინება, არაფერს გაჭმევ“-ო, უთხრა ნეოფიტემ დილას, როცა ლოცვა კითხა, და სვიმონამ ვერ უთხრა. აგერ სამხრობამ მოატა-

ნა და სვიმონას ჯერ ნახევარიც არ ქონდა დასწავლილი. რაღა ეზეპირებოდა უბედურს, როცა კუჭი შიმშილით ეწოდა? ახლა მთელი იმისი გონება იმაზე იყო მიმართული, როგორმე საჭმელი ეშოვნა. რასაკვირველია, ამ დროს თუ მოახერხებდა, ქურდობასაც არ დაზოგავდა.

პატარა ხანს უკან ერთი ბრმა გლახა ეწვია ნეოფიტეს. ნეოფიტემ მაშინვე შეიყვანა სახლში მათხოვარი და სამხარი მოუტანა. დასხდენ გლახა და მისი მხლებელი და შეექცენ საჭმელს; ნეოფიტე გვერდით მოუჯდა და ამბების კითხვა დაუწყო, სვიმონა-კი თავზე უნდა დგომოდა სტუმრებს და ღვინო ესხა. საწყალი სვიმონა! ერთი ლუკმა ერთ რასმე ერჩია, მაგრამ ნეოფიტეს თავისი სიტყვის შესრულება უყვარდა და, შეიძლება, ვახშამი კი ეკმია ამაღამ, თორემ, მანამდის არაფერს აჭმევდა სვიმონას, თუ ლოცვას ვერ დაისწავლიდა. გაათავა გლახის მხლებელმა ჭამა და გარეთ გავიდა; ნეოფიტეც აძას გაყვა და იქვე წინ-კარში მუსაიფი დაიწყეს. გლახა ისევე ჭამდა და სვიმონა თავზე ადგა. ისიც გაათავებს ახლავე და მთელი პური და ნახევარი მორჩება. სვიმონამ იცის, რომ ამ პურს ხვირჯინში უკვრენ თავს და გლახა თან წაიღებს, მაშინ როდესაც სვიმონას შია, საშინლად შია... ამ დროს უკანა კარიდან კატა შემოვიდა და ზედ საძირკველზე დასკუპდა. სვიმონას სახე გაუბრწყინდა; ეტყობოდა, რომ რაღაც კარგი ფიქრი მოუვიდა თავში. „მიააუ!“ დაიკნავლა კატამ და წამოვიდა სუფრისკენ, „ციც, ციც შე საბრაზე!“, დაიყვირა სვიმონამ, დაავლო ნახევარ პურს ხელი და გავარდა უკანა კარში. კატას შეეშინდა და თვალის დახამხამებაში სადღაც გადიკარგა. სვიმონამ ჩაიდვა პური ჯიბეში და, ვითომ აქ არაფერი ამბავიაო, შამოვიდა სახლში. გლახა კიდეც ამდგარიყო. „რა ამბავია?“ იკითხა ნეოფიტემ? — „კატამ პურის ნატეხი მოიტაცა და იმას გამოვეკიდე,“ მიუგო სვიმონამ. — „მერე სად იყავი, რას უყურებდი, შე არამზადა შენა?.. წადი ახლავე და ისწავლე ლოცვა, თორემ მე შენ დღეს?.. სვიმონასაც ეს უნდოდა; სიტყვაც აღარ დაუთავებინებია ისე წავიდა და შეექცა ძღივს ნაშოვნ პურს.. მოაგონდა სვიმონ მღვდელს ეს

და მრავალი ამისთანა ეშმაკობა თავისს ბავშვობიდან, თავისს სიყმაწვილიდან და თვალები ცრემლით ევსება. საკვირველია, თითქო უკანასკნელმა ჟამმა მოაწიაო, სვიმონი ყველაფერს იგონებს; თავისს ცოდვებსაც. „ვისაც რაც ცოდვა ჩაუდენია ამ სოფლად, რიცა ქრისტეს წინ წადგება მეორეთ მოსვლის დროს, ყველაფერი იმის ტანისამოსზე იქნება დახატული და დაწერილი, რომ ყველას შეეძლოს წაკითხვა“—ებზრიალებენ ყურში სვიმონს ნეოფიტეს საყვარელი სიტყვები. „ნეტა სად არის ახლა ნეოფიტე?“ ფიქრობს სვიმონი „სამოთხეში იქნება, სამოთხეში სწორეთ. ოჰ ღმერთო, ყოვლად მოწყალეო, შემინდევ ყოველი შეცოდებანი ნებსითნი, და უნებლიეთნი!“

მაგრამ აგერ ნეოფიტე გაქრა და იმისი ადგილი დაიკავა ჯერ ახალგაზდა ლამაზმა ქალიშვილმა, მერე პატიოსანმა ქკვიანმა დედაკაცმა. ეს ქალი იყო სვიმონის საყვარელი ვარდო; წარმოუდგენ იმისი მშვენიერი თვალები, რომელნიც სოკრიალებულ ცასა გავდენ, იმისი ნაზი, სიყვარულით სავსე, სახე...

ვარდო არ იყო ამ ქვეყნისთვის გაჩენილი. იმისი ადგილი ცაში იყო ანგელოზეათან და მალეც მოშორდა იმ სვიმონს. რა პატიოს ცემდა ვარდო სვიმონს! როგორ უყვარდა! მოაგონდა სვიმონს ვარდოსთან გაცარებული ტკბილი ჟამ და საშინლათ უკვირს, ამდენი ხანი როგორ გაძლო უიმისოდ? ო, რა ბედნიერნი იყვენ სვიმონი და ვარდო, ნამეტურ, სვიმონი მღვდელად კურთხევის პირველ ხანებში. პირველი ანაფორა სვიმონს ვარდომ შეუკერა. საუბედუროდ, დიდხანს აღარ უცოცხლია ამის შემდეგ ვარდოს. ასე რომ მისგან შეკერილი ანაფორა ჯერ კიდევ ახალი იყო, როცა მოკვდა. სვიმონმა მაშინვე გაიძრო ის ანაფორა და „წმიდა წმიდათასაკით“ აქვს შენახული. ნათქვამი აქვს კიდეც შინ, რომ უსათუოდ ივ ანაფორაში უნდა დაიმარხოს. ,,პირველად ეს ანაფორა მეცვა და უკანასკნელადაც ეს უნდა ჩავიცვაო'', ამბობს სვიმონი. იქნება, მალე ერგოს სვიმონს მისი ჩაცმა!.. ო, რა ბედნიერი იქნება სვიმონი, როცა წადგება იმ სოფლად თავისს ვარდოს წინ მისგან შეკერილ ანაფორაში! ,,შენ მოკვდი, ვარდო, მაგრამ ჩემთვის მუდამ ცოცხალი იყავიო“, ეტყვის

სვიმონი ვარდოს; არც ტყუილს ეტყვის: ვარდო მართლაც რომ ყოველთვის ცოცხალი იყო სვიმონისთვის. ყოველთვის. მისი მფარველი ანგელოზი იყო. როცა რამე საქმე შეხვდებოდა სვიმონს, ჯერ მოისაზრებდა, რა აზრის იქნებოდა იმაზე ვარდო, რომ ცოცხალი ყოფილიყო, და ისე გააკეთებდა; ან სულ თავს დაანებებდა, თუ დარწმუნდებოდა, რომ ეს საქმე ვარდოს არ ესიამოვნებოდა. სვიმონს წამდა, რომ ვარდო მუდამ იმასთან იყო და კარგს ურჩევდა, ცუდისგან იფარავდა...

გაერთო მოხუცი სვიმონ მღვდელი ამ ფიქრებში და არც-კი შეუტყვია, როგორ აივსო ხალხით საყდარი და დაიწყეს ცისკარი. მხოლოდ ერთხელ შემოესმა სვიმონს „ქრისტე აღსდგას" გალობა და მაშინაც მხოლოდ ერთი კაცის ხმას მოკრა ყური. ეს ხმა იესე დიაკვნის ხმა იყო, რომელიც ყოველთვის ააკანკალებდა სვიმონს და მოაგონებდა თავისს საყვარელ ვარდოს. ამისი მიზეზი ის იყო, რომ პირველი იესეს ხმა და ვარდოს უკანასკნელი ერთ დროს მოხვდენ. იესემ პირველად მაშინ ამოიღო ხმა, როდესაც ვარდომ უკანასკნელად ამოიკვნესა და სამუდამოდ დადუმდა. ვარდო ...ან გადაყვა თავისს პირველ შვილს, რომელიც არც-კი უნახავს, რომლისთვისაც არც-ოუკიდნია ხელი, არ მიუალერსნია დედა-შვილურად.. მოაგონდა სვიმონს ეს წამი, როდესაც ერთის მხრივ გაბედნიერდა, შვილი შეეძინა და მეორეს მხრივ გაუბედურდა, საყვარელი ცოლი მოუკვდა. ო, რა საშინელი წამი იყო ეს წამი, როდესაც არ იცოდა რა ექნა, მადლობა ეძღვნა ღვთისაოვის, თუ საყვედური, ეცინა, თუ ეტირა? მოაგონდა სვიმონს მაშინდელი მდგომარეობა, საშინლად ამოიოხრა და მიაბჯინა კედელს თავისი, თოვლივით გათეთრებული, თავი. ცრემლები ღაპა-ღაპით მოსცვივიან იმის თვალებიდან; მოგორავენ, როგორც მარგალიტები, ჯერ იმის დამკნარ ლოყებზე, თითქო ღარებზე, მერე იმის თეთრ წვერზე, რომლის ბოლოშიაც გროვდებიან ერთად და წვეთ-წვეთად ეცემიან ძირს.

გარდა ამ წამის მოგონებისა სხვა მიზეზებიც ბევრი აქვს სვიმონს, რომ იტიროს და ტირის, ტირის...

რაკი სვიმონს ერთად ერთი სახსოვარი დარჩა მხოლოდ ვარდოსი, რომელიც ასე მოულოდნელად გამოესალმა, საშინლიდ "ეუყვარდა იესე, თავისი ნუგეში;" იესე იმისთვის შვილიც იყო, და ვარდოს სახსოვარიც.

სვიმონიც მხოლოდ იესეში ხედავდა თავისს სიცოცხლის საგანს. რომ იესე არ დარჩენოდა, ვარდოს სიკვდილს ვერ აიტანდა. მართლაც, სვიმონი სულ იესეზე ფიქრობდა: ,,აი გაიზდება ჩემი იესე, მოიყვანს ცოლს, შვილები ეყოლებიან; მე დავბერდები, სამსახურიდან გამოვალ, ჩემ მაგიერ ეკურთხება იესე და, როცა მოვკდები, მიწირავს მოლმეო'', ოცნებობდა ხშირად სვიმონი. მართლაც გაიზარდა იესე, ცოლიც მოიყვანა, შვილებიც ეყოლა; სვიმონი დაბერდა და იძულებული შეიქნა სამსახურიდან გამოსულიყო, მაგრამ... მის მაგიერ იესე როდი კურთხეულა მღვდლად; — იესე ისევ ისევ დიაკონია და მღვდლად ვიღაცა სხვა აკურთხეს. რატომ? „იმიტომ, რომ იესე უსწავლელიაო;'' უფრო-კი იმიტომ, რომ ,,ბლაღოჩინი'' არ წყალობდა სვიმონს, თორემ ახლანდელი მღვდელი რა ნასწავლია? ნასწავლი-კი არ არის და უფრო მდიდარი კია იესეზედ, თუ კი სიმდიდრე რამე საჭიროა მღვდლისთვის. ამასთან კიდეც ენათესაევება ,,ბლაღოჩინს''... სვიმონს-კი რითი უნდა მოეგო ,,ბლაღოჩინის'' გული, რომ არაფერი გააჩნდა? ისე-კი ბევრს ეცადა, ბევრი ირბინა თავ-ქუდ მოგლეჯილმა ხან იქით და ხან აქეთ; რამდენჯერმე მღვდელმთავართანაც მივიდა სათხოვარად, მაგრამ არაფერი ეშველა. ალბათ, ყველანი სამღრთო წერილის სიტყვებით ხელ-მძღვანელობდენ და, ვისაც ,ქონდა, იმას აძლევდენ; ასე რომ, რადგან იესეს არაფერი ქონდა, არც მღვდლობა მიცეს და უკურთხი დატოვეს. მოაგონდა სვიმონს ეს გარემოება და ამ მოგონებამ კიდევ უფრო ჩაუშხამა ისედაც მოშხამული გული, კიდევ უფრო შეუწუხა სული. ან კი როგორ არ უნდა შეუწუხდეს სვიმონს სული, როდესაც იცის, რომ მის მაგიერ იესე აღარ იქნება მამა ბაპეულ ხაუდარში მღვდლად? როდესაც იცის, რომ მის ცხედარს აღარ წაუძღვება წინ იმისი შვილი, შვმოსილი, როგორც თვითონ მიუძღოდა მამას, მამა — ბაბუას, ბაბუა პაპას?.. დიახ, უწუხს სვიმონს სული და ტირის, ტირის... მაგრამ, აი ხელ-

ახლავ მოვიდა ამასთან მისი ვარდო; ვარდო-კი არა, ვარდოს სახით მშვენიერი ანგელოზი, გაბრწყინვებული, რომლის სახეზედაც რაღაც ციური მადლი იყო და არა ამ ქვეყნის მწუხარების ბეჭედი დასმული. მოვიდა ეს მშვენიერი მოჩვენება სვიმონთან და ეუბნება: ,,გეყოფა, სვიმონ, გეყოფა ამ ქვეყანაში წვალება. დროა წახვიდე აქედან და მოისვენო შენს ვარდოსთან, რომელიც მოუთმენლად მიგელის''-ო. კიდევ უთხრა რაღაც მოჩვენებამ, მაგრამ სვიმონს სიხარულის გამო მეტი არაფერი გაუგონია. ,,ვარდო მიელის სვიმონს, მისი ვარდო''!.. ო რა ტკბილია ეს სიტყვები სვიმონისთვის, როგორ უბარძგალობს გული!..

აგერ, მოვიდენ სვიმონთან სხვა ანგელოზებიც, მოვიდენ ბევრნი, უთვალავნი, და შემოეხვიენ გარს. ო, რა მშვენიერები არიან და რა ტკბილად გალობენ „ქრისტე აღსდგა"-ს. გალობენ და იწვევენ სვიმონს თავისკენ. საკვირველია, სვიმონს აღარც თვალს აკლია ახლა და აღარც ყურს: სვიმონი ხედავს ყველაფერს, სვიმონს ესმის ყველაფერი. ძალაც მოემატა სვიმონს: ის მარჯვედ დგას ფეხებზე და მიყვება-კი არა, თითქო ფრთები გამოესხაო, იმათთან ერთად მიფრინავს, მიფრინავს თავისს ვარდოსთან!..

იმ დღეს მთელი სოფელი იმაზეღ-ღა ლაპარაკობდა, თუ როგორ სასწაულებრივად გარდაიცვალა სვიმონი.

,,აცხონოს ღმერთმა! ღირსი იყო და ღირსეულად მოკვდაო'', ამბობდენ ზოგნი. ,,აღდგომას ვინც მოკვდება, ყველა ცხონებულიაო, თორემ სვიმონი, რასაკვირველია, ცხონდებაო'', უმატებდენ სხვები...

ქინაქინა

I

მშვენიერი ზაფხულის დილა იყო. მზეს. თუმცა უხვად მოეფინა დედა-მიწაზე თავისი სხივები, მაგრამ ჯერ კიდევ გრილოდა. ხანდა-ხან ქროდა საამო ნიავი და ფენდა გარშემო ბალებიდან ტკბილ სურნელებას სხვა-და სხვა ყვავილებისას. დიდი სიმხიარულე იყო ყოველგან: სულიერი თუ უსულო სიკეთენებით შეხაროდა ამ ბედნიერ დილას.

არც კ—ის სასოფლო სკოლის პაწაწა შეგირდებით მოფენილი ეზო იყო მოწყენილი ამ დილას: ბავშვები უკან ხრ ჩამორჩენოდენ საერთო მხიარულებაში სიცოცხლით სავსე ბუნებას და მასთან ერთად დღესასწაულობდენ, ათასნაირ თამაშობაში გართულნი: სულ პატარეები ჭრელ პეპელებს დასდევდენ დასაჭერად, უფრო მოზდილები რიკ-ტაფელას თამაშობდენ, ყველაზე უფროსები ბურთს გაეტაცნა და აქეთ-იქით დარბოდენ, თავდავიწყებულნი. სკოლის იავანი სავსე იყო პატარა გოგოებით; ესენი რალაცეებს აკეთებდენ—ალბად თავიანთ დედოფალებისთვის—და ისე მხიარულად იცინოდენ, რომ მათი კისკისი მაღლა ღმერთს ეყურებოდა...

აგერ გამოვიდა იავანზედ ახალგაზდა, ცოტათი გამხდარი კაცი. ღიმილით გაიარ-გამოიარა გოგოებში, ზოგიერთებს კუდეც დაელაპარაკა და მოვიდა სვეტთან, სადაც ზარი ეკიდა. გოგოებმა იცოდენ, რომ ზარის დარეკა იყო საჭირო და თვალებში შესცქეროდენ მასწავლებელს, არა მე დამარეკიე, არა მეო.

— დარო, მოდი დარეკე! - დაუძახა მასწავლებელმა ყველაზე უფრო პატარა გოგოს, რომელიც კუთხეში იჯდა მარტოდ. გოგოს

აქამდის მოწყენილი სახე გაუბრწყინდა, ლოყები გაუწითლდა, თვალები გაუცოცხდლა, ტუჩებმა გაულიმა. თვალის დახამხამებაზე მიირბინა სვეტთან, ძლივს მოკიდა ზარის თოკს ხელი და რამდენჯერმე ჩამოაწკარუნა.

გაიგონეს თუ არა ბავშვებმა ზარის ხმა, მაშინვე მიატოვეს თამაშობა და ყვირილით გაიქცენ სკოლისაკენ. გოგოები დაროსთან ერთად ბიჭებზე უმალ შავიდენ სკოლაში. სკოლის კარებთან იდგა მასწავლებელი და უცინოდა მოწაფეებს, რომელნიც მხიარულად მოხტოდენ მის წინ.

— ბევრი ითამაშე?—კითხა მასწავლებელმა ერთ შეგირდს.

— ბევრი, –მიუგო ამან.

— როცა სახლში მიხვიდე, არ დაგავიწყდეს, გააკერინე, სახელო დაგგლეჯია. ბავშმა დახედა ჩამოხეულ სახელოს, გაწითლდა და შეეიდა სკოლაში.

— სიკო, რად კოპლობ? — კითხა მეორე შეგირდს მასწავლებელმა.

— ეკალი შემესო ფეხში, —უპასუხა ბავშვმა და აჩვენა გამოგლეჯილ წულიდან გამოყოფილი ტიტველი ქუსლი.

— მერე ვერ გამოიღე?

— ვერა.

— მოდი ჩემთან, მე გამოგიღებ.

მასწავლებელი და ბავში შევიდენ იქვე ოთახში. პატარა ხანს უკან ბავშვი, გახარებული, გამოვიდა ოთახიდან და თამაშ-თამაშობით შევიდა სკოლაში.

როცა ყველანი მოვიდენ და დასხდენ თავ-თავიანთ ადგილებზედ, მასწავლებელიც შევიდა; შეგირდები მაშინვე ადგენ და ერთმა მათგანმა წაიკითხა სწავლის დაწყების წინ სათქმელი ლოცვა.

— დაჯექით!—უთხრა მასწავლებელმა შეგირდებს, როცა ლოცვა გათავდა.

შეგირდები დასხდენ. მასწავლებელი გაჩერდა შუა ადგილზე. შეგირდებმა ხმა გაკმინდეს. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის ფრენასაც გაიგონებდა ადამიანი.

— დღეს ჩვენ. გვეწვევა ერთი სტუმარი,—ღიმილით დაიწყო მასწავლებელმა:—როცა აქ შემოვიდეს, ყველანი ადექით და, სანამ არ გითხრათ, ნუ დაჯდებით. როცა გკითხოსთ რამე, პასუხი თამამად უთხარით, ხმა მაღლა, გარკვევით. არ შეგეშინდეთ! ის ერთობ კეთილი კაცია და ბავშვები ძლიერ უყვარს. გკითხავსთ მხოლოდ იმას რაც იცით. ცოდნა—კი უნდა მოიხმაროთ, როცა საჭიროება მოიტანს, და დღეს სწორედ საჭირო იქნება მისი მოხმარება, რაც გისწავლიათ. აბა თქვენ იცით!..

გაათავა ეს სიტყვები, მივიდა კედელთან, სადაც გამოკიდებული იყო შეგირდების სახელი და გვარები, და ჩამოიკითხა, რომ გაეგო, ვინ არ იყო დღეს სკოლაში. აღმოჩნდა, რომ ერთი პაწაწა ბავშვის, მიხას, გარდა ყველა იყო.

— ავად ხომ არ არის მიხა, თუ იცით ვინმე?—იკითხა მასწავლებელმა. ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს და პასუხი კი ვერაფერ უთხრა.

II

პაწაწა მიხა ავად არ იყო, მაგრამ სკოლაში წასასვლელათ მაინც არა ცალოდა. საბრალო მიხას დედას აკიებდა და იმ დილასაც საშინლად გააცივა. მიხას მამა ყანაში იყო წასული და ავადმყოფს მიხას მეტი პატრონი არავინა ყავდა. ჯერ ვითომ გაუძალდა მიხას დედა სენს და სადილის კეთებას მიყო ხელი, მაგრამ ფეხებმა და ხელებმა უსუსტეს და იძულებული შეიქნა დაწოლილიყო. დაწვა საწყალი, მოატანია მიხას, რაც რამ ქვეშაგების მაგვარი მოიპოვებოდა მათ სახლში; მოატანია აგრეთვე, რაც რამ კონკები ებადათ, და დაიყარა ყველაფერი თავზე, მაგრამ ვერაფერი ეშველა, ვერ გათბა.

— მოდი, შვილო, შენც დამაწევი, თვარა მოკვდი სიცივით, უთხრა შვილს აკანკალებულმა დედამ.

მიხა მაშინვე მივიდა და ჩაეკრა დედას. რამდენსამე ხანს ასე იყვენ დედა-შვილი. გათბა, როგორც იქნა, მიხას დედა და მიხაც ძირს ჩამოვიდა. ნელ-ნელა სიცხემ უმატა ავადმყოფს და პატარა ხანს

უკან ისეთი ბორგვა დაიწყო, რომ, რაც ეხურა, ყველაფერი გადაყარა.

— წყალი, წყალი!.. იძახოდა ყოველ წამს ავადმყოფი და მიხაც აწოდებდა პატარა ხელადით წყალს.

ამასობაში შუა დღემ მოატანა, ავადმყოფს ოფლი მოედინა და დაწყნარდა. მიხა თავით უჯდა და ფიქრებში იყო გართული.

,,ახლა რა ამბავია სკოლაში?''—ფიქრობდა მიხა:— ,,იქნება, კარგი რამ არის და მე კი წასვლა არ შემიძლია''...

მიხა არ ტყუვდებოდა; სკოლაში მართლა კარგი ამბავი იყო. სტუმარი, რომელზედაც მასწავლებელი ეუბნებოდა შეგირდებს, მართლა ეწვია სკოლას. იგი დაესწრო გაკვეთილებს და შეგირდების ცოდნით კმაყოფილი დარჩა. ბევრმა შეგირდმა საჩუქარიც მიიღო მისგან კარგი სწავლისათვის და მთელმა სკოლამ მასწავლებელთან ერთად მადლობა დაიმსახურა.

,,ნეტა ახლა მამა მოვიდოდეს,''—ფიქრობდა მიხა:—,,რომ მე სკოლაში წავიდე!''

მიხამ იცოდა, რომ ახლა გვიან-ღა იყო, მაგრამ მაინც უნდოდა სკოლაში მისვლა. დიდი ხანი არ იყო, რაც მიხა სკოლაში შეიყვანეს. მაგრამ ისე შეუყვარდა სკოლაში სიარული, მასწავლებელის ყურისგდება, სასიამოვნო ამბების კითხვა ახალ წიგნში, რომელიც ანბანს შემდეგ დააწყებინეს, რომ ის დღე, რა დღესაც სკოლაში ვერ წავიდოდა, დღეთ არ მიაჩნდა.

ამ დროს მიხას მამა სიმინდს მარგლიდა ყანაში. სადილობის დრომ მოატანა და ამისთვის-კი სადილი კაცს არ მოქონდა.

,,ალბად, კიდევ გააცივა დედა-კაცს,''—იფიქრა მან, როცა ნახა, რომ ალარავინ მოდის, და, მწარედ დაღონებული, წავიდა შინისკენ.

,,რა ვქნა,'' რა მოვახერხო, რომ არ ვიცი''?—ფიქრობდა საბრალო მუშა-კაცი გზაზეზე:—,,ავადმყოფს მოვუარო, სადილი ვაკეთო, თუ ვთოხნო? დაგელოცა, ღმერთო, სამართალი!.. მარტო-ხელი კაცი ვარ და ამდენი საქმე კისერზე მაწევს. რა ვქნა, რომელ ერთს გავუძღვე? ამ დღეებში ,,ბორჩიკიც'' მომადგება კარებზე ფოს-

ტის ფულისთვის და მე-კი ორი გროშიც ვერ მიშოვნია, „ ქინაქინა ვიყიდო, იქნება, დედაკაცს ციებამ თავი დაანებოს“...

ამ მწარე ფიქრებში იყო გართული უბედური მიხას მამა, მაგრამ, შევიდა თუ არა თავისს სახლში, სადაც ავადმყოფი ცოლი დახვდა, მაშინვე ალერსიანად დაეკითხა, როგორა ხარო.

— რალა როგორა ვარ, საშინლად გამაცივა, - ძლივს უპასუხა ცოლმა.

— არაფერია, — ლიმილით უთხრა ქმარმა, — დღეს ან ხვალ საიდანმე ღმერთი მოწყალებას მოიღებს ჩვენზე; ფულს ვიშოვი, ერთი ორჯერ ქინაქინას გადაგაშუშხვინებ და სულ კუდით ქვას ვასროლინებ შენს ციებას.

— ქინაქინა-კი არა, ნეტავი, რაც საჭიროა, იმისთვის ვიშოვიდეთ ფულს, - თქვა ავადმყოფმა.

— ვიშოვით, ვიშოვით!.. აბა ხომ ჩვენზე არ შეიკვრის ქვეყანა — ამბობდა მიხას მამა.

— მამი, რა არის ქინაქინა? — იკითხა მიხამ, ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა.

წამალია, შვილო, მერე რა წამალი? — დედაშენმა ახლა ერთი წვეთი რომ დალიოს, მაშინვე ფეხზე წამოდგება, უთხრა მამამ.

მიხა გაჩუმდა; ეეღარაფერი თქვა, ისე გაიტაცა დედის მორჩენის სურვილმა.

— ნეტა ერთი ფულს ვიპოვიდე დღეს, რომ დედისთვის „ქინაქინა“ ვიყიდვიო მამას, ფიქროლდა მიხა და გულში ღმერთს ეხვეწებოდა: — ღმერთო. გზაზედ ფული მაპოვნინეო.

— მიხა, შვილო, თუ გინდა, წადი სკოლაში! — უთხრა დედამ მიხას, რადგან იცოდა, რომ სკოლაში წასვლა მიხას არ ეწყინებოდა.

— წადი, შვილო, წადი, უთხრა მამამაც: — წადი. იქნება, ისწავლო რამე. და გამოიყენო, თვარა ხომ ხედავ ჩვენს გაჭირვებას? წადი, მე სადილს დაგახვედრებ...

მიხასაც ეს უნდოდა; მაშინვე წამოხტა ზეზე; ჩაიწყო ჩანთაში წიგნები და გაექანა, მხიარული, სკოლისაკენ.

III

როცა მიხა სკოლაში შეეიდა და დიინახა თავისი ამხანაგების გაბრწყინებული სახე, ბედნიერი მასწავლებელი, კმაყოფილი სტუმარი; დაინახა, რომ მთელ სკოლას რაღაც სადღესასწაულო ფერი დასდებია, — აღარ იცოდა, რა ექნა, შემკრთალი გაჩერდა ერთ ადგილზე და მიაჩერდა მასწავლებელს, თითქო თვალებით შესთხოვს, გამაგებინე, რა ამბავია აქაო.

— მიხას გაუმარჯოს! — დაუძახა მასწავლებელმა ღიმილით: — სად იყავი ამდენ ხანს?

მიხა არაფერს არ ამბობდა და, გაშტერებული, იდგა.

— სხვა დროს არ დაგიგვიანია და დღეს როგორ დაგემართა, რომ ამისთანა ბედნიერ დღეს გამოგვაკლდი? დღეს ჩვენ გვეწვია ძვირფასი სტუმარი, ყველანი შეძლებისადაგვარად დავხვდით და მადლობა დავიმსახურეთ, შენ-კი ასე გვიან მოხვედი.. აგრე უნდა მასპინძლობა?...

მიხას თვალები ძირს დაეშვა და ცრემლებით ავსებოდა. რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვათ კიდევ, ის ტირილს დაიწყებდა; საგრამ ამ დროს მიიხმო სტუმარმა მასწავლებელი და ცოტა ხანს ჩუმად ელაპარაკებოდა. ლაპარაკის დროს ორივენი მიხას უყურებდენ; მერე მივიდა მასწავლებელი მიხასთან, გადაუსვა თავზე ხელი და უთხრა:

— არა უშავს რა!

— მოდი, პაწაწავ! — უთხრა სტუმარმაც ალერსიანად. მიხას იამა მასწავლებელისა და სტუმრის სიტყვების კილოდა თამამად მივიდა.

— აბა, მოყევი აქედან! — უთხრა სტუმარმა და აჩვენა გადაშლილ წიგნზე ადგილი. მიხა ჯერ ხმის კანკალით შეუდგა კითხვას, მერე და მერე-კი გათამამდა და ჩინებულათ დაიწყო კითხვა. წაკითხვის მერე სტუმარმა ათქმევინა წანაკითხი და მიხამაც მშვენიერად უამბო ყველაფერი, რაც წაიკითხა. მერე ლექსები ათქმევინეს ზეპირად, მერე საანგარიშო მიცეს. მიხამ თავი გამოიჩინა, ისე კარგათ უთხრა ყველაფერი.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — იძახოდა სტუმარი. მასწავლებელი გახარებული იყო მიხას პასუხებით, სტუმარი გაკვირვებული.

გაათავეს მიხას გამოკითხვა.

— საჩუქარი რომ აღარა მაქვს შენთვის! — გულდაწყვეტილი ეუბნებოდა მიხას სტუმარი: - რაც მქონდა, ყველა დავარიგე დღეს.

— ნუ შეწუხდებით, მე მივცემ საჩუქარს თქვენ მაგიერ, — უთხრა სტუმარს მაწავლებელმა.

— თქვენ-კი მიცემთ. მაგრამ მე მინდა, რომ ჩემგანაც ქონდეს რამე. მე მოგცემთ ფულს. და გთხოვთ, ჩემ მაგიერ უყიდოთ, რაც თვითონ სურს.

ამ სიტყვებზედ ამოიღო სტუმართმა რამდენიმე თეთრი ფული და მიცა. მასწავლებელმა გამოართვა და მიუბრუნდა მიხას.

— მიხა, ბარემ ახლავე მითხარი, რა გიყიდო ამ ფულით?

— „ქინაქინა“! - წამოიძახა უცებ გახარებულმა მიხამ.

ყველამ ყურები ცქვიტა და, გაოცებულებმა, შეხედეს.

— რა? — დაეკითხა მეორედ მასწავლებელი, რომელსაც ეგონა, რომ ყურმა მომატყუაო.

— „ქინაქინა“! — განიმეორა ბავშვმა.

— იცი მერე, რა არის ქინაქინა? — ღიმილით კითხა სტუმარმა.

წამალია, მიუგო ბავშვმა.

— მერე რად გინდა შენ ეგ წამალი? — კითხა მასწავლებელმა.

— დედას აციებს და მამა წუხს: უფულობას რა ვუყო, თვარა „ქინაქინას“ ვიყიდდი და მოვარჩენდიო.

სტუმარმა და მასწავლებელმა ერთმანეთს შეხედეს...

იმ საღამოს მასწავლეველი და ფერშალი მახლობელ დაბიდან მივიდენ მიხას სახლში. ფერშალმა ნახა ავადმყოფი, საჭირო წამლები (რასაკვირველია „ქინაქინაც“) დაუტოვა და დარიგებაც მიცა, როგორ მოქცეულიყო. მასწავლებელმა-კი პატარა სურათებიანი წიგნი მოუტანა მიხას. აუწერელია ის მშიაროულება, რომელსაც გრძნობდენ, როგორც მიხას მშობლები, ისე თვითონ მიხა: ამისი მხოლოდ გრძნობა შეიძლება და არა გამოთქმა!..

უბრალო მსხვერპლი

I

მზე ჩასული იყო. დღე და ღამე ერთმანეთს მალე უნდა შეყროდენ და გაყროდენ კიდევაც. მალე ბნელს უნდა მოეფინა არე-მარე. მაგრამ კოწია ჯავახიშვილს კიდევ არ დაენებებინა ნეშომბისთვის თავი. იგი გაცხარებით ურტყამდა თოხს მიწას, უნდოდა ბარეს გაეთავებინა თავისი პირველი და უკანასკნელი ყანა. იქვე იყო კოწიას ბოხუცი დედაც, რომელიც მოპრილ ჩალას კრებდა და ერთად აგროვებდა საქონლისთვის.

კოწია ღარიბი აზნაურიშვილი იყო: სულ რამდენიმე ქცევა სახნავი მიწა ქონდა. მიწას თვითონვე იმუშავებდა, მაგრამ სარჩოდ არა ყოფნიდა. ერთი პატარა ვენახიც ქონდა კოწიას და ეს ვენახი კარგ საქმეს უშვებოდა; ყოველ წელიწადს გაყიდიდა ორ-სამ საპალნე ღვინოს და ამ ფულით სიმინდს ყიდულობდა, ტანისამოსს იცვლიდა. თვითონ ნაქაჩს ჯერდებოდა და, როცა ეს გამოელეოდა, წყალსაც კარგად გიახლებოდათ, თუმცა მისი სოფელი-განთქმული იყო ზემო იმერეთში ღვინის მოსავლით. თუ კიდევ დაპირდებოდა კოწიას ფული, მაშინ მეტი გზა არ იყო, ან შავ ქვაზე უნდა წასულიყო, ან რკინის გზაზე სამუშაოდ. მოჯამაგირედ-კი თავისს დღეში არ დამდგარა კოწია. „მოჯამაგირობა კაცს ძალაუნებურად რყვნისო,“ ამბობდა იგი, როცა ვისთანმე დადგომას ურჩევდენ

ჯერ კიდევ არ გაეთავებინა კოწიას თოხნა, როდესაც რაღაც ტკაცუნი მოისმა. აშკარა იყო, რომ სადღაც ღობე ტყდებოდა. ხმის გაგონების უმალვე კოწიამ დააგდო თოხი, დაავლო ხელი ცულს, რომელიც იქვე ხის ძირში ეგდო, და გაექანა.

— არ შამოგაკვდეს, კოწია' მიაძახა შვილს, გაფითრებულმა დედამ და თვითონაც დაედევნა უკან. ორივე დედა-შვილი მიხვდენ, რომ ვენახში მეზობლის ხარი გადმოვიდა. ამ ხარს არა ერთხელ აუოხრებია კოწიას ნამუშევარი. ამიტომაც წაიღო ახლა კოწიამ ცული. ბევრჯერ შესვენნია კოწია ხარის პატრონს, მოეშორებინა მისთვის ხარი, მაგრამ იგი ყურსაც იბერტყავდა.

— დააბი, ზურაბ, შენი უჯიშო ხარი, — თორემ ღმერთმანი მოვკლავო, უთხრა უკანასკნელად კოწიამ.

— აბა ერთი გაბედე და გაყურებინებ შენს სეირსო, მიუგო ამან.

ზურაბა ჯავახიშვილი მდიდარი და გავლენიანი კაცი იყო მთელ სოფელში და კოწიასთანა ბიკ-ბეკების არ ეშინოდა. ბევრ კოწიასთანებისთვის უწყევლინებია ზურაბას დაბადების დღე და კოწიასი კიდეც უფრო ჭირდა ჯავრი: ერთგან ზურაბას ეზოს კოწიას ვენახი ესაზღვრებოდა და ზურაბას თავისს ადგილების შამოსარგვალებლად იმისი ჩაგდებაც უნდოდა ხელში. მაგრამ კოწიამ არ დაანება თავისი ოფლით მორწყული ადგილი: არც მიყიდა, არც სხვა ადგილში გაუცვალა. ამაზე ზურაბას გული მოუვიდა და გადაემტერა კოწიას ისე, რომ ყოველთვის დროს ეძებდა, რამე მოეხერხებინა მისთვის.

კოწიას დედამ ეს იცოდა და ძალიან ეშინოდა ზურაბასი. ამიტომაც უთხრა კოწიას, არ შამოგაკვდეს. საბრალო დარწმუნებული იყო, რომ ხარის სიკვდლს ძვირად დაუჯენდა მათ ზურაბა და შიშისგან სულ კანკალებდა. კოწიას-კი ალარაფერი ალარ გახსენებია, როცა ხარი თავისს პაწაწა ვენახში დაინახა. მაინც ის წყეული, თითქო განგებ კოწიას გულის მოსაკვლელად, არხეინად დაბრძანდებოდა წვრილ კვალებში და ხან აქ გადათელავდა ახალ გამოსხმულ ვაზს და ხან იქ. ამის დანახვაზე კოწიას გული აუჩქროლდა, სახე საზარლად დაემანჭა, თვალები აენთო და, ცულმოღერებული, გამოეკიდა ხარს მოსაკლავად. მართლაც მიიმწყვდია კოწიამ იქვე მდგომ მარანთან საწყალი პირუტყვი და ისეთ ნიჩრად დაკრა ცული, რომ უბედურმა ერთი დაილრიალა და იქვე წაიქცა. ამ დროს მოვარდა

ქლოშინით კოწიას, დედაც. მაგრამ, რა ნახა, რომ ხარი მიწაზე ფეხებს აფართხალებდა, ველარაფერი ველარა თქვა და, თვალ ცრემ-ლიანი, მოშორებით დადგა. კოწია, გაშტერებული, დაჩერებოდა ხარს, თითქო ტკბება იმის სიკვდილითო.

პატარა ხანს უკან ხარი უკანასკნელად გაინძრა და მოკვდა. კოწიაც, თითქოს ამას უცდიდაო, გამოტრიალდა და ისევ ყანაში დააპირა წასვლა. ამ დროს მივიდა მასთან დედა და ხმის კანკალით უთხრა:

— სად მიხვალ, შვილო? ამას რას უპირებ?

— რა უნდა ვუყო, მოვიდეს ზურაბა და ნახოს თავისი ხარი. მიუგო კოწიამ: ვნახავ, კვლავ თუ კიდევ გადმოვა ჩემ ვენახში-.

— არა, შვილო, ამ საქმის წაყრუება არ ივარგებს, უთხრა ისევ დედამ: ახლავე უნდა წახვიდე კეთილ-სინდისიერთან და შეატ-ყობინო ამბავი. თუ წამოგყვეს, ამაღმვე წამოიყვანე. თუ არა და ხვალ მაინც ადრე უნდა მოვიდეს, რომ ხარის წანახდენიც შეაფასოს და ხარიც, მერე, რაც დაგვედება, უნდა ნებით გადავუხადოთ ზურა-ბას, თვარა, თუ საჩივლელად წავიდა საქმე, ვინ გაუძღვება, მარტო-ხელი ხარ... კოწია ხმას არ იღებდა; ძაღლებს მიჩერებოდა, რომელ-თაც აქვე მოეყარათ თავი, და ძღებოდენ სისხლით, და იღიმებოდა, თ თქო რაღაც უხარიაო.

— არ გესმის, შვილო? განაგრძო ისევ დედამ: წადი, დამიჯე-რე! ხომ იცი, რომ ზურაბასთვის ღმერთი არ არსებობს და არაფერს არ დაზოგავს, ოღონდ ჩვენ დაგვღუპოს?..

თან-და თან შავი ფარდა ეშვებოდა ციდან დედა-მიწაზე. გარ-შემო სრული სიჩუმე სუფევდა. მთელი ბუნება ის იყო მოსასვენებ-ლად ემზადებოდა, კოწიას დედის გულს-კი ახლა დაეწყო გაცხარე-ბული მუშაობა. იმისი ბრაგაბრუგი, მგონი, იქ მდგომ ხეებსაც-კი ესმოდათ, რომელნიც, თითქო გულმოსულნი, შრიალებდენ, ვინ არის ძილს რომ გვიფთხობსო.

— აბა, ნუღარ იგვიანებ, შვილო, შენ შემოგეელოს დედა შე-ნი, კიდევ არ მშვიდდებოდა კოწიას დედა.

— კარგი, წავალ, მაგრამ ამ უპატროხოს რა ვუყოთ? ტყვილა ძაღლები გააფუჭებენ, ამოიღო ძლიის ხმა კოწიამ.

— აგერ მარანში შეეთრიოთ რამენაირად, უთხრა დედამ.

— მაშ, კარგი, დაიძახა კოწიამ და მოკიდა ხარს ხელი; დედაც მოეხმარა და დიდი გაჭირვებით შეათრიეს მარანში. ამასობაში სულ დაღამდა. უმთვარო ღამე იყო და არც ვარსკვლავები. მოსჩანდენ. უცებ მოიღრუბლა ცა და მოიღუშა ბუნება, თითქო რაღაც ეწყინაო.

კოწია კეთილ-სინდისიერთან წავიდა, დედა მისი კი ყანაში წავიდა თოხის წამოსაღებად. როცა იმ ადგილზე გამოიარა, სადაც ხარი მოკვდა, მიწა მოთოხნა და ამ გვარად ისედაც ძაღლებისაგან მოსლექილი სისხლი სულ მოაშრო. ალბად, შეეზარა უბედურს სისხლის დანახვა!

II

ვახშმობა იქნებოდა, როცა კოწია მეორე სოფელში გადავიდა კეთილ-სინდისიერის სანახავად, მაგრამ უკანასკნელი შინ არ დახვდა. ესეც არის ახლა მოვიდენ და წაიყვანესო, უთხრეს კოწიას: შეიძლება, ამაღამ სულ არ მოვიდესო.

კოწია მთელი დღის ნაშრომი იყო. მერე აღელვებამ და ხარის ცოდვილმა, ახლა კიდევ სიარულმა შეტად დაღალეს; სხვაგან კიდევ წასვლა დაეზარა და სახლში წამოვიდა. კოწიას არც-კი ესმოდა, მაინც-და-მაინც რა იყო საჩქარო, ისე იყო გაშტერებული. „ხარი მოკვდა, გაცოცხლება აღარ შეიძლება და სიკვდილს-კი როცა გაიგებენ სულ ერთი არ არისო?“ ფიქრობდა.

შუა ღამე იქნებოდა, როცა კოწია შინ მოვიდა. დედას არ ია-მა მისი ხელ-ცალიერი მოსვლა, მაგრამ რაღას იზამდა? ხედავდა, რომ კოწაა ერთობ დაქანცული იყო და ველარაფერი ველარ უთხრა; მხოლოდ ვახშამი შეპატიჟა, მაგრამ კოწიას აღარაფერი აღარ ესმოდა: ჩვარივით დაეგდო მაშინვე ლოგინზე და იმ წუთშივე დაეძინა

საბრალო დედას-კი რა ექნა, არ იცოდა: იდგა ერთს ადგილზედ და დასჩერებოდა მძინარე შვილს. ვინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდა ასე გაშტერებული საწყალი, რომ ფეხებს კანკალი არ დაეწყო მისთვის და ლოგინზედ არ მიგდებულიყო თვითონაც. ძილით სრულიად არ ეძინებოდა უბედურს, მაგრამ მაინც მიფორთხდა შვილის ფეხებთან, გადახვია ორივე ხელი კოწიას მუხლებს და განაბა სული.

პატარა ხანს უკან ტკბილად ეძინა ამ სახლში კოწიას, ტკბილბდ ეძინა აგრეთვე დიდ ბებრუხანა კატას კერიის ძირში, ტკბილად ეძინათ ორ პატარა ცინდლებსაც ნაცარში. მხოლოდ კოწიას დედას არ ეძინა და არა. მას ზურაბას მხეცური სახე არ შორდებოდა თვალიდან და სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ გათ ვდებოდა ხარის საქმე. იმის აზრით ზურაბა კაცი კი არა, მხეცი იყო, რომელიც არაფერს არ დაიშურებდა, ოღონდ თავისი მოპირდაპირის გულის ჯავრი ამოეყარა. მართლაც რომელი მხეცი შეედრება გაპირუტყვებულს, მხეცად გადაქცეულს კაცს? მხეცი კაცი ყოველ მხეცზედ საშიშარია, რადგან სიმხეცესთან ჭკუაცა აქვს.

საბრალო კოწიას დედა! ამას არა ერთი და ორი დედა უნახავს ზურაბასაგან ატირებული და, რასაკვირველია, არც თვითონ დაეყურებოდა ხეირი. ფიქრობს ამ ნაირად საწყალი და თანაც ყურები გაუცქვეტია. ასე გონია, რომ ამალამვე დაესხმის თავს ზურაბა აი, კიდევაც მოესმა რაღაც ხმაურობა. იგი შეკრთა და, სულგანაბული, ისმენდა. ხმაურობა გაგრძელდა და კოწიას დედა მიხვდა, რომ თაგვი ხრავდა რაღაცას რომელღაც კუნჭულში. კოწიას დედას გული დაუშოშმანდა. ოჰ, რას მიცემდა ახლა იგი, რომ თაგვად გაჩენილიყო და არა კაცად! მართლაც სანატრი არ არის თუ მისთვის ახლა იმ თაგვის მდგომარეობა, რომელიც არხეინად ხრავს აგერ კაკალს? მას ახლა არაფრის არ ეშინია, რადგან იცის, რომ მის ერთად ერთ მტერს ბებრუხანა კატას ტკბილად ძინავს...

გავიდა კიღეე პატარა ხანი; კოწიას დედა ისევ ფიქრებში იყო გართული, როცა კვლავ მოესმა ხმაურობა. ახლა-კი უბედურს სიმწრის ოფლმა დაასხა და მთელ ტანში ერუანტელმა დაუარა. ხმაურობას ძაღლის ყეფა მოყვა; ძაღლის ყეფას რამდენიმე კაკის ფეხის

ხმა და ლაპარაკი. აი, მოისმა საშინელი ძაღლის წკავილი. კოწიას დედა მიხვედა, რომ მისი ერთგული მურა გაულახეს მისმა მტრებმა. აი, კიდევაც მოადგენ ვილაცაები კარებს. კოწიას დედა, ვერხვის ფოთოლივით, თრთის, სულთქმისაც კი ეშინია: დაუწკურავს უბედურს ყურები და არ ინძრევა, თითქო კურდღელია და მეძებრებმა ზედ კვალი მიიტანესო...

,, კაკ-კუკ, კაკ-კუკ'' მოისმა კარზე კაკუნი. ,,ბრაგ-ბრუგ, ბრაგ-ბრუგ'' მიცა ბანი კოწიას დედის გულმა კარზე კაკუნს. ,,კარგია, ადექი! სანამდის გინდა იმალო?'' დაუძახა ვილამაც საბრალოს გულის კუნჭულიდან. კოწიას დედაც, როგორც იქნა, ადგა და, მივიდა კერიასთან, რომ ცეცხლი მოენთო. ,,მიიააუ!'' დაიკნავლა ამ დროს ბებრუხანა კატამ, თითქო გული მოდის, რა დროს ცეცხლის დანთება არისო. გაიგონეს დედის ხმა პატარაებმა და გამოცქვიტეს ყურები; იფიქრეს, სწორეთ ჩვენ გვიძახისო და მისცვივდენ. ბებრუხანამ, დაინახა თუ არა ისინი, დაიწყო თავისებურად ტკბილი კრუტუნი. ცინდლებსაც ეს უნდოდათ, მივარდენ და ჩაეკვრენ ძუძუებში. კატა წამოდგა, ერთი გაიზმორა, ბეწვი ყალუზე შეაყენა, კუდი გააბზიკა და მოუწვა ისევ შვილებს; მერე დაუწყო სლაქვა და კუდის ქნევით მოფერება. შეხედა კოწიას დედამ პირუტყვთ და თავში გაუელვა: ,,ნეტავი თქვენ, რა ბედნიერები ხართ'' ო. საბრალო ადამიანი! ნეტავი იქნება დრო, რომ კაცს აღარ შურდეს პირუტყვთა ცხოვრება, აღარ ნანობდეს, რომ კაცია?..

—კოწია, კოწია, არ გესმის? მოისმა გარედან ბოლოს. ამ ხმამ მძინარე კოწიაც გამოაღვიძა და მღვიძარე დედა მისს-კი სულ დაუბნია დავთარი. ეს ხმა სოფლის ხევის თავის იყო.

— აცალეთ, ჯერ ჩემი ხარის ხორცი არ მოუნელებიათ! ეს ხმა თვითონ ზურაბასი იყო. ამ სიტყვებს მოყვა მხიარული ხარხარი. ეტყობოდა, კარებთან ხუთი ექვსი კაცი იყო მოგროვილი. ამასობაში დაანთო კოწიას დედამ ცეცხლი. კოწიაც ადგა.

— კაცო, რა დაგემართა ამდენ ხანს? გაგვიღე კარი! კიდევ მოისმა გარედან. ეს მამასახლისის ხმა იყო. კოწია ბარბაცით მივიდა კარებთან; ურდული გამოუყარა და კარები გაიღო.

სახლში შამოვიდენ მამასახლისი, მისი მწერალი, ხევის თავი, კეთილსინდისიერი, რომელიც კოწიამ შინ ვერ ნახა, და თვითონ ზურაბა ამათ დანახვაზე კოწიას დედას გული წაუვიდა და ძლივს შეომაგრა თავი. კოწია კი ისე იყო გაშტერებული, რომ ვერ გამოერკვია, რა ამბავი იყო მის თავზე?

III

ზურაბამ სიმდიდრე და სიმდიდრესთან გავლენა დიდი ხანი არ არის, რაც შეიძინა. ზურაბას და კოწიას ოჯახი ერთი მეორის განაყოფი იყო და ადგილ-მამული ერთმანეთზე მეტი არ უნდა ქონოდათ; მაგრამ ზურაბამ „თავისს ჭკუით და მეცადინეობით", როგორც სოფლებში ამბობდენ, უფრო-კი უსინდისობით და უპატიოსნობით ბევრი ფული იშოვა.

ასე თუ ისე, ზურაბას ამ ჟამად ბევრი ფული აქვს და კიდევ ბევრს შოვობს: ასესხებს მამასისხლად თავისს ფულს და იღებს ურულ სარგებელს. „ნეუსტოიკა"-ც პირველმა ზურაბამ შემოიღო სოფელში და ახლა ყველამ იცის მისი გემო. ამ ნაირად ზურაბა სახელოვანი კაკი შეიქნა მარტო თავისს სოფელში-კი არა, მთელ სამამასახლისოში, სადაც ყველასაგან პატივი დაიმსახურა. ან კი როგორ არ ექნება პატივი, როცა ყველას იმისი ფული მართებს? მთელი სოფლის საკამართლო მამასახლისით, მწერლით და ხევა მოხელეებით ზურაბას ყურმოჭრილი ყმები არიან, რადგან ყველანი იმის წყალობით არიან დაყენებულნი. ვისაც ზურაბა წყალობს, კაციც ის არის მთელ სოფელში. ამიტომ დიდი და პატარა, ყველა ცდილობს მოიგოს იმისი გული. ბევრს იქნება არც კი უყვარდეს ზურაბა, მაგრამ, თუნდ თავისი სინდისის წინააღმდეგ, მაინც პატივი უნდა ცეს; დიახ, ზურაბა სრული ბატონია მთელ სოფელში. ან-კი რით ჩამოუვარდება იგი ძველ ბატონებს? განა ყველა მისი მოვალეები მისი ყმები არ არიან? ტყუილად კი არ ლაპარაკობენ, თავადიშვილებს ჩამოერთვათ ყმები და ზურაბას-კი მიეცაო. მართლაც, ძველად თუ ბატონები ასამართლებდენ თავისს ყმებს, ახლა ზურაბა ასამართლებს ყველას. ყოველ

შაბათს, როცა სოფლის სასამართლოში საქმეების გარჩევაა, ზურაბაც შებძანდება თავისს ჯორზე და მიბძანდება იქ. დაინახავენ თუ არა ზურაბას, მამასახლისი, მწერალი, მსაჯულები, ყველანი გამოეგებებიან გარეთ და ზოგი ცხენის აღვირს კიდებს ხელს, ზოგი ავეანდს ჩამოუწევს და ამ ნაირად ჩამოაბძანებენ ჯორიდან. მერე შებძანდება ზურაბა სასამართლოში და საითაც თვითონ ნებავს, იქით გადიწევს სამართლის სასწორიც იმის მიხედვით, თუ გუშინ რომელმა მხარემ უფრო მეტი უძღვნა მის უძირო ჯიბეს. ისე საქმე არ გაირჩევა, რომ ზურაბა არ ერიოს შიგ, ან როგორც დამცველი, ან როგორც მოწმე და სხვ. ძლიერ ხშირად თვითონ ზურაბას საქმეებიც ირჩევა მის მოვალეებთან და სხვა დამოკიდებულ პირებთან. ვაი ამ უკანასკნელების ბრალი მაშინ! ტყუილათ ნურავინ იფიქრებს, რომ ზურაბასთან სიმართლე გაუვიდეს!.. ამიტომაც ეშინოდა კოწიას დედას ზურაბასი; ამიტომაც აგონდებოდენ ზურაბასაგან ატირებული დედები!..

ზურაბა დიდა ხანია მიზეზს ეძებდა, როგორმე კოწია ჩაეგდო ხელში და ძლიერ იამა, როცა უთხრეს ბიჭებმა, კოწიამ ხარი მოკლაო. ამან მაშინვე გაგზავნა ერთი ბიჭი შორიდან ეთვალთვალნა, აბა რას უზამდენ ხარს და როცა ყველაფერი გაიგო, გახარებულმა, ულვაშებზე ხელი გადისვა და ჩაიცინა. „კარგია, აწი მე ვიცი“, ამბობდა ჩუმათ ზურაბა: „მე კაცი არ ვიქნები, თუ ნაობახთში არ გაძოვალპე ის გლახა, ისა!“-ო.

მაშინვე ერთი ბიჭი ცხენით აფრინა იმ კეთილ-სინდისიერთან, რომელთანაც კოწია წავიდა. ისინი გზაზე უნდა შეცილებოდენ ერთმანეთს, რადგან კოწია ყანებით წავიდოდა და კეთილ-სინდისიერი-კი საცხენოსნო გზით უნდა წამოსულიყო. მეორე ბიჭი მამასახლისთან გააგზავნა, მწერალიც დაიბარა, მესამე ხევის თავებთან და ამ ნაირად გაჩარხა საქმე: ვითომ კოწიამ ხარი მოპარა და დაკლა კიდეც, რომ ხორცი გაყიდოს მახლობელ დაბაში.

ვახშმობამდის ყველა ზურაბასაგან მოწვეულმა პირებმა მოიყარეს თავი. ზურაბამ აუხსნა ამათ, როგორც იყო საქმე და თხოვა, ჯერ ვახშამი ექამათ და მერე გაეჩხრიკათ კოწიას სახლი. ვახშამი

ერთობ გააგრძელა ზურაბამ, რადგან უნდოდა, კოწიაც შინ ენახათ დაბრუნებული. ვახშმად ბევრი დედალი შეიკამა, ბევრი ღვინო დაილია და უბმისოდაც ზურაბას პატივის მცემელი სტუმრები კიდევ უფრო მოემზადენ „ნუნუას“ წყალობით მის სასამსახუროდ. ნავახშმევს დიდი ამბით გაემგზავრენ ყველანი კოწიას სახლში, თითქო გავარდნილ ყაჩაღის დასაჭერად მიდიანო.

მისვლისთანავე არავისთვის არაფერი არ უკითხავთ, ისე დაიწყეს სახლის ჩხრეკა და, რა-კი მართლა მარანში ახლად მოკლული ხარი ნახეს, არც აკივეს, არც აცხელეს, არც კარგი გაიგონეს, არც ავი, ოქმი შეაყენეს, როგორც ზურაბას უნდოდა ისე. არავინ არ დაიჯერა, რომ ხარი ვენახში იყო მკვდარი და არა მარანში ქურდულად

ოქმი, როგორც რიგია, მამასახლისისაგან დადასტურებული „საკუთარის ხელის მოწერით და სახელმწიფო ბეჭდის დასმით“, აგრეთვე ხევის თავებისაგან და კეთილ-სინდისიერებისაგან დამოწმებული თითქმის იმ ღამესვე წარუდგინეს ადგილობრივ მთავრობას. რასაკვირველია, მაშინვე ფიცხელი განკარგულება მოხდა და კოწია, როგორც ქურდი, დატუსაღებულ იქმნა სამაზრო საპატიმროში, საქმე კი გამოძიებელს გადაეცა.

IV

გავიდა რამდენიმე თვე; რამდენიმე თვე კი არა, რამდენიმე საუკუნე კოწიას და დედა მისისთვის. მართლაც, წარმოუდგენელია კოწიას მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში. კოწია დილას რომ ადგებოდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება, მეტი ემუშავნა იმ დღეს. ამან იცოდა, რომ მთელი ოჯახი, საყვარელი დედა, მტერი და მოყვარე, ჭირი და ლხინი, ყველაფერი მარტო მის კისერზე იყო და უნდოდა, გაძღოლოდა, სირცხვილი არაფერში ენახა. ისიც იცოდა კოწიამ, რომ დედა თანდათან ბერდებოდა და მალე შრომას სულ ველარ შეძლებდა. ამიტომ დრო იყო, მოეხმარე ეშოვა, ცოლი შეერთო, რომელიც მასთან ერთად უღელში უნდა გაბმული-

ყო, მაგრამ ისიც ესმოდა კოწიას, რომ ცოლის შერთვას ბევრი ახალი მოთხოვნილება მოყვებოდა და რიგიანი მომზადება იყო საჭირო. რამდენჯერ უთქვამს დედას მისთვის: -ე, ბიჭო, შეირთე ქალი, ნუ მომკლავ შენი ბედნიერების უნახავს—ო''. ,,არა, დედა, ჯერ რა დროს ცოლ-შვილის მოკიდებაა, ჩვენც სიმშილით ვკვდებით—ო'', ეტყოდა ხოლმე ამაზე კოწია: ''ჯერ ბევრი, ბევრი შრომაა საჭირო-ო''. მართლაც, მთელ დღეს მის ხელებს უქმად ვერ ნახავდით. კოწიას ძვალსა და რბილში ქონდა გამჯდარი შრომისადმი სიყვარული. როგორც ნასწავლ კაცისთვის წიგნია საჭირო, რომლის კითხვითაც ის ან სწავლობს რასმე, ან თავს ირთობს, ისე კოწიასთვის შრომა იყო საჭირო. შრომა კიდევაც წრთვნიდა კოწიას გონებას, კიდევაც ართობდა. ყველას აკვირვებდა კოწიასთანა ახალგაზდა ბიჭის და ისიც კიდევ აზნაურშვილის ამისთანა მუდმივი მუშაობა. ,,სწორეთ ვიღაც გლეხის შკილია ეგაო'', იტყოდა ხშირად ზურაბა კოწიაზედ: ,,თორემ ამდენ ჯაფას როგორ იტანს-ო''. – ,,დიახ, კოწიას აზნაურშვილს არაფერი უგავს-ო'', მიუგებდენ ზურაბას ამაზე ჰისი ხელქვეითები. ეს თუ გინდათ, მართალიც იყო. კოწია არა გავდა იმ ფლიდ და მუქთა-მჭამელ აზნაურს, რომელიც ახალმა დრომ დაბადა ჩვენში. კოწია მიხვდა, რომ უშრომლად არაევინ არ ივარგებდა ახლანდელ დროში და გლეხ-კაცთან ერთად მოკიდა თოხს ხელი. ის არა გავდა არც ფულით გადიდკაცებულ ზურაბას. დიდი განსხვავება იყო კოწიასა და ზურაბას შორის, თუმცა ისინი ერთი გვარის იყვენ. კოწია მართლა რომ კეთილშობილი კაცი იყო, ზურაბა-კი მარტო ქაღალდზე იყო კეთილშობილი, ხანდახან ,,მაღალ კეთილშობილიც''. კოწია ნამდვილი კაცი იყო, მუშა კაცი, რომელსაც შრომა აცოცხლებდა, ასულდგმულებდა. ამისთანა კაცი რამდენიმე თვე საპყრობილეში იჯდა, სადაც მუშაობა-კი არა, მზის დანახვაც არ შეეძლო. მაშ, რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში კოწია? ფიქრობდა რასმე? ფიქრობდა კი არა, გულზე სკდებოდა, წვალობდა, იტანჯებოდა. ჯერ აწუხებდა თავისი თავი, მერე დედა. იცოდა, რა გაჭირვებულ მდგომარეობაშიაც იქნებოდა ახლა დედა მისი. ცალკე დარდი, ცალკე ზურაბასთან ახლოს ყოფნა როგორ შეაწუხებდა. ისიც შეიტყო კოწიამ.

რომ გამოძიებითაც მტკიცდებოდა მისი დანაშაული და ამან კიდევ უფრო მოუკლა გული, მოუწამლა სიცოცხლე. როგორ, ტყუილა უბრალოდ მართალი კაცი ამდენ ხანს ციხეში უნდა წვალობდეს და საბრალო მოხუცებული ქალი უპატრონოდ იტანჯებოდეს? ნუ თუ ამ ქვეყანაში სიმართლე ასე იჩაგრება და ფულსა და ძალს ყველაფერი შეუძლია?..

ახლა კოწია რომ ვისმე ენახა იმის სოფლიდან ველარ იცნობდა: ეს გახდა, გაყვითლდა, თვალები ამოულილავდენ, ხელები და ფეხები დაუმძიმდენ. სადღა იყო იმისი მხნე და მამაცი შეხედულება, იმისი გადაეინქილებული სახე? სადღა იყო იმისი, თურაშაულ ვაშლივით, წითელი ლოყები, ვარდის ფრად მოელვარე ტუჩები, ცოცხალი ცეცხლის მფრქვეელი თვალები ეს ყველაფერი გამქრალიყო და კოწიას მაგიერ რაღაც ლანდი იყო კიდევ, რომელსაც ქარიც-კი წააქცევდა, — ისე გამოლეოდა ღონე. ან კა რას უნდა შეენახა კოწიაში ძალა როდესაც ყველაფერი წაართვეს? აღარაფერი აღარ დარჩენოდა კოწიას, რომ მისი გახალისება შესაძლებელი ყოფილიყო. რწმენა დაეკარგა და იმედი ხომ დიდი ხანია მთსპობილი ქონდა. ნხოლოდ ერთად ერთი სიყვარული, წმიდა სიყვარული დედისა აძლევდა კიდევ სიცოცხლის საგანს. რომ ეს სიყვარული არა, კოწია, ან ძალით მოიკლავდა თავს, ან თავისით მოკვდებოდა.

მთელი დღეები ეგდო კოწია ერთ ადგილს; არავის ხმას არ ცემდა; არც არავინ იქით აწუხებდა კოწიას, თუმცა მასთან ერთად კიდევ ბევრი ისხდენ საპყრობილეში; მხოლოდ ტირილით იქარვებდა ჯავრს, ცრემლით ილბობდა თავისს დამწვარ გულს. მარტო კვირა დღეს ელოდა კოწია აღდგომასავით, ღა ყველა მისი ფიქრები კვირაზე ტრიალებდენ.

კვირით ცოცხლობდა აგრეთვე კოწიას დედაც კვირაობით შეეძლოთ ორივე დედა-შვილს ერთმანეთის ნახვით დამტკბარიყვენ. ყოველ კვირას გაჩნდებოდა კოწიას დედა საპყრობილის კარებთან და იცდიდა, როდის გახდებოდა კოწიას ნახვის ღირსი. საბრალო კოწიას დედა! ეს უარეს მდგომარეობაშიაც იყო, ვინემ კოწია, თუმცა თავისუფლებას არ იყო მოკლებული. ეეჰ, რა არის დედისთვის

თავისუფლება, როდესაც ერთად ერთი მისი შვილი საპყრობილეშია და ისიც უდანაშაულოდ.

ორშაბათიდან დაწყებული შაბათ საღამოსდის კოწიას დედის ხელი ვერ გაჩერდებოდა, რადგან ყველაფდრი მარტო იმის კისერზე იყო ახლა. ისიც გამუდმებით მუშაობდა ხან შინ და ხან გარეთ და ცდილობდა, როგორმე წლიური სარჩო შეენახა. მთელ სოფელში ერთიც არავინ გამოჩნდა, რომ მოხმარებოდა ამ გაჭირვების დროს, როცა შემოდგომის გაცხარებული მუშაობა იყო. რა უნდა ექნათ? ყველას ზურაბასი ეშინოდა; ყველას იმისი ხათრი ქონდა.

მაგრამ საბედნიეროდ კოწიას დედას იმედი არ ქონდა დაკარგული და ამიტომაც აუდიოდა ყველაფერს. კოწია ატყუებდა, მალე გამათავისუფლებენო და ამასაც ეგონა, რომ მალე მოუვიდოდა კოწია და ისინი ხელ ახლავ დაიწყებდენ უწინდებურ ტკბილ ცხოვრებას. თუმც დღეს მოსდევდა დღე, კვირას კვირა, თვეს თვე და კოწიას არ ათავისუფლებდენ, მაგრამ დედას მაინც არ უტყდებოდა გული. იგი თითქო გააკაჟეს, გააფოლადეს ამდენმა უბედურებამ, ამდენმა წვალებამ და ცრემლის ღვრამ.

V

კოწიას საქმის გამოძიება გათავდა. რამდენჯერმე გამოიკითხეს საქმის გარემოება; რამდენჯერმე დაიბარეს აგრეთვე ზურაბა თავის მიწმეებით. კოწია ტირილით ამბობდა, რომ მართალი იყო, მაგრამ ვინ დაუჯერებდა? ერთი კაციც არ ყოლია თავისი სიტყვების მოწმედ. დედა მისს ხომ არაფერს დაუჯერებდენ და სხვა ვინ გაბედავდა ზურაბას წინააღმდეგ ლაპარაკს? იმათაც კი არა თქვეს, რომ კოწიამ ვენახში მოკლა ხარი, ვინც რამდენჯერმე მოციქულებადაც ყოფილიყვენ კოწიასა და ზურაბას შორის ამ ხარის თაობაზე.

ამ რამდენიმე დღის წინათ უკანასკნელად დაიბარა გამომძიებელმა კოწია და გამოუცხადა, რომ იმისი საქმე უკვე გამოიძია და ახლა პროკურორს უნდა გადაცეს ქუთაისში.

ამას შემდეგ კოწია საპყრობილის მეორე განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ოთხი კაცი კიდევ იყო ქუთაისს გასაგზავნი. კოწიაც მათთან ერთად უნდა გაეგზავნათ.

კოწიას ამხანაგებს არ იამათ ახალი ამხანაგის შეძენა: რაღაც გლახა თვალით შეხედეს კოწიას. ისინი მუდამ ერთად იყვენ, ჩურჩულობდენ რაღაზედაც და ერიდებოდენ კოწიას. აშკარა იყო, რომ რაღაც საიდუმლო ქონდათ და ამ საიდუმლოს გაგებინება არ უნდოდათ კოწიასთვის. კოწია თვითონაც არ აწუხებდა ამათ. მოვიდა თუ არა, მაშინვე დაეგდო ერთ კუთხეში და იყო.

ერთხელ შუა ღამისას კოწია რაღაც ხმაურობამ გამოაღვიძა. კოწიამ ჯერ ვერ გამოარკვია, რისი ხმა ესმოდა, მხოლოდ მერე, როცა მიაჩია თვალი სიბნელეს, გაარჩია, რომ რამდენიმე კაცს ერთი ყავთ აყენილი და ეს ჭერის ფიცარს ხერხავს. მიხვდა კოწია ტუსაღების განზრახვას და სული განაბა; ამხანაგების მაგიერ კოწიას ეშინოდა. „როგორ, გაპარვას ბედვენ ეგენი“? ფიქრობდა იგი: „ჰმ, რა ნაირად გაექცევიან ყარაულებს, რომელნიც გარს არტყიან საპყრობილეს? არა, ვერსად წავლენ, მაგათ ხელ ახლავ დაიჭერენ, ან მოკვლენ!“ ასე ფიქრობდა კოწია და უნდოდა, რჩევა მიეცა ტუსაღებისთვის, დაენებებიათ გაქცევისთვის თავი, როცა ერთმა მათგანმა დაუძახა:

— ძამია, გღვიძავს? კოწიას შიშის ზარი დაეცა.

—ჰი, ძლივს წარმოთქვა ამან.

— ჩვენ ეს არის მივდივართ, განაგრძო იმავე ტუსაღმა; შენც წაგიყვანდით, მაგრამ ვერ შესძლებ და ტყუილა ჩვენც დაგვაბრკოლებ. როცა გკითხონ ჩვენზე, უთხარი, რომ არ იცი, როდის წავედით. შენ კიდეც დაგიმადლებენ, რომ არ ისარგებლე შემთხვევით და, შეიძლება, სასჯელიც შეგიმსუბუქონ.

— თუ მაინც და მაინც მოგინდეს წამოსვლა, ჩვენ რომ წავიდეთ, პატარა ხანს უკან შენც წამოდი, თუ შეგიძლია თავის შველა, უთხრა კოწიას მეორემ.

— არა, ეგ ვერ წამოვა, თქვა ისევ პირველმა: ეგ ბევრს ვერ ივლის და აქვე დაიჭერენ. ხომ, ძამია? დაეკითხა კოწიას.

— გაქცევის თავი სადა მაქვს, ძლივს მიდგია სული, მიუგო კოწიამ.

— ჭკვიანი კაცი ყოფილხარ... თქვა ერთმა ტუსღლმა და ყველამ გაიცინა.

გავათავე! დაიძახა ამ დროს იმან, რომელიც ჭერს ხერხავდა, და ჩამოიღო მოზდილი ფიცრის ნაჭერი: ფიცარი ამხანაგებს გადაცა. მაშინ მიცეს იმას ერთი მეორეზე გადაბმული ჰერანგები და ახალუხები, რომელთაც თოკის მაგიერობა უნდა შეესრულებინათ. მერე აწია იგი ყველამ ზევით. ისიც მოებღაუჭა რაღასაც და ათოთხდა ჭერზე. მერე შემოახვია ბოძს ახალ გაკეთებული ,,თოკი'' და ჩამოუშვა ძირს.

— აბა, ამოდით, სიმაგრის ეჭვი ნუ გაქვთ, დაუძახა ამხანაგებს. ამხანაგები თითო თითოდ ავიდენ ჭერზე.

— მშვიდობით, ძმაო! დაუძახა ერთმა მათკანმა კოწიას.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, მიუგო კოწიამ.

პატარა ხანს უკან ყველაფერი მიწყნარდა ისევ. ტუსაღებმა მშვიდობით მიაწიეს სანათურს, საიდანაც ავიდენ სახურავზე და სახურავიდან ადვილი იყო საწვიმარ ღარებით მიწაზე დაშვება და გაქცევა.

VI

დარჩა კოწია მარტო თავისს ფიქრებთან, რომელნიც გარს ეხვეოდენ და ქენჯნიდენ. ,,აი, აგერ შეიქნება ხრიალი, აი, აგერ,'' ფიქრობდა კოწია, მაგრამ ყველგან, სამარისებრივი, სიჩუმე სუფევდა. კოწიას, ცოტა არ იყოს, ეხარბებოდა, რომ ისინი, ვინც გუშინ მასთან ისხდენ, ახლა თავისუფალნი არიან. ,,კაცს შეიძლება კი გაექცენ, მაგრამ ღმერთს რას უპირებენ, იმას ხომ ვერსად გაექცევიან?'' ფიქრობდა კოწია: ,,მაგრამ, შეიძლება, ისინიც, ჩემსავით, უდანაშაულნი არიან... იქნება, მარტო კაცისაგან ჭირდებოდათ გაქცევა და გაიქცენ კიდევაც... იმათ უშველეს თავს... ნეტავი იმათ!'' ცოტა ხანს კიდევ სულ განაბული ისმენდა კოწია და მერე ისევ განაგრძო ფიქრი: ,,მე... ღმერთო ჩემო?.. მე რა ვქნა? ნუ თუ ჩემთვის

ერავითარი საშველი არ არის?'' ნუ თუ ციხეში უნდა ჩავლპე''?.. რამდენსამე ხანს გაშტერებული იყო, თითქო უნდა, რამე პასუხი მიცეს თავისს თავსაო. ,,არა, არა'', დაიძახა ბოლოს და ადგა ზეზე. ,,უნდა წავიდე, მეც უნდა წავიდე!'' ამბობდა ეს. ,,მაგრამ რა ნაირად?'' გაუელვა თავში და მივიდა გამოჭრილ ჭერის პირდაპირ. მივიდა და შეიხედა ზევით. ო, რა ცოტა მანძილია ამასა და თავისუფლებას შუა! რამდენსამე ხანს ასე იდგა. მერე დაინახა თოკივით ჩამოკიდებული ტანისამოსი და მოკიდა ხელი. მოკიდა და ჩამოწია, მაგრამ არ ჩამოგჯა. მაშინ იმედი მიეცა, რომ თავისუფლების მოპოება მის ხელთ არის და მარდად აიწია ზევით. კოწიას მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, როცა ხილის საქურდლად აცოცდებოდა ხოლმე ხეზე, და ისე მიცოცავს ახლაც, თითქო ეს თვეები საპყრობილეში როდი გაუტარებიაო. მიაწია კოწიამ ჭერამდის. აქ, ხელები მოხვია ფიცრებს და შევიდა ჭერზე. აქ-კი დაჯდა კოწია და დაისვენა. ცოტა ხანს ისე იყო გაშტერებული, რომ არ ჯეროდა, თუ ჭერზე იყო და სიზმარში ეგონა თავი. მაგრამ საიდანღაც მოხვდა ცივი ნიავი და გამოაფხიზლა. მიიხედა იქითკენ, საიდანაც ქარი უბერავდა, და დაინახა სანათური. ვეღარ გაძლო კოწიამ, წამოდგა ზეზე და მივიდა სანათურთან. ახლა სრულიად მოვიდა კონზე კოწია და ცხადად დაინახა თავისი მდგომარეობა. ,,ნუღა იგვიანებ'', უთხრა გულმა. კოწიამ აიხედა ზევით. ცა მოღრუბლული იყო, მაგრამ, აქაიქ მაინც ბჟუტავდენ ვარსკვლავები. ო, რა საშინლად უცემს ახლა კოწიას გული! ქვევით საპყრობილეა, ზევით გაშლილი ცა, ქვევით ჯოჯოხეთია, ზევით სამოთხე! რომელი გინდა ამ ორში, კოწია? ჯოჯოხეთი, თუ სამოთხე, ტანჯვა-წვალება, თუ თავისუფალი ცხოვრება? ბევრი ფიქრი აღარ იყო საჭირო და კოწიაც ავიდა საპღრავზე. ავიდა და დაიწყო ღრმად სუნთქვა. რამდენი ხანია მის ფილტვებს არ ჩაუსუნთქავსთ ამისთანა წმინდა ჰაერი, რამდენი ხანია მთელ მის არსებას არ უგვრძვნია ეს ნეტარება! კოწიამ რამდენსამე ხანს, პირდაღებულმა, უყურა ცას და ისუნთქა ჰაერი. მერე გაიხედა თავისს სოფლისკენ და თვალ წინ დაეხატა თავისი სახლი. აგერ დედა მისი ხვალისთვის (მეორე დღეს კვირა იყო) აცხობს ხაჭაპურებს, ადუღებს

ფელამუშს, აკეთებს ყურძნისაგან აკიდოს, რომ მოუტანოს კოწიასის კი არ იცის საბრალომ, თუ კოწია ახლა გაქცევას აპირებს და, ვინ იცის, ხვალ სად იქნება? ,,ნულარ იგვიანებ!'' დაუძახა კიდევ კოწიას გულმა. კოწიაც მივიდა ერთ საწვიმარ ღართან და ჩაიხედა ძირს. ნახა. რომ ბაიბური არსად არის, და, გათამამებულმა, მოხვია ორივე ხელი ღარს; ჯერ კიდევ ზევით ეგონა თავი და მიწაზე-კი გახდა ბრაგვანი. ისე დაეცა საწყალი, რომ საშინელი ტკივილები იგრძნო და გაჩერდა. ახლა აღარ იცოდა კოწიამ, რა ექნა? ტკივილებმა გამოაფხიზლეს და ნათლად დაანახვეს, თუ რა ძნელ საქმეს მიყო ხელი. ,,სად მივდივარ?'' გაუელვა კოწიას თავში: ,,თუნდ ამალამ შინ მივიდე, მერე რაღა ექნა? ხომ ისევ დამიჭერენ? სად უნდა დავიმალო?.. სახლში სულ არ მივიდე, სად წავიდე?.. დედა ჩემს რა ეშველება?.. ,,ინ მე და ვინ ყაჩაღად გავარდნა?.. მაშ რა ექნა? უკან დავბრუნდე? რომ აღარც უკან დაბრუნება შემიძლია... ო, ღმერთო!.. ,,ილამ ხმა მაღლა დაიძახა უკანასკნელი სიტყვა და გაშტერდა. რამდენსამე ხანს ასე გაშტერებული იდგა ერთ ადგილზე და არ იძეროდა, მაგრამ უეცრად რაღაც ხმაურობა მოესმა და გააცქვიტა. ყურები. ..ტრახ – ტრახ, ტრახ – ტრახ!'' ისმოდა საიდანღაც. აშკარა იყო, ყარაული მოდიოდა. ,,არიქა, კოწია, თავს უშველე!'' დაუძახა კოწიას ვილაცამ რომელიღაც გულის კუნჭულიდან და კოწიაც გაიქცა. ყარაულმა გაიგო, რომ ვილაც მირბის და გამოუდგა უკან.

კოწია მირბოდა, რაც ძალი და ღონე ქონდა, მაგრამ რას იზამდა მისი გაქცევა? ყარაულმა იფიქრა, ველარ მოვეწევიო, და შეაყენა თოფი. ,,გაჩერდი, გაჩერდი, თვარა მოგკლავ?..'' ყვიროდა ყარაული მაგრამ კოწიას არაფერი ესმოდა. ყარაულმა ჩაიბურტყუნა რაღაც, როცა არაფერი გაუვიდა, და ჩამოკრა ჩახმახს ხელი. თოფი გავარდა კვამლმა კიდევ უფრო დააბნელა ისედაც ბნელი ღამე, მაგრამ სიბნელეშიაც ცხადად მიხვდებოდა კაცი, რომ ვილაც ფეხმოწყვეტით დაეცა მიწაზე.

VI

მეორე დღეს ჯერ კიდევ მამალს არ ქონდა ნაყივლი, რომ კოწიას დედა წამოვარდა ზეზე. ამას მოელი ღამე არ უძინია. ერთი ხურჯინი გაავსო რაღაც-რაღაცებით და მხარზე გადაიკიდა; ხელში დიდი აკიდო დაიკავა ყურძნისა და წავიდა კოწიას სანახავად. მეტად დალონებული კი იყო. სხვიმის დღეის დღეს ყოველთვის მხიარული ყოფილა, დღეს-კი, თითქო უშველებელი ლოდი აწევს გულზეო, წუხდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რაზე. იქნება, გულმა უგრძნო უბედურს!..

გაიარა თავისი სოფელი. მამლები ახლა ყივოდენ. ერთი რომ გაათავებდა, მეორე დაიწყებდა, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო. ამ განუწყვეტელმა ყივილმა კიდევ უფრო შეუწუხა კოწიას დედას გული. ამიტომ ეჩქარებოდა დიდ გზაზე გასვლა, სადაც შეეძლო თავისუფლათ გართულიყო ფიქრებში.

აგერ კიდევაც გავიდა დიდ გზაზე, რომელიც მდინარის პირად მიიკლანკებოდა. დაინახა თუ არა წყალი, იფიქრა, პირს დავიბანო და წავიდა მისკენ. მართლაც, შეისხა პირზე ცივი წყალი. წყალმა პირის სახე გაუცივა და გაუცოცხლა, მაგრამ გულს ვერაფერი მოუხერხა. მიდის საბრალო და მიდის, ისევ ისე გულ შეწუხებული.

ამასობაში ღამე სრულიად მიიწურა; ვარსკულავები თან-და-თან ქრებოდენ; მხოლოდ ერთად ერთი ცისკარი ჯერ კიდევ მხიარულად კაშკაშებდა. ღრუბელი აღარსად იყო და ერთი უკეთესი შემოდგომის დღეთაგანი თენდებოდა.

ცისკრის ვარსკვლავიც ჯერ ათრთოლდა, თითქო თავისს საყვარელს ელისო, და მერე სრულიად გაფითრდა. აღმოსავლეთი სხვადა სხვა ფერად აბრჭყვიალდა. მზე უახლოვდებოდა ქვეყანას და მისი გზა თითქო ყვავილებით იყო მოფენილი. ისროლა მზემ პირველი სხივი და გაანათა მაღალი მთის წვერები. პირველს მეორე მოყვა, მეორეს მესამე... და სინათლე თან-და-თან ეფინებოდა დედამიწას. ბოლოს მზე სრულიად ამოვიდა და ყველაფერმა სადღესასწაულო

ფერი მიიღო. ფრინველებმაც, თითქო ამას უცდიდენო, სხვა-და-სხვა ჰანგზედ ბორთეს ჭიკჭიკი და გალობა; ქება შეასხეს ახლად დამდგარ დღეს, ,,ისპოლა'' უთხრეს დინჯად მომავალ მზეს, ამ პატრიარქს მთელი ბუნებისას. დილის ნიავმაც დაქროლა, ხეები შეარყეს და ფოთლებმა დაიწყეს ტკბილი შრიალი. ბდინარე წყნარად მიდუდუნებდა. იგი ათას ფერად ბრწყინავდა მზის სხივებზე, რომელნიც მის ტალღებს ეთამაშებოდენ. ყველგან სიცოცხლე, ნეტარება იყო, მხოლოდ ჩვენი მგზავრი ისევ ისე წუხდა და, რამდენიც უახლოვდებოდა მიზანს, იმდენად უფრო უკვდებოდა გული. აი, კიდევაც მიატანა კოწიას დედამ მაზრის დაბას. გამოჩდენ შენობები; გამოჩნდა საპყრობილეც. იცნო უბედურმა შორიდანვე იგი და გულმა ძგერა დაუწყო. საპყრობილის კარებზე ბევრი ხალხი იყო და ამან ცოტათი გააკვირა კოწიას დედა: ამდენი ხალხი ჯერ არ ენახა აქ თავმოყრილი. ხიშტიანი რუსებიც ბევრი იყვენ და ეზოში არავის უშვებდენ. ძლივს მივიდა კოწიას დედა კარებთან. ყარაული წინ გადუდგა და არ უშვებს. კოწიას დედა ეხვეწება, მაგრამ იმას არ ესმის.

გავიდა პატარა ხანი, კოწიას დედამ დაინახა ვილაც კარკადიანი, რომელიც აქეთ მოდიოდა; მივიდა მაშინვე მასთან და შეეხვეწა, შვილი მაჩვენეთო. კაკარდიანმა უთხრა, დღეს არავისი ნახვა არ შეიძლებაო, მაგრამ მაინც კითხა, ვინ იყო იმისი შვილი? როცა კოწიას სახელი გაიგონა, ფერმა გადაკრა. სხვებმაც რაღაც სხვანაირ თვალით შეხედეს კოწიას დედას.

— რატომ არ შეიძლება? დღეს ხომ კვირაა და კვირას ყოველთვის ვნახულობდი ხოლმე ჩემ შვილს.

— აწი რომ სულ ველარ ნახავ? თქვა კაკარდიანმა და გაიღიმა.

— როგორ თუ ველარ ვნახავ? რას მერჩით? ღმერთი არ არის თქვენში? რა დაუშავებია ამის ფასი? მაჩვენეთ, მაჩვენეთ თქვენი ღვთის გულისათვის! ახლა ხვეწნა დაიწყო უბედურმა.

ამ დროს მეორე კაკარდიანიც მოვიდა, რომელსაც ეტყობოდა, რომ რუსი იყო. ახლა ამას დაელრიჯა საბრალო კოწიას დედა. კაკარდიანმა გაიცინა, როცა კოწიას სახელი გაიგონა და დამტვრეული ქართულით უთხრა:

— ის გუშინ გარე ცაუდა და ტოპი მოკლა, ეკლა დოკტორი გაჩრა და მერე ნახე! კოწიას დედას არაფერი არ ესმოდა და გაშტერებული იდგა.

— დედაო, ვეღარ გაიგე, რაც გითხარა? შენ შვილს წუხელის გაქცევა მოუნდომებია და მოუკლავთ, უთხრა პირველმა კაკარდიანმა.

— ჩემი შვილი მოუკლავთ! საზარის ხმით დაილრიეცა უბედურმა დედამ და წაიშალა თავპირში ხელი.

— უიმე, შვილო, უიმე, შვილო, გაკიოდა ეს და იწეწდა თმას, ითხლეშდა ლოყებს...გამიშვით, გამიშვეთ! დაიყვირა მერე და გაექანა საპყრობილისკენ, მაგრამ ყარაულებმა ალარ გაუშვეს და გააჩერეს. საზარი სანახავი იყო ახლა საბრალო ქმნილება: სისხლი წურწურით ჩამოდიოდა ღოყებზე, და მოღლეტილ გულზე; თვალებს, გადარეულივით, აქროლებდა; დიახ, გადარეულივით, რადგან კოწიას დედას გონება სრულიად დაუკარგა მოულოდნელმა უბედურებამ და გადარევაზე შორს ალარ იყო,..

გოგია და ქანა

I

სოფელ თაბორში ცხოვრობდა შეძლებული გლეხ-კაცი, გოგია ზართალიშვილი. შეძლების გარდა, გოგია განთქმული იყო კიდევ მითი, რომ მეტად ლამაზი ცოლი ყავდა. ყველას უკვირდა, როგორ შეერთო გოგიამ მოხუცებულობის დროს მისთანა მშვენიერი ქალი, როგორც ახალგაზდა ქანაა. მართლაც, გასაკვირველი იყო, როგორ შეხვდენ ერთმანეთს გოგია და ქანა: გოგია თითქმის სულ გაჭაღარავებულიყო და დღითი დღე ბერდებოდა, ქანა-კი ახლა ყვაოდა; თანდათან მატულობდა მისი მომბიბლავი სილამაზე. გოგია ჭკვიანი იყო, მართალი, გულ-ღია, მშრომელი მუშაკი, ქანა-კი ცქრიალა, მაცდური, ეშმაკი, უზრუნველი; გოგიას ხელს უქმად ვერა ნახავდით, სულ მუშაობდა, ცოდვილობდა ხან შინ, ხან ყანაში, ქანა-კი, ჩიტივით, დაფრინავდა თაბორის გოგო-ბიჭებში და სიმღერა-ცეკვის მეტს არაფერს აკეთებდა.

ამასთან გოგია მეტად გულ-კეთილი იყო და არაფერს არ უშლიდა თავისს ცოლს. „ის ყმაწვილია, მე მოხუცებული ვარ, ის მოდის, მე მივდივარ და დეე, დატკბეს ცხოვრებით, მოვითმენ, რა გაეწყობაო“, ფიქრობდა ხოლმე გოგია.

სამწუხაროდ, ქანა მეტად სარგებლობდა გოგიას გულკეთილობით: იმ თავითვე ისე დაიჭირა საქმე, რომ გოგიას აღარაფერი აღარ შეეძლო. „თუ ისე არ მოხდა, რიგორც მე მსურს, ახლავე წავალ შენი სახლიდანაო,“ ეტყოდა ქანა გოგიას, რადგან იცოდა მისი სი-

სუსტის აბბავი, და გოგიაც ხმას ჩაიკმენდდა, თავს მიანებებდა ხოლმე ქანას; ასე რომ არ ეჭნა და მართლა გაქცეულიყო ქანა იმის სახლიდან, მაშინ გოგიას ამდენი ხნის პატიოსნდად დაცული ოჯახი ხომ საუკუნოდ უნდა გაბახებულიყო და მთელი სოფლის ყბად ასაღები გამხდარიყო?

საბრალო გოგია! რა ნაირად-ღა გაება მერე მახეში და ცოლად შეირთო ქანა, თუ მაგისთანა ჭკვიანი იყო?

ქანა ობოლი იყო, ობოლი გააჩნდა და ნათლია ზრდიდა, სამადლოდ. ქანას ნათლია იცნობდა გოგიას; იცოდა, რომ შეძლებული იყო, ქალის რჩენა შეეძლო, და რომ ზაზითევის გამოუმეტებლად მოეშორებინა ქანა თავიდან, შეუჩნდა გოგიას და სხვებიც შეუჩინა, ქანა შეირთეო.

გოგიას პირველი ცოლი ადრე მოუკვდა და აღარ ფიქრობდა ცოლის შერთვას, რომ ქანას ნათლიას და მის მიერ შეჩენილ კაცებს არ გაებრიყვებინათ.

— რად გინდა სიმდიდრე, შვილები არა გყავს და ვიღაცაებს რომ დარჩეს შენი საცხოვრებელი, უკეთესი არ იქნება, ცოლი შეირთო, იქნება, ღმერთმა შენი საკუთარი შვილი მოგცესო? ეუბნებოდენ გოგიას. გოგიაც ამდენი ჩიჩინის შემდეგ დათანხმდა და ქალი არც კი უნახავს, ისე პირდაპირ ეკლესიაში წავიდა ჯვარის დასაწერად. იმისათვის სულ ერთი იყო, ვინც უნდა შეერთო, ოღონდაც-კი მართლა შვილი მიცემოდა.

არც ქანას უნახავს ეკლესიაში შესელამდის გოგია და მაშინაც აბა რას დაინახავდა ორი ღერის თაფლის სანთლით განათლებულ საყდარში, როგორი იყო იმისი საქმრო? ამ ნაირად გაჩარხა ქანას ნათლიამ საქმე: ნათლული თავიდან მოიშორა, გაათხოვა, შეძლებულ კაცს მიცა, მზამზარეულ ოჯახში შეიყვანა. მერე-კი, რაც უნდა მომხდარიყო, რას დაეძებდა? ქვეყნის თვალში ხომ პირნათლად გამოვედი და აწი-კი ქანას და გოგიას კისერიმც მოუტეხნიათო...

II

სოფ. თაბორის სასოფლო კანცელარიის მწერალი, რევაზ შავგულიძე, ერთი იმ გარყვნილ კაცთაგანი იყო, რომლებისთვისაც სინიდისი და პატიოსნება აღარ არსებობს. ფული, ღვინო და ქალები —ამ სამი სიტყვის მეტი არაფერი ეწერა რევაზის ლექსიკონში. სადაც უნდა გენახათ, მუდამ ამის შესახებ ქონდა ლაპარაკი. მაგალითად, ვინმე რომ შეხვეწოდა რაღაც საქმის გაკეთებას, ჯერ ფულის შესახებ ჩამოუგდებდა ლაპარაკს და გააგებინებდა, რამდენი იყო საჭირო „გასამრჯელო", მერე ღვინოზე გადავიდოდა და კაი ღვინის შოვნას შეუკვეთდა; ღვინიდან ქალებამდის შორის აღარ იყო და ახლა რომლისაც ლამაზ მეზობლის შესახებ გაუბამდა მუსაიფს: როგორის ყოფა-ქცევისაა, ხომ არ შეიძლება კაცმა... და სხ.

არ ვიცი, რა ნაირად მოახერხა რევაზმა, რომ ქანას შეაყვარა თავი. ეს-კი ვიცი, რომ ქანასთანა ბედის უკმაყოფილო ქალები ხშირად უვარდებიან რევაზისთანა კაცებს ხელში. რა იზიდავს ამისთანა კაცისკენ იმათ – გულს? უხასიათობა და ზნე-დაცემულობა? შეიძლება, ასეც იყოს. ასე იყო, თუ ისე, ქანა გათხოვებისათანავე რევაზის მსხვერპლი შეიქნა და მისი ყურმოჭრილი მონა გახდა.

საკვირველია, ქანა, ის ქანა, რომელიც ტოლ-ამხანაგებში ყოველთვის პირველი იყო, რომელიც გოგიას ბატონურად ეპყრობოდა, რომელმაც ყოველგან და ყველასთან იცოდა თავისი ფასი, რევაზთან სრულიად იცვლებოდა. აქ სადღაც ქრებოდა ამპარტავანი, თავმომწონე, ძლიერი ქმნილება და რაღაც ლანდი რჩებოდა. ეს კარგად იცოდა რევაზმა და სარგებლობდა თავისი მსხვერპლის სისუსტით. რევაზი ისე ეპყრობოდა ქანას, თითქო არაფრად არ აგდებს მის სილამაზესო, თითქო, როცა იმასთან არის, ძალას ატანს თავისს თავს, თორემ ბევრად არაფრად მოწონსო.

გოგიამ მალე შეიტყო რევაზისა და ქანას დამოკიდებულება, მაგრამ რაღა უნდა ექნა? იმისთვის სულ ერთი იყო, რაც უნდა მომ-

ხდარიყო, ოღონდ სოფელში არ დაეწყოთ ლაპარაკი, საქეყნოდ არ გამოაშკარავებულიყო საქმე.

III

ერთ საღამოს რევაზი, ღრმათ ჩაფიქრებული, მიდიოდა გოგიას სახლისკენ. ეტყობოდა, რომ მთელი მისი არსება ერთ აზრს გაეტაცნა და რაღაცაზედ ოცნებობდა. გოგია ჯერ კიდევ არ მოსულიყო სამუშაოდან. ქანა მარტოკა იჯდა დერეფანში და ჭიმკრისკენ იხედებოდა. ეტყობოდა, რომ მოუთმენლად ელოდებოდა... რასაკვირველია, რევაზს და არა გოგიას.

აგერ, კარის ჭრიალი მოისმა და ეზოში რევაზი შეჰოვიდა. ქანა, შველივიდ, წამოხტა ზეზე და გაექანა მისაგებებლად. აგერ, შეხვდენ კიდეც ერთმანეთს. ქანამ ტკბილად შეხედა თვალებში თავისს გულის მფლობელს და უნდოდა, ყელზე მოხვეოდა, მაგრამ რევაზმა მხოლოდ ხელი ჩამოართვა ციოად და წამოვიდენ. რევაზი დერეფანში დაჯდა საძირკველზე. ქანა-კი ფეხზე გაჩერდა და მიჩერებოდა რევაზს, თითქო, იმის სახეზე უნდა წაიკითხოს ყველაფერიო. სიჩუმემ რამდენსამე ხანს გასტანა. ბოლოს ქანამ ვეღარ მოითმინა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გულის ფანცქალით უთხრა:

— მეტად დაიგვიანე, რევაზ, რამდენი ხანია გელი.

— სულ რომ არ მოვსულიყავი, ისიც შემეძლო, თქვა და თავმომწონედ შეხედა ქანას რევაზმა.

— კი შეგეძლო, მაგრამ მე რას მიპირებდი? დაღონებით წარმოთქვა ქანამ და თავი დაღუნა.

— როგორ თუ რას გიპირებდი? განა შენს მეტი საქმე არა მაქვს? წყრომით უთხრა რევაზმა.

— საქმე ბევრი გაქვს, მაგრამ მე სხვა საქმეში გასარეეი არა ვარ.

— არა, აბა ყველაფერს მივატოვებ და მარტო შენ მოგიჯდები. ის-კი არა, აწი იქნება, სულაც აღარ მოვიდე.

— როგორ თუ აღარ მოხვიდე? გააწყვეტინა ქანამ.

— როგორ და კარგად. აბა სულ შენ ხომ ვერ მოგაჭერდები? ცოლს ვირთავ...

— რას ამბობ, რევაზ? შეკვლა ქანამ და იმის წინ დაეცა — რად გინდა ცოლი?

რევაზმა მხოლოდ ეშმაკურად გაიღიმა.

— არა, არა, შენ ცოლს არ შეირთავ, მე არ მიმატოვებ, ღრიალებდა ქანა და ეხვეოდა მუხლებზე რევაზს: - აგერ მოკვდება გოგია...

— ხა, ხა, ხა... გადიხარხარა რევაზმა, ზეზე წამოდგა და სიარული დაწყო. იქნება, გგონია, რომ გოგიას სიკვდილის შემდეგ შენ შეგირთავ?

— რა იქნება, რომ შემირთო? ჩემზე მეტად ვის ეყვარები? ტირილით ეუბნებოდა ქანა.

— დაწყევლოს ღმერთმა სიყვარული! სიყვარული! რად მინდა?

— მაშ, რა გინდა?

— ფული მინდა, ფული. თუ ფული მოვიპოვე, ყველაფერს ვიშოვნი. ჩემთვის მზითევია საკირო. თუ ფიქრობ მართლა ჩემ ცოლობას, ჯერ მზითვეი მოიმზადე კარგა ბლომად და მერე ვნახოთ!

— მზითეეი საიდან მოვიტანო, რომ არაფერი გამაჩნია? ტირილით ამბობდა ქანა.

— მაშ, მე რა ვქნა? აგერ მაძლევენ დიდ მზითვიან ქალს და სისულელე იქნება, დაეკარგო. ქანა გაშტერებული იყო და არ იცოდა, რა ეთქვა.

— მაგრამ რაო, განაგრძო რევაზმა: შენც კარგად შეგიძლია მზითევის შოვნა, იშოვე და მე შენს ბოლოდინში ვიქნები. მგონი, ბიხვდი, რასაც გეუბნები.

— ვერაფერს ვერ მივხვდი. საიდან უნდა ვიშოვნო მზითეეი როდესაც არაფერი არ მომეძევა.

— ვეცდები, მიგახვეხრო: გოგიას საცხოვრებელი ათას თუმანზე მეტად ღირება. ყველაფერი შენ გადმოგცეს და, როცა მოკვდება, მზითვიანი ქალი იქნები. ქანა სმენად იყო გადაქცეული.

— ეს ძალიან ადვილია, განაგრძო რევაზმა: თამასუქს მოგცემ და გათავდება საქმე, შენ ოღონდ დაითანხმე გოგია და მერე მე ვიცი: მოდით კანცელარიაში და ყველაფერს ერთ წუთს გავაკეთებ.

ამ დროს მოისმა კარის ჭრიალი. ორივემ იქითკენ გაიხედეს, ეზოში შემოვიდა თოხით ხელში გოგია და, იმათკენ არც კი გაუხედნია, ისე სასიმინდისკენ წავიდა.

IV

გავიდა რამდენიმე დღე ამას შემდეგ და თაბორში ერთმანეთ ამბავმა აალაპარაკა ყველა. ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ თაბორლები, ყველაფერზე უწინ შემდეგის სიტყვებით მიმართავდნენ ხოლმე: —გაიგე ქანას და გოგის საქმე? —ვიცი, მიუგებდა მეორე, და შეიქნებოდა მერე საბრალო გოგიას ყბად აღება.

— ყოჩაღ, ყოჩღ, ქანა! ცეცხლია ქალი-კი არა, ამბობდენ ახალგაზდა ბიჭები: რაც გოგიას სიცოცხლეში ჯოჯოხეთშია, სამაგიერო იმის სიკვდილის შემდეგ მაინც არ უნდა ღირსებოდა? ახლა გოგიას ჩაძაღლება უკლია და იმისთანა ქმარს იშოვნის ქანა, რომ უკეთესი მთელ დუნიაზედ არ მოიძებნებოდეს.

— ქანა, ქანა... ა, უყურეთ ერთი, რა ქნა? ამბობდენ გასათხოვარი ქალები და პირში ნერწყვი მოსდიოდათ.

— ყველაფერი რევაზის საქმეა. აბა ქანას მაგდენი ჭკუა სადა ქონდა რომ ეს მოეხერხებინა? ამბობდენ გათხოვილები.

— სულაც თავს დაანებებს ქანა გოგიას და, იქნება, სიცოცხლეშივე წაართვას საცხოვრებელი, ამბობდენ ხნიერი ქალები.

— უბედური გოგია! იბრალებდენ გოგიას მხოლოდ მისი ამხანაგი, ხანში შესული, კაცები: საბრალო ჩააგდო, ჩააგდო ჯოჯოხეთში იმ გლახა გომბიომ! ო, ვინც ლამაზი ქალი შეირთოს, იმას-კი რა უთხრას კაცმა!

— ახია იმაზე, რაღა დროს იმ ხელა კაცის ამჩატება იყო და გუშინდელი გოგოს შერთვა?.. შეაცდინეს? ისე როგორ შევცდები. რომ, რაც არ მინდა, ის მაქნევინონ... ამბობდენ მოხუცებულები.

რას ამბობდა ამ დროს თვითონ გოგია? არაფერს. ისევ ისე ცხოვრობდა, როგორც წინად, თითქო არაფერი მომხდარიყოსო. წინააღმდეგობა არც-კი გაუწევია ქანასთვის, როცა ამან თამასუქი თხოვა. „მართალს ამბობსო“, იფიქრა გოგიამ: „მე მალე მოვკვდები და ცოდვაა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ხელ ცარიელი დარჩესო“. მანამდის-კი თუ რამე უბედურება დაემართებრდა, ამას როგორ იფიქრებდა? ის-კი არა, გოგია დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ უფრო პატივსა მცემს ქანა, რაკი მომავლისთვის საქმე გაკეთებული ექნებაო.

ქანა და რევაზი რაღას შვრებოდენ?

ქანას მხიარულებას საზღვარი აღარა ქონდა, რადგან მას შემდეგ, რაც გოგიას ათასი თუმნის თამასუქი ღატყუა, რევაზი სრულიად გამოიცვალა. რევაზმა იცოდა, რომ ძალით თამასუქის შოვნა შეუძლებელი იყო, ქანას ვერ გამოართვევდა, და ამიტომ ნამდვილ 19—20 წლის არშიყს დაემსგავსა. სადღა იყო ახლა ძველი ბძანების კილო, ძველი ბრძნულად თავის დაჭერა? ახლა რევაზს ისე ეჭირა თავი, თითქო ჭკნება და დნება ქანას სიყვარულითო. მართლაც, დნებოდა რევაზი, მაგრამ სიყვარულით კი არა: ათასი თუმნის თამასუქის შოვნის სურვილი ადნობდა და ქანას-კი თუნდ ჯანდაბამდის ქონოდა გზა.

V

მშვენიერი მაისის საღამო იყო. მზე ახლად ჩასული იყო და მაღალი მთის წვერები ჯერ კიდევ წითლად ბრჭყვიალებდენ.

ამ დროს სოფლის გარედ, ხევში, მთიდან გადმოჩქეფარე რუს პირად, რევაზი და ქანა ისხდენ და, როგორც შეყვარებულნი, მტრედებსავით, ღუღუნებდენ. ქანა ხომ მართლა შეყვარებული იყო და რევაზიც ისეთ ნაირად იკატუნებდა თავს, რომ, ქანას-კი არა, სხვასაც მართალი ეგონებოდა.

— კმარა, კმარა ჩვენი ამდენი წვალება? მოვახერხოთ რამენაირად, რო მხოლოდ ერთმანეთს ვეკუთვნოდეთ და აღარავისი აღარ გვეშინოდეს, თქვა აღტაცებულმა რევაზმა.

— რა ნაირად მოვახერხოთ, თვარა მაგას რა ემჯობინებოდა? მიუგო დაღონებულმა ქანამ და გადაეხვია. რევაზმა გულში ჩაიკრა და ხმამოტკბილებით ჩასჩურჩულა:

— წავიდეთ თაბორიდან სადმე, გადავიხვეწნეთ ერთად, თუნდ ქუთაისში, და იქ ვიცხოვროთ.

— წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო რევაზ! ოღონდ შენთან კი ვიყო და თუნდ ჯოჯოხეთში წამოვალ!

— მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ ფული არა მაქვს და უფულოდ კი ვერსად წავალთ, ჩაილაპარაკა რევაზმა.

— იშოვე სადმე და მერე, როცა გოგია მოკვდება, მისი საცხოვრებელი ხომ ჩვენი იქნება? უთხრა ქანამ.

— არ ვეცადე? მაგრამ ვერსად ვერაფერს გახვდი: ძალიან ბევრი ვალი მაქვს და აღარავინ მანდო კიდევ!

— მაშ, ასე უნდა ვიყოთ, სანამდის გოგია არ მოკვდება, თქვა ნაღვლიანად ქანამ.

— გოგია, მგონია, ორივეს მოგვიდნობს, ჩემო ქანა. ის ძველი კაცია, ჩვენზე მაგარი ძვალი აქვს. არა, ჩვენ იმის სიკვდილის უურება არ გვარგია, თუ გვინდა, რომ ბედნიერად გავატაროთ წუთისოფლის სიცოცხლე... ახლავე, ახლავე ვეწიოთ, ჩემო გვრიტო, ჩვენს საქმეს! აქ მაგრად აკოცა რევაზმა ქანას.

— შენ რომ თამასუქი გაქვს, ჩემო სამოთხევ, ფული არ არის? განაგრძო რევაზმა: ბარემ ახლავე გადავახდევინოთ ფული გოგიას და ის იქნება. თამასუქში ხომ ასე წერია, პირველ მოთხოვნაზედვე მოგცე ან შენ ან იმას, ვისაც ეს თამასუქი ექნებაო.

— არა, არა მაგას ვერ ვიზამ, სიცოცხლეშივე ფულს ვერ გადავახდევინებ...

— შენ კი არა, მე გადავახდევინებ.

— არა, გული არ მიზამს, რომ გოგიას ტანჯვას ვუყურო...

— შენ ნუ უყურებ! მე შენ ქუთაისში წაგიყვან და იქ დაგაბინავებ... მერე მოვალ, გოგიას ფულს გამოვართმევ და ისევ ჩამოვალ... იქ სახლი ვიყიდოთ და ვიცხოვროთ... გადავრჩებით მაინც თაბორელების ყბად აღებას. იქ მე ადგილსაც ვიშოვი რასმე და სამსახურში შევალ. იმისთანა მეგობრები მყავს რომ, მგონი, „სეკლეტრობაც"-კი მაშოვნინონ.

ქანა ხმას არ იღებდა. არ იცოდა, რა უნდა ეთქვა... დათანხმებოდა რევაზის რჩევას, თუ არა? ერთის მხრით სინიდისი აწუხებდა და უარზე დადგომას ურჩევდა, მეორეს მხრით გაუმაძღარი ვნებათა ღელვა რევაზისკენ ეწეოდა მისს გულს.

რას გაჩუმდი, ქანა, დაიწყო ისევ რევაზმა: არ მოგეწონა ჩემი სიტყვები?.. იყო, რომ მეუბნებოდი, შენი გულისთვის, თუნდ, წყალში გადავარდებიო. მატყუებდი განა?... რა გაეწყობა... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მაგრამ მე-კი უნდა გითხრა, რომ მომწყინდა ამდენი „დამალვიას" თამაშობა. თუ ვიქნებით. უნდა ვიქნეთ, თუ არა და აბას იქნით შენ შანთეის და მე ჩემთვის!.. თქვა რევაზმა და მოშორდა ქანას. ქანა გაშტერებული იყო. ეტყობოდა, რომ გულში მთელი ზღვა უტრიალებდა და საშინლად ღელავდა.

— მშვიდობით! ღმერთმა ბედნიერად გამყოფოთ შენცა და გოგიაც... მე ხვალვე წავალ თაბორიდან და სხვაგან ვცდი ჩემ ბედს... ამბობდა რევაზი: თან დახელოვნებულ მსახიობსავით. უკან უკან მიიწევდა და თვალები კი ქანასაკენ ჭონდა მიშტერებული, თითქო ეუბნებოდა, კარგია, მომკიდე ხელი და დამაბრუნეო.

— სად მიხვალ, სად მიხვალ? დაღრიალა ბოლოს მართლა ქანამ და მოეხვია მიმავალ რევაზს. მე უშენობა არ შემიძლიან. არა, არა, ჩემთან დარჩი!. გაკიოდა ქანა.

მე მხოლოდ მაშინ დავრჩები, თუ პირობას მომცემ, რომ ჩემ სურვილს შეასრულებ, წყნარად სთქვა რევაზმა.

— გაძლევ, გაძლევ!.. მიაძახა, გადარეულივით, ქანამ.

— მაშ, წამომყვები ქუთაისში?

— წამოგყვები, წამოგყვები, ქუთაისში-კი არა, სადაც გინდა,

თუნდ ჯოჯოხეთში, თუნდ შავ წყალში... ოღონდ შენთან, შენთან-კი ვიყო და, სადაც გინდა, იქ წამოვალ ტირილით ამბობდა ქანა.

— ო, ჩემო ძვირფასო, ჩემო სულზედ უტკბესო! დაიძახა რევაზმა და თითონაც გადაეხვია ქანას, რამდენსამე ხანს ასე იყვენ ჩაკონებულნი. მერე ისევ რევაზმა დაარღვია სიჩუმე.

— მაშ, როდის წავიდეთ?

— როცა გინდა, უთხრა ქანამ თვალების წმენდით.

— მე მალე მინდა; მალე მინდა, რომ მარტო მე მეკუთვნოდე, მარტო ჩემ სახელს ატარებდე, თქვა რევაზმა.

— მაშ, ხვალვე წავიდეთ! უთხრა ქანამ: ან, უკეთესი იქნება, ამაღამვე, ამ საათშივე... მე მაინც აღარა მაქვს გოგიასთან მისას. ელელი პირი. იმის სახლში შესვლა აღარ შეშიძლიან, და ახლავ, სადაც გინდა, იქ წამიყვანე!

— თამასუქი სადა გაქვს? იკითხა უცებ რევაზმა, თითქო მარტო ახლა მოაგონდაო.

— უბეში მაქვს, მიუგო ქანამ.

— მაშ, წავიდეთ, დაიძახა რევაზმა და ამაყენა ქანა. ეტყობოდა, ქანა ერთობ იტანჯებოდა და ძალაც აღარა ქონდა მუხლებში. რევაზმა მაგრა მოკიდა ხელი, ქანაც დაებჯინა მის მკლავზე და წავიდენ.

ამასობაში კიდეც დაღამებულიყო და ორივე მალე ჩაიხვია სიბნელემ.

VI.

მეორე დღეს მთელმა თაბორმა შეიტყო, რომ ქანა გაექცა გოგიას და რევაზთან ერთად სადღაც გადაიკარგაო. ამ ამბავმა სულ გადარია თაბორელები და დიდი და პატარა, კაცი და ქალი მოსვენებას აღარ აძლევდენ უბედურ გოგიას. ზოგი ამბის შესატყობად მოდიოდა, ზოგი – ვითომ სანუგეშებლად, ზოგი — რჩევის მისაცემად. გოგია ქანას წასვლაზე უფრო ამ არა-მკითხე მოკეთეებმა შეაწუხეს.

გრგიას არავისთან ლაპარაკი არ უნდოდა. ამიტომ იშოვა თუ არა დრო, გადაკეტა სახლის კარები და ყანებისაკენ გასწია. სამუშაოდ? აბა რაღა ემუშავებოდა უბედურს? წავიდა თავისი ნაჭირნახულევის დასათვალიერებლად. თითქო თავისს ოფლით მორწყულ სიმინდს უნდა გაანდოს თავისი ტანჯვაო. იქნება, იგრძნო საწყალმა, რომ ყველაფერზე ხელს აღებინებდენ, და გამოსათხოვრად წავიდა. შეიძლება ასეც იყო. მართლაც, გოგიამ იმ დღეს ყველა თავისი ყანა ნახა, ყველას გარშემო შემოუარა. რომ ვისმე ენახა ამ დროს გოგია, გამოსულელებულაო, იტყოდა. ისე მიაშტერებდა თვალებს ყოველ სიმინდის ძირს, თითქო უნდა შეიტყოს, რამდენ წვეთ ოფლად უჯის ეს ერთი ძირი სიმინდიო. დიდხანს იარა ამნაირად გოგიამ, დიდხანს. იქნება, საბრალო აფასებდა თავისს ქონებას; იქნება, ეგონა, რომ ვალს გაისტუმრებდა და კიდევ დარჩებოდა საცხოვრებელი? მაგრამ საიმისო რა გააჩნდა?.. „ნეტა სად არის ქანა“, იფიქრებდა ხან-და-ხან: „ვითომ ბედნიერი იქნება რევაზთან? არა, ქანა, არა ტყუილად დამტანჯე მეცა და შენი თავიც ტყუილად დაიტანჯე; განა რევაზი შენ დაგინდობს?.. ნეტა კიდევ გნახავდე მაინც?.. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ქანას უნახავს ნუ მომკლავ“ო, დაიძახა ბოლოს ხმამაღლა გოგიამ დაშეხე და ცას. ამ დროს ცამ საშინლად დაიქუხა, თითქო ღმერთმა გაიგონა გოგიას თხოვნაო და თანდათან ღრუბლებით შეიმოსა.

გოგია მაინც არ მიდიოდა შინ და, როცა პირველი წვიმის წვეთი დაეცა, ქუდი მოიხადა და თავშიშველა დადგა. აგერ მოუხშირა წვიმამ, გოგია-კი მაინც დგას, თითქო დასველება ესიამოვნებაო. მართლაც, ესიამოვნებოდა, რადგან უნდოდა, გახურებული თავი გაეგრილებინა. პატარა ხანს უკან მაისის ტკბილმა ეუეუნა წვიმამ შხაპუნი დაიწყო. გოგია ბინდამდე მაინც არ წასულა შინ და მხოლოდ მაშინ წავიდა, როცა იფიქრა, ახლა-კი აღარავინ მოვა და დამირღვევს მყუდროებასაო...

ერთი კვირის შემდეგ ისევ გაჩნდა რევაზი თაბორში. ქანაზე არაფერს ამბობდა. მხოლოდ გოგიას თამასუქი ჩამოიტანა. თამასუქი, როგორც რიგია, კანონიერად ნოტარიუსის დამოწმებით იმას ქონდა

გადაცემული. ახლა, როცა ისურვებდა, მაშინ გადაახდევინებდა გოგიას ფულს და ან საცხოვრებელზე ხელს ააღებინებდა. რაღა თქმა უნდა, რევაზი, რაც შეიძლებოდა, მალე აღასრულებდა თავისს სურვილს!..

VII

გავიდა რამდენიმე წელიწადი...

დღესაწაული დღე იყო. ქუთაისის „ბულვარი" სავსე იყო ხალხით და კიდევ უფრო ემატებოდა ტაძრიდან გამოსული ქალი და კაცი. წირვა ჯერ არ გათავებულიყო, მაგრამ ზოგიერთს ველარ მოეთმინა ბოლომდის და გარედ გამოდიოდა. ჩვეულებრივ, ტაძრის განიერი კიბე გლახებს დაეჭირათ და ყოველ კაცის შესვლა-გამოსვლისას ვანუწყვეტელი: „შეგვიწყალე, ღმერთი შეგიწყალებსთ"-ო, გაისმოდა. თუ რომელიმე ქრისტიანი შეიბრალებდა ამ საწყლებს და ჯიბისაკენ წაიღებდა ხელს გროშის ამოსაღებად, ერთი ალიაქოთი დატრიალდებოდა: მათხოვრები ერთმანეთს ასწრებდენ, რომ რომელიმე ფული ჩაეგდოთ ხელში. თუ შემბრალებელის გული იმდენად უხვი იქნებოდა და ჯიბე იმდენად სავსე, რომ ყველას არგებდა თითო გროშს, ხომ კარგი, და, თუ არა, ვაი მისი ბრალი, ვინც გროშს ჩაიგდებდა! შეჰამდენ საწყალს ამხანაგები! პოლიციის მოხელე რომ არ ყოფილიყო იქ, იქნება, კიდეც გაელახათ უბედური. „ბრძოლა არებობისათვისა"-ო, ამბობენ, და ესენიც იბრძოდენ; მაშ, აბა რა უნდა ექნათ?

კიბის უკანასკნელ საფეხურზე იდგა ამ დროს ერთი, სულ გათეთრებული და წელში მოხრილი მოხუცი. ის, სხვებსავით, როდი ჩქარობდა, თავისსთვის იდგა და პირჯვარს იწერდა. თუ ვინმე შეაძლევდა მოწყალებას, გამოართმევდა, მაგრამ თავიანთ-კი არავის არ სთხოვდა. სხვა მთხოვრები გაოცებითა და პატივის ცემით შესცქეროდენ. მართლაც პატივისაცემი იყო ეს მოხუცი. ეტყობოდა, რომ რაღაც უბედურ შემთხვევას მოეყვანა აქ; რომ მისი ხელები მიჩვეული არ

იყო მოწყალების მისაღებად გაწვდენას! ეტყობოდა, რომ საბრალო ყოველ მოწყალების მიღებაზე. საშინლად იტანჯებოდა, წუხდა მაგრამ რა უნდა ექნა, როცა მუშაობა აღარ შეძლო და ცხოვრებისათვის სხვა საშულება აღარა ქონდა?

ე' მოხუცი ჩვენი გოგია გახლდათ. როცა გოგიას საცხოვრებელი ქანას თამასუქის ძალით რევაზმა ჩაიგდო ხელში, გოგიას აბ' რაღა გააჩერებდა თაბორში? ისიც' მაშინვე, როგორც ყველა მის მდგომარეობაში მყოფი, რაიმე მიზეზით უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხი ჩადის, ქუთაისში წავიდა. „ვიმუშავებ დღიურათ და თავს ვირჩენ“ო, ფიქრობდა. მართლაც, სანამ შეეძლო, მუშაობდა უბედური, მაგრამ სიბერე რომ შეეპარა და სამუშაოდ აღარავის მიყავდა, აღარ იცოდა, რა უნდა ექნა? იდგა საბრალო დილიდან, საღამომდის ბაზარში და იცდიდა, ეგების მადლიანმა წამიყვანოს ვინმეო, მაგრამ ამას ვინ წაიყვანდა, როცა ახალგაზდა მუშებიც ბევრნი იყვენ?

სანამ ძველად შეგროვილი ორიოდე გროში ქონდა, არაფერი, მაგრამ, როცა ესეც გამოელია და კუპმა საკმლის თხოვნა დაუწყო, გოგია, ცოტა არ იყოს, შეწუხდა და ფიქრში ჩავარდა. „ვითომ სიმშილით უნდა მოკვდე“ო, ფიქრობდა: „დაგელოცა, ღმერთო, სამარ' თალი?.. რა არის კაცის ცხოვრება? რას არ უნდა მოელოდეს ადამიანი სამარემდის?“-ო.

ამ ფიქრებში იყო გოგია, მაგრამ ფიქრი ხომ არ გაუძღობდა კუპს? პური, პური იყო საკირო და საიდან მოეტანა, ეს-კი აღარ იცოდა საბრალომ.

ბევრი იფიქრა გოგიამ, ბევრი, მაგრამ ველარაფერი მოიფიქრა იმის მეტი, რომ, ან სიმშილით სიკვდილისთვის მიეცა თავი და ან ძალათ მოეკლა. „ითხოვე“-ო, უთხრა ერთმა გულმა, მაგრამ გოგიას წარმოდგენაც-კი არ შეეძლო, როგორ უნდა გაეწვდინა ხელი „აბა თავი მოიკალი“-ო, ურჩია გულმა ისევ. ამ დროს წითელ ხიდთან იდგა. ცოტა მოსაღამოებული იყო და გამველელ-გამოველელი იმდენათ აღარ ჩანდა. „წყალში დავირჩო თავი?“ ფიქრობდა გოგია. „დაირჩე, დაირჩე“-ო ებნებოდა გული: „ვერა ვხედავ, რა ყოფაშია კუპი?“ მართლაც კუპი

ერთობ გაჯავრებული იყო. მეორე დღე სრულდებოდა, გემოთი არაფერი ენახა. ჩაფიქრებული გოგია მიაწვა ზურგით ხიდის მოაჯირს და ისე გაერთო ფიქრებში, რომ არ შეუტყვია, როგორ მიუახლოვდა ვიღაცა.

— აჰა, გამომართვი! უთხრა გამვლელმა. გოგია შეკრთა და უნებურად გაუშვირა ხელი. მგზავრმა ჩაუდო შაურიანი და წავიდა. გოგია გაშტერებული იდგა რამდენსამე ხანს. „როგორ, იმისთანა კაცებიც ყოფილან, რომ უთხოვრად იძლეიან მოწყალებას?“ ფიქრობდა გოგია. დიახ, ყოფილან. ამისი საბუთი ხელში ეჭირა.

ამ გარემოებამ სრულიად შეცვალა. გოგიას აზრთა მიმდინარეობა. კუჭმა აჯობა გულს და გოგიაც ფურნისაკენ გაემგზავრა პურის საყიდლად.

ამ დღის შემდეგ გოგია ძალა-უნებურად მათხოვრობდა, მაგრამ ხელს მაინც ძვირად გაუშვერდა ვისმე. ის თვალებით თხოვდა და, თუ ვინმე მიცემდა, ხომ კარგი, თუ არა, წავიდოდა თავისსთვის.

დღესაც არა ღებულობდა გოგია მონაწილეობას სვა მათხოვრების ტაციობაში და თავისსთვის იდგა განმარტოებით, გამვლელებიკი უფრო ამას აქცევდენ ყურადღებას და ბევრი აძლევდა მოწყალებას.

აგერ მოატანა წირვის გათავების დრომ. ხალხმა ჯგუფჯგუფად იწყო გამოსელა ეკლესიიდან. მათხოვრებში ერთი ჩოჩქოლი და ვაი უშველებელი ატყდა. ამ დროს ერთმა სრულიად ჩამოკონკილმა, მეტად გამხდარმა ქალმა, პაწაწა ბავშვით ხელში, დააპირა კიბეზე ასვლა, რომ თვითონაც ეთხოვა.

— სად მოხვალ, სად მოხვალ? დაცეს კიჟინა ზევიდან მათხოვრებმა: ჩვენც-ვერ ვეტევით აქ. ქალმა უკან დიწია.

— აქ მოდი, შვილო, აქ დადეგი! უთხრა გოგიამ და დაუცალა ადგილი. ქალი იმისკენ წავიდა. გოგიამ შეხედა თვალებში და, შემკრთალი, შედგა.

— ქანა, შენა? დაიძახა გოგიამ და ხელი მოკიდა.... დიახ, ქანა იყო ეს უბედური. ქალმა იგრძნო მთელი თავისი დანაშაული ამ კაცის წინაშე და სირცხვილით თავი დახარა...

ფეჩეია

I

თუმცა ნაილიას მიოთკის ნარიამი დაერქმია და დაბადებულთა წიგნშიაც ამ სახელით ეწერა, მაგრამ ყველა ფეჩეიას უძახოდა; ერთხელვე ყველასაგან ფეჩეიას სახელით იყო ცნობილი. რატომ? იმიტომ, რომ იგი მოახლის შვილი იყო და განა მოახლის შვილი ღირსი იქნებოდა იმისთანა სახელის ტარების, როგორიც არის მარიამი? ფეჩეია იმ დროს გაჩნდა ქვეყანაზე, როცა მთელი ერი ორ ნაწილად იყო გაყოფილი—ბატონებად და ყმებად. პირველთ ყოველივე უფლება ქონდათ მინიჭებული, მეორეთ კი არც ერთი. ბატონები ცდილობდენ, არავითარი მბაძავსება არა ქონოდათ ყმებთან და ხშირად საქრისტიანო მოწამეთა სახელებსაც-კი არ ატარებინებდენ უკანასკნელებს. ნაშეტურ ქალბატონები იყვენ გავარჯიშებულნი მოახლეების სახელების გამოცვლაში და რაებს არ არქმევდენ საწყლებს, ვინ იცის? ზოგი იმათგანი მოახლეს იმისთანა სახელს არქმევდა, რომლის შემწეობითაც თვითონ ნაქებ-ნადიდები გამოდიოდა. აშნაირად გაჩნდენ იაგუნდისები, ვარსკვლავისები, პირიმზისები, პირმთვარისები და სხვები, თუმცა, იქნება, პარიმზე-კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთის მაშხალა ბძანდებოდა ქალბატონი, რომლის მოახლესაც პირიმზისა ერქვა. ზოგი ქალბატონი-კი თავისს ქებას ალრ დასდეედა და იმას არქმევდა მოახლეს, რაც ენაზე მოადგებოდა. ფეჩეიას ქალბატონიც სწორედ ასე მოქცეულა, როცა მოახლისთვის ფეჩეია დაურქმევია

ფეჩეიას ქალბატონიო, ვამბობ, თუმცა ყველამ კარგად იცოდა და არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენდა, რომ ფეჩეიაცა და მისი ქალბატონიც, მაკა სხაპურიძის ასული, ერთისა და იმავე როსტომ სხაპურიძის შვილები იყვენ. როგორაო? გაკვირვებით იკითხავს გულ უბრყვილო მკითხველი. სულ ადვილად. განა მარტო ამისთანა საწაულები ხდებოდა ნეტარ-ხსენებულ ბატონყმობის დროს?

II

როსტომ სხაპურიძის მამა თემყვა სხაპურიძე, ან თემყვა სხაპურია, როგორც ამას უძახოდენ სამეგრელოში, იყო იმ მოხერხებულ მეგრელთაგანი, რომელთაც სამეგრელოს უკანასკნელ მთავრების დროს, როცა ისეთი არეულობა იყო, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა, შეიძინეს ხარისხიც, ყმაცა და მამულიც. თემყვა მღვდელი იყო და ერთ-ერთ სამეგრელოს ჭყონდიდელის შემწეობით, რომელიც შვილს უნათლავდა, აზნაურობასაც-კი აკრა ხელი. ხალხს სიცილად არა ყოფნიდა თემყვას გააზნაურება და შემდეგი ლექსიც-კი გამოუთქვა;

> ახალი ჟინოსქეა რე სხაპურია პაპა:
> ჯოღორკ ეკუუსოფას მუში ახალი კაბა!...*)

მაგრამ თემყვა ხალხის ხმას ყურადღებას არ აქცევდა და თავისს საქმეს იკეთებდა.

თემყვას ვაჟი, როსთო, უკვე აზნაური იყო და მღვდლობა აღარ უძებნია. როსთომ იგრძნო, რომ სამეგრელოს თვითმმართველობის დღეები დათვლილია, რომ დღეს, თუ ხვალ, რუსეთის სამფლობელო გახდება ოდიში და პირი რუსებისაკენ იბრუნა, იგი შეიქნა ერთ-ერთ ყურ-მოჭრილ მონათაგანი რუსეთის მთავრობის მოადგილეთა სამეგრელოშა და ეხმარებოდა მათ რუსულ წეს-წყობილების შემოღებაში. ამ ნაირად მიიქცია როსთომ მთავრობის ყურადღება, როგორც ერთგულმა კაცმა, და „ჩინი“ და ჯილდო დაიმსახურა. რა-კი

*) ახალი აზნაურია სხაპურია მღვდელი, ძაღლმა შეჭამაპიოს მასი ახალი კაბა

ასე მოაწყო თავისი ბედ-იღბალი, რომ ერთ უპირველეს კაცთაგანი გახდა სამეგრელოში, სახელი და გვარიც გაილამაზა და როსთო სხაპურიასაგან როსტომ სხაპურიძედ გაკეთდა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ სრულიად დაეკარგა მსგავსება თავისს სახლის-კაცებთან, რომელნიც ისევ ისე გლეხები იყვენ. ასე ბევრი სხვებიც მოიქცენ სამეგრელოში და გვარის დაბოლოვება „რიძეთ“ შეცვალეს, რომ განესხვავებინათ თავი იმავე გვარის გლეხებისაგან.

III

უგვარო კაცი, შემთხვევით გაღიდკაცებული, ხშირად ყოველ დიდკაცზედ უარესია; უნდა, რომ არავინ შეამჩნიოს, თუ მიჩვეული არ არის დიდ-კაცობას და კიდევ უფრო გადამეტებით დიდკაცობს. გუშინდელი გააზნაურებული და გაბატონებული როსტომ სხაპურიძეც ასე იქცეოდა. იგი ცდილობდა, მისი სახლი არ ჩამოვარდნოდა ძველი მებატონეების სახლებს ბიჭებითა და გოგოებით ავსებდა. ფული ბლომად ქონდა როსტომს და ყიდულობდა ყმების შვილებს; ნამეტურ გოგოებს ყიდულობდა და მოყავდა სახლში. როსტომს ცოლი ყავდა, მაგრამ რის მებატონე იქნებოდა, თუ მარტო ცოლს დასჯერდებოდა და საყვარლებს არ გაიჩენდა?

ერთ ამ საყვარლის შვილი იყო ჩვენი ფეჩეიაც. როცა ფეჩეია წამოიზარდა და ლამაზი და მკვირცხლი ვოგო გახდა, ერთმა როსტომის კანონიერმა ასულმა აირჩია მოახლედ. ფეჩეია, რასაკვირველია, დაემორჩილა ხვედრს და ერთგულად ემსახურებოდა თავისს ბატონსა და დას მაკას. მიკასაც შეუყვარდა თავისი „სისხლი და ხორცი“, როგორც თვითონ უძახოდა ფეჩეიას, და, შვილივით, ზრდიდა.

როცა მაკა გათხოვდა, ფეჩეიაც, რასაკვირველია, თან წაიყვანა, მზითევის სიაში ფეჩეია ჩაწერეს, როგორც მოჯალაბის შვილი, მაკასთვის მოახლედ გატანებული.

რამდენათაც იზდებოდა ფეჩეია, იმდენად, მთვარესავით, ივსებოდა და მალე მიიქცია სოფ. ს—ნის ახალ გაზდა ბიჭების ყურად-

ღება, სადაც მაკა იყო გათხოვილი. როცა ფეჩეია კვირა-უქმე დღეს „ობირეშში“ გამოვიდოდა და ლეკურს დაუელიდა, ყველას ზედ რჩებოდა თვალი. ბევრ ყმაწვილ ბიჭისთვის აუტოკეებია ფეჩეიას გული, ბევრის გულში აუნთია სიყვარულის ცეცხლი, მაგრამ ფეჩეიას თავი მაგრად ეჭირა და არავის არ უახლოვდებოდა. იცოდა, რომ ყველა ერთის წუთით დატკბობას ცდილობდა მასთან და ცოლად არავინ შეირთავდა, როგორც უკანონო შვილს, და ამიტომაც განზე უდგებოდა ახალგაზდა ბიჭებს; ყველას ხელიდან უსხლტებოდა.

მხოლოდ ერთ ახალგაზდას ვერ მოუხერხა დამალვა ფეჩეიამ, ვერ გაუსხლტა ხელიდან. ეს იყო მაკას მულის წული, თომა, რომელიც მაკას ქმრის სახლში იზდებოდა.

თომას შეუყვარდა ფეჩეია და ეფიცებოდა, ცოლად შეგირთავო. ფეჩეიამ იცოდა, რომ ტყუილად ფიცულობდა თომა, რომ დედ-მამა მაზე ჯვარის დაწერის ნებას არ მიცემდა და ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. თომა 19-20-ის წლის ბაბუკი იყო და თავდავიწყებამდის მიიყვანა ფეჩეიას სიყვარულმა.

მაკამ შეამჩნია, რომ თომას ფეჩეია უყვარდა და მაშინვე მიწერა თომას დედას, შვილი წაიყვანე, რადგან გიჟდება ფეჩეიას სიყვარულითო. თომას დედა იმ წამსვე მოიკრა და წაიყვანა თომა. წასვლის დროს თომამ უთხრა ფეჩეიას, უშენობა არ შემიძლია და, ასე იქნება, თუ ისე, უნდა შეგირთოვო. ფეჩეიას არაფერი უთქვამს მაგიერად თომასთვის; მხოლოდ, როცა დაინახა, რომ თომა მასთან აღარ არის, გული ეტკინა. ფეჩეია მიეჩვია თომას, მიეჩვია იმის აღფრთოვანებულ სიტყვების მოსმენას და დიდათ დააკლდა იგი. მოშორების შემდეგ იგრძნო ფეჩეიამ, რომ თვითონაც ყვარებია თომა და გადაწყვიტა, თუ არა მას, სხვას აღარ წაყოლოდა. გადაწყვიტა და ელოდა, აგერ მოვა თომა და წამიყვანს; თუ ნებით არ გაუვიდა, ძალით მომიტაცებს და შემირთავსო, მაგრამ თომა არ მოდიოდა. ბევრი კარგი საქმრო გამოურჩია მაკამ ფეჩეიას, მაგრამ ფეჩეია გათხოვებაზე უარს ამბობდა.

— შენ გამზარდე და არ მოგშორდები, შენთან მოვკვდებიო, ეუბნებოდა მაკას. ის-კი არა, თომას უცდიდა, მაგრამ თომა არსად

იყო. ბოლოს გაიგო ფეჩეიამ, თომასთვის საცოლო გამოურჩევია დედამამას და არც თომა ამბობს ცოლის შერთვის უარსო; გაიგო და გული ნაღელით აევსო, მაგრამ რა უნდა ექნა?

— ღმერთმა მშვიდობა მიცესო, ამბობდა ფეჩეია: ღმერთმა გააბედნიეროს და, როგორც სურდეს, ისე აცხოვროსო; მე რა მაღლი მიმიძღვის ღვთის წინაშე, რომ გავებედნიერებინე; ცოდვის შვილი ვარ და ტანჯვით უნდა გავატარო ჩემი დღენი, რომ იქ, იმ სოფლადაც, არ მიწიოს ცოდვამ და არ წავწყმდეო.

თუმცა ასე ამბობდა ფეჩეია და თავს ინუგეშებდა, მაგრამ წარმოუდგენელია ის სევდა, რომელიც იგრძნო, როცა შეიტყო, თომას ჯვარიც დაუწერიაო. ამ დღიდან ფეჩეია აღარავის უნახავს გარედ. დღე მუდამ სახლში იჯდა და მწარე ფიქრებში იყო გართული. მხოლოდ ს—ნის ეკლესიის ზარის ხმა მოიყვანდა ხოლმე გონზე და მაშინვე მირბოდა საყდარში. ფეჩეიას მოთხოვნილებად გადაექცა საყდარში სიარული, რადგან მხოლოდ იქ გრძნობდა თავისუფლად თავს და ცხარე ცრემლით ევედრებოდა ღმერთს; ევედრებოდა, თუ ცოდვილი იყო, აქ, ამ ქვეყნად ხორცისთვის მოენანებინა და სულისთვისაკი აღარ მოეკითხნა...

IV

ჯერ თითქმის ყველა სამეგრელოს ეკლესიების ეზოში შეხვდებით თითო-ოროლა სასენაკოს, სადაც თავი შეუფარებიათ რაიმე მიზეზის გამო ამ სოფლიურ ცხოვრების უარის მყოფელ ქალთ. ისინი შედგომიან სულისთვის ზრუნვას და მიკედლებიან ეკლესიათ, სადაც ლოცვითა და მარხვით ატარებენ დროს. ს—ნის ეკლესიასთან კი 10—15 იყო ყოველთვის ამ გვარი სასენაკო, რომლებშიაც ეს „მალაზონები“, როგორც იმათ ეძახიან სამეგრელოში, სცხოვრობდენ. ამ გვარად უცხოკაცი რომ მოსულიყო ს—ნის ეკლესიის ეზოში, დედათა მონასტერი ეგონებოდა. მართლაც, ან-კი რით ჩამოუვარდებოდა ს—ნის ეკლესია მონასტერს? აქ ხშირად სხვა მხრიდან, თვითონ მონასტრებიდანაც მოდიოდენ სალოცავად. მთა-წმიდელი

ბერებიც, თუ-კი გაჩნდებოდენ სამეგრელოში, უეჭველია, ს—ნაშიაც მოვიდოდენ და არიგებდენ მონოზნებს, ასწავლიდენ მათ და უხსნიდენ საქრისტიანო სწავლა-მოძღვრებას.

ერთ ხანს ცნობილი იყო ნამეტურ თავისს ქადაგებით და ხალხის დარიგებით ახალგაზდა მთაწმიდელი ბერი ზოსიმე, რომელიც ხშირად მოდიოდა ხოლმე ს—ნაში. მშვენიერი სანახავი იყო ზოსიმე ბერი, როცა იგი აღფრთოვანებულის, ციურის ცეცხლით ანთებულის, სახით ესაუბრებოდა ხალხს. საუბარი მისი სავსე იყო გრძნობით. მარტივისა და გასაგების ენით ელაპარაკებოდა ბერი ხალხსა. როცა ზოსიმე ს—ნაში მოვიდოდა, მარტო იქაური მონოზნები-არ იკრიბებოდენ მის საუბრის მოსასმენად, არამედ ბევრი უბრალო ხალხიც სიამოვნებით ისმენდა მის ნალაპარაკევს.

ბევრი ადამიანის გაქვავებული გული მოურბილებია ზოსიმეს სიტყვას; ბევრის თვალთაგან გადმოუდენია წმიდა ცრემლი სიბრალულისა და სიყვარულისა ზოსიმეს დარიგებას!

V

ერთ საღამოს, როცა ს—ნის ეკლესიაში მწუხრი გათავდა, ზოსიმე ბერი გამოვიდა საკურთხეველიდან და მიესალმა ხალხს. მისალმების შემდეგ ზოსიმე წავიდა ერთ-ერთ სასენაკოსკენ და თან გაყვა მონოზნებთან ერთად ბევრი უბრალო მლოცველიც.

დაჯდა ზოსიმე, დასხდენ სხვებიც. ჩვეულებრივ გამოკითხვის შემდეგ საუბარი გადავიდა საქრისტიანო სწავლა-მოძღვრებაზე. ზოსიმესაც ეს უნდოდა. ბერს გაუბრწყინდა სახე და, პატარა შესავალის შემდეგ, დაიწყო თავისი დარიგება.

„მთელი ძველი და ახალი აღთქმა ორად ორ მცნებაზე ტრიალებს, ამბობდა ზოსიმე: ეს ორი მცნებაა სიყვარული ღვთისა და კაცისა. მოსეს ათი მცნების პირველი ოთხი მცნება გვიბძანებს ღვთის სიყვარულს, უკანასკნელი ექვსი—კაცისას. თვითონ მაოხცვარს, როცა კითხეს, "რომელი მცნება უფროს არს სჯულსა შინა"-ო, თქვა: „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვ-

ლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნება და მეორე მზგავსი ამისი: შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი. ამა ორთა მცნებათა ყოველი სჯული და წინასწარმეტყველნი დამოკიდებულ არიან"-ო. ახლა ვიკითხოთ, რა არის ღვთის სიყვარული? ღვთის სიყარული ის არის, გიყვარდეს ყოველივე და ასრულებდე ყოველსავე, რაც ღმერთს მოწონს· ყველამ ვიცით, ვისაც ვინ უყვარს, მის სიამოვნებას ცდილობს; უნდა, ისე იქცეოდეს, რომ თავისს საყვარელ არსებას არაფერი აწყენინოს; ისიც ვიცით, რომ თუ გვინდა ჩვენს საყვარელს ვასიამოვნოთ, უნდა ისე ვიცხოვროთ, როგორც მას უნდა. მაშასადამე, თუ ღვთის სიყვარული გვექნება, უნდა ისე ვიქცეოდეთ, რომ ღმერთს ვასიამოვნოთ; უნდა ვეცადოთ, მცირედ არის მაინც, დავემზგავსოთ ჩვენს მაცხოვარს; ვიყოთ მასავით მოწყალე, მასავით მართალი, მასავით კეთილი, მასავით ლმობიერი, თავ-დაბალი. ღმერთი იმიტომ მოვიდა ქვეყნად, იმიტომ მიიღო კაცის სახე და ხორცი შეისხა, რომ ეჩვენებინა ჩვენთვის მაგალითი და ეჩვენა ისინი, ვინც მას მიბაძავდენ, ვინც მის კვალს შეუდგებოდენ. რასაკვირველია, ჩვენსა და ქრისტეს შუა დიდი მანძილია. მხოლოდ ეს ყველას შეგვიძლია, რომ უარვყოთ ჩვენი ხორციელი მოთხოვნილებანი და თავი შევწიროთ ჩვენ მოძმეთ. მარტო ერთი ადამიანი კი არ უნდა გვიყვარდეს ისე, რომ ვიყოთ მზად ვანაცვალოთ ჩვენი სიცოცხლე, არამედ ყველა. ქრისტე როდი არჩევდა და ყველას ერთნაირად ეწეოდა; ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ! გამორჩევით ერთისა და ორის სიყვარული-კი ისევ ჩვენი სიყვარულია: ალბად, იმიტომ გვიყვარს ვინმე, რომ ჩვენი მახლობელია, ჩვენი სიცოცხლე დაკავშირებულია მის სიცოცხლესთან. საქმე ის-კი არ არის, დედას უყვარდეს შვილი, ცოლს—ქმარი, დას—ძმა; საქმე ის არის, ყოველი ადამიანი უყვარდეს ყოველ ჩვენგანს! შეიყვარე მოყვასი შენი, „ვითარცა თავი თვისაო", გვიბძანებს ქრისტე. ჩვენ-კი, თუ ყველას არა, უმეტეს ნაწილს მაინც მარტო ჩვენი თავი გვყვარს, მარტო ჩვენის თავისთვის ვზრუნავთ, ჩვენს ხორცს ვაფუფუნებთ. რასაც-კი ვიშოვით და ვიპოვით, ყველაფერი ან ტანზე უნდა მოვიკოსოთ, ან საკმელში დავხარჯოთ. დღეში სამსა და ოთხ იჯრას ვეპამთ, მაშინ როდე-

საც რამდენია მისთანა, რომ მთელი დღის განმავლობაში ერთჯერაც არ შეუძლია, გაიძღოს კუჭი? ყოველ ჩვენგანს რამდენიმე ხელი ტანისამოსი აქვს! მერე ზოგი იმათგანი მხოლოდ შვენებისათვის არის მოგონილი, მაშინ როდესაც რამდენია მისთანა, რომ ერთი ხელი ტანისისამოსიც არა აქვს, ხორცი დაიფაროს?.. ნუ ზრუნავთ ხორცისათვის, ნუ აფუფნებთ მას! ჭამეთ იმდენი, რამდენიც მიუცილებელად საჭიროა; ჩაიცვით სადათ და, რაც გადაგრჩეთ, მიაწოდეთ, ვისაც არაფერი აქვს. ნუ ზრუნავთ თქვენი თავისთვის! "რომელსაც უნებს შემდგომად ჩემსა მოსვლა, უარ-ჰყავნ თავი თვისი, და აღიღე ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე", გვეუბნება ქრისტე. ნუ ზრუნავთ ამ სოფლიურ ცხოვრებისათვითვის! „რა სარგებელ არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი, და სული თვისი იზღვიოს?" ამბობს აგრეთვე ქრისტე. ნუ ზრუნავთ დიდებისათვის, იყავით ყველასი მონა და, ემსახურეთ, ვისაც-კი ჭირდება თქვენი სამსახური! „ვის უნდეს თქვენგანსა პირველ ყოფა, იყოს იგი ყველათა მრწემ და ყოველთა მსახურ ", უბძანა ქრისტემ მოციქულთა თვისთა. ნუ აყვებით გულის თქმათა თქვენთა! „მუცელს აქორებ, — ქორია და აღორებ — ღორია"-ო, ამბობს ანდაზა. ღმერთს თავი ყველა სხეულის ნაწილზე მაღლა ეჩიტომ გაუჩენია და ჭკუისთვისაც იქ მიუცია ბინა, რომ თავი ბატონობდეს და არა რომელიმე სხვა ნაწილი სხეულისა; რომ ყოველი ჩვენი მოქმედება ჩვენს ჭკუას ექვემდებარებოდეს და არა გულის თქმათა, ვნებათაღელვათა, უზნეო ჟინთა. ნუ ზრუნავთ ხორცისთვის, უარ ყავით თქვენი თავი და ეცადეთ, ერთს მაინც ტვირთმძიმეს და მაშვრალს შეუმსუბუქოთ ტანჯვა, შეეწიოთ საქმით, ანუგეშოთ სიტყვით!"...

VI

გაათავა ზოსიმემ თავისი დარიგება და შემოავლო თვალი მსმენელთ, რომ გაეგო, ვიზე როგორ იმოქმედა მისმა სიტყვებმა.

ზოსიმეს ყურადღება მაშინვე მიიქცია ერთმა ახალგაზდა ქალმა, რომელიც მოშორებით იჯდა და თავი დაეხარა. ამ ქალის მეტად

გაწითლებული სახე, შეკმუხვნილი შუბლი და ერთ წერტილზე მიშ-ტერებული თვალები ამტკიცებდენ, რო მის ჭკუას ძალზე დაეწყო მუშაობა.

ზოსიმე მიხვდა, რომ მისი სიტყვების შედეგი უნდა ყოფილიყო ამ უმანკო ქალის ჩაფიქრება და გული სიხარულით აევსო. ზოსიმეს დაავიწყდა სხვა ყველა და მარტო ამას მიჩერებოდა. დიდხანს უყურა სოსიმემ, დიდხანს, თითქო ცდის თავის თვალების შთამგონებელს ძალასო. აი, შეიძრა უეცრად ახალგაზდა ქალი, თითქო იგრძნოო, რომ მას მიჩერებიან და მაღლა აიღო თავი, მერე შეხედა თავისს დიდრონის, გრძნობით სავსე თვალებით ზოსიმეს. ამათი თვალები ერთმანეთს მოხვდენ; ქალმა ეეღარ გაუძლო ზოსიმეს თვალებს და ი!ევ ძირს დახარა თავი. ზოსიმესთვის ეს შეხედვაც საკმაო იყო. მან მოასწრო კიდეც იმის ამოკითხვა ქალის თვალებში, რის გაგებაც სურდა. ზოსიმემ ამოიკითხა „გმდლობ, რომ ამიხილე დაბრმავებულს თვალები და გამაგებინე, რაც არ ვიცოდიო; მე თითქო განგებასვე გაუჩენივარ ქვეყანაზე იმისთვის, რომ ჩემი თავი სხვას ეკუთვნოდეს, რომ ჩემთვის სრულიადაც არ ვზრუნავდე, და დღეიდან ხომ სრულიად დავივიწყებ ჩემ თავს და მთელ ჩემ ძალ-ღონეს შევწირავ გაჭირვებულთა და დავრდომილთა-“ო. ამოიკითხა ეს ზოსიმემ და მის მხიარულებასა და ნეტარებას საზღვარი აღარა ქონდა. ზოსიმე ბედნიერი იყო, რომ იმისმა ლაპარაკმა უქმად არ ჩაიარა, როგორც ხშირად ჩაუვლია და ერთი გზადაბნეული ცხოვარი მაინც დააყენა სწორ გზაზე.

დალამების ხანმა მოატანა. ყველანი მადლობით ემშვიდობებოდენ ზოსიმეს და მიდიოდენ თავიანთ ბინაზე. ის ქალი-კი ისევ ისე იჯდა ერთ ადგილზე და არ იძროდა. როცა ყველანი წავიდ-წამოვიდენ, ზოსიმე მიუახლოდა ქალს და გამოკითხა ვინაობა.

ეს ქალი ფეჩეია იყო.

VII

იმ ღამეს, როცა მაკა საკუჭნაო ოთახში შეეიდა, წარმოუდგა თვალ წინ შემდეგი: ზანდუკი, რომელშიაც ფეჩეიას ტანისამოსი და სხვა და სხვა წვრილმალი ეწყო, თავდაღმა გადმობრუნებული ემხო; იატაკი სავსე იყო ფეჩეიას ტანისამოსით და სხვა ფაღიას-ფულასით; სტოლზე ეგდო მაკას ნაჩუქარი ბეჭედი, სარტყელი, ქარვის კრიალოსანი და სხვა-და-სხვა მძივები, ყელზე და მაჯებზე გასაკეთებელი. თვითონ ფეჩეია თავდაღმა დამხობილიყო ბალიშზე და არ იძროდა.

მაკა რამდენსამე ხანს გაშტერებული იდგა და მიჩერებოდა ამ სურათს. მერე წყნარის ნაბიჯით მიუახლოვდა და დაადვა ხელი მხარზე.

— ფეჩეია. შვილო, ავად ხომ არა ხარ? ტკბილად უთხრა მაკამ ფეჩეიას. ფეჩეია მაშინვე წამოვარდა ზეზე და თვალების წმენდით გადაეხვია თავისს ბატონსა და გამზდელ დას. სიტყვის თქმა ვერ მოახერხა საბრალომ და ტირილი დაიწყო.

— რა დაგემართა? რა იყო, მითხარი, ეკითხებოდა მაკა, რომელმაც იფიქრა, უთუოდ წაუხდენია რამე და ეშინიაო.

— ხომ იცი, მე შენ არაფრისთვის არ გაგიჯავრდები, ამშვიდებდა ეს.

ფეჩეია ხმას არ იღებდა.

— მითხარი, რა წაახდინე? შენი ჭირი წაუღია, ეუბნებოდა კვლავ მაკა...

— არა, ბატონო, არა; მე არაფერი არ წამიხდენია, ძლივს ამოიღო ხმა ფეჩეიამ: მე მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს...

— რა სათხოვარი? მითხარი და, თუ ჩემზეა დამოკიდებული მისი შესრულება, დარწმუნდი შეგისრულებ.

— მინდა, მონაზვნად წავიდე და უარს ნუ მეტყვი, ჩემო ბატონო.

— მონაზვნად? გააწყვეტინა მაკამ. რატომ? განა ჩემთან ცუდათ ცხოვრობ? მართალია, თომა გავისტუმრე სახლიდან, მაგრამ ეს შენი სარგებლობიხთვის მოვახდინე. შენ კარგად იცი, შენ ზედ ჯვარის დაწერის ნებას არ მისცემდენ, და არ მინდოდა, სახელი გაგტეხოდა.

— ვიცი, ბატონო: მე თვითონ მინდოდა თავიდან მომეშორებინა თქვენი მულისწული, უთხრა ტირილით ფეჩეიამ.

— მერე რაღათ შეწუხდი, როცა გაიგე, რომ ჯვარი დაუწერია? მე, კარგა ხანია, შენთვის საქმროს ვეძებ და მაოლოდ შენი უთანხმოება მაჩერებს, თორემ ამდენ ხანს გაგათხოვებდი.

— არა, ბატონო, არა!.. მაგაებს ნულარ მელაპარაკები, მე გთხოვ, ნება მომეცი,რომ მონაზვნად წავიდე, ეხვეწებოდა ფეჩეია.

— კარგი, შენი ნებაა, მაგრამ რომ ვერ აიტანო მონაზვნობა? შენ ჯერ ბავშვი ხარ და ასე უცებ ამისთანა საქმის გადაწყვეტა როგორ შეიძლება? მერე რომ სანანურად გაგიხდეს საქმე და მეც ცოდვაში ჩამაგდო და შენი თავიც, იმისი მეშინია, თორემ, როგორც გინდა ისე მოიქეცი.

— შენ გენაცვალე, ბატონო, დაიძახა ფეჩეიამ და ჩაუვარდა მუხლებ ქვეშ მაკას.

— კარგი, კარგი; შენი ნებაა, უთხრა თვითონაც აცრემლიანებულმა მაკამ და მიიკრა გულზე.

VIII

რამდენსამე დღეს შემდეგ ს—ნის ეკლესიის ეზოს ერთი პატარა სასენაკო კიდევ მიემატა. ეს სასენაკო იყო ფეჩეიასი. მაკამ, რაკი ვერ გადაათქმევინა ფეჩეიას თავისი გადაწყვეტილება, თვითონაც ხელი შეუწყო და ყველაფერი თეითონ მოუმზადა; სახლიც თვითონ მიცა, საჭირო ავეჯიც და საზრდოც დაუნიშნა.

დადგა ფეჩეია სასენაკოში და დაიწყო მონაზვნური ცხოვრება, მაგრამ ისეთი-კი არა, როგორც სცხოვრობდენ სხვა ს—ნელი მონაზვნები: საერთო ფეჩეიასა და სხვა მონაზვნების ცხოვრებაში ლოცვა და მარხვა იყო, დანარჩენში სრულიად განსხვავდებოდა ფეჩეია

სხვა მონაზვნებისაგან. ესენი, თუ არ ლოცულობდენ, ან არ ეძინათ, ისხდენ უსაქმოდ და უბრალო ლაპარაკსა და ჭორიკანობაში ატარებდენ დროს. ფეჩეია-კი ამ დროს სოფელში იყო და ეხმარებოდა, თუ ვისმე ავადმყოფი ყავდა მოსავლელი. ფეჩეია არ ერიდებოდა არც ერთ გადამდებ სნეულებას და ყველგან მიდიოდა, სადაც-კი საჭიროდ ხედავდა თავს. ამნაირად ს—ნა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლები მოიმადლიერა ფეჩეიამ. თუ-კი რომელსამე მარტო-ხელ ოჯახში გახდებოდა ვინმე ავად, მაშინვე ატყობინებდენ ფეჩეიას და ესეც ხშირად წირვა-ლოცვასაც-კი ტოვებდა და მირბოდა ავადმყოფთან. ცოტა არ იყოს, წყინდათ ამ გვარი ქცევა ფეჩეიასი სხვა მის ამხანაგებს და ხშირად საყვედურს ეუბნებოდენ: აგრე ხშირად სოფელში სიარული და მონაზონი გაგონილაო? ფეჩეია ყურადღებას არ აქცევდა მონაზვნების სიტყვებს; ახსოვდა ზოსიმეს ლაპარაკი და ცდილობდა, სასარგებლო ყოფილიყო ყოველ გაჭირებულისათვის, ვის გაჭირებასაც-კი გაიგებდა.

ამასთანავე ფეჩეია არაფერს არ თაკილობდა; თუ სადმე ან ტირილი, ან ლხინი იქნებოდა, ფეჩეია თამამად მიდიოდა ყველგან; ავსებდა ტომარას სანოვაგითა და მიქონდა ს-ნაში მცხოვრებ ღარიბ-ღატაკთათვის. მერე და მერე, როცა ყველამ გაიგო, რომ ფეჩეია თავისსთვის სრულიად არ ზრუნავდა და, რასაც იშოვიდა, საწყალთა და გაჭირებულთ ახმარებდა, მისვლა და თხოვნაც აღარ ეჭირვებოდა; ხშირად, პირ იქით უგზავნიდენ ყველაფერს.

ამ გვარად ფეჩეია სოფელ ს—ნაში მცხოვრებ მდიდართა და ღარიბთა შორის შეიქნა შუა-მავლად, შემაერთებელ ძაფად, და ორივე მხარე მოიმადლიერა; თითქოს ხიდი გაიდვაო ამ ორ მხარეს შორის ფეჩეიას შემწეობით.

IX

გაეიდა რამდენიმე წელიწადი. მთელ ამ ხნის განმავლობაში ფეჩეია ღირსეულად ასრულებდა ერთხელვე დაწყებულ საქმეს. ბევრი გაჭირებული დაუხსნია სიმშილისა და სიცივისაგან; ბევრი სასიკვ-

დილოდ გადადებული ავადმყოფი მოუბრუნებია კარგი მოვლით, ბევრ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილისთვის გაუღვიძებია გულში იმედი და ბევრ ურწმუნოსთვის რწმენა აღუძრავს გრძნობით სავსე სიტყვით და თავდაუზოგველი მოქმედებით!

ცხადია, თვითონ ფეჩეიაზე-კი ვერ იმოქმედებდა კარგად ასეთი გამუდმებული შრომა, შეერთებული გამუდმებულსავე მარხვასა და ლოცვასთან. მართლაც, მალე დააჩნია კვალი ყველა ამან ფეჩეიას: იგი გახდა, ფერი დაეკარგა, წელში მოიხარა, ლამაზისა და ეშხით სავსე ქალის მაგიერ იყო ახლა მხოლოდ კეთილი, სუსტი, არსება.

ნამეტურ საშინლად მოტეხა ფეჩეია ერთმა ზამთარმა, როდესაც სოფელში რაღაც საშინელმა ავადმყოფობამ იჩინა თავი და ერთმანეთზე მიაწყო ხალხი. ბევრ ოჯახში მომველელიც აღარავინ იყო. ხალხი დაფრთხა; მეზობლები ერთმანეთს აღარ ეკარებოდენ და ბევრი ავადმყოფი მოუელელობისა და უპატრონობისა გამო ესალმებოდა წუთი-სოფელს. საშინელი ჯაფა დააღგა მაშინ ფეჩეიას: დილას რომ ადგებოდა, რამდენიმე ავადმყოფი უნდა ენახა; ზოგისთვის ცეცხლი უნდა დაენთო, ზოგისთვის საპმელი გაეკეთებინა, ზოგისთვის წყალი და შეშა მიეტანა. ხშირად მთელ ღამეებსაც ვერ იძინებდა და საშინელ ქარ-ყინვაში მიდი-მოდიოდა ს - ნის ერთი კუთხიდან მეორეში. თუმცა ბევრი ავადმყოფი მორჩა იმის შემწეობით მაშინ, მაგრამ ბოლოს თვითონაც გახდა ავად. თავი მაინც არ დაუდო ავადმყოფობას და აქეთ-იქით სიარულში გაცივდა. გაცივებას ფილტვების ანთება მოყვა და ძლიეს გადურჩა სიკვდილს; გადურჩა, მაგრამ ისე დასუსტდა, რომ ფეხზე დგომა უჭირდა. სისუსტეს ხველებაც დაემატა და სულ გაუჭირვა საქმე. მხოლოდ ზაფხულის თბილმა დღეებმა მოაბრუნეს, მაგრამ თვითონაც კარგად იცოდა და სხვებიც დარწმუნებული იყვენ, რომ იმისი დღეები დათვლილი იყო; რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარა ქონდა. ან-კი რად უნდოდა იმისთანა სიცოცხლე ფეჩიას, როცა იცოდა, რომ აღარავისთვის სასარგებლო აღარ იყო და მეტი ბარგი შეიქნა ქვეყნისთვის? ამდენი ხნის განმავლობაში ფეჩია თვითონ უვლიდა მთელ სოფელს და ახლა-კი თავად შეიქმნა მოსავლელი. ფეჩეია წუხდა, როცა ხედავდა, რომ სოფლიდან მნახვე-

ლები მოდიან და მოაქვთ საჭმელ-სასმელი. „ღმერთო ჩემო, ნუ თუ აქავე მივიღებ სასყიდელს ჩემი შრომისთვის და სულისთვის აღარაფერი დამრჩება მისაღებიო“-ო? ამბობდა იგი.

X

გავიდა რამდენიმე თვე, რაც ფეჩეია ავად გახდა. მემოდგომის დღე იყო. მზის სხივები, თუმცა კიდევ ანათებდენ, მაგრამ ველარ ათბობდენ. ხანდახან დაუბერავდა ცივი ქარი და ღრიალით მივარდებოდა ხეებს, გლეჯდა ფოთლებს და ყრიდა დედამიწაზე. სხვა-დასხვა ფერის, ზოგი გაყვითლებული, ზოგი გაწითლებული, ზოგი ისევ მწვანე ფოთლები ერთხელ კიდევ შეფრიალდებოდენ, მერმე შეინავარდებდენ ჰაერში და შრიალით ეცემოდენ მიწაზე. ხე კვნესოდა, ტიროდა თითქო ეთხოვებაო თავისს შვილებს, მაგრამ რა შეეძლო? ქარი მაინც თავისას არ იშლიდა და ყურადღებას არ აქცევდა.

ერთ ამისთანა საღამოს, როცა ბუნება დროებით სასიკვდილოდ ემზადებოდა, თავისს სასენაკოს წინ იჯდა ფეჩეია, ესეც სასიკვდილოდ გამზადებული, და დაღონებული შეყურებდა ხან ს - ნის ეკლესიას, რომელიც უცვლელად იდგა და არ ეპუებოდა ქარს და ხან ეკლესიის გვერდზე მდგომ ვეება ცაცხვებს, რომელნიც ნახევრად გატიტვლებულნი, სამწუხარო სურათს წარმოადგენდენ.

ფეჩეია მიჩერებოდა ცაცხვებს და ფიქრობდა, თქვენ მართალია კვდებით, მაგრამ ისევ მალე გაცოცხლდებით, მე-კი საუკუნოდ უნდა მოვკდეო. ფეჩეია, თითქო შენატროდა ბუნებას, და თავში გაუელვა, რატომ ადამიანიც იმ ნაირადვე არ არის გაჩენილი, რატომ ამასაც არ შეუძლია ხელახლავ გაცოცხლებაო? გაუელვა ამ ფიქრმა და თვალებზე ცრემლები მოერია, მაგრამ ისევ უცებ შეიმაგრა თავი და შეხედა ეკლესიას. „შემინდევ, ღმერთო, მე ცოდვილს ყოველივე შეცოდებანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიეთნი!“ სთქვა და დაიწყო ჩვეულებრივად სინანულის ლოცვის ზეპირად თქმა, რომ მოენანებინა თავისი შეცოდება და შემდეგში აღარ მოსვლოდა ამისთანა ფიქრი.

ლოცვაში გართულს არც-კი გაუგია, როგორ მოუახლოვდა მაკა, რომელიც ხშირად მოდიოდა ხოლმე ფეჩეიას სანახავად.

— როგორა ხარ? კითხა მაკამ მისალმების შემდეგ.

— კარგადა ვარ, ძლიერ კარგად, მიუგო ფეჩეიამ: თუ ამაღამ არა, ხვალ მაინც გამოვეთხოვები წუთისოფელს. მაკას თვალებზე ცრემლები მოერია და ტკბილად უთხრა:

— წამოსულიყავ ჩემ სახლში. აქ ცივა მოვლითაც მე უფრო კარგად მოგივლიდი, როცა ჩემთან იქნებოდი. ფერშალი ამბობს, ბინის გამოცვლა მოუხდებაო; რიგიანად რომ უვლიდეს თავს, კიდევ იცოცხლებსო...

— რად მინდა მერე, რომ ვიცოცხლო? მე ისე ველარ გამოვმთელდები, რომ სხვისთვის სასარგებლო ვიქნე და იმ ნაირ ყოფნას-კი, რომ სხვის კისერზე ვიყო, სიკვდილი მირჩევნია. მე ჩემი საქმე გავათავე და ვმადლობ უფალს, რომ მაშინ მკლავს, როცა აღარავისთვის საჭირო აღარ ვარ. მაკას აღარაფერი უთქვამს ამის შემდეგ.

დაღამებამ მოატანა თან-და-თან აცივდა. ფეჩეიაზე იმოქმედა სიცივემ და გააცივა.

— სახლში შევიდეთ, გცივა, უთხრა მაკამ და ააყენა ფეჩეია. ფეჩეიამ ძლივს შეიმაგრა თავი და, მაკას მხარზე დაყრდნობილი, შევიდა სახლში. მაკამ დააწვინა ფეჩეია და თბილად დახურა, მაგრამ ეს მაინც კანკალებდა სიცივით. გავიდა რამდენიმე წამი. ოთახში სრული სიჩუმე სუფევდა, მაოლოდ ქარის გრიალი მოისმოდა ხან-და-ხან.

უეცრად მოისმა ჩქარი ფეხის ხმა და ოთახში შემოვიდა მეზობელი მონაზონი.

— ზოსიმე მოდის! დაიძახა ამან.

— ვინ ზოსიმე? დაეკითხა მაკა.

— ჩვენი ზოსიმე, მთაწმიდელი ბერი, მიუგო მონაზონმა.

— ზოსიმე? დაიძახა ფეჩიამ, წამოჯდა უცებ და მიაშტერა სიხარულით საკუთარ თვალები კარებს.

კარებში გამოჩნდა მართლაც ზოსიმე ბერი.

— მშვიდობა სახლსა ამას! დაიძახა ზოსიმემ, და შეგოსვლისა-ნავე ჯერ ხატებს შეხედა, პირჯვარი დაიწერა და მერე მივიჯა ავადმყოფთან.

— გაკურთხოს, შვილო, უფალმა, უთხრა ზოსიმემ ფეჩეიას და გაუწოდა ხელი. ფეჩეია ემთხვია ხელზე და აღტაცებულმა წამოიძახა:

— ო, რა ბედნიერი ვარ! გმადლობ შენ, ღმერთო, რომ ნატვრა შემისრულე. ჩემი სურვილი იყო, ერთხელ კიდევ მენახე, მამაო ზოსიმე, რომ შენ ხლში დამელია სული, და აჰა სურვილი ამიხდა. შენ ამიხილე თვალი და შენვე დამიხუჭავ; შენ დამაწყებინე ცხოვრება ამ ქვეყნიური და იმ ქვეყნისთვისაც შენ მომამზადებ, როგორც ამ ქვეყნისთვის მომამზადე. აწ აღარაფრისა აღარ მეშინია...

— უჩემოდაც რისა გეშინოდა, შვილო? უთხრა ზოსიმემ: სიკვდილის იმას უნდა აშინოდეს, ვისაც ამ ქვეყნიური ვალი არ მოუხდია და არ იცის, რა მიელის იმ სოფლად? შენ-კი დარწმუნებული იყავი, რომ იმ მწუხარების ნაცელად, რომელიც აქ შეგვხდა, საუკუნო ნეტარება დაიმსახურე!

ფეჩეიას სიხარულს საზღვარი აღარა ქონდა; გრძნობდა, რომ მოახლოვებულია აღსასრული, და უხაროდა, რაკი თავისსთან ხედავდა თავისს საყვარელ მოძღვარს: ზოსიმე პირდაპირ ანგელოზებს გადაცემდა იმის სულს.

თუმცა ამ ავადმყოფობაში რამდენჯერმე იყო ნაზიარები ფეჩეია, მაგრამ მაინც სთხოვა ზოსიმეს, მოესმინა მისი აღსარება და იმის ხელიდან ერთხელ კიდევ მიეღო წმიდა საიდუმლო. ზოსიმემ შეუსრულა თხოვნა და აზიარა.

ზიარების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია ფეჩეიას და სრულიად დამშვიდებულმა ლოცვების ლაპარაკში და ზოსიმესთან საუბარში განუტევა სული.

—

მეორე დღეს მთელი ს—ნა და ახლო მახლო სოფლები შეიკრიბა ფეჩეიას გამოსათხოვებლად. დიდი და პატარა, კაცი და ქალი, ყველა ტიროდა; ყველა წუხდა ფეჩეიას, „ამ ქვეყნად ჩამოსულ ანგე-

ლოზის“, როგორც მას უძახდენ, დაკარგვას. „საუკუნო იყავნ ხსენება შენი, ჭეშმარიტო ქრისტიანო და კეთილო ადამიანო-ო, დააბოლავა თავისი მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვა მამა ზოსიმემ ფეჩეიას დასაფლავების დროს და ერთხელ კიდევ გადმოადინა ცრემლი სიბრალულისა და სიყვარულისა შეკრებილ ხალხს.

ბ ა ლ ი.

I

— არა, ხვალ ბალში მიდის და ამაღამ აქ რამ მოიყვანა? კითხა ლოგინად ჩავარდნილმა სერგომ ცოლს. ქალს ფერმა გადაკრა ამ სიტყვების გაგონებაზე.

— შენი ავადმყოფობა რომ მივწერეთ, ალბად, იმიტომ ჩამოვიდა, ძლივს წარმოსთქვა მან.

— ბალი... ბალი თავისს გულამოჭრილ და უსახელო კაბებით, პრანჭვა-გრეხით და ხტუნვა-ცუნდრუკით რა სასულელე რამ არის, სისულელე, შეერთებული სისაძაგლესთან! ოითქო ბოდავსო, მაგრამ ისე-კი, რომ ცოლსაც ესმოდა, ამბობდა აკანკალებულის ხმით ბალიშზე მისვენებული სერგო,

— რატომ? წყნარის ხმით კითხა ქალმა.

— განა ამას კითხვა უნდა?.. მობრუნდა უცებ ცოლისაკენ სერგო და მიაშტერა ფართეთ გაღებული თვალები. განა შენ თანახმა არა ხარ ამაზე?

— არა, მიუგო ცოლმა.

— არა?!, გაკვირვებით ძამოიძახა აღელვებულმა სერგომ.

— ფიზიკურად მაინც არის სასარგებლო ცეკვა, თუ სხვებრ არა, სთქვა ქალმა.

— რას ამბობ, თამარ, თანდათან ღელდებოდა ავათმყოფი: ცეკვა სად? დარბაზში, სადაც ასი და და ორასი სანთელი ანთია, ათასი კაცი ირევა და სიცხისა და მტვერისაგან სული ეხუთება ადამიანს? არა, ფიზიკურადაც მავნებელია ამისთანა მდგომარეობაში ცეკვა ნამეტურ კორსეტ შემოჭრილ ქალისთვის, და ზნეობრივად ხომ სულ

გამათახსირ; ბელია, გამრყვნელი, პირუტყვად გადამქცევი!.. თამარის გაკვირვებას საზღვარი აღარ ქონდა და ისე მიჩერებოდა ქმარს, თითქო ვერ უცვნიაო.

— ცეკვა-სიმღერა მესმის ისე, როგორც ხალხმა იცის, განაგრძო სერგომ: მოკრიალებულ ცის ქვეშ, მწვანე მოლზე, წმინდა ჰაერში. ამნაირი ცეკვა მართლა რომ სასარგებლოა; თან სხეულის გამმაჯრებელი ფიზიკური ვარჯიშობაა და თან სულისა და გულის დამატკბობელი პოეზია. ნამეტურ ჩვენი ლეკური. .

– როგორ, ლეკურს უფრო მაღლა აყენებ ევროპიულ ცეკვაზე? გააწყვეტინა თამარმა: ლეკური ხომ ნაშთია იმ დროსი, როცა ხალხი ჯერ ისევ ველურ მდგომარეობაში იყო; როცა დედაკაცი გაურბოდა მამაკაცს და ეს ძალით იპერდა მას...

— ვალსი-კი ნაყოფია ამ დროსი, გააწყვეტინა ახლა სერგომ: როცა ქალი აღარ გაურბის მამაკაცს და, პირ-იქით, ნახევრად შიშველი ხელში უვარდება, არა?.. სერგო შეჩერდა და მწარედ გაღიმებულმა, შეხედა ი ამარს, რომელიც მთლად გაწითლებულიყო და თავი ძირს დაეხარა.

— ლეკურის დროს კაცი და ქალი მხოლოდ თავს აწონებენ ერთმანეთს და ეჯიბრებიან სიმ ეკლუცე-სინარნარეში, განაგრძო ისევ სერგომ: ლეკური, თუ გინდა, სიყვარულის გამოცხადებაა, არშიყობა და ტრფიალებაა, ვალსი-კი იგივე ვნებათა-ღელვის დამაკმაყოფილებელი განცხრომაა! არ ვიცი, რასა გრძნობთ თქვენ, ქალები, როცა, თითქმის შიშველნი, გულში ყაზართ ჩაკრულნი მამა-კაცს, მხოლოდ ვიცი, რასაც ვგრძნობთ ჩვენ და მრცხვენია ადამიანთათვის... ნამეტურ, დიდ ბალის დროს, როცა ამდენი საიდან სადაური ხალხი ერთად იყრის თავს, ო, რამდენი საზიზღარი და შემაძრწუნებელი რამ ხდება?.. ვთქვათ, თამარ, შენ დაესწარი ამ ნაირ ბალს და იცეკვე რომელსამე გარყვნილ ახალგაზდასთან; ახალგაზდას მოეწონე და შეუყვარდი იმ წუთიერ სიყვარულით, რომლითაც მხოლოდ პირუტყვნი და გაპირუტყვებულნი ადამიანნი შეიყვარებენ ხოლმე; შეუყვარდი და მოინდომა კიდეც შენი შეურაცყოფა! როგორ გგონია, ვერ მოახერხებს? მოახერხებს, ჩემო კარგო, მოახერხებს. მე თვითონ ვიყავი

მოწამე, როგორ აკოცა ბალში ვალსის ცეკვის დროს გარყვნილმა ახალგაზდამ სრულიად უმანკო ქალიშვილს ..

— ო, ჩემთვის რომ ეგ ექნა ვისმე, მე იმას ვუჩვენებდი! წამოიძახა მტკიცედ თამარმა.

— ვერაფერს ვერ უზამდი; ვერც-კი გაამხელდი, რადგან თვითონ შენ გაგიტყდებოდა სახელი, კაცი-კი გმირად გადაიქცეოდა საზოგადოების თვალში!.. თამარმა ხმა აღარ ამოიღო და ვეღარც-კი შეხედა ქმარს, რომელიც საშინლად ღელავდა და, უიმისოდ-ც ფერწასული, სრულიად გაფითრებულიყო. ჩამოვარდა დუმილი, რომელსაც მხოლოდ კედლის საათის ერთგვარი განუწყვეტელი ტიკ-ტიკი არღვევდა.

ცოტა ხანს შემდეგ სერგომ ღრმად ამოიოხრა; ერთხელ კიდევ გადახედა ნაღვლით სავსე თვალებით ცოლს და კედლისკენ გადაბრუნდა, დაღონებული თამარი-კი დიდხანს იჯდა კიდევ ერთ ადგილზე სრულიად გაუნძრეველად და მხოლოდ მაშინ წავიდა დასაწოლად, როცა ნახა, რომ სერგოს დაეძინა.

თამარი დიდი ხანია მოუთმენლად მოელოდა ხვალინდელ დღეს, როცა პირველად უნდა დასწრებოდა დიდ ბალს, და წინდაწინვე აღეტაცებინა იმ სანეტარო გრძნობას, რომლითაც გაიმსჭვალებოდა, როცა თავისს საყვარელ სერგოსთან ერთად შევიდოდა გაჩაღებულ დარბაზში და ყველას ყურადღებას მიიქცევდა. თამარი ლამაზი იყო და ჯერ არ გამოეცადა თავისი სილამაზის ძლიერება დიდ საზოგადოებაზე, რადგან სწავლის დამთავრების შემდეგ სულ სოფლად ცხოვრობდა. ხვალ უნდოდა მოეხდინა ეს გამოცდა და, აი, სწორედ ამ დროს გახდა ავად სერგო. მართალია, სერგო უკვე იყო, მაგრამ ტფილისში წასვლა მაინც არ შეეძლო და ამიტომაც მიწერა წერილი მამიდას და სთხოვა, მოსულიყო, რომ მას გაყოლოდა. მამიდა ჩამოვიდა და ამათ გადაწყვიტეს კიდეც ხვალ დილის მატარებლით წასვლა, მაგრამ სერგოს ლაპარაკმა ყოველივე იმედი მოუსპო. ამის მეტად არ შეხვედრია ამის შესახებ ქმართან ლაპარაკი და დღემდის წარმოდგენაც-კი არ შეეძლო, რომ არამცთუ მისი საყვარელი სერგო, რომელსაც უმაღლესი სწავლა ჭონდა მიღებული, უბრალო ტეტიაც-კი ამისთანა აზრის იქნებოდა ევროპიულ დროს გატარების შესახებ.

II

მეორე დღეს, გათენების უმალ, უამბო თამარმა მამიდას ყველაფერი, რაც სერგოსა და მას შორის მოხდა, და დაატანა, რომ გამხელაც კი აღარაფრის შეუძლია ბალის შესახებ.

— ფიქრი ნუ გაქვს, მე მოვახერხებ ყველაფერს, ანუგეშა მამიდამ. თამარი ჯერ უარს ამბობდა, მაგრამ მერე დაეთანხმა მამიდას და, აღელვებული, იცდიდა, — აბა რით გათავდებოდა საქმე.

— დღეს სრულებით კარგადა ხარ, გენაცვალე! უთხრა მამიდამ სერგოს, როცა მის ოთახში შეეიდა და დაუჯდა თავით.

— ასე, მიუგო სერგომ. მამიდამ შუბლზე ხელი გადაუსვა, მერე მაჯა გაუსინჯა და ენაც-კი გამოაყოფინა.

— სიცხე სრულიად აღარა გაქვს, გენაცვალოს მამიდა, დაიწყო შემპარავის ღიმილით ქალმა, ასე რომ ზოგიერთი ყმაწვილი კაცი შენს ადგილზე ადგებოდა კიდეც დღეს და ამაღამ ბალში წამოვიდოდა. სერგომ მხოლოდ გაიღიმა და შეხედა მამიდას.

— დაწყევლოს ღმერთმა, რაღა ახლა გახდი ავად?.. დაიწყო ისევ მამიდამ, სერგოს ღიმილით გათამამებულმა — შენ არ წამოხვალ, არ წამოხვალ, ეიცი შენი სიმხდალე და, მოდი, თამარი მაინც გამოუშვი! სერგოს სახე შეეპმუხვნა ამის გაგონებაზე, მარა მამიდამ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო: საბრალო ამდენი ხანია დაკეტილშია, გულს მაინც გადააყოლებს! სერგოს უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ქალმა არ დააცალა და სხაპა-სხუპით დააყარა: — ჩემთან რა უჭირს? შენ რომ ახლდე იმას, ჩემთან რომ იყოს სჯობია; ხვალ საღამოს ისევ ისე აქ მოგიყვან. შენ ღვთით კარგადა ხარ და რა იქნება, ერთი ღამე უთამაროდ გაატარო?

— ბატონო, მე რას მელაპარაკებით? უთხარით თამარს და, თუ უნდა, წამოვა. მისი ნება არ არის? თქვა აღელვებულმა სერგომ.

— თამარი ასე ამბობს, სერგო როგორ მივატოვოო? ის შენ წყენას ერიდება...

— თუ უნდა, წამოვიდეს! ჩემი წყენა აქ რა მოსატანია? გააწყვეტინა სერგომ. სწორედ ამ დროს ოთახში შემოვიდა თამარიც.

— წამო, გენაცვალე, წამო გამოეწყვე! სერგომ წამოსვლის ნება მოგცა, დაიძახა მხიარულად მამიდამ თამარის დანახვაზე, დასტაცა ხელი და გაიყვანა გარედ.

სერგოს არ ეჯეროდა, რაც მოხდა. ის დარწმუნებული იყო, რომ თამარი წასვლის უარს იტყოდა და შემობრუნდებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა ნახევარ სათის შემდეგ შემოვიდა მასთან სამგზავროო გამოწყობილი და უთხრა:

— რა ვქნა, სერგო, რომ არ მეხსნება მამიდაჩემი, წავყევე? სერგომ შეხედა თამარს.

— შენ გამოწყობილხარ კიდეც და ახლა მკითხავ? უთხრა მღელვარებით, თუმცა ცდილობდა, დამშვიდებულათ ეჩვენებინა თავი.

— სულ თავისი ხელით ჩამაცვა ყველაფერი, შენ ნუ მომიკვდე, დაიწყო თამარმა თავის მართლება, მაგრამ ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა მორთულ-მოკაზმული მამიდაც.

— ეტლი მზად არის! წავიდეთ, თორემ მატარებელს ველარ მივუსწრებთ, თქვა მან და მივიდა სერგოსთან გამოსათხოვრად.

— ნახვამდის, გენაცვალე! არაფერი იდარდო, ხვალამ უეჭველად აქ ვიქნებით მეცა და თამარიც. ამ სიტყვებით აკოცა სერგოს და მიუბრუნდა თამარს: — აბა თამარ, წავიდეთ! თამარი ერთ ადგილზე იდგა და არ ინძრეოდა. სერგომ შეხედა თამარს და თვალები ცრემლებით აევსო.

— თამარ, არ გესმის? ჩასძახა მამიდამ.

— როგორ გაშტერდი? თუ მიდიხარ, რაღაზე იგვიანებ და აგვიანებ ამ ადამიანს? უთხრა თავ-შეკავებით სერგომ ცოლს.

— კარგია კარგი! სხვაც გვინახავს მოყვარული ცოლქმარი; ერთ დღეს რომ ერთმანეთთან არ იქნეთ, ქვეყანა არ დაიქცევა, თქვა მამიდამ.

— ნახვამდის სერგო! უთხრა თამარმა სერგოს და აკოცა შუბლზე.

„ნუ წახვალო, უნდოდა ეთქვა სერგოს, მაგრამ ამის მაგიერ „მშვიდობით"-ო, ამოილუღლუღა. მამიდამ მოკიდა ხელი თამარს და ორივენი გავიდენ გარეთ.

სერგოს ბავშობიდანვე უყვარდა თამარი; უყვარდა მთელ არსებით; უყვარდა წმინდა სიყვარულით, რომელსაც მის თვალში არც დასაწყისი ქონდა და არც დასასრული უნდა ქონოდა. მას წამდა, რომ თამარსაც უყვარს იგი, უყვარს იმავე სიყვარულით, რომლითაც თვითონ უყვარდა; რომ ისინი მართლა ერთ სულს და ერთ ხორცს შეადგენენ; რომ ერთი სურვილი, ერთი მისწრაფება აქვთ და აი, უცებ გაეხილა თვალი, აქამდის დაბრმავებულს, და დაინახა უშველებელი ხრამი, რომელიც ყოფილა მათ შორის და რომელიც ვერ ამოუვსია მათ სიყვარულს!

საბრალომ მანამდის კიდევ ითმინა ქვეშსაგებში, სანამ ხმაურობა ესმოდა, და მაშინ-კი, როცა ყველაფერი მიწყნარდა და მოისმა მიმავალ ეტლის ზარების წკარუნი, გადარეულივით, წამოვარდა ზეზე, მივიდა ფანჯარასთან და მიაშტერდა გზას, რომელზედაც მისრიალებდა ეტლი. „აი, აგერ მოიხედავს თამარი და იგრძნობს თავისს დანაშაულს“ო, ფიქრობდა სერგო და უკვირდებოდა მიმავალ ეტლს, მაგრამ ცხენებმა უცებ მიუხვიეს მოსახვევთან და ეტლიც მიეფარა თვალთაგან.

— თამარ, თამარ, ეს იყო ჩვენი სიყვარული? საშინელი ხმით დაიღრიალა მაშინ სერგომ და, გულ-შეწუხებული, დაეცა იატაკზე...

იმავე ღამეს ბალიდან დაბრუნებულ თამარს ბინაზე დეპეშა დახვდა.

„სერგო გარდაიცვალა,“ ეწერა დეპეშაში.

ᲗᲐᲡᲝ

I

დაბა №-ს ბოლოზე იდგა დიდი ოდური სახლი, რომელსაც წინ ქონდა ფართე აივანი ძველებურად მოჩუქურთმებულ სვეტებით და მოაჯირებიანი დასაჯდომებით. ამ სახლის ეზო, გარს შემოვლილი მაღალი მესრით, რომელშიაც დატანებული იყო ვეება ალვის ხეები, თითქმის ათ ქცევაზე მეტი იქნებოდა. ეზო სავსე იყო უშველებელი საჩრდილობელი ხეებით: ცაცხვებით, ჰადრებით და კოპიტებით; სავსე იყო აგრეთვე ხეხილით და მაღლარი ვენახით, რომელიც გასული იყო ხეებზე. აივნის წინ პატარა ბაღჩა იყო მშვენიერ ვარდებით და სხვა-და-სხვა ნაირ ყვავილებით. სახლს უკან ჩამომწკრიეებულიყვენ ხუთი, მაღალ ბოძებზე შეყენებული, სასიმიდე, ორი ზორბა ბეღელი, სამზარეულო, მარანი, საბძელი, ბოსელი და სხვა ოჯახისთვის საჭირო შენობები. ყველა ეს აშკარად ამტკიცებდა, რომ შრომის მოყვარე კაცს ეკუთვნოდა ეს სახლ-კარი. მართლაც, ვამეხ უშქულორია, პატრონი ამ სახლისა, განთქმული იყო მთელ სამეგრელოში, როგორც მდიდარი და დაუზარებელი მუშა კაცი. „ასი ცხენოსანი რომ შეეიდეს ვამეხისას, ყველას შეუწუხებლად დახვდება და გაუმასპინძლდება“-ო, ამბობდენ ამაზე.

ერთ ზაფხულის საღამოს, როცა მზე, ნახევრად ჩასული, უკანასკნელად ულიმოდა ქვეყანას და ეთხოვებოდა, ვამეხის სახლის აივანზე ისხდენ 19—20 წლის ქალი ვამეხისა, ტა:ო, და 25—26 წლის ყმაწვილი, კოსტა მახარია.

ყმაწვილს თავი ჩაეღუნა და მეტის მღელვარებისაგან სახეზე ნაცრის ფერი დაკვროდა, ქალი—კი ერთობ გაწითლებულიყო და

შემბრალე თვალებით მიჩერებოდა ყმაწვილს. ცხადი იყო, რომ ამათ რაიმე დიდ საგანზე ქონდათ ლაპარაკი და ახლა შემდგარიყვნენ ერთმანეთს, რომ ღონის მოკრება იყო საჭირო. ცოტა ხანს შემდეგ ღრმად ამოიოხრა კოსტამ და თავ-აუღებლად მიმართა ქალს:

— მაშ, ყველაფერი უნდა გათავდეს ჩვენ შორის, ტასო? მეც იმ ყმაწვილთა რიცხვში უნდა გავერიო, რომელნიც...

— ყველაფერი რად უნდა გათავდეს? გააწყვეტინა ტასომ. ჩვენ შეგვიძლია და-ძმანი ვიყოთ და განვაგრძოთ ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება.

— არა, მე ეგ არ შემიძლია, თქვა ყმაწვილმა და წამოდგა. – მშვიდობით, ხმის კანკალით დაუმატა მან და თვალები აემღვრა.

— სად მიხვალ? კითხა ქალმა და თვითონაც ადგა.

— მეც არ ვიცი, მიუგო ყმაწვილმა. – ვიცი მხოლოდ, რომ აღარავითარი საგანი აღარა მაქვს იმისთანა, რომლისთვისაც ღირდეს სიცოცხლე; ვიცი, რომ ის ერთად-ერთი ძაფი, რომელიც მაკავშირებდა ქვეყანასთან, დღეს გაწყდა...

— რატომ, რატომ? გააწყვეტინა ტასომ. კოსტა შედგა და ისეთი თვალებით შეხედა ტასოს, რომ ამან თვალი ველარ გაუსწორა და ძირს დაუშვა. ქალმა იგრძნო, რომ უადგილო კითხვა იყო და შერცხვა.

— მებრალები, კოსტა; ძლიერ მებრალები, მაგრამ რა ვქნა? თქვა ტასომ, რომ დაეფარა თავისი შეცდომა.

— გებრალები?.. წამოიძახა კოსტამ. — კიდევ კარგი!.. იქნება, იმედსაც გამატან, რომ, ეგებ, შეიცვალო აზრი და...

— არა, არა; ეგ არ შემიძლია, გააწყვეტინა ქალმა: მე ბავშვი აღარა ვარ, რომ დღეს ერთი ვიფიქრო, ხვალ სხვა. მე დიდი ხანია გადავწყვიტე, რომ არ გავთხოვდები და ველარაფერი ველარ შემაცვლევინებს ჩემ გადაწყვეტილებას.

— კარგია, კარგი, თქვა ნაღვლიანი ღიმილით კოსტამ: შენ რომ გაუთხოვარს არ დაგაყენებს მამა შენი, ეს ცხადია და აგრე რად მიბამ თვალებს? ბარემ პირდაპირ მითხარი, რომ არ მომწონხარ და ვერ წამოგყვები-თქვა.

— გაძლევ პატიოსან სიტყვას, კოსტა, რომ მრვკვდები და არ გავთხოვდები, თქვა მტკიცედ ტასომ.

— მჯერა, ბატონო, მჯერა; უკაცრავად, რომ შეგაწუხეთ. როგორც ვნებავთ, ისე მოიქეცით! მე რა უფლება მაქვს, რომ ამ-დენსაც ვბედავ? ბოდიშს ვიხდი და, იმედია, მაპატიებთ დღევანდელ გაკადნიერებას... მშვიდობით! დაუმატა ბოლოს თავ-შეკავებით კოს-ტამ და დააპირა წასვლა.

— ნახვამდის! უთხრა ტასომ/ და გაუწვდინა ხელი.

— მშვიდობით, განიმეორა კოსტამ, მოკიდა მაგრად ტასოს ხელს ხელი და მიიტანა ტუჩებთან. ტასო არ წინააღმდეგებია ორივე ერ-თობ აღელვებული იყო.

— არა, მაგრე ნუ მეთხოვები!.. იმედი მაქვს, კიდევ ხშირად ვნახავთ ხოლმე ერთმანეთს! უთხრა ტასომ.

— არ ვიცი... მე სხვაგან უნდა წავიდე, თქვა ვაემა და უცებ გატრიალდა, რადგან თვალებზე ცრემლები მოერია და არ უნდოდა, ეჩვენებინა ქალისთვის, რომელიც უყვარდა და რომელშიაც თანაგრძ-ნობა ვერ პოვა.

კოსტამ უცებ ჩაირბინა კიბე და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ჭიშკ-რისკენ, თითქო ეშინია, რამემ არ შეაყენოს და უკანვე არ დააბრუ-ნოსო. ტასო უძრავად იდგა ერთ ადგილზე, თითქო ლურსმნით დაუკ-რავთო და მიჩერებოდა მიმავალს. თვალები ცრემლებით ავსებოდა, ორი მარგალიტი კიდეც გადმოგორებულიყო და მის მშვენიერ ლო-ყებს დაკვროდა. კოსტა მივიდა ჭიშკართან და მხოლოდ ახლა მოიხე-და უკან, მოიხედა და, ტასო რომ იმავე ადგილზე ნახა, რომელზედაც დატოვა, უცებ გაიბრუნა პირი, თითქო შერცხვა თავისი სისუსტისო, გააღო ჭიშკარი და გავიდა. კოსტამ რა იცოდა, თუ მაშინ ტასო სულ სხვა ფიქრებში იყო გართული, რა იცოდა თუ იგი ტიროდა? მას ეგონა, რომ ტასოს ქვის გული აქვსო და შეხედაც-კი აღარ უნდო-და შისი.

ტასო კი დიდხანს იდგა იმავე ადგილზე და მიჩერებოდა ჭიშ-კარს, თითქო ელის რაღაცასო. იქნება, იგი ფიქრობდა, კოსტა ვერ მოითმენს ამ გვარად საქმის დაბოლოებას და ისევ დაბრუნდება

ერთხელ კიდევ ბედის საცდელათო? მერე რას იზამდა ტასო, კოსტა რომ დაბრუნებულიყო?! ვინ იცის, რას იზამდა, მაგრამ კოსტა აღარ ბრუნდებოდა და თანდათან ბნელი ზეწარი ეფინებოდა დედამიწას. ოთახებში სანთლები დაანთეს და ჭიქების რეცხვის ხმა მოისმა. ბიჭს სამოვარი შემოეტანა და ჩაის ამზადებდა. ტასო მაინც იდგა და მიჩერებოდა ჭიშკარს, რომელსაც თანდათან ყლაპავდა სიბნელე. უეცრად მოისმა ჭიშკრის ჭრიალი. ტასო შეკრთა და უკვირდებოდა სიბნელეს; გულმა საშინლად დაუწყო ცემა და იგრძნო, რომ მთელი სახე აენთო. „ნუ თუ ისევ დაბრუნდა?“ გაუელვა ფიქრმა ტასოს. „ოჰ!“ წამოიძახა მან, როცა გაარჩია ჭიშკართან ვიღაც და წამოიძახა ისეთი ხმით და კილოთი, რომ კაცი ვერ მიხვდებოდა, სიხარულის ნიშანი იყო, თუ წყენის. „მამა“-ა, წაიჩურჩულა ტასომ, როცა კაცი მოუახლოვდა სახლს, და შევიდა თავისს ოთახში. „მადლობა ღმერთს, ყველაფერი გათავდა!“ თქვა თითქმის ხმამაღლა ტასომ და მიწვა ლოგინზე, რომ უფრო თავისუფლად მიცემოდა ფიქრებს, რომელნიც გარს შემოხვეოდენ. ტასო იწვა უძრავად და ფიქრობდა. მას ესმოდა, როგორ შევიდა ვამეხი თავისს ოთახში, სადაც ჩაი უკვე მზათ იყო, როგორ იკითხა ტასო, მაგრამ არ იღებდა ხმას, არ ინძრეოდა. ტასომ გადაწყვიტა, არ გასულიყო მამასთან, რადგან მამის თვალი მაშინვე შეამჩნევდა უჩვეულო აღელვებას თავისს ერთად ერთ ნუგეშს და მისი მგრძნობიერე და მოყვარული გული მეტად შეწუხდებოდა.

— ტასო, ავად ხომ არა ხარ, შვილო? მოესმა ტასოს ვამეხის ხმა, რომელიც წყნარი ნაბიჯით მოადგა კარებს.

— არა, მამა. ბევრი ვიარე დღეს, ცოტა დაღალული ვარ და იმიტომ წამოვწევი, მიუგო ტასომ.

— თუ გინდა, ჩაი, მანდ მიატანინე! უთხრა ვამეხმა.

— არა, მამა. უიმისოდაც საშინლად მცხელა... არ მინდა ჩაი, უპასუხა ტასომ ტკბილად.

— შენი ნებაა, შვილო, მიუგო ვამეხმა და მიუჯდა სტოლს. ტასომ იცოდა, რომ მამა დიდხანს არ გაათავებდა ჩაის და შეეძლო თავისუფლათ გართულიყო ფიქრებში. მან გამოწია პატარა სტოლის უჯრა, რომელიც იქვე თავით ედგა, ამოიღო იქიდან რაღაც შეხვეული

ქაღალდი და გახსნა. ქაღალდში იყო გამოხვეული ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც წარმოადგენდა 9—10 წლის მეტად ლამაზის ბავშის სახეს. ტასომ დაიკავა ხელში ეს სურათი და დაუწყო მზერა იმისთანა ცეცხლის მფრქვევ თვალებით, როგორც მხოლოდ საყვარელ არსებას უმზერენ ხოლმე. „ნამდვილი ანგელოზია, ანგელოზი!“ ბუტბუტებდა ტასო და დაჩერებოდა სურათს. მართლა რომ ანგელოზს მოგაგონებდათ ბავშის ნაზი სახე, შემკული მშვენიერ ხუკუკა თმით და გრძნობით სავსე თვალები, ფართო შუბლს ქვეშ მოქცეული. დიდხანს დაჩერებოდა ტასო ამ სურათს და ეტყობოდა, რომ სიამოვნებას, კმაყოფილებას გრძნობდა. ვისი იყო ეს სურათი, ან რას ფიქრობდა მაშინ ტასო? რა ეხატებოდა თვალწინ, რას იგონებდა ეს ჯერ ნორჩი ქმნილება თავისს მოკლე სიცოცხლიდან?.

II

ტასო მაშინ 16-ის წლისა იქნებოდა და გიმნაზიაში სწავლობდა. იგი მეოთხე კლასში იყო და, თუ სწავლით არა, სილამაზით მაინც განთქმული იყო და მთელ გიმნაზიაში ტოლი არა ყავდა. ქალი ხომ ყველა კეკლუცია, კოპწიაა; უნდა, ყველას მოწონდეს, ყველა შეფრფინვიდეს და ლამაზი 16-ის წლის ტასოც, რასაკვირველია, კოპწია იქმნებოდა. უნდა გენახათ, როცა ტასო გიმნაზიის ფორმაში, წიგნებით ხელში, კოხტად მიდიოდა გიმნაზიისაკენ! ამას წამდა, რომ ყოველი გამვლელის თვალი უნებლიედ შედგებოდა, რომ დამტკბარიყო მისი მშვენიერებით, და თვითონაც ყოველ ღონეს ხმარობდა, ყველას მოწონებოდა, ყველა აღტაცებაში მოეყვანა. ვინც უნდა შეხვედროდა, პატარა ბალღი, რომელიც ძლივს მითოთხავდა რომელსამე სკოლაში, მზარეული, რომელიც, კალათით ხელში, ბაზრისაკენ მიეშურებოდა, მეეტლე, უსაქმოდ მდგარი რომელსამე ქუჩაზე, მედუქნე, მოხელე, ყველას ისე გადახედავდა ერთხელ და მერე ძირს დაუშვებდა თვალებს, თითქო უთხრაო: „შემომხედე, რა მშვენიერი რამა ვარ“-ო... უნდა გენახათ, როგორ ნეტარებდა ტასო, როცა ვინმე,

თუნდ ასი წლის ბებერიც ყოფილიყო, შედგებოდა და დაუწყებდა მზერას.

ტასოს ბინა თფილისის ქუჩაზე, ინგლისის ქუჩის ზემოდ იყო და კაი ძალი გზა ქონდა გიმნაზიამდის გასაელელი, მაგრამ გზაზე სრულიად არ იღალებოდა, რადგან სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეჭირა თავი, რომ უფრო მშვენიერად ჩვენებოდა გამვლელებს.

ერთხელ, როცა ტასო ინგლისის ქუჩას მიუახლოვდა, დაინახა თბილისის ქუჩისკენ მომავალი 14—15 წლის გიმნაზიელი. ტასომ უკლო სიარულს. გიმნაზიელი დაუმაარდამხარდა ტასოს და შეხედა. ტასომაც გადახედა თავმომწონედ გიმნაზიელს და იგრძნო, რომ საბრალო ყმაწვილი მოიხიბლა მისი მშვენიერებით. ტასოსაც ეს უნდოდა. მან თვითონაც შენიშნა, რომ გიმნაზიელი ძლიერ ლამაზი უნდა ყოფილიყო, თუმც ეტყობოდა, რომ ერთოპ ნაზი აგებულობისა იყო და მასთან ახალი ნაავადმყოფარიც. რამდენჯერმე კიდევ შეხედეს ერთმანეთს ტასომ და გიმნაზიელმა ქალთა გიმნაზიასთან მისვლამდის. აქ ერთხელ კიდევ გადახედა მედიდურად ტასომ ყმაწვილს და ამაყად შევიდა კიბეზე, სრულიად დარწმუნებული, რომ გაიმარჯვა და ერთი მამა-კაცთა წარმომადგენელი მაინც თავისს ფეხთა მტერად აქცია...

მეორე დღეს ტასომ შორიდანვე შეამჩნია, რომ ინგლისისა და თბილისის ქუჩის შესართავთან, ყარაულივით, იდგა გუშინდელი გიმნაზიელი და იცდიდა. „გამარჯობა შენი," გაუელვა ტასოს გულში და ცბიერი ღიმილით გადახედა ყმაწვილს, როცა მიუახლოვდა. გადახედა და გაუჩქარა ფეხს, თითქო წყინსო, რომ ვიღაც ბალღი ბედავს მის ცდას და უკან დევასო. ყმაწვილი, დაღონებული, გაყვა უკან ტასოს.

მესამე დღეს იგივე განმეორდა, მეოთხე დღესაც, მეხუთესაც და ამნაირად ყოველ დღე ამაყი ტასო მიდიოდა გიმნაზიისაკენ თავისი „პატარა პაჟით," როგორც უძახოდა თავისს გულში ყმაწვილს.

დრო მიდიოდა. ტასო გრძნობდა, რომ იგი უყვართ, თაყვანსა ცემენ და კმაყოფილი იყო. ტასომ იცოდა, რომ საბრალო ბავშვს მისი გაცნობა, მისი ხმის გაცემა მთელ სიცოცხლეს ერჩია, მაგრამ

ისე როგორ დაიმცირებდა 16-ს წლის ქალი თავს, რომ ვიღაც ბალღს ხმას გაცემდა? ის კი არა, მერე და მერე შეხედვასაც არ აღირსებდა ხოლმე უბედურს. მან იცოდა, რომ სამუდამოდ დაატყვევა, მონად გაიხადა და მეტი რა-ღა უნდოდა? ?ისი ქალური თავმოყვარეა დაკმაყოფილებული იყო და მეტს რაღას დაეძებდა? რატომ იქცეოდა ასე? იმიტომ ხომ არა, რომ სხვისი ტანჯვა ესიამოვნებოდა? არა, ბუნებით ისეთი გულჩვილი იყო, რომ ვინმე ატირებული დაენახა, უსათუოდ თვითონაც მორთავდა ტირილს, მაგრამ ქალი იყო და ქალურად იქცეოდა იგი, თითქო ინსტიქტიურად უხდიდა სამაგიეროს მამა-კაცთა წარმომადგენელს დედა-კაცთა დამონებისთვის და ტანჯავდა, აწვალებდა, სარგებლობდა რა იმ ძალით, რომელიც მისთვის მიენიჭებინა განგებას.

III

ერთ ღილას, როცა ტასო მივიდა ინგლისის ქუჩასთან, სადაც ჩვეულებრივად იდგა ხოლმე „პატარა პაჟი," უეცრად საშინლად მოიღრუბლა და შხაპუნა წვიმა წამოვიდა. ტასოს თხელი საზაფხულო კაბა ეცვა, რადგან, როცა შინიდგან გამოვიდა, ცხელოდა და აღარც ქოლგის წამოღება გახსენებია. გიმნაზიელიც საზაფხულო ბლუზის ამარა იყო, მაგრამ იმხელა საწვიმარი ქოლგა ეჭირა ხელში, რომ წვიმა ვერაფერს დააკლებდა. ტასო შედგა, შეხედა ცას და დაინახა თუ არა, რომ წვიმა არ ხუმრობდა, დააპირა უკანვე დაბრუნება. „ხომ სიცილს დამაყრის, ახლა რომ უკან დავბრუნდე," გაიფიქრა უცებ ტასომ: „წვიმამ როგორ უნდა შემაშინოს?" და გაუდგა გზას გიმნაზიისკენ. ყმაწვილი მიხვდა, რაც აწუხებდა ტასოს, და დაედევნა უკან. წვიმამ თან-და-თან უმატა და რამდენსამე წუთს შემდეგ კოკისპირულად დაასხა. ტასომ მოიხედა უკან და შეხედა ბავშს და მერე მის ქოლგას, რომელიც გაუშლელად ეჭირა ხელში. თითქო ამას უცდიდაო, გიმნზიელმა მიირბინა ტასოსთან და ქოლგა მიაწოდა.

— უკაცრავადა ვარ, მაგრამ საშინლადა წვიმს და მიირთვით ჩემი ქოლგა! უთხრა ბავშმა ტასოს. ტასომ ხმა არ ამოიღო; ერთი გადახედა მრისხანედ არა მკითხე კეთილის მყოფელს და წავიდა წინ მობუზული.

— ღმერთმანი ძლიერ დასველდებით და წიგნებიც სრულიად გაგიფუჭდებათ... წაიღეთ ქოლგა! განიმეორა ბავშმა ვედრებით.

— თქვენ თვითონ დაგჭირდებათ, უთხრა ტასომ და არც-კი შეხედა ყმაწვილს.

— მე წიგნები ჩანთაში მიწყვია და არაფერი უჭირს. . მაინც მე არ გავშლი ქოლგას, რიცა თქვენ ასე იწუწებით, მიუგო ყმწვილმა. ტასო ხმას არ იღებდა და მიდიოდა; წვიმა სულ უმატებდა და უმატებდა.

— გეფიცებით, თუ არ გამომართმევთ ქოლგას, აქვე ქუჩაში დავაგდებ! სთქვა ისევ ყმაწვილმა და შეჩერდა, თითქო მართლა უნდა, სისრულეში მოიყვანოს თავისი გადაწყვეტილებაო.

— კარგი, კარგი; რაკი აგრე გსურთ, მომეცით! უთხრა ტასომ. ბავშმა მაშინვე მიირბინა და მიცა. ტასომ მოიმარჯვა ხელში ქოლგა და წავიდა.

ო, რა ბედნიერი იყო მაშინ „პატარა პაკი!“ მას თავი ამ ჟამად ძველი რაინდი ეგონა, რომელიც სიკვდილისაგან იხსნის თავსს გულის მფლობელს. საწყალი თავიდან ფეხებამდე გაწუწულიყო, მაგრამ აღარაფერი აღარ ახსოვდა, რაკი ხედავდა, რომ იმის ქოლგით სარგებლობს საყვარელი არსება.

ტასოს ერთხელაც აღარ მოუხედავს უკან მას შემდეგ. მან იცოდა, რომ საშინლად იწუწებოდა საბრალო ყმაწვილი, მაგრამ რა ენაღვლებოდა? „გაიწუწოს, მისთვის ისიც დიდია, რომ ხმა გაეეცი და მისი ქოლგა ხელში დავიკავე-“ ო, ფიქრობდა ტასო და მიდიოდა წინ. მხოლოდ, როცა გიმნაზიის კიბეზე შევიდა და თავი დახურულში ამოყო, ნოუბრუნდა ყმაწვილს და გაუწოდა ქოლგა.

— თქვენთან იყოს: იქითობისთვის დაგჭირდებათ! უთხრა გიმნაზიელმა.

— მანამდის გამოიდარებს და, თუ ისევ წვიმა იქნა, აქაც ვიშოვი, რაღაც ამპარტავნულის თავმოწონებით უთხრა ტასომ ბავშს. ჯერ

კინალამ ღიმილი მოუვიდა ტასოს, როცა შეხედა ბავშის ამოწუმპულ ტანისამოსს, მაგრამ, როცა ბავშმა თავაზიანად ჩამოართვა ქოლგა და წავიდა, სინანული იგრძნო. „საწყალი როგორ ამოწუმპულა!“ იფიქრა ტასომ: „მერე ახალი ნაავადმყოფარი მაინც არ იყოს?.. ახლა ისევ რომ გახდეს ავად, ხომ ჩემი ბრალი იქნება? რა მიჭირდა, ისიც მომეპატიჟა და ორივეს გვესარგებლნა იმხელა ქოლგით? ხომ ორივეს დაგვიფარავდა?..“ ამ ფიქრებით შეაღო ტასომ გიმნაზიის კარები და მთელ დღეს არ გამოსულია თავიდან ეს და ამისთანა ფიქრები. „მადლობაც არ მითქვამს, მადლობაც... ო, რა საზიზღარი რამა ვარ! მან თითქმის თავი გაიწირა ჩემთვის და ნე-კი ხმის გაცემასაც ვაჭირვებდი... ხვალ, უეჭველად, გავასწორებ ჩემ შეცდომას: ბიდიშს მოვიხდი და გაეცნობი კიდევაც. მერე ჩვენ ერთად ვივლით ყოველთვის, როგორც მეგობრები და ამხანაგები!“ უკანასკნელმა ფიქრმა, ცოტა არ იყოს, დაუმშვიდა გული და მოუთმენლად ელოდა მეორე დღეს, როცა უნდა ენახა თავისი „პატარა პაჟი“, რომელიც მის თვალში ახლა ნამდვილი გმირი იყო.

IV

მეორე დილას ტასო დარცხვენილი უახლოვდებოდა ინგლისის ქუჩას, სადაც ჩვეულებრივად უნდა დახვედროდა გიმნაზიელი, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა ნახა, რომ იქ არავინ იყო! „იქნება,ეწყინა ჩემი გუშინდელი ქცევა და სრულიად აღარ მოშეკაროს“, გაიფიქრა ტასომ და შეწუხდა. ტასომ თითონაც არ იცოდა, რას გრძნობდა მაშინ გიმნაზიელის მიმართ. იცოდა, მხოლოდ, რომ უნდოდა გადაეშალა მისთვის თავისი გული; უნდოდა, ცუდის აზრის არ ყოფილიყო მაზე ის მშვენიერი, უმანკო ქმნილება, რომელიც უფრო ანგელოზსა გავდა, ვინემ ადამიანის შვილსა ტასო გაჩერდა ტფილისისა და ინგლისის ქუჩების შესართავთან და დაიწყო ცდა. დიაღ, ის ტასო, რომელიც დღემდის ასე ამაყად და გულცივად ეჭცეოდა ყმაწვილს, დღეს თვითონ უცდიდა მას, დარცხვენილი. სად-ღა იყო წინანდელი ამპარტავნული მედიდურება, გაზვიადებული

თავმოყვარეობა? ტასო დღეს იყო მშვიდი, თავდაბალი, გრძნობით აღსავსე გულის ქალი, რომლის ერთად-ერთ სურკილსაც შეადგენდა, სხვის წინ თავი მოეხარა.

კარგა ხანს იყო ტასო ერთ ადგილზე გაჩერებული. ბევრი გამ-ველელი შეჩერდა და დაუწყო მზერა, მაგრამ აღარავისთვის აღარ სცალოდა, აღარავინ აღარ ახსოვდა. მოწყინდა ტასოს ერთ ადგილ-ზე ყოფნა და დაიწყო აქეთ-იქით სიარული ჯერ ტფილისის ქუჩაზე და მერე ინგლისის ქუჩაზედაც გადავიდა. ტასო უკვირდებოდა ინგ-ლისის ქუჩაზე მდგარ სახლების ფანჯარებს და ეძებდა, ეძებდა გაც-ხარებით იმ ყმაწვილს. უეცრად გაიღო ერთი სახლის ჭიშკარი. ტა-სო შეკრთა და, ათრთოლებულმა ,დაუწყო მზერა, ვინ გამოვიდოდა. ჭიშკარში გამოჩნდა გიმნაზიელი და ტასოც გახარებული გაექანა მისკენ, როგორც ძველ მეგობრისაკენ. გიმნაზიელი უწიგნებოდ მოდი-ოდა და თავიც შეხვეული ქონდა. აშკარა იყო, რომ ის არ იყო კარ-გად, რომ დღეს გიმნაზიაში აღარ მიდიოდა და მხოლოდ ტასოს და-ნახვაზე გამოვიდა გარეთ. ისინი მიესალმენ ერთმანეთს და უთხრეს თავიანთი სახელი და გვარი.

— მე თქვენთან ბოდიშის მოსახდელათ მოვედი, უთხრა ტასოს მისალმების შემდეგ.— მე გუშინ საძაგლად მოვიქეცი: ჯერ ერთი, არ მიგიწვიეთ, რომ თქვენც გესარგებლათ თქვენი ქოლგით და, მეორე, მადლობაც არ გითხარით... იმედია, მაპატიებთ დანაშაულს და ცუდ აზრს არ იქონიებთ ჩემზე, მე მინდა, რომ ჩვენ მეგობრები ვიყოთ ..

— გმადლობთ, უთხრა გაწითლებულმა ყმაწვილმა: —მე ბედ-ნიერი ვარ დღეს და მადლობა იქით უნდა გითხრათ...

— თქვენ არ შეგიძლიათ, განა? გაწყინათ გუშინდელმა წვიმამ? — გააწყვეტინა ტასომ.

— არა, არა; ცოტა თავი მტკიოდა და გაკვეთილი ველარ და-ვისწავლე; ამიტომ დავრჩი შინ, მიუგო ყმაწვილმა, მაგრამ იმისი სა-ხე ამტკიცებდა, რომ ტყუოდა და ძალიან ავად უნდა ყოფილიყო

— დაბრუნდით, დაბრუნდით სახლში!.. უთხრა ტასომ.

— პატარაზე გაგაცილებთ; მე ახლა სრულიად კარგათ ვარ. ეუბნებოდა ყმაწვილი და მიყვებოდა. ისინი გაერთენ ლაპარაკში და

არც კი შეუტყვიათ, როგორ მიუახლოვდენ ფოტოგრაფიას. ბიჭმა სწორედ ამ დროს გამოიტანა ორი უშველებელი ჩარჩო ფოტოგრაფიული სურათებით და ჩამოკიდა. ტასო უნებლიედ შედგა ერთი მათგანის წინაშე და დაუწყო თვალიერება სურათებს. ყმაწვილი გვერდით უდგა და მიჩერებოდა.

— აბა, თუ ვისმე იცნობთ აქ? —უთხრა მან ბოლოს ტასოს. ტასომ რამდენჯერმე ჩამოათვალიერა ყველა სურათები და შეჩერდა ერთზე.

— ნუ თუ ეს თქვენა ხართ? —კითხა ამან გაკვირვებით.

— დიაღ, მე ვარ; ახლა აღარა ვგევარ, განა? —მიუგო ყმაწვილმა.

— რა მშვენიერებაა!.. მე ასე დახატული მხოლოდ ანგელოზები მინახავს, წამოიძახა ისეთი აღტაცებით ტასომ, რომ ხელში ქონოდა სურათი, უეჭველია, გულში ჩაიკრავდა და აკოცებდა.

— ეგ მაშინდელი აღებულია. როცა გიმნაზიაში შევედი. მაშინ კარგად ვიყავი, ახლა კი, ეს ერთი წელიწადია, სულ ავადა ვარ და სიშინლად გავხდი, თქვა ყმაწვილმა.

— არაფერია; კვლავ ისევ კარგად იქნებით, უთხრა ტასომ და შეხედა თავისს მშვენიერი თვალებით, თითქო ეუბნებაო: „მე მინდა, კარგად იქნე და, უეჭველია, კარგად იქნებიო.“

ამ დროს ჩამოიარა ერთმა ტასოს ამხანაგმა ქალმა და, ტასო რომ გაჩერებული ნახა, აჩქარებით მიაძახა:

— ტასო, გვიანია; წამოდი მალე! ტასო მხოლოდ ახლა მოვიდა გონზე და, ცოტა არ იყოს, შერცხვა, რომ ამხანაგმა გიმნაზიელთან დაინახა, მაგრამ მერე ისევ მივიდა და ტკბილად უთხრა:

— ახლა კი დაბრუნდი შინ და თავს გაუფრთხილდი! იმედია, ხვალ სულ კარგად იქნები. და უფრო მხიარულად შევხვდებით ერთმანეთს. მაშ, ნახვამდის! დააბოლავა ტასომ თავისი სიტყვები და ჩამოართვა ხელი ახალ მეგობარს, რომელსაც თვითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა, რომ შენობით დაუწყო ლაპარაკი.

— მშვიდობით! უთხრა ყმაწვილმა, თვალებზე ცრემლები მოერია და მაგრად მოუჭირა ხელი ხელზე საყვარელ არსებას. დიახ, სა-

ყვარელს, რადგან ჯერ დღემდისაც უყვარდა ტასო და დღეს ხომ მთელი არსებით შეიყარა იმ უმანკო და წმინდა სიყვარულით, რომელსაც ბავშურ სიყვარულს ეძახიან. ტასოს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ველარაფერი ველარ უთხრა; მხოლოდ შეხედა კიდევ და წავიდა ჩქარი ნაბიჯით, რომ მოწევოდა თავისს ამხანაგს.

ყმაწვილი დიდხანს იდგა და მიჩერებოდა მიმავალ ტასოს. მას კიდევაც ახარებდა თავისი ბედნიერება და კიდეც აწუხებდა, თითქო გრძნობსო, რომ მუდმივი ამ ქვეყნად არა არის რა და, ვაი, თუ მის ნეტარებასაც ვალე ბოლო მოეღოსო.

მხოლოდ, როდესაც სრულიად მიიმალა ტასო, მაშინ მოვიდა გონზე ყმიწვილი და დააპირა შინისაკენ წასვლა. მაგრამ აქ რაღაც საშინელი რამ მოხდა: მან სრულიად ვერ მოახერხა ფეხის გადადგმა; მთელი სხეული, ვერხვის ფურცელივით, აუკანკალდა, მუხლები მოეკეცა და დაეცა მიწაზე. პოლიციელი, რომელმაც ამ დროს ბედზე გამოიარა, მივადა მასთან, გამოკითხა ვინაობა და ეტლით წაიყვანა ბინაზე.

V

ნიკო (ყმაწვილს ნიკო ერქვა) ახალი ნაავადმყოფარი იყო; გუშინდელმა დასველებამ ხელმეორედ გაცივა; დღევანდელი გარეთ გამოსვლა, დაღალვა, აღელვებაც ზედ დაერთო, და მძიმე ავადმყოფი შეიქნა ისევ. მასპინძლებმა ჯერ არ მიაქციეს მის ავადმყოფობას ყურადღება, რადგან თავი მობეზრებულა ქონდათ ნიკოს ამდენი ავადმყოფობით და, სანამ უკანასკნელ მდგომარეობაში არ ჩავარდა, არც ექიმი მოუწვევიათ და არც მის მშობლებესათვის შეუტყობინებიათ. როცა ექიმი მოიწვიეს, საქმე ცუდათ იყო. ეს მესამედ მოსვლოდა ნიკოს ფილტვების ანთება...

მთელი ერთი საათი უცადა მეორე დღეს ტასომ თავისს ახალ მეგობარს და პირველი გაკვეთილი სრულიად გამოუშვა, მაგრამ ნიკოს მაშინ საშინელი სიცხე ქონდა და აღარა გაეგებოდა-რა. ტასომ იგრძნო, რომ ნიკო ძლიერ ავად უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა უნდა

ექნა? მესამე და შემდეგ დღეებსაც ამაოდ ჩაუარა ტასოს ცდამ. ამის მწუხარებას საზღვარი აღარა ქონდა. ტასო ხედავდა ნიკოს სახლის წინ ეტლებს, რომლებიდანაც ხტებოდენ ექიმები; ხედავდა, როგორ მოქონდათ სხვა-და-სხვაფერ ქაღალდებში გამოხვეული შუშები და კოლოფები, რომლებშიაც წამლები უნდა ყოფილიყო, და გული ნაღვლით ევსებოდა, რომ არ შეეძლო ენახა ის, ვინც თავი შესწირა. „შევალ, ვნახავ!“ იფიქრებდა ხანდახან ტასო და დააპირებდა სახლში შესვლას, მაგრამ ისევ შედგებოდა. „რა პირით მივიდე, რა ვთქვა ჩემის ვინაობის შესახებ?“ ფიქრობდა იგი: „ხომ იფიქრებენ, ვილაც გარყვნილი ქალი ყოფილა, თორემ როგორ მოდის უნათესავო ყმაწვილის სანახავადო... მაინც როგორ შევხედო მის მშობლებს, რა ვუთხრა თვითონ მას? ხომ მე ვარ დამნაშავე მის ავადმყოფობაში!.. ო, ღმერთო, რად გამაჩინე ასე უბედური?“ თვალებზე ცრემლ მორეული იტყოდა ხოლმე ღრმა ამოოხვრით და შეხედავდა ზეცას. ტასო თვითონაც გახდა ამ ხნის განმავლობაში; მადა დაეკარგა, ძილი არა ქონდა და ცოტა მიზეზი-ღა იყო საჭირო, რომ თვითონაც ლოგინად ჩავარდნილიყო...

VI

ერთ კვირა დილას ტასოსთან შევიდა ერთი მისი ამხანაგი. ტასო მზად იყო წასასვლელად ინგლისის ქუჩისკენ ნიკოს ამბის გასაგებად და ორივენი ერთად გამოვიდენ ქუჩაზე.

— ხედავ, მიცვალებული გაუსვენებიათ, თუ ახლა გაასვენებენ? უთხრა ამხანაგმა ტასოს და აჩვენა ქუჩაზე მოყრილი მწვანე შტოები აზისა და დაფნისა. ტასო გაფითრდა და გაუჩქარა ფეხს, რომ მალე მისულიყო ინგლისის ქუჩასთან და შეეტყო, იქიდან ხომ არ უნდა გამოესვენებინათ მიცვალებული? მიუახლოვდა ინგლისის ქუჩას და შეამჩნია, რომ იმას იქით ტფილისის ქუჩა თავისუფალი იყო. აშკარა იყო, რომ მიცვალებული ინგლისის ქუჩაზე იყო. მიირბინა ტასომ ამ ქუჩასთან და, ოჰ საშინელებავ, მწვანე შტოები სწორეთ ივ სახლიდან იწყებოდა, სადაც ნიკო იდგა. ტასოს კინაღამ გული

შეუწუხდა, მაგრამ შეიმაგრა თავი, მოიკრიბა ძალ-ღონე და, შურდულივით, გაექანა. ტასოს ამხანაგი გაოცებული იყო ტასოს ქცევით, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და თვითონაც დაედევნა უკან.

მივიდა ტასო სახლთან და დაინახა, რომ ეზო და აივანი სავსე იყო ხალხით. ტასომ შეირბინა უცებ კიბე. ყველა გაკვირვებული მიჩერებოდა და უცლიდა გზას. ტასო გაექანა იმ ოთახისკენ, საიდანაც მოისმოდა გულსაკლავი ქვითინი და მოთქმა ქალისა, რომელიც მიცვალებულის დედა უნდა ყოფილიყო. შევიდა ტასო ამ ოთახში და საშინელი სურათი წარმოუდგა თვალ-წინ: შუა ოთახში, გრძელ სუფრაზე იდგა ყვავილებით შემკული კუბო, რომელსაც ნახევრად ახდილი ჭონდა თეთრი, როგორც თოვლი, ფარჩის გადასაფარებელი. კუბოში ესვენა ნიკო თავისს მშვენიერ სახით და ხუჭუჭა თმით. „ასე გვიან?“ წაიკითხა ტასომ ნიკოს უსიცოცხლო სახეზე; ერთი საშინლად მიაკივლა და, გულ-შეწუხებული, დაეცა იატაკზე. „რა ამბავია? ვინ არის?“ მოისმა აქეთ-იქიდან და შეიქნა ჩოჩქოლი. ამ დროს მოვიდა ტასოს ამხანაგიც;თქვა, ვინც იყო ტასო, და უგრძნობლად გადაქცეული ქალი ბინაზე წაიყვანეს...

ნიკო წინ დღით მომკვდარიყო და იმ დღეს მიასვენებდენ სადგურზე, საიდანაც რკინის გზით უნდა წაესვენებიათ სოფელში...

ტასო ძლივს მოაბრუნეს. დიასახლისმა მაშინვე დაუკრა დეპეშა მამას, რადგან ტასო, როგორც ექიმმა სთქვა, მძიმე ავადმყოფი იყო; ვამეხიც მალე ჩამოვიდა.

კარგა ხანს იავადმყოფა ტასომ. ავადმყოფობის დროს მამა არ მოშორებია და არაფერს არ ზოგავდა ერთად-ერთ შვილისთვის. შეძლებული კაცი იყო და რაღა დღისთვის შეინახავდა თავისს ქონებას? ბევრი ფული დახარჯა ვამეხმა, მაგრამ მაინც მხიარული იყო, რაკი ტასოს უკვე ყოფნა ეტყობოდა. ერთი თვის შემდეგ მორჩა ტასო, მორჩა, მაგრამ აღარ გავდა იმ კოპწია, კეკლუც, ცქრიალა ქალიშვილს, როგორიც ავადმყოფობამდის იყო. ტასო ახლა უფრო ახალგაზდა ქვრივს მოგაგონებდათ, რომელმაც ადრე გამოცადა ცხოვრების ქარიშხლის ძალა, ვინემ გასათხოვარ გიმნაზიელ ქალს. პირ-

ველ ნახვაზედვე ყველა შეატყობდა, რომ რაღაც საიდუმლო სევდა სამუდამოდ ჩარჩენოდა გულში. ვამეხმა იცოდა, როგორც გახდა ტასო ავად, მაგრამ დაწვრილებით მიზეზის გაგებას აღარ ცდილა, რადგან სხვა ვერავინ შეატყობინებდა ამ საიდუმლო ამბავს და ტასოსთვის — კი არ უნდოდა, გამოეკითხა.

ექიმების რჩევით ვამეხმა სწავლისთვის თავი დაენებებინა ტასოს და სოფელში წაიყვანა. ტასოს არ წყენია სასწავლებლიდან გამოსვლა, რადგან ქუთაისში ყოფნა აღარ უნდოდა და სიამოვნებით წაყვა მამას სოფელში. მან მამისაგან დაფარულად იყიდა ის სურათი ნიკოსი, რომელიც ისე მოეწონა, და მარადის თან ატარებდა, როგორც სათაყვანო სიმდიდრეს; ფიცი დასდო, რა კი ამ ქვეყნად ვერ გადაუხადა სამაგიერო სიყვარული, იქ, იმ ქვეყანაში, მაინც პირ-ნათლად შეხვედროდა იმ ზეციურ ანგელოზს, რომელმაც მას თავი შესწირა...

VII

ტასო ლამაზი იყო; ამასთან დიდი მზითევის პატრონი და, რასაკვირველია, მისი გიმნაზიიდან გამოსვლა და სოფელში დაბინავება შეუნიშნავი არ დარჩებოდა ახლო-მახლო მყოფ საცოლო ყმაწვილებისთვის. ესენიც მაშინვე გაჩნდენ და ცდილობდენ, თავი მოეწონებინათ ტასოსთვის. ვამეხს უნდოდა, მალე გათხოვილიყო ტასო, რომ ქმარსა და შვილებს დაევიწყებინათ მისთვის წარსული უსიამოვნება და, თუ-კი ვისმე მოიწონებდა და შეუყვარდებოდა, წინააღმდეგი არ იქნებოდა. ბევრი კარგი საქმრო გამოუჩნდა ტასოს, მაგრამ ეს ყველას უარს ეუბნებოდა. ვამეხს არ მოწონდა ტასოს უარი, მაგრამ რას იზამდა? ამ ნაირად მიდიოდა დრო, ტასო თანდათან იზდებოდა თანდან მშვენიერდებოდა, მაგრამ გათხოვებ-ზე კი ხმასაც არ იღებდა. როცა მამა დაიწყებდა ამაზე ლაპარაკს, „რა დროს ჩემი გათხოეებაა"-ო, იტყოდა წყენით და ვამეხიც მაშინვე ხმას ჩაიკმენდდა. ამასობაში გავიდა რამდენიმე წელიწადი; საცოლო ყმაწვილები მოთმინებიდან გამოვიდენ ტასოს ქცევით და თავი დაანებეს. ზოგმა

სხვაგან მოძებნა თავისი შესაფერი, ზოგი ჯერ კიდევ ეძებდა, მაგრამ ტასოს აღარავინ ეკარებოდა. ისინი გულის ჯავრს იმითი იყრიდენ ტასოზე, რომ დასცინოდენ, უპატიურ ლექსებს თხზავდენ მის შესახებ, საძაგელ სახელებს არქმევდენ, საზიზღარ რამეებს უგონებდენ და თავს იქცევდენ.

მხოლოდ ერთად-ერთი კოსტა მახარეა არ მოშორებია ტასოს. ამისი მიზეზი ის იყო, რომ კოსტას გულწრფელად უყვარდა ტასო; უყვარდა ნამდვილ სიყვარულით, უყვარდა თვითონ ის მის ღირსებანაკლულევანებებით და არა მისი სილამაზე და სიმდიდრე, როგორც სხვებს. კოსტამ დიდხანს მალა თავისს გულში ეს სიყვარული; უნდოდა, ჯერ პირ-იქით ტასოსთვის შეეყვარებინა თავი და მისგან დაწყებულიყო საქმე, მაგრამ ტასო მხოლოდ ისე ექცეოდა, როგორც კარგ მეგობარს, როგორც ძმასა და ამხანაგს, თუმცა ხედავდა, რომ კოსტა არ გაედა სხვა ყმაწვილებს, რომ მისი სიყვარული ეშმარიტი და უანგარო იყო. დიდხანს ქონდა გულში ჩამარხული კოსტას თავისი გრძნობა, დიდხანს, მაგრამ ბოლოს მოთმინება გამოელია და გაუმჟღავნა საყვარელს. ჩვენ ვიცით, რა პასუხიც მიიღო კოსტამ ტასოსაგან; ვიცით, როგორ შესწუხდენ ორივე: ერთი იმიტომ, რომ ერთად ერთი ძაფი, რომელიც მას აკავშირებდა ქვეყანასთან, როგორც თვითონ თქვა, გაწყდა; მეორე-კი იმიტომ, რომ ხედავდა სხვის ტანჯვას; იცოდა, რომ წამალი ხელთ ქონდა და მიცემა კი არ შეეძლო. ამას შეეძლო გაებედნიერებინა ის კაცი რომელსაც ისე უყვარდა და ის კი აუბედურებდა მას. თითქო განგებო, ეს მეორედ ჩააგდო ბედმა ტასო ამისთანა საშინელ მდგომარეობაში; ეს მეორედ შეიქნა იგი უნებურად სხვისი წვალების მიზეზად!..

VIII

დაბა №-დან შორს, მთაში, ცხოვრობდა ძიძა კოსტასი, მაკა თავისს სამი ვაჟით. მაკა განთქმული იყო მთელ მაზრაში, როგორც ექიმი და გამოცდილი დედა-კაცი, მისი ვაჟები-კი ცნობილი იყვენ თავისს სიმარჯვითა და ვაჟკაცობით. კოსტას დედა და მამა არ ყავ-

და, არც და და არც ძმა. დედად და ძმებად თავისს ძიძასა და ძიძიშვილებს უყურებდა. მაკასა და მის შვილებსაც კოსტაზე უკეთესი არაფერი გააჩნდათ და, რომ საჭირო ყოფილიყო, ოთხივე მზად იყვენ, ცეცხლში დამწვარიყვენ მისთვის. ყოველთვის, როცა რამე შეაწუხებდა კოსტას, ან ავად გახდებოდა, ან რამე უსიამოვნება შეემთხვეოდა, მიაშურებდა ხოლმე თავისს გამზდელებს და უეცველად, თუ ავად იყო, მოარჩენდა მაკას წამალი, თუ შეწუხებული, გაამხიარულებდა ძიძიშვილებთან დროს გატარება.

ახლაც ამათ მიმართა კოსტამ.

მაკამ და მისმა შვილებმა იცოდენ კოსტას სიყვარულის ამბავი და, შეხედეს თუ არა მის ფერ-მიხდილ, ნაღვლით სავსე სახეს, მაშინვე იგრძნეს, რომ საქმე ცუდად იყო.

— შვილო, თუ ასე გიყვარს ის საძაგელი ძალით წამოვიყვანოთ და ის იქნება, უთხრა მაკამ კოსტას, როცა ამან უამბო თავისი უკანასკნელი გამოთხოვება ტასოსთან, და გადახედა თავისს შვილებს, დარწმუნებულმა, რომ ისინი, თუნდ ამაღამვე მოიყვანდენ ქალს.

— ღმერთმანი, კარგი იქნება—თქვეს მაკას შვილებმა.

— არა, არა; ძალით მოყვანილი ცოლი მე არ მინდა, მე მიყვარს ტასო და მინდა, იმასაც ვუყვარდე... დაიწყო კოსტამ.

— როცა ჯვარს დაიწერ, იმასაც შეუყვარდები, გააწყვეტინა მაკამ; – ჩვენ არც-კი გვენახა ხოლმე ჩვენი ქმარი ჯვარის დაწერამდის, მაგრამ ჩვენ რომ გვიყვარდა, ისე ახლანდელები ვერასოდეს ვერ შეიყვარებენ.

— არა, ძიძა, არა... მაგას ნუ მეუბნები, თუ გიყვარდე, თქვა კოსტამ და ღრმად ამოიოხრა.

— შენი ნებაა, შვილო, თუ სულ დაივიწყებ იმ გომბიოს, კიდევ უკეთესი იქნება!.. ქალის მეტი რა არის? იმისთანა ქალს გიშოვით, რომ მეორე არ იყოს ოდიშში... კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა მაკას, მაგრამ შეატყო, რომ კოსტას საშინლად აწუხებდა იმაზე ლაპარაკი და მიატოვა.

ამის შემდეგ აღარ მოუგონებიათ კოსტასათვის ტასოს ამბავი და, როგორც დედა, ისე შვილები, ცდილობდენ, გაემხიარულებინათ როგორმე საყვარელი გაზდილი; ცდილობდენ, მაგრამ ამაოდ. კოსტა თანდათან უფრო შეწუხდა. ბოლოს იქამდის მივიდა, რომ აღარც ჭამდა, აღარც სვამდა, აღარც ეძინა, აღარც ხმას ცემდა ვისმე. კოსტას რომ ასე ხედავდენ, მაკას და იმის შვილების მწუხარებას საზღვარი აღარ ქონდა. ამათ არ იცოდენ, რა ექნათ, როგორ ეშველათ საყვარელ არსებისათვის? იცოდენ წამალი, მაგრამ ხელი არ მიუწვდებოდათ და ეს გარემოება უფრო აწუხებდა მათ.

გავიდა ამნაირად რამდენიმე კვირა. კოსტა უარესად და უარესად იყო: მიწიდან ამოღებულს დაემზგავსა, ძვალ-ტყავად გადაიქცა...

— არა, თუ რამე არ მოვაგვარეთ, არ შეიძლება, უთხრა მაკამ თავისს შვილებს:—როგორც ეტყობა, კოსტას უიმქალოთ სიცოცხლე არ შეუძლია. სიყვარული ბევრნაირია: ზოგივრთი სიყვარული, მოშორდება თუ არა ერთმანეთს ქალი და კაცი, მაშინვე ქრება; თვალი შორს, გულიც შორსო, ნათქვამია ამისთანა სიყვარულზე. კოსტას სიყვარული-კი ასეთი არ არის: რამდენიც დრო მიდის და ვერ ხედავს საყვარელს, იმდენი უფრო ძლიერდება... თუ რამე არ მოვახერხეთ, კოსტა ჭლექში ჩავარდება და... ვეღარ დაათავა მაკამ და ის, რაც ენამ ვერ გამოთქვა, თვალებმა თქვეს იმით, რომ რამდენიმე ცხელი ცრემლი გადმოაფრქვიეს.

წავალ იმ გომბიოსთან: ეგებ შეგვიბრალოს და წამოყვეს კოსტას, თქვა თვალების წმენდით დასასრულ მაკამ.

შენ კი ნუ წახვალ, ბარემ აქეთ მოვიყვანოთ ქალი თქვა უფროსმა ვაჟმა:—შენც აქ იქნები და კოსტაც. თუ ნებით დაიწერა ჯვარი, ხომ კარგი და, თუ არა, ჯანდაბას მისი თავი! გულის ჯავრს მაინც ამოვიყრით და მერე, რაც მოგვივა, მოგვივიდეს! კოსტა ხომ მაინც კვდება და ჩვენ რაღათ გვინდა ჩვენი თავი?..

— სწორეთ ასე აჯობებს, სთქვა საშუალმა:—თუ ნამუსი აქვს, რა-კი აქ მოვიყვანთ, მერე უარი აღარ უნდა თქვას ჯვარის დაწერაზე.

— მე ვიცნობ ერთ მოჯამაგირეს ვამეხისას; ფოთში ვართ ერთად ნამყოფი და ყველაფერს ადვილათ მოვახერხებ, თქვა უნცროსმა.

— ძალიან კარგი, დათანხმდა მაკაც. — მართალია, ძნელი საქმეა, მაგრამ რა გაეწყობა? ეგებ, ღმერთმა მოგეხედოს და საქმე კარგად დატრიალდეს!..

— მაშ, მე ამალამვე წავალ და შეუდგები საქმეს! თქვა უნცროსმა. ყველანი დაეთანხმენ და ისიც წავიდა.

— სანამ ქალი აქ არ გვეყოლება, კოსტას ნურაფერს ვეტყვი, დააბოლავა მაკამ საუბარი, რაზედაც აგრეთვე ყველა თანახმა გაუხდა. მაკა დარწმუნებული იყო, რომ ნახავდა თუ არა ტასოს და მოუყვებოდა კოსტას ამბავს, გამოაცვლევინებდა აზრს და დაითანხმებდა კოსტას ცოლობაზე.

XI

გავიდა რამდენიმე დღე ზემოდ მოყვანილ საუბრის შემდეგ და ერთ დილას მთელ №-ს მოედო ამბავი, წუხელის ვამეხ უშქულორიას ქალი, ტასო, მოუტაცნიათო. შეიქნა ერთი აურ-ზაური. მოიკრა ვამეხიც, რომელიც სხვაგან ყოფილიყო იმ ღამეს, და მთელი პოლიცია ფეხზე დააყენა. ვამეხს ყველაფერზე უფრო აკვირვებდა, თუ ვის უნდა გაებედნა ძალით მისი ქალის მოტაცება? რომ ტასოს ნება აქ არ იყო, ეს ცხადი იყო, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ვისაც უნდა გაყოლოდა, მამა არ დაუშლიდა...

იმ დროს, როცა №-ში ეს ალიაქოთი და ვაი-უშველებელი იყო მაკას სახლში, მშვენიერს ქვეშაგებში იწვა ტასო და წუხანდელ ბრძოლის შემდეგ საშინლად დაღლილ-დაქანცულს, ეძინა. დიახ, ბრძოლის შემდეგ, რადგან მანამ არ დანებებია მაკას შვილებს, სანამ მეტის აღელვებით და დაღალულობით გული არ შეუღონდა...

დილას, როცა ტასომ თვალი გაახილა და შემოავლო ოთახს, ჯერ სიზმარში ეგონა თავი და ისევ დაძინება უნდოდა, მაგრამ მერე მოაგონდა, რაც წინა ღამეს თავს გადახდა, და გული ბოლმით აევსო.

„ჯერ სადა ხარ?“ უთხრა გულმა ტასოს: „ახლავე შემოვა მხეცად გადაქცეული კაცი და წაგართმევს ყველაფერს, რაც-კი წმიდა გაგაჩნია“... ამას ფიქრობდა ტასო, როცა კარს მოადგა ვილაცა და ნელა დაუწყო ღება. ტასო, გაბრაზებული, წამოჯდა და მოემზადა ხაბრძოლველათ, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა გამხეცებულის კაცის მაგიერად ოთახში შემოვიდა მიმზიდველი, სიკეთით სავსე სახის მაკა.

— რად წამომჯდარხარ, შვილო? დაწევი, მოსვენებულათ იყავი! უთხრა მაკამ და მიუახლოვდა.

— მოსვენებულათ ვიყვე?.. სად?.. ვის სახლში?.. მითხარით, რას მიპირობთ?.. დაიწყო ტასომ და თვალები ცრემლით აევსო.

— ნუ გეშინია, შვილო; ღმერთი მომიცია თავდებად, რომ ამ საათიდან შენი უნებური არა დაგემართება-რა, უთხრა ტკბილად მაკამ.

— გამაგებინე, სადა ვარ? რა გინდათ მიყოთ? ეუბნებოდა გულ-ამომჯდარი ტასო.

— ახლავე, შვილო, უთხრა მაკამ, დაუჯდა თავით და უამბო, ყველაფერი, როგორც იყო.

— ახლა შენ იცი, შვილო, თუ არ მოიკიდებ ჩვენ, ხუთი ადამიანის, ცოდვას და ჯვარს დაიწერ კოსტაზე, ხომ კარგი, და თუ არა, მადლობა ღმერთს!.. ჩანს, ჩვენი წერა ეს ყოფილა... დააბოლოვა მაკამ ტირილით თავისი სიტყვა.

ტასო ჩაფიქრდა. ამას წამს დაეხატა თვალ-წინ მთელი თავისი წარსული და თვითონაც ცრემლები მოერია. „ღმერთო ჩემო, რა ვქნა?“ ფიქრობდა ტასო: „ოათ დავიბადე ასე უბედური, რომ ყოველთვის სხვის ტანჯვის მიზეზათ გადავიქცევი ხოლმე?.. არა, არა; სხვის ცოდვას კიდევ ვერ მოვიკიდებ!.. დევ, მთელი ჩემი სიცოცხლე მწუხარებაში გავატარო, ოლონდ სხვები ნულარ დაიტანჯებიან ჩემი მიზეზით!“ გაიფიქრა ტასომ და წამოდგა ზეზე.

— სად არის კოსტა? წავიდეთ, ვნახოთ! — უთხრა მაკას.

— მოიცა შვილო, გახარებულმა წამოიძახა მაკამ: წავალ, ჯერ მოვამზადებ, თორემ უცებ რომ გნახავს, მეტის-მეტის სიხარულით, ვინ იცის, რა მოუვა?

— კარგი... თუ გინდა, სულ ასე უთხარი, რომ მე ჩემით მოვედი და მზად ვარ, როცა უნდა ჯვარი დავიწერო!—უთხრა ტასომ.

— შენ გენაცვალე, ჩემო გამხარებელო! დაიძახა ამის გაგონებაზე მაკამ და ტირილით გადაეხვია ტასოს, რომელიც თვითონაც ტიროდა.

X

გავიდა ზემოდ აწერილ ამბების შემდეგ რიმდენიმე წელიწადი.

ერთ საღამოს აივანზე მდგარ ტახტზე წამოწოლილიყო მოხუცებული ვამეხ უშჭულორია და, ფიქრებში გართული, ჩიბუხს აბოლებდა. უეცრად მოისმა სახლიდან ბავშის ტირილი. მოხუცი მაშინვე წამოვარდა, ძლივს მხოლოდ ცალი ფეხი გაუყარა ფოსტალში და გაიქცა ძახილით: „ტასო, ტასო!.. სადა ხარ, ქალო, ბავშმა გამოიღვიძა და ტირის!“ მოისმა სახლში ჩქარი ფეხის ხმა და ბავში გაჩუმდა.

პატარა ხანს უკან აივანზე გამოვიდა ტასო პატარა მხიარულის ბავშით ხელში. „ბაბუ!“ დაიძახა ბავშმა ვამეხის დანახვაზე და გაულიმა.

— შენ გენაცვალოს ბაბუა შენი! მოხვალ ჩემთან?.. თქვა ვამეხმა და მივიდა ტასოსთან, რომ გამოერთმია ბავში. ბავშმა კიდევ გაულიმა, მაგრამ როცა ვამეხმა ხელის მოკიდება დაუპირა, თავი დედის მკერდისკენ მიიბრუნა და ჩაეკრა გულში.

— შეგარცხვინა ღვერთმა! თუ არ მომეკარები, რათ მინდიხარ?—ოქვა, ვითომ გულ-მოსულმა, ვამეხმა და დაჯდა ტახტზე.

— ლა ვქნა, ცემო ბაბუა?.. დედასთან, მიცევნია, ენა მოჩლეჭით უთხრა ტასომ ვამეხს და თვითონაც დაჯდა ტახტზე. ვამეხმა ისევ ააბოლა ჩიბუხი, ტასო-კი ბავშს ათამაშებდა: ხან მაღლა შეახტუნებდა, ხან ძირს სვამდა და დადგომას ასწავლიდა; ხან გულში იკრავდა და კოცნიდა; ხან ულიტინებდა, ბავშსაც აცინებდა და თვითონაც იცინოდა.

— ასე არა სჯობია, შვილო, რომ იძახოდი, არ გავთხოვდები, არ გავთხოვდებიო?—უთხრა ვამეხმა ტასოს; —ქალი იმიტომ არის

გაჩენილი, რომ გათბოვდეს და ნიკოსთანა არსება გააჩინოს (ბავშს ნიკო ერქვა ; უშვილო ქალს შნო არ აქვს!..

ტასომ ნიკოს ხსენებაზე უცებ ამოიოხრა და სახეზედაც რაღაც შავმა ღრუბელმა გადაურბინა. ვამეხს კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ შეაძჩნია ტასოს შეწუხება და აღარაფერი უთქვამს.

— ბაბა, ბაბა!.. დაიძახა ამ დროს ბავშმა, გაიხედა კიბისკენ, რომელზედაც შემოვიდა კოსტა და გაიწია მისკენ. კოსტა მივიდა ტასოსთან და გამოართვა ბავში, ბავშმა ცალი ხელი კისერზე შემოხვია მამას და ცალით მის წვერს დაუწყო თამაში. კოსტამ ჩაიკრა ბავში გულში და რამდენჯერმე ისე აკოცა, თითქო შეჭმა უნდაო.

— ჩემთან კი არ მოვა არას დროს ეგ შერცხვენილი, თქვა ვამეხმა, რომელსაც ეტყობოდა, ეხარბებოდა, რომ ბავში ასე სიამოკნებით იყო კოსტასთან.

ტასო, მოწყენილი იჯდა და მიჩერებოდა მამაშვილს. რა წყენოდა ამ ახალგაზდა ბედნიერ დედას? იქნება, გული წყდებოდა, ვამეხის არ იყოს, რომ მისმა შვილმა სხვა არჩია მას? ან, იქნება, სულ სხვაგან გაიტაცეს ფიქრებმა და მოაგონეს ანგელოზი ნიკო, რომელიც უდროოდ გამოესალმა წუთი-სოფელს და რომლის სახელსაც მის სახსოვრად ატარებდა მისი პატარა შვილი?..

მხიარული სამხარი

I

სოფელ კოტიანეთის პაწაწა ეკლესიაში გათავდა შობის გრძელი წირვა. ხალხი მხიარულად დაეშვა თავიანთ სახლებისკენ

— პა! პა! პა! რაცა ღორი დაიხოცებოდა დღეს! წამოიძახა სიცილით ერთმა ახალგაზდა ბიჭმა და გადახედა მეორეს.

— აბა!.. მიუგო ამხანაგმა.

— თქვენ რომელი ღორი დაკალით? კითხა პატარა ბიჭმა პატარა გოგოს, რომელიც გვერდით მოყვებოდა.

— დიდი ჭრელი ღორი რომ გვყავდა, მიუგო გოგომ.

— ჩვენ ჩვენი ტახი დავკალით, თქვა მეორე ბიჭმა, რომელიც მოეწია მოსაუბრეთ: ორი თვეა, რაც ვასუქებთ.

— თქვენ რა დაკალით, თემუ? კითხა პირველმა ბიჭმა პაწაწა ბავშს, რომელიც ცოტა მოშორებით მიდიოდა დავ-ჩაღუნული. მისი ჩამოკონკილი ტანსაცმელი და დაგლეჯილი ქალამნები ამტკიცებდენ, რომ თემუ ღარიბი დედ-მიმის შვილი უნდა ყოფილიყო.

— ჩვენი მამალი—თქვა თემუმ.

— მამალი რას გიზამთ? უთხრა მეორე ბიჭმა.

— ღორი არ გვყვადა... დაიწყო თემუმ.

— რატომ არ იყიდეთ მერე? გააწყვეტინა პატარა მოგომ.

— რა ვიცი, ალბად, ფული არ ექნება ბაბუას, თქვა თემუმ.

— ამ დროს სხვა ბავშებიც მოვიდენ და ყველამ გულმტკიცნეულად შეხედეს თემუს, როცა შეიტყეს, რომ მის სახლში დღეს მხოლოდ მამალი დაუკლავთ.

— ბიჭებო, დაიძახა პირველმა ბიჭმა, როცა სოფელს მიუახლოვდენ: ნასადილევს რომ სათამაშოთ გამოვიდეთ, თითო ნაჭერი ლორის ხორცი წამოვუღოთ თეჭუს!

— კარგი, კარგი, დაიძახეს აქეთ-იქიდან: ჩვენ დღეს ხორცს არავინ დაგვიჭერს!

— დედმამას უთხარით, რომ სამხრისათვის გვინდა-თქო, თქვა ისევ პირველმა: და პურებიც წამოიღეთ!

— ძალიან კარგი, დაეთანხმენ ყველანი და წავიდ-წამოვიდენ თავიანთ სახლებში.

II

როცა თემუ წინ მივიდა, დაინახა რომ მის სახლში არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო: ყველაფერს რაღაც სადღესასწაული ფერი მიეღო; მთელი ეზო თითქო მხიარული ეგებებაო მის მოსვლას. აქამდის ყურ-ჩამოყრილი მურიაც-კი კმაყოფილად წკმუტუნებდა სახლის კარებთან და აქიცინებდა კუდს.

მოკრა თვალი თემუს მისმა პატარა დამ და გაექანა მისკენ მოცინარე სახით.

— ბიძია აქა, ბიძია!... კაქი ბიძია!.. ეუბნებოდა თემუს და მოსდევდა უკან. თემუმ ვერაფერი ვერ გაიგო და ფეხს აუჩქარა, რომ მალე შესულიყო სახლში.

ამ დროს გარეთ გამოვიდენ თემუს დედა და ერთი უცნობი კაცი.

— თემუ, ბიძიას აკოცე, უთხრა ღიმილით დედამ. თემუს შერცხვა უცხო კაცის და გაჩერდა.

— მოდი, ბიძია, ჩემთან, მოდი! უთხრა უცნობმა თემუს, აიყვანა ხელში და რამდენჯერმე აკოცა. მერე დასვა ძირს, ამოიღო ჯიბიდან შაქარაყინული და ჩაუდვა ხელში.

როცა თემუ სახლში შევიდა, კიდევ უკეთესი სანახავი ნახა: შუაზე გაეჩაღებინათ უშველებელი ცეცხლი, რომელსაც გარშემო

მთელი ოჯახი შემოსხდომოდა; საკიდელზე ეკიდა დიდი ქვაბი, ღორის ხორცით სავსე, და ჩუხჩუხი გაქონდა; კედელზე ჩამოკიდებული იყო გძლად ნახევარი ღორი; ტეხტზე სხვადა და სხვა ფერი ფართალი ეწყო, სტოლზე პურები!.. ერთი სიტყვით ეს ღარიბი სახლი დღეს უეცრად ავსებულიყო ყველაფრით.

— მოდი, შვილო, გათბი, უთხრა თემუს ბებიამ. ყველანი მიიწ-მოწიენ და თემუ დააჯინეს ცეცხლის პირას.

— აი, შვილო, რა მოგიტანა ბიძიამ, უთხრა ამ დროს დედამ თემუს და მოუტანა წითელი ქუდი და წუღები. თემუს სიზმარში ევონა თავი, როცა ყეელა ეს ნახა. ნამეტან სიხარულს თითქო გაელენჩებინა და ხმას ველარ იღებდა.

თემუ კი არა, მთელი ოჯახი ხან ტიროდა და ხან იცინოდა მოულოდნელი სიხარულით. თემუს ბაბუას და ბებიას ორი ვაჟი ყოლოდა. უფროსი თემუს მამა იყო და მომკედარიყო, უნცროსი კი, ჯერ ისევ ბავში, წასულიყო სადღაც და მისი ამბავი დღემდის არავის ცოდნია. დღეს დაბრუნდა სახლში თემუს ბიძა და, რაც ეშოვა და ეპოვა ამ ხნის განმავლობაში, ყველაფერი მშობლებს მოუტანა...

III

თემუს ნასადილევს აიხანაგებთან წასვლა დააგვიანდა, რადგანაც სადილი ცოტა გვიან მოუვიდათ. ბავშვები შეკრებილიყვნენ, თემუსათვის მოტანილი ხორცი და პური ერთ ადგილაზე დაეგროვებინათ და თვითონ თამაშობა დაეწყოთ.

როცა თემუ დაინახეს, ყველამ მიატოვა თამაშობა და მისკენ გაექანენ. თემუს ახალი წუღები ეცვა, თავზე წითელი ქუდი ეხურა და ხელში თეთრ ტილოში გამოკრული რაღაც ეჭირა.

— სად იყავი, თემუ, ამდენ ხანს? კითხა ერთმა ბავშმა.

— ბიძია მოვიდა და სადილი გვიან ვჭამეთ, მიუგო თემუმ.

— ბიძაა? გაიკვირეს ბავშებმა..

— ჰო, ბიძია მოვიდა ქალაქიდან და ყველაფერი ბევრი მოიტანა... იმ ხელა ღორი გვაქვს, იმ ხელა რომ... დაიწყო ფემუმ.

— მაგ ტილოში რა გაქვს? კითხა ვილაცამ თემუს.

— ეს თქვენ გამოგიზავნათ ბიძიამ, თქვა თემუმ და გაშალა შეხვეული. ბავშები შეჯგუფდენ თემუს გარეშემო და სიხარულით ფეხზე აღარ იდგენ, როცა დაინახეს იმდენი სხვა და სხვა ნაირი შაქრის პურები, შაქარყინული, ხმელი ხილი, ტკბილეული და სხვა...

— ბიჭოს ჩვენისთანა სამხარი, მგონი, დღეს დუნიაზე არავის ექნება, თქვა ერთმა ბიჭმა.

— აბა, ბიჭებო ჯერ ვითამაშოთ და, როცა დავიღლებით, აქეე ჩავუსხდეთ სამხარს, თქვა მეორემ!

— კარგი, კარგი, მიაძახა ყველამ და გაიმართა თამაშობა...

ერთ საათს შემდეგ ბავშები ისხდენ და, მხიარულნი, შექცეოდენ მოულოდნელ სამხარს. ყველაზე უფრო მხიარული-კი, რასაკვირველია, თემუ იყო

კეთილი პეტრე

ერთ მშვენიერ მაისის დილას, როცა ტიტიკომ ჩაი დალია და სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა, დედამ ბარათი მიცა, პატარა ლიზას გამოუგზავნიაო.

„ჩემო ძამიკო“, ეწერა ბარათში: „დღეს ნასადილევს ქალაქს გარეთ მივდივართ სასეირნოდ: გაკვეთილები რომ გაათავო, მაშინვე ჩვენსა მოდი: სადილი ერთად ვჭამოთ და წავიდეთ. ოთხი საათის ნახევარზე გვყავს ეტლი დაბარებული. თუ გიყვარდე მოდი, თორემ მე რა უნდა ვისიამოვნო მარტომ დიდებთან? აბა შენ იცი, თუ დღეს მასწავლებლებს არ აწყენინებ, თორემ უსადილოდ რომ დაგტოვონ, ვეღარ მოგვისწრებ და მე ძალიან მეწყინება.

შენი მოყვარული და ლიზა“.

დედამ ნება მიცა ტიტიკოს, წასულიყო ლიზასთან, და ისიც, გახარებული, გაემგზავრა სკოლისაკენ.

„ო რამდენ ყვავილებს დავკრეფთ, რამდენ თაიგულებს გავაკეთებთ“, ფიქრობდა გზაზე ტიტიკო: „იქნება, მარწყიც ვნახოთ სადმე და გრძელ ბალახის ღეროებზე აცმულს წამოვუღებ დედას“...

ამისთანა ფიქრებში გართული, მივიდა ტიტიკო სკოლაში და დაჯდა თავის ადგილზე.

გათავდა ერთი გაკვეთილი, მეორე, მესამე, მეოთხე... და ტიტიკოს ერთი შენიშვნაც-კი არ მიუღია მასწავლებელთაგან. ახლა ერთი გაკვეთილი კიდევ და ტიტიკო გაიქცევა თავისს საყვარელ ლიზასთან, რომელიც, ალბად, მოუთმენლად მიელის.

დაიწყო მეხუთე და უკანასკნელი გაკვეთილიც. ტიტიკო ზის, სულ განაბული, და უსმენს მასწავლებელს...

ო, როგორ გაგრძელდა ტიტიკოსთვის ეს გაკვეთილი! ამას გონია რომ ერთი საათის მაგიერ რამდენიმე საათი გადააბეს ერთმანეთზეო; ერთობ მოწყინდა ტიტიკოს; ლამის დაეძინოს კიდეც! რა ქნას, არ იცის, რომ როგორმე წაიღოს დრო! ჩუ, რაღაც მოაგონდა ტიტიკოს; გაიღიმა და ჩაიყო ჯიბეში ხელი; ამოიღო ლიზას ბარათი და დაიწყო კითხვა, რომ ცოტათი მაინც შეამოკლოს დრო. ტიტიკოს გვერდით მჯდომარე ამხანაგმა რომ შეხედა ამას, ისიც გაიტაცა ცნობის მოყვარებამ, მიიწია ტიტიკოსკენ და თვითონაც დაუწყო კითხვა ბარათს. კითხვას გაღიმება მოყვა, გაღიმებას ჩურჩული. ტიტიკოს და მის ამხანაგს, თითქო დააკიწყდათ, რომ გაკვეთილზე ისხდენ და გააბეს მუსაიფი, ეს შეამჩნია მასწავლებელმა, დაინახა აგრეთვე, რომ ტიტიკოს რაღაც ბარათი ეჭირა ხელში — და თვალის დახამხამების უმალ მასთან გაჩდა. ტიტიკო შეკრთა და უნდოდა ბარათის დამალვა, მაგრამ გვიან-ღა იყო. მასწავლებელმა დაუჭირა ხელი და გამოართვა ბარათი. სკოლაში სიცილი ატყდა; ტიტიკო-კი თავ-ზარ დაცემული იდგა. მასწავლებელმა წაიკითხა ბარათი და უთხრა ტიტიკოს:

ვწუხვარ, რომ ვერ შეასრულე ამ ბარათის მომწერის თხოვნა და ბოლომდის ვერ მოითმინე, რომ შენებურათ ცელქობა არ დაგეწყო. გაკვეთილის შემდეგ ორი საათით დიმიტოვებიხარ უსადილოდ.

ტიტიკო გაშრა მწუხარეობის გამო, მაგრამ რაღას იზამდა?

გაკვეთილი გათავდა. მასწავლებელმა ჩააბარა ტიტიკო სკოლის მოსამსახურე მოხუც პეტრეს და უთხრა, ოთხი საათის შესრულებამდი არ გაუშვა შინაო. ტიტიკოს თვალები ცრემლებით აევსო.

გავიდა ერთი საათი, რომელიც ტიტიკოს მთელ საუკუნედ მოეჩვენა. საბრალო ტიტიკო! მოდგომია პაწაწა სარკმელს და იხედება, დაღონებული, თვალებზე ცრემლ მორეული.

მოისმა ფეხის ხმა და სარკმელთან გამოჩდა პეტრე.

— პეტრე, რამდენი საათია ახლა? კითხა ტიტიკომ.

— ჯერ ადრეა. სამი საათი ახლა შესრულდა, ხომ არ მოგშივდა? კითხა თავის მხრით პეტრემ.

— არა, არ მშია...

— თუ გინდა პურს მოგიტან, გააწყვეტინა პეტრემ;

— არა, არ მინდა პური; მე სხვა რამ უნდა გთხოვო.

— რა?

— გამიშვი.

— არა, არ შემიძლია, იმნაირი კილოთი უთხრა პეტრემ, რომ თხოვნის განმეორება საჭირო აღარ ყოფილიყო

— იცი, როგორ არის საქმე? -უთხრა ტიტიკომ და მოუყვა, როგორ მიელის ახლა პატარა ლიზა,

— არ შეიძლება, ეუბნებოდა პეტრე.

— ტიტიკოს გული აუჩჩვილდა და ტირილი დაიწყო.

— მამა, მამა, მოისმა ამდროს პაწაწა ბავშის ხმა და პეტრესთან მიირბინა 6 7 წლის ვაჟმა.

— ეს გასაღები გამოგიგზავნა დედამ; ჩვენ სხვაგან მივდივართ, უთხრა ბავშმა და გაუწოდა გასაღები.

— შენ გენაცვალოს მამა შენი! დაიძახა პეტრემ, გამოართვა გასაღები და აიყვანა ბავში ხელში რომ ეკოცნა.

— აჰ, აჰ გამიშვი!.. დედა და დაია ქუჩაში მიცდიან, ყვიროდა ბავშვი და იწევდა წასასვლელად.

— ა, შე საძაგელო შენ! უთხრა პეტრემ და გაუშვა ხელი. ბავში უცებ გაქანდა.

— პეტრე, მოისმა ამ დროს ტიტიკოს სიტყვები: ახლა რომ ვისმე დაეჭირა შენი პატარა ბიჭი და დედასთან და დასთან არ გაეშვა, კარგი იქნებოდა? პეტრეს სახე დაემანჭა ამის გაგონებაზე.

— პეტრე, მეც ისე მინდა ახლა წასვლა როგორც შენს ბიჭს; მეც ისე მიცდის ლიზა, როგორც იმას უცდიდა დედა და და... გამიშვი, ჩემო პეტრე, გამიშვი და ყოველთვის შენთვის ვილოცავთ მე და ლიზა.

პეტრემ საათი ნახა. ოთხის ნახევარს ცოტა-ღა აკლდა.

— გამიშვი, ჩემო პეტრე, ჯერ კიდევ მიუსწრებ... დაიწყო ისევ ტიტიკომ თვალების წშენდით.

— კარგი, კარგი, წადი, მაგრამ ერიდე, მასწავლებლს არ შეეფეთო, უთხრა პეტრემ და გაულო კარი.

— შენ გენაცვალე. ჩემო კეთილო პეტრე! დაიძახა გახარებულმა ტიტიკომ, თვალის დახამხამების უმალ შეახტა პეტრეს კისერზე, ერთი მაგრა აკოცა და გაიქცა ლიზას სახლისკენ...

ტიტიკომ ფეხზე მიუსწრო ლიზას და მის მშობლებს...

პატარა ქველ-მოქმედი

მართამ გააუთავა ერთი წყება სარეცხი, გამოახვია ზეწარში და უნდოდა, მუშტართან წაელო, მაგრამ ნახა, რომ უთო ჯერ კიდევ გახურებული იყო ღა განაგრძო საქმე. მართას საუთოებელი ბევრი ქონდა და არ უნდოდა უთოს ტყუილ-უბრალოთ გაცივება. გააუთოვა კიდევ რამდენიმე ნაჭერი, მაგრამ მოაგონდა, რომ სარეცხის წაღება იყო საჭირო და არ იცოდა, რაექნა. ბოლოს ისევ არჩია, რომ მუშტარს არ აწყენინოს; გადადვა იქით უთო, რომელიც ისევ თითქო მის გასახელებლათ, ძალიან ცხელი იყო და დააპირა სარეცხის წაღება. ამ დროს ოთახში შემოვიდა სკოლიდან დაბრუნებული, მართას პატარა ვაჟი, კოტე და, დედა რომ წასასვლელად მომზადებული ნახა, უცებ ჩამოიხსნა წიგნების ჩანთა და სიხარულით მოებღაუჭა კალთაზე მართას.

— დედიკო, მეც წამოვალ შენთან, მეც წამოვალ დაუწყო ხვეწნა.

— შენ რა გინდა?.. დაისვენე! უპასუხა დედამ.

— არა, არა წამოვალ... მე არა ვარ დაღალული, — ემუდარებოდა კოტე. მართა უცებ შეჩერდა, ეტყობოდა, რაღაც ფიქრმა გაუელვა და შეხედა შვილს.

— იცი, რა გითხრა?. თუ აგრე გულით. გინდა სიარული, შენ წადი მარტო და წაუღე სარეცხი მუშტარს, მე-კი დავრჩები და ვაუთოვებ, სანამ უთო არ გაცივებულა. თქვა მართამ.

— ძალიან კარგი! აღტაცებით წამოიძახა კოტემ და მივარდა სარეცხს.

— მოიცა, მოიცა, ნელა მოკიდე ხელი; არ გასვარო, ან არ დაკარგო-რა!.. აქვე, მეორე ქუჩაზე რომ „ჩინონიკი“ დგას, იმას მიუტანე, უთხრა მართამ და კარგათ გამოხვეული სარეცხი მიცა შვილს.

— ფული გამოგართვა? კითხა კოტემ, როცა კარში გავიდა.

— თუ მოგცეს, გამოართვი, მანეთი და ერთი შაური მერგება, მიაძახა მართამ.

— კარგი, კარგი, ჩაილაპარაკა კოტემ და გაკურცხლა.

— დული, დული იაბლოკი ჰაა!.. დაიყვირა კოტემ, როცა ქუჩაზე გამოვიდა, კოხტათ დაიდვა თავზე სარეცხი, თითქო ხილით სავსე გობიაო, და თავმომწონეთ წავიდა დანიშნილ სახლისკენ. კოტეს პირველათ დაავალეს მუშტართან სარეცხის წაღება და მის მხიარულობას საზღვარი აღარა აქვს. მაშ, ის დიდია ახლა და შეუძლია დაეხმაროს დედას, რომელიც მუდამ დღე შრომობს: ხან რეცხს, ხან აუთოებს, ხან საჰმელს აკეთებს, ხან მუშტართან მიდის, ხან ბაზარში გარბის და სხვა. დღეიდან სარეცხის წამღებათ კოტე იქნება და ამნაირათ ცოტათი მაინც მოეხმარება საყვარელ დედას; დაიდებს ხოლმე სარეცხს თავზე და, თითქო ხილს გამყიდველი კინტოაო, შემოსძახებს: „დული, დული, იაბლოკი, ‘ჰაა!“.. იჰ, იჰ, რა კარგია, რა ბედნიერია კოტე! აქამდის რატომ არ მოიგონა ან თითონ, ან დედამ რატომ არ იფიქრა, რომ სარეცხის წაღება კოტესთვის მიენდო? ჯერ დილაობითაც, სანამ სკოლაში წავა, შეუძლია კოტეს ახლო-მახლო სარეცხის მიტანა, თვარა სკოლიდან რომ დაბრუნდება, ხომ სულ თავისუფალია და ბიჭებთან კოჭაობას, დედას დაეხმაროს არ ჯობია?. რასაკვირველია, ჯობია და კოტეც ბეჯითათ შეასრულებს თავისს მოვალეობას: არც გასვრის სარეცხს, არც დააბნევს და ისე მიუტანს მუშტარს.

ამნაირ ფიქრებში გართულმა რამდენსამე წუთში მიირბინა კოტემ მუშტართან, ჩააბარა სარეცხი, ჩაიჩხრიალა ჯიბეში მანეთის თეთრი ფული და ერთიც შაურიანი და გამობრუნდა უკან, ბედნიერი, რომ პირველი მონდობილება მშვენიერათ შეასრულა. მოდის კოტე. არხეინათ ქუჩაზე; მოდის ამაყათ და თავმომწონეთ. „ჩხრრრ ჩხრრრ“, გააქვს ჩხრიალი ჯიბეში ფულებს და მის ნეტარებას საზღვარი არა აქვს: კოტემ ახლა პატარა კი აღარ არის, დედის მოეხმარეა, მისი მარჯვენა ხელია და შუაზე უყოფს შრომას. მიეა თუ არა შინ, ახლა მეორე წყება სარეცხი დახვდება მზათ და წაუღებს მუშტარს.

ამ ფიქრებში იყო კოტე, ხები ჯიბეში ჩაიყო და თან ფულებს ანგარიშობდა, რომ უეცრათ ქუჩაზე დამჯდარი გლახის საცოდავი ხმა: „გამიკითხე, ღმერთი გაგითხავს“-ო, შემოესმა. გლახა იჯდა ქუჩის პირას და გამვლელ-გამომვლელს მოწყალებას სთხოვდა, მაგრამ გაიარა ერთმა, გაიარა მეორემ, მესამემ, მეოთხემ და არც ერთმა ყურადღება არ მიაქცია გლახის მუდარას. კოტეს შეეცოდა გლახა და გული მოდიოდა მგზავრებზე, რომელთაც, თითქო არც კი ესმოდათ გლახის ვედრება. „გულქვავები, საზიზღრები!“ ფიქრობდა კოტე: „რატომ არ აძლევენ თითო გროშს საბრალოს?.. იქნება, დღეს არა უპამია-რა!“ ამ დროს კოტეს ხელს მოხვდა ჯიბეში შაურიანი. „ამოიღე და მიეცი!“ უთხრა გულმა კოტეს. ამანაც მოკიდა შაურიანს ხელი, მაგრამ უცებ შეჩერდა. ფული ხომ მისი არ არის, დედამისისაა. თვითონ-კი განა ბევრი აქვთ, რომ გლახებს ურიგონ ფული? არა, კოტე თავს დაღუნავს და ისე გაივლის გლახის წინ, როგორც სხვა მგზავრები მიდიან. მართლაც დაღუნა კოტემ თავი და უნდოდა, უცებ გაერბინა მათხოვარის წინ, მაგრამ კიდევ მოესმა გულის შემზარავი: „გამიკითხე, ღმერთი გაგზრდის“-ო და შეჩერდა. გლახას ხელი გამოეშვირა და იმისთანა თვალებით უყურებდა კოტეს, რომ ბავშმა ანგარიშ მიუცემლათ ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო შაურიანი, მიცა მათხოვარს და გაიქცა საჩქაროთ, თითქო უკან მისდევს ვინმეო. „ღმერთმა გაგზარდოს, ღმერთი შეგეწიოს!“ წუწუნებდა გლახა მადლობის ნიშნათ, მაგრამ კოტეს აღარაფერი აღარ სმოდა და მირბოდა. მან არ იცოდა, რა ჩაიდინა, კეთილი საქმე, თუ ცუდი? გლახას ფული მისცა, მაგრამ დედას წაართვა; იმ დედ.ს, რომელიც წელებზე ჟეხს იდგამდა, სისხლის ოფლში იწურებოდა და ისე ეამდა პურს, ისე ზდიდა თავისს კოტესაც. გაირბინა კოტემ რამდენიმე ნაბიჯი და, გაჩერდა მოსახვევთან, საიდანაც მოჩანდა მათი სახლი. დგას კოტე და აღარ იცის, რა ქნას, რა მოიგონოს შაურის შესახებ. მართლაც რა უნდა უთხრას დედას? მათხოვარს მივეცით? მერე ეინ უთხრა, მიეცით? არა, კოტეს არ უნდა მიეცა მათხოვრისთვის დედის ფული და ვერც გაუმხელს ამას დედას. მაშ რა უთხრას? არა, რაღა ამ გზაზე დამჯდარა მაინც ეს გლახა? ამის შემდეგ ხომ

ალარ ენდობა დედა კოტეს და ალარსად გაატანს სარეცხს? ამნაირათ გამოდის, რომ კოტეს არ შეძლებია დედის მოხმარება, უსარგებლო ყოფილა მისთვის; დიახ, კოტე ცუდი ბავშვია: დავალებული საქმე ვერ შეუსრულა დედას, გამოტანებული ფული ვერ მიუტანა და დაუკარგა. დაუკარგა?. არა, კოტემ კარგათ ქნა,რომ მათხოვარს ფული მისცა; ძალიან კარგათ, რადგან, იქნება, აქამდის მშიერი იყო საბრალო და ახლა კი შეუძლია პური იყიდოს და ჭამოს, მაგრამ დედასაც რომ ძალიან ჭირდება ფული? რახანია, სახლის პატეონი ქირასა თხოვს და იმას კი ჯერ ვერ მოუგროვებია მისაცემი ფული. არა, კოტემ ძალიან ცუდათ ქნა, რომ დედას შაური მოაკლო; კოტე ცუდი ბავშია ..

დგას კოტემ მოსახვევთან ამნაირ ფიქრებში გართული, ხან კმაყოფილი თავისს საქციელით, ხან უკმაყოფილო, და ვერც იქით წასულა, ვერც აქეთ; უნდა, სახლში მივიდეს, მაგრამ რა პირით შეხედოს დედას, რა უთხრას, როცა ის :კითხავს, შაური რა უყავიო?.. ვინ იცის, რამდენ ხანს იდგომებდა კოტე ერთ ადგილზე, რომ უეცრათ დედის ხმა არ გაეგონა.

— კოტე, კოტე, მანდ რას აკეთებ? რატომ არ მოდიხარ? მოესმა კოტეს ნაცნობი ხმა და შეკრთა. მართას უთო გაუციცდა და ხელ-ახლავ ალარ გაუხურებია, რადგან დაბრუნდებოდა თუ არა კოტე, პური უნდა ეჭამათ. იცადა მართამ, იცადა და კოტეს მოსვლას რომ ალარაფერი ეშველა, გამოვიდა ქუჩაში. გაიგონა თუ არა დედის ხმა, კოტე, როგორც დამნაშავე, შეშინებული და თავ ჩაღუნული წავიდა მისკენ.

— რა ქენი, მიუტანე სარეცხი? კითხა მართამ.

— მივუტანე, ძლივს ამოილულლულა კოტემ.

— ფული მოგცა?

— მომცა. აჰა!.. თქვა კოტემ და გადაცა დედას მუჭით ოთხი ფული. მართამ უცებ დაითვალა ფული და შეხედა შვილს.

— შაური? კითხა მან. კოტე ხმას არ ღებდა და თავ-ჩალუნული იდგა.

— შაური? განუმეორა მართამ! — შაური რა უყავი? კოტე მაინც ხმას არ იღებდა.—არ გესმის, რომ გეკითხები? გული მოუვიდა მართას; მოკიდა ხელი ნიკაპზე და თავი აუწია. კოტეს ცრემლები მოერია.

— შაურიც მოგცა ხომ მუშტარმა და რა უყავი? კიდევ კითხა მართამ.

— არა, არ.. დიწყო კოტემ, მაგრამ ცრემლი ყელში მოებჯინა და ველარ დაათავა, რის თქმაც უნდოდა.

— არ მოუცია?.. როგორ არ მოგცემდა?.. წამო, მაშ წავიდეთ იმასთან! დაიძახა მართამ, დაავლო ხელი კოტეს და დააპირა მუშტართან წასვლა.

— კი მომცა, კი... ძლივს ამოიღო ხმა კოტემ.

— მაშ, რა უყავი?.. იყიდე რამე განა. შე საძაგელო, შენა?.. რა იყიდე?.. კაკალი? მაჩვენე ჯიბეები! ყვიროდა გაგულისებული მართა და უშინჯავდა ჯიბეებს. მართა გულ-კეთილი ქალი იყო, მაგრამ გაპირვებას გაესასტიკებინა და გულს წვავდა თავისს ნაოფლარის უბრალოთ დაკარგვა, როცა გარს იმდენი საჭიროება ეხვია.

— არაფერი არ მიყიდია... თქვა კოტემ და ტირილი დაიწყო.

— მაშ, რა უყავი? არ ეხსნებოდა მართა.

— დამეკარგა, უთხრა კოტემ ბოლოს.

— როგორ დაგეკარგა, სად დაგეკარგა?,.. წამოდი ახლავე და მოძებნე, სადაც დაგეკარგა! ამ სიტყვებით დაავლო მართამ ხელი ბავშს და წაიყვანა.—ეძებე, ეძებე! უყვიროდა გზა და გზა. კოტე ძლივს მიჩანჩალებდა და, გულ-ამომჯდარი, ტიროდა.

— გამიკითხე, ღმერთი გაგიკითხავს! მოისმა ამ დროს და ორივე დედა-შვილმა მიიხედეს. გლახისაკენ. გლახა იჯდა იმავე ადგილზე, ხელში პური ეჭირა; თან ჭამდა და თან ივედრებოდა. კოტეს ჯერ ეწყინა თავისს ტანჯვის მიზეზის დანახვა, მაგრამ, როცა ნახა, რა მადიანათ შეექცეოდა გლახა პურს, იფიქრა, ეს ჩემი მიცემული შაურით იქნება ნაყიდიო და კმაყოფილება იგრძნო.

— იქნება, შენ ნახე შაურიანი?.. ამ ბავშს აქ შაურიანი დაეკარგა და შენ ხომ არ გინახავს? კითხა მართამ მათხოვარს, როცა

შიუახლოედენ. უკანასკნელამა გაკვირვებით შეხედა ჯერ მართას, მერე კოტეს და გაიღიმა. მან იცნო კოტე და მიხვდა ყველაფერს.

— არა, მე არ მინახავს თქვა მან.

— აბა რა იქნა? დაიწყო მართამ: ამ საძაგელს სარეცხი გავატანე მუშტართან და მანეთი და ერითი შაური უნდა მოეტანა; მანეთი მოიტანა და შაური-კი დამეკარგაო, მითხრა. გლახამ შეხედა კოტეს, რომელიც, სრულიად დამშვიდებული, მიჩერებოდა მას. გლახა მიუბრუნდა მართას და ვედრებით უთხრა:

— შაური მე მომცა, ნუ გაუჯავრდები!.. კეთილი ბავში ყოფილა, ღმერთმა გაზარდოს და კაი კაცი გამოიყვანოს.

შენ მოგცა?... გაკვირვებით წამოიძახა მართამ.

— დიახ, მე მომცა და აი, პური ვიყიდე კიდეც უთხრა გლახამ და აჩვენა პური.

— მერე რატომ მაშინვე არ მითხარი, შვილო, თუ გლახას მიეცი, როცა გკითხე, რა უყავი-მეთქი? ტკბილი ხმით მიუბრუნდა მართა კოტეს და დაუსვა ალერსით თავზე ხელი. — გლახის მიცემა ცუდი არ არის და რაკი მიეცი, რაღაზე დამიფიცე? მართალია, ჩვენ თვითონ გაჭირვებულები ვართ, მაგრამ ეს კიდევ უფრო გაჭირვებულია ჩვენზე. ნეტა ბევრი მოგვცა, რომ ბევრის მიცემა შევიძლოთ...

ეჰ, ამოოხვრით დაწყო გლახამ: გაჭირვებულს ისევ გაჭირვებული თუ გაიკითხავს, თვარა მდიდარს ჩვენი არა ეყურებარა. დილიდან აქ ვზივარ და ამ ბავშის მეტს ჩემთვის სამოწყალო არავის მოუცია. ღმერთმა გაზარდოს და კეთილ გულთან იმდენი შეძლებაც მისცეს, რომ ყოველი გლახისა და გაჭირვებულის გაკითხვა შეძლოს... მართას სიხარულის ცრემლებით აევსო თვალები; მოხვია ხელი თავის პატარა ქველ-მოქმედს და ორივე დედაშვილი მხიარულად წავიდენ შინისკენ...

„დაკარგული იმედი“

I

ოდესის ნავთ-სადგურზე ხალხი ბუზივით ირეოდა: ყირიმ-კავკასიის გემი წასასვლელად ემზადებოდა. საშინელი ხრიალი ორთქლის მანქანისა, რომლითაც გემს ტვირთავდენ, ეტლების ხრიგინი ქვა-ფენილზე, მუშების ხმა მაღალი ყვირილი, ჯაჭვების რაჩხუნი და სხვა ათასნაირი ხმაურობა ერთმანეთში არეულიყო და ყურთა სმენა აღარ იყო. მგზავრებიც ზოგნი შეკრებილიყვენ, ზოგნი ახლა იკრიბებოდენ, და ამ ერთი ხელის დადება ადგილზე რუსული, ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და, ასე გასინჯეთ, ქართულიც-კი თავისუფლად გაისმოდა. ქართულს უფრო ხშირადაც გაიგონებდით. ჯერ ერთი, გემის მტვირთავი მუშები ქართველები იყვენ. იმერეთიდან მოსულებნ, და მეორე პალუბის მთელი ერთი კუთხე ქართველ სტუდენტებს დაეკირათ.

— მოდის, ნოდის!—ხმა-მაღლა წამოიძახა უცებ ერთმა სტუდენტმა, რომელიც სხვებს მოშორებოდა და გზისაკენ იხედებოდა: მოვიდა იასონი! ყველა მივიდა გემის მოაჯირთან და შეხედა მომავალ დროშკას. ყველას რაღაც შავმა ღრუბლებმა გადაურბინი სახეზე და რამდენიმე მათგანი წავიდა მისაგებებლად.

— საწყალი, ვაი თუ გზაზე მოკვდეს! თქვა ერთმა დარჩენილთაგანმა, როცა დროშკიდან გადმოიყვანეს ავადმყოფი სტუდენტი რომელსაც საზამთრო პალტოზე კიდევ თბილი პლედი მოეხურა, თუმცა შემოდგომის ერთი უკეთესი დღეთაგანი იყო და გამტკბარი მზე ჩასვლის წინ უხვად აფრქვევდა თავისს სხივებს.

— რა უბედურებაა ჩვენს თავს? ეს მეოთხეა, რომ ამისთანა ავადმყოფს ვისტუმრებთ აქედან ამ რამდენიმე წლის განმავლობაში, ვისტუმრებთ მოსარჩენად, მაგრამ უბედურთ მხოლოდ სიკვდილი-ღა მოელის სამშობლოში,—თქვა მეორემ.

— მერე რაც უკეთესი ყმაწვილებია, ისინი ხდებიან ავადმ., დაუმატა მესამემ.

— რა უკეთესი და რა უარესი! თაკს არ ეუჯერებთ, თვარა ყველანი ავათა ვართ, თქვა ისევ პირველმა—გუშინ ჩვენი ექიმი მეუბნებოდა რაა რომ არც ერთ ქართველ სტუდენტს გული არ გივარგათო; ჩამოხვალთ და რალაცას გავხარ.., მოგიგვიანდებათ ხანი და მოხარშულ ვაშლს დაემზგავსებითო.

— მერე არ უთხარი, ამ თქვენი დაწყევლილი ჰავის ბრალია ყველაფერიო?— კითხა მეორემ.

— ეუთხარი კი არა, მეტიც ვქენი, მაგრამ რა გამოვიდა?— მიუგო პირველმა.

— არა, ციმბირში თუ საპიროდ დაინახეს უნივერსტეტი და დარსეს კიდევაც, ჩვენ ვის რა ვირი მოვპარეთ?—თქვა მესამემ:— პირველ კლასში ვიყავი, როცა ჩვენში უნივერსტეტის დაარსებაზე შეიქნა ლაპარაკი, მეგონა მომისწრებდა და მიხაროდა, მაგრამ მგონია, ჩემ შვილსაც არ მოესწროს! კიდევ უნდოდა ეთქვა რალაც, მაგრამ ამ დროს პალუბაზე ამოიყვანეს ავადმყოფი და ყველა იმასთან მივიდა.

— მშვენიერი ტაროსია, იასონ, შემოდგომის პირობაზე!— უთხრა ვილაცამ ავადმყოფს, რომელიც ისე დაღალა გემზე ამოსვლას, რომ სულს ძლივსა-ღა იბრუნებდა და პირველ სკამლოგინზედვე დაჯდა, აქლოშინებული.

— ზღვა ხომ არა გწყენს, იასონ?—კითხა ერთმა.

— როგორ არა მწყენს? მწყენს, ძალიან მწყენს!—ჩურჩულით წარმოთქვა ავადმყოფმა.

— აბა კარგათ ყოფილა საქმე! ამბობენ ვისაც გული ტკივა და ფილტვები აქვს დაზიანებული, ზღვა არ აწყენსო—უთხრა ღიმი-

ლით მეორემ. იასონმა ჯერ სკეპტიკურად გაიღიმა ამ სიტყვებზე, მერე სახე გაუბრწინდა და თავი დაღუნა. ალბათ, იფიქრა, იქნება, მართალია და ჭლექიანი არა ვარო! ჩამოვარდა სრული სიჩუმე. ყველა, სულ-განაბული, მიჩერებოდა ავადმყოფ ამხანაგს. საშინელი წამი იყო: ყველას უნდოდა ეთქვა რამე, ან ნუგეში ეცა, ან სხვა რამე სახალისო ლაპარაკი გაება, მაგრამ ვერავინ ვერ ახერხებდა, რადგან ყველას ეშინოდა, უიმისოდაც აღელვებული იასონი, კიდევ უფრო არ აღელვებულიყო. ამ დროს გაისმა ზარის რეკა და გემმაც პირველად დაუსტვინა.

— რა გახარო, იასონ? ჭუთათური ვაჭარი ვნახე. იმანაც მეორე კლასის ბილეთი აიღო და ერთად იქნებით,—უთხრა ავადმყოფს ერთმა სტუდენტმა, რომელსაც ის-იყო ბილეთი აეღო მისთვის და აჩქარებით ამოვიდა პალუბაზე.

— კარგია! სთქვა იასონმა და სახეზე კმაყოფილება გამოეხატა.

— ვინ არის? - იკითხა ვილამაც და დაუმატა: — სწორედ ბედი გვქონია, რომ დღეს გადავწყვიტეთ იასონის წასვლა.

— ჭუმბურიანია, ბულვარის გვერდზე რომ ვაჭრობს. აი თვითონაც.

ამ დროს მართლაც მოვიდა სტუდენტებთან ახალგაზდა, ევროპიულად ჩაცმული, კარგა ჩასუქებული ვაჭარი.

— აბა, გაიცანით ერთმანეთი! იასონ გვარამიძე, ალექსი ჭუმბურიანი, — სთქვა მოსულმა და იმათაც ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს!

— მე ადგილი ამოვირჩიე კიდეც თქვენთვის და ჩემთვის კაიუტაში,—უთხრა ჭუმბურიანმა იასონს და დაკვირვებით დააცქერდა სახეზე, თითქო უნდა შეიტყოს, სასიკვდილოა თუ სასიცოცხლო, მაგრამ, ალბად, სანუგეშო ვერაფერი დაიხახა, რადგან უეცრად ამოიოხრა და მოაშორა თვალი.

— ძალიან მადლობელი ვარ,უთხრა იასონმა: —მაშ ასე! სვეები ჯერ არც კი დაბრუნებულან საქართველოდან და მე-კი იქით მივემგზავრები, — დაუმატა ამან დაღონებით და შეხედა ამხანაგებს.

— რა ვუყოთ მერე? იქნება, გაზაფხულამდის კარგად შეიქნე და ეგზამენების დასაჭერად ჩაბოხვიდე კიდეც,—უთხრა ვიღაცამ, თუმცა ცხადი იყო, თვითონაც არა ჯეროდა, რასაც ამბობდა.

— ვაი შენს მტერს! ნეტა საგაისოდ ჩამოვიდე და ამ ერთ წელიწადს თქვენი ჰირი წაულია,—თქვა იასონმა და თვალებზე მომდგარი ცრემლი ძლივს შეიმაგრა.

— ჩამოხვალ, აბა, რას იზამ?—უთხრა ახლა მეორემ:—გულს რათ იტეხ წინდაწინვე? ხომ იცი, შენთვის პირველი წამალი მხნეობაა?

ამ დროს მეორედ დარეკეს და გემმაც ორჯერ დაუსტვინა.

— ვინც არ მობძანდებით, გადაბძანდით!—დაიძახა გემის უფროსმა და უბძანა მეზღვეებს, კიბესთან დამდგარიყვნენ და თავის დროზე გადაეშვათ მიწაზე. ხალხი შეინძრა, შეიქნა ჩოჩქოლი, არეულობა, გამოთხოვება, ტირილი.

– არ დარჩეთ! უთხრა იასონმაც ამხანაგებს.

— აბა, შენ იცი, გამხნევდი, თავს გაუფრთხილდი და, მეტი არაფერია საჭირო! საქართველოს ჰაერი უცხოეთიდან მოსულებს უხდება და კურნავს და შენ, მის საკუთარ შვილს, როგორ არ მოგარჩენს თავისსავე სასარგებლოდ? თქვა იმ სტუდენტმა, რომელმაც ბილეთი მოუტანა იასონს და, ცრემლებით თვალებ-ავსებულმა, რამდენჯერმე აკოცა საყვარელ ამხანაგს სხვებიც მივიდენ გამოსათხოვრად. ხმა მეტს არავის ამოუღია, კოცნით კი ყველამ აკოცა, თუმცა იასონი წინააღმდეგი იყო, რადგან ზოგიერთის თვალებში ცხადად ამოიკითხა: „ვიცი რომ ქლექი გჭირს, მაგრამ მაინც გკოცნი“-ო.

— მშვიდობით, მშვიდობით!.. არ დამივიწყოთ!..—ძლივს ამოილუღლუღა იასონმა ტირილით, როცა ყველანი გამოეთხოვენ. გაისმა უკანასკნელი ზარის რეკა, რომელსაც მოყვა გემის სამჯერ დასტვენა და სტუდენტებიც იძულებულნი შეიქნენ, გადასულიყვენ.

— მშვიდობით!—დაიძახეს სტუდენტებმა.

— მშვიდობით! მადლობელი ვარ, რომ პატივი მეცით, როგორც ავადმყოფობის დროს, ისე ახლა,—შესძახა იასონმა ძალ-ღონე მოკრებით.

— აბა, ალექსი, შენ იცი, თუ არაფერს გაუპირვებ გზაზე! დაავალა იასონის ამხანაგმა ჟუშბურიანს, როცა გამოეთხოვა.

— ჩემ კისერზე იყოს! — მიუგო ალექსიმ - ქართველი კაცი არა ვარ? სხვა რა შემიძლია, თუ აქაც ვერ დაეხმარები ჩემი ქვეყნის შვილს? გემი შეინძრა, ჯერ ნელა-ნელა გაშორდა ნაპირს, მერე გაიბრუნა პირი ზღვისკენ და სწრაფად წასრიალდა. ერთ ხანს სხვებთან ერთად იასონიც მიჩერებოდა ნაპირს. რომლიდანაც ამხანაგები ცხვირსახოცებს უქნევდენ; მერე-კი დალალვა იგრძნო, შეციედა კიდეც და ალექსისთან ერთად ჩავიდა კაიუტაში.

ცოტა ხანს შემდეგ გაისმა ზარის წკარუნი, რომელთაც პირველ და მეორე კლასის მოგზაურებს სადილად იწვევდენ.

— წამობძანდით, სადილი ვჭამოთ, უთხრა ალექსიმ იასონს.

— არა; მაინც და მაინც არა მშია და ტყუილად დავიღლები.

— მაშ, აქ გამოგიგზავნით ბულიონს და ცოტა შეჭამეთ, თვარა დასუსტდებით.

— კარგი, დათანხმდა იასონი.

— უშველა ღმერთმა, კარგი ზღვა გვაქვს და საჭმელს მაინც ნუ შევარჩენთ, თქვა ალექსიმ და დაუძახა მსახურს, რომელსაც აუხსნა, რომ იასონისთვის აქვე მოეტანათ ბულიონი.

— მაშ, ნახვადის, — მიუბრუნდა იასონს და სიმღერით გავიდა საზოგადო კაიუტაში, სადაც სუფრა უკვე გაშლილი იყო.

„ნეტავი შენ", გაიფიქრა იასონმა და შურის თვალით შეხედა მიმავალ ალექსის, რომელსაც, ეტყობოდა, ძალიან კარგი მადა უნდა ქონოდა. შურის თვალით შეხედა აგრეთვე ალექსის ზორბა მხარ-ბეჭსაც, რომელიც აშკარად ამტკიცებდა, რომ ამ მხარ-ბეჭის პატრონს სრულიად საღი ფილტვები უნდა ქონოდა. რას შეგშურდა?.. რომ შესაძლებელი იყოს განა გაცვლიდი შენს მდგომარეობას მის მდგომარეობაში?" უთხრა გულმა იასონს და ავადმყოფ ახალგაზდას მოაგონდა ყვავისა და არწივის არაკი, რომელიც ბავშობისას სადღაც წაეკითხა. — რატომ არის, რომ შენ ჩემზე მეტსა ძლებო? — კითხა თურმე არწივმა ყვავს. — იმიტომ, რომ შენ ცოცხალზე ნადირობ, თბილი სისხლი გიყვარს და მე-კი დამპალ ლეშითაც იოლად გამოვდივარ, შენც,

ჩემსავით, მოიქეცი და ჩემდენს იცოცხლებო, მიუგო ყვავმა: – არც დამპალი ლეში მინდა და არც შენი ხანიო, უთხრა ამაზე არწივმა: დაე, ცოტა ხანს ვიცოცხლო და არწივად დავრჩე, ვიდრე დიდ ხანს და შენ დაგემგზავსოო.

ამ არაკის მოგონებამ, ცოტა არ იყოს, ანუგეშა იასონი. „თუნდ ახლავე მოვკვდე, მაინც ერთი საათის სიცოცხლე მირჩევნიან მთელ იმის სიცოცხლეს“, გაიცლო მან გულში:“ და ერთი ხუთი წელიწადი თუ მაინც არ მოვკდი, მაშინ ხომ სულ“... „რა სულ?„ ჩაძახა ამ დროს რაღაც ხმამ ყურში: „რას გააკეთებ შენი ფილტვების პატრონი?... ჭუმბურიანი თავისს თავს მაინც არჩენს და შენ-კი უბრალო პარაზიტი ხარ მხოლოდ!... სიკვდილი, სიკვდილი დაგრჩენია მარტო! და, რაც უფრო მალე მოკვდები, ისა ჯობია, როგორც შენთვის, ისე ქვეყნისათვის“... „სიკვდილი სიკვდილი!“ თითქმის ხმა მაღლა წამოიძახა იასონმა და წარმოუდგა, ვითომ მის საწოლთან კედელი გაიხერიტა და დამბაჩის ლულა გამოჩნდა. იასონმა მიადო თავი იმ ადგილას და, სულგანაბული, იცდიდა, აგერ გავარდება დამბაჩა და მომიღებს ბოლოსაო. „თუ ასე გინდა სიკვდილი, მაგაზე ადვილი რა არის? ადი ზევით და გადავარდი ზღვაში!“ – უთხრა გულმა იასონს; ესეც წამოიწია და გადახედა ზღვას პატარა სარკმლიდან, რომელიც მის საწოლთან იყო გამოჭრილი. კარგა ხანს უყურა იასონმა დამშვიდებულ, უსაზღვრო და უძირო ზღვას, თითქოს რჩევას კითხავს, როგორ მოვიქცეო... სხვიმისაც ბევრჯელ მოსვლია იასონს თავის მოკვლის სურვილი, მაგრამ სიკვდილის შიში, თუ ის იმედი, რომ, ვინ იცის, იქნება, ცოტა რამ მაინც გავაკეთოვო, უკუაგდებინებდა ხოლმე ამ ფიქრს. ახლაც მოიშორა ეს ფიქრი თავიდან და დამშვიდებული დაწვა. „ამ ზამთარშიაც შემიძლიან სარგებლობა მოვუტანო ჩემ ქვეყანას“, იფიქრა იასონმა: „რადგან მოვახერხებ ბევრი რამ კარგი ვუთხრა, ბევრი რამ კარგი ვურჩიო გიმნაზიის შაგირდებს. დიახ, დავუახლოვდები იმათ (ბევრი მათგანი ხომ შეგობარია ჩემი) და შევადგენთ პატარა ამხანაგობას, ვისწავლით ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას და ამნაირად შევივსებთ იმ ნაკლს, რომლიც თან

გვდევს ახლანდელ მოზარდ თაობას-... იასონს სახე გაუბრწყინდა ტუჩებზე ღიმილი უთამაშებდა, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა ახლავე დააწყო იმ სიტყვის მზადება, რომლითაც მიმართავდა შეგირდების კრებას და მის ნეტარებას საზღვარი აღარ ქონდა. მართლაც, რომ ეს საათი იასონის სიცოცხლისა ჯობდა ალექსი ჭუმბურიანის მთელ სიცოცხლეს. იასონს ქონდა საგანი ცხოვრებისა, ქონდა აზრი ადამიანის მოქმედებისა. ახლა პირუტყვის მგზავსი არსება კი არ იყო, რომელიც მხოლოდ თავისთვის ზრუნვას, ჭამს, სვამს, ძინავს, მრავლდება. ის იყო კაცი, რომელიც ვერ შერიგებია ქვეყანაზე დამკვიდერებულ უსამართლობას და სურს, იბრძოლოს გასაუმჯობესებლად, მოძმეთა ხვედრის ტანჯულთა და დაჩაგრულთა ზეიმე ტვირთის შესამსუბუქებლად. იასონს სრულიად დაავიწყდა ახლა თავისი თავი, დაავიწყდა თავისი ტანჯვა-წვალებით საესე წარსული, დაავიწყდა თავისი დღევანდელი საშინელი ყოფა და მხოლოდ მომავალ მოქმედებისთვის-ღა ფიქრობდა, თავისს მომავალ მოღვაწეობას-ღა ითვალისწინებდა.

II

თოვლი აიღო, დედამიწა ზურმუხტად გადაიქცა, ცა ფირუზად. მზის სხივები, რომელიც აქამდის ანათებდა მხოლოდ, ახლა ათბობდა კიდეც. ხეხილი გამოცოცხლდა და, თითქო თვალ-მარგალიტით მორთულაო, თავმომწონედ გამოიყურება. ფრინველნი ბუდეების კეთებას შეუდგენ. და, სიყვარულით აღფრთოვნებულნი, განუწყვეტლად ჭიკჭიკობენ, დახტიან, დანავარდობენ.

ო, რა მშვენივრად მოუწყვია ყველაფერი განგებას ამ ქვეყანაზე, რომ... რომ თვითონ ადამიანი, ეს გვირგვინი ქმნილებათა, ეს მეფე ბუნებისა, ასე უბედური არ დაებადა! განა მაშინ, როცა ყოველივე მის გარშემო ნეტარებას მიცემია, ის უნდა იტანჯებოდეს? თუ კი ყველაფერს აქვს თავისი დრო, რატომ ადამიანსაც არა აქვს თავისი დრო, რატომ ადამიანსაც არა აქვს დანიშნული სიცოცხლის ვადა და ასე უკანონოდ რად ავლებს ცელს სიკვდილი ყველას, ვინც კი თვალში მოუვა, ჩჩვილს, ჭაბუკს, ვაჟკაცს, მოხუცს?..

„ბუნება იღვიძებს, ბუნება ცოცხლდება; გაზაფხულია და მე... მე კი ვილევი, ვდნები, ვკვდები“ ფიქრობდა ქუთაისის ერთერთ სასტუმროში მწოლიარე იასონ გვარამაძე, რომლის დღენიც დათვლილი იყო, და მისჩერებოდა ფანჯარას, საიდანაც მოსჩანდა ახლად აყვავებული ხეები. „ვკვდები, მაგრამ რატომ, რა დავაშავე?.. რატომ მაინც და მაინც მე უნდა მოვკვდე, რომელსაც არც კი დამიწყია ჯერ ცხოვრება, და არა ის ბებერი, რომელიც ძლივს მიათრევს ფეხებს ნამეტანის სიბერისაგან?“ იასონმა თვალი მოკრა ქეჩაში მიმავალ ათასნაირად წელში მოხრილ მოხუცს და შეშურდა: „იმას ჯერ კიდევ კარგა ხანს შეუძლია იცოცხლოს! რა უსამართლობაა, რა უსამართლობა!“ თითქმის ხმა-მაღლა წამოიძახა იასონმა და უეცრად მოაგონდა ერთი არაკი, რომელიც ბავშობისას გაეგონა სიკვდილის შესახებ: როცა პირველ ადამიანს პირველი შვილი დაებადა, მივიდა სიკვდილი და უნდოდა ბავშვის წაყვანა.—მოიცა პატარა, ჯერ სული მოითქვას, თვალი გაახილოს, იგემოს ცხოვრების სიტკბოება და მერე მოკალით,—შეეხვეწა ბავშვის მამა და სიკვდილიც გაბრუნდა. გაიზარდა ბავშვი, დაკაბუკდა და სწორედ მაშინ, როცა პირველად იგრძნო სიყვარული და დაქორწინებას აპირობდა, მოვიდა სიკვდილი.

— აჰ, აჰ ახლა როგორ შეიძლება? ყმაწვილი ეს არის ჯვარს იწერს, აცალე ნაყოფი გამოიღოს მისმა სიყვარულმა და მერე მოკალით,—შეეხვეწა ისევ ყმაწვილის მამა და სიკვდილიც ისევ განშორდა. გავიდა რამდენიმე ხანი და, როცა ყმაწვილს შვილი ეყოლა, მოვიდა ისევ სიკვდილი.—არა, არა, ახლა რომ მოკლა, რა ეშველება მის ცოლშვილს, ხომ სიმშილით ამოწყდება ყველაო! დაეღრიჯა ისევ სიკვდილს მოხუცი მამა:—მე დავბერდი, თვითონაც პატრონობა მინდა, თვარა ქვრივ-ობოლს როგორ უნდა ვუპატრონოვო? წამოეზარდოს შვილი და, როცა პატარა დავაჟკაცდება, მამა მაშინ შოუკალეთ. სიკვდილს არაფრად ეჭაშნიკა ამდენი გადადება ასასრულებელის საქმისა, მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა და წავიდა. ზავიდა კარგა ხანი, პატარა ბავშვი გაიზარდა და, როცა ესეც ცოლის შერთვას აპირობდა, მოვიდა სიკვდილი.—ცოტა კიდევ დამა-

ცალე, დავსტკბე ჩემის შვილის ბედნიერებით და მოვესწრო შვილიშვილსაო, — შეეხვეწა ახლა თვითონ, უკვე ხანში შესული და გაჭაღარავებული. — აჰუ!.. როგორც ვხედავ, თქვენ არას დროს არ გინდათ მოკვდეთ და ყოველთვის შეგიძლიათ, იპოვოთ გადასადები მიზეზიო, შეკივლა სიკვდილმა: სისულელე მომივიდა, რომ მაშინაც დავუჯერე მამა-შენს და პირველადვე არ მოგკალო!.. ამას შემდეგ სიკვდილი აღარავის ხვეწნა-მუდარს აღარ აქცევს ყურადღებას და, როგორც თვითონ უნდა, ისე ავლებს ცელს ახალ დაბადებულსაც, საქორწინოდ გამზადებულ ჭაბუკსაც, დაცოლშვილებულ ვაჟკაცსაც და შვილის ბედნიერების მომლოდინე მოხუცსაც!.. იასონი ისევ შეწუხდა და მიაჩერდა დალონებით ატმის ხეს, რომელიც იქვე მის ფანჯარასთან იდგა და მშვენიერ წითელ ყვავილებით შეფერილი მხიარულად გამოიყურებოდა. ამ დროს ოთახში მსახური შემოვიდა და ოთახის დალაგება დაიწყო.

— ნიკო! — დაუძახა იასონმა მსახურს.

— ბატონო! ნიკო მოვიდა, იასონთან.

— წადი, თუ ძმა ხარ და იმ ატმის ყვავილი მომიტანე. — უთხრა იასონმა. მსახური გავიდა. „რად მინდ, რას ვერჩი?“ გაუელვა უცებ იასონს თავში და დაუძახა ნიკოს, რომ უარი ეთქვა, მაგრამ ველარ გააგონა და, გულ-დაწყვეტილი, დაჩუმდა. „მე რომ უდროოდ მომწყვიტა ბედმა და მაჭკნობს, ხომ ვწუხვარ, იქნება ისიც შეწუხდეს“, ფიქრობდა იასონი, როცა ნიკო შემოვიდა და შემოიტანა მოზდილი, ყვავილებით სავსე ატმის შტო.

— უჰ, რამხელა მოგიტეხია! მწუხარებით წამიძახა იასონმა და სიბრალულით სავსე თვალები მიაპყრო შტოს. ნიკო თავისს საქმეზე წავიდა. დარჩა იასონი მარტო და ალერსი დაუწყო შტოს: ჯერ ცხვირთან მიიტანა ყვავილი, მერე ლოყაზე და თვალებზე მიისვმოისვა და გრძნობით აკოცა. „უჰ რამდენი ნაყოფი უნდა გამოელო და მე კი მოვუსპე სიცოცხლე საბრალოს!“ მწუხარებით წარმოთქვა იასონმა. „შენც ბევრი ნაყოფი უნდა გამოგელო, მაგრამ აგერ-აგერ ამოგხდება სული!“ ჩაძახა იასონს ყურში იდუმალმა ხმამ. „მერე ეს რა შუაშია?“ იფიქრა იასონმა. და დაუწყო ხელის სმა და აკოცა ყვა-

ვილს, თითქო მოფერებით უნდა შეანდობინოს თავისი დანაშაულიო. ო, რას არ მიცემდა ახლა იასონი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამ შტოს ისევ თავის ადგილას გამობმა და განედლება!

ცოტა ხანს შემდეგ კარი გაიღო და ოთახში ექიმი შემოვიდა. იასონმა შეხედა ექიმს და მის თვალებში ცხადად ამოიკითხა: „კიდევ ცოცხალი ხარ?!“-თ.

— გაზაფხული!—თქვა ექიმმა, როცა ატმის შტოს შეხედა და ნაძალადევად გაიღიმა. „ხომ გეუბნებოდი, რომ შენის ფილტვების პატრონს მოციქულობა და წინასწარმეტყველობა არ შეშვენის-მეთქი. აი, ხომ კვდები? ჩემთვის რომ დაგეჯერებინა, თავისთვის მოგევლო და ღამღამეობით კრებებზე არ გევლო, ცოტა ხანს კიდევ იცოცხლებდი, ეგებ მორჩენილიყავი კიდეც!“ ამბობდა ექიმის თვალები, როცა ხელები და ყურები ავადმყოფის მკერდს სინჯავდა.

— Эм!... Все одно и то-же, ცვლილება არაფერია,—თქვა ექიმმა, როცა გასინჯვა გაათავა, ჩამოართვა ხელი და გავიდა.

— Нѣтъ, не один и то-же! —თქვა იასონმა, როცა მარტო დარჩა: ჩემი საათები და, შეიძლება, წუთებიც დათვლილია.

მართლაც, იასონი გრძნობდა, რომ ცალი ფეხი უკვე სამარეში ედგა. „პირველი საათია“, იფიქრა იასონმა, როცა საათის რეკა გაიგონა; „ერთ საათს შემდეგ შეგირდები განთავისუფლდებიან და, უეჭველად, შემოვა ვინმე.“ შეგირდების მოგონებამ გული სიამით ალუვსო, რადგან მათ გაუმართლეს იმედები და გულმოდგინედ შეუდგენ მის ხელმძღვანელობით მეცადინეობას. იასონი დარწმუნებული იყო, რომ სულ უქმად არ ჩაუვლია ჩემ სიცოცხლესაო და ბედნიერი იყო. წარმოუდგენელია ნეტარება იმის ძლივს მფეთქავის გულისა: ვინ მოსთვლის რამდენ დიდებულ სურათს არ უხატავდა ახლა მის თვალებს აღფრთოვნებული გონება. იასონს თავისი თავი სრულიად დააავიწყდა. სიცოცხლითა და ძალ-ღონით სავსე ახალგაზდებზედ-ღა ფიქრობდა, რომელნიც ღირსეულად მოემზადებოდენ

სამშობლოსა და ხალხის სამსახურისათვის და განახორციელებდენ იმას, რის განხორციელებაც თვითონ აღარ შეეძლო. „რა ვუყოთ მერე, რომ მოვკვდები? ხორცით მოვკვდები, თვარა სული ხომ აქვე დარჩება და იმ ახალგაზდებში იტრიალებს!“ ფიქრობდა იასონი, როცა უეცრად მეორე ოთახიდან მოესმა შექეიფიანებულთა „მრავალ ჟამიერის“ სიმღერა. იასონს თავი მიბეზრებული ქონდა იმ ვითომ ქართულ „მრავალ ჟამერით,“ რომელიც ასე ხშირად ესმოდა სასტუმროში და რომელშიაც ქართული სიტყვები იყო მხოლოდ. სიმღერის გაგონებამ შეცვალა იასონის ფიქრთა მიმდინარეობა. „ნეტავი იმათ, მხიარულობენ მხიარულ გაზაფხულთან ერთად,“ იფიქრა იასონმა!„ მაგრამ ეჰ, ვინ იცის, ერთ საათს შემდეგ რომელს რა ეოფა?“ ოთახიდან ხმაურობა და ხმა მაღალი ყვირილი მოისმა. „აი თუ არა? მგონი, ჩხუბიც მოუვიდათ და ახლავე დაერევიან ერთმანეთს“. ხმაურობამ თანდათან იმატა, შეიქნა „გამოუშვით, გამოუშვით“-ის ძახილი და სხვა. „ო, ღმერთო, როდის გაჩნდება კაცი. რომელიც სასარგებლოთ გამოიყენებს ამდენ ძალას?„. წამოიძახა იასონმა. „ვსვამ სადღეგრძელოს, ვსვამ სადღეგრძელოს და გაუმარჯოს. ჩვენ საქართველოს“!.. მოქეიფენი დამშვიდებულიყვენ კიდეც და ხმა-ჩახლეჩილის ხმით ამნაირად იგონებდენ მამულს. „ვინა თქვა, რომ ქართველს მამული არ უყვარსო, აბა, თუ დაითვრება ისე ქართველი, რომ მამული არ ახსენოს? მამულის სიყვარული მეტი შეიძლება?.. ო, რომ შემეძლოს ახლა, ავდგებოდი, მივიდოდი იმათთან და ვეტყოდი, გიყვარსთ საქართველო, გინდათ მისი გამარჯვება?... მაშ, აქ კი ნუ ღრიალებთ და ერთმანეთს ნუ სჩეხთ იმ იარაღით, რომლითაც თქვენი წინაპარნი მხოლოდ მტერს იგერებდენ!... ადექით და გამომყევით უკან. მე თქვენ გასწავლით, რა უნდა ქნათ, რომ საქართველომ გაიმარჯვოს!... ღმერთო, ღმერთო, რად მოგვეცი ასე სუსტი, ასე უძლური სხეული, როცა სული ყოვლის შემძლებელი შთაგვბერე? ო, მესმის, ახლა მესმის, დიდებულო პრომეთევ, შენი სულის კვეთება! შენ სულით მზმდ იყავი, მთელი ქვეყნის ძლიერებას შებრძოლებრდი და ხორცით-კი კლდეზე იყავი მიჯაჭვული; მესმის, რადგან შენ სახე ხარ კაცისა, რომელსაც მოქმე-

დება უნდა, რომ კაცობრიობას სარკებლობა მოუტანოს და გარეშოებას-კი უნილავ ჯაჭვებით შებორკილებული დაუგდია საცოდავად!-... ასე ფიქრობდა იასონი, როცა კარი გაღო და ოთახში რამდენიმე შეგირდი შეეოვიდა. იასონი დამშვიდდა და, სახე გაბრწყინვებული მიესალმა, მოსულებს. ერთმა მათგანმა დეპეშა აჩვენა.

— ამაღამ ჩამოვა? — აღტაცებით კითხა იასონმა, როცა დეპეშა წაიკითხა.

— ჰო, ოთახები დავიჭირე კიდეც ამ სასტუმროში, მიუგო შეგირდმა.

— ძალიან კარგი!.. ვერ წარმოიდგენ, გიორგი. რა მიხარია, რომ ერთხელ კიდევ ვნახავ ნინოს, — თქვა იასონმა.

— იმასაც გულით უნდა შენი ნახვა და ამიტომ მოდის კიდევაც, — უთხრა გიორგიმ: ყველიერში რომ ვიყავი შინ, მითხრა, უსათუოდ ჩამოვალ და ვნახავო.

— მერე რატომ აქამდის არ მითხარი? — უსაყვედურა იასონმა.

— მეშინოდა, ვაი თუ ვერ მოახერხოს და ტყულათ მოვატყუო მეთქი. ხომ იცი, ქალი რომ გათხოვდება, ქმრის მორჩილი უნდა იქნეს და ჩემი სიძე-კი უბრალო ხარჯს ძალიან ერიდება.

რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი!... ბუტბუტებდა ოცნებით გატაცებული იასონი, და მიჩერებოდა გიორგის, თიქო სურს თვალებით გააგებინოს თავისი გრძნობა, რადგან ენით მისი გამოთქმა შეუძლებელიაო. გიორგიც მიხვდა, რასაც გრძნობდა იასონი, რადგან იცოდა, რომ მის დას, ნინოს, და იასონს, უყვარდათ ერთმანეთი, თუმცა ერთხელაც არ გაუმჟღავნებიათ ერთმანეთისათვის თავისი გულის პასუხი. არის სიყვარული, სიყვარული წმიდა, უმანკო როცა კაცმა და ქალმა იციან, რომ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ სიტყვით კი არაფერს ამხელენ. ან კი რად გაამხილონ, როცა მათ აწმყოს ეს არაფერს შეძენს და ნიშაეალი-კი მათის სიყვარულისთვის არ არსებობს? არ არსებობს იმიტომ, რომ გარემოებას ისე დაუშორებია ერთმანეთისთვის ეს ორი მოყვარული არსება, იმისთანა მაღალი კედელი აუგია მათ შორის, რომ მის გადალახვას დიდი, ერთობ დიდი ძალა უნდა და ყველას ხომ არ ექნება ამისთანა ძალა?

ან კიდევაც რომ ქონდეს, ყველა ხომ მარტო თავისს პირად ინტერესს არ მოახმარს მთელ თავისს ძალ-ღონეს? შემთხვევამ შეახვედრა ერთმანეთს ნინო და იასონი, თან დასძინა, თუ გინდათ, შეიყვარეთ კიდეც ერთმანეთი, მაგრამ არამც და არამც სხვა არაფერი ისურვოთ და გულშივე ჩაიკალითეგ გძნობაო. ნინო და იასონიც დაემორჩილენ ბედს, რადგან ბრძოლისათვის საჭირო ძალა პირველს არა ქონდა და მეორეს-კი არ უნდოდა მისი ამ ბრძოლაზე შელევა, რადგან სულ სხვა ბძოლისათვის ემზადებოდა.

წამები საუკუნეებად ეჩვენებოდა იასონს, როცა საღამოზე შეგირდები თავ-თავიანთ სახლში წავიდენ, გიორგი რკინის გზის სადგურზე დის დასახვედრად და თვითონ მარტო დარჩა. ო, რა საშინლად უცემდა გული! მან იცოდა, რომ კვდებოდა, და ღმერთს მხოლოდ საყვარელ არსების ნახვამდის-ღა თხოვდა სიცოცხლეს.

მოისმა მატარებლის სტვენა და ცოტა ხანს შემდეგ ეტლების ხრიგინიც გაისმა ქუჩაში. რამდენი ეტლიც მოუახლოვდებოდა სასტუმროს, იმდენჯერ შეწყვეტდა იასონის გული ცემას და გაინაბებოდა. ბევრმა ეტლმა გაიხრიგინა სასტუმროსთან, სანამ ბოლოს ერთი მათგანი არ დადგა. პირველს მეორეც მოყვა და შეიქნა დერეფანში მისვლა-მოსვლა, ხმაურობა. „მოვიდენ, მოვიდენ!“ წამოიძახა იასონმა და სული განაბა, რომ ხმაზე ეცნო თავისი მეგობრები. გაიგონა კიდეც გიორგის ხმა, გაიგონა ნინოს ტკბილი, ნაზი ლაპარაკიც და მის ნეტარებას საზღვარი აღარ ქონდა. მაგრამ უეცრად შეწყდა ხმაურობა და იასონს გული ნაღვლით აევსო. „იქნება, ამაღამ არ აპირობს შეოსვლას და მე-კი ხვალამდის, ეგებ, მოკვდე კიდეც“, ფიქრობდა იასონი, როცა კარი გაიღო და გიორგი შემოვიდა.

— ახლავე შემოვლენ ორივე ცოლ-ქმარი, ჩემი სიძეც ჩამოვიდა, ბავშვიც ჩამოიყვანეს!—თქვა გიორგიმ. იასონმა მეტის-მეტის სიხარულისგან თრთოლა დაიწყო. გიორგის შეეშინდა, როცა იასონი ამისთანა მდგომარეობაში ნახა, და აღარ იცოდა, რა ექნა.

— ნუ გეშინიან,—უთხრა ცოტათი დამშვიდებულმა იასონმა:— მე ახლა არ მოვკდები. ამ დროს მოისმა ფეხის ხმა, მსახურმა ოთახის კარი გააღო და შემოვიდენ ნინო და მისი ქმარი.

— იასონ!.. დაიძახა ნინომ შემოსვლისთანვე და, შემკრთალი, ერთ ადგილას გაშეშდა, როცა სიკვდილისაგან ბეჭედ-დასმული იასონის სახე დაინახა. იასონიც ხმა-ამოუღებლივ მიჩერებოდა გაშტერებულ ნინოს. არის ხოლმე იმისთანა წამი, როცა კაცი გაქვავებულს ემზგავსება, აღარც განძრევა შეუძლია, აღარც ლაპარაკი. აი ამისთანა წამი დადგა მაშინ იასონისა და ნინოსთვის, პირველისთვის მომეტებულ სიხარულისა გამო და მეორისთვის კი მაგრამ გუწერელია, გამოუთქმელია ის გრძნობათა ღელვა, ის აზრთა ბრძოლა, რომელიც ნინოს არსებას ძრავდა და არყევდა მაშინ, რადგან მწუხარება. სიხარული, შიში, საკოწარკვეთილება – ყველა ერთმანეთში ა'რეულიყო. ნინო ხედავდა მოთაკვდავს, ერთს დრო მშვენიერს და ახლა კი გარეგნობით საშინელ ახალგაზდა ჭაბუკს, რომელსაც არა მცირე იდგილი ეჭირა მის გულში; ხედავდა მის უიმედო მდგომარეობას, მის საშინელ ტანჯვას და შველა კი არ შეძლო. საშინელი მდგომარეობა იყო ნინოს მდგომარეობა! ერთის მხრით სიკვდილის ზიზღი და მეორეს ბხრით წბიდა სიყვარული ბომაკედავისადმი მწვავ ცეცხლად ედებოდა მის გულს. ეს იყო?.. ო, რამდენი იმედი, რამდენი საოცნებო სურათი ქონდა დაკავშირებული იასონის სახელთან და ამ წუთში კი ყოველივე ქრებოდა, ყოველსავე რაღაც შავი ჩრდილი ეფინებოდა.

მხოლოდ ნინოს ქმარმა დაარღვია ეს საშინელი დუმილი და დაუწყო იასონს ავადმყოფობის შესახებ გამოკითხვა. იასონი მოკლედ ეუბნებოდა პასუხს, რომელსაც საჭირო განმარტებაᲘ გიორგი აძლევდა. ნინო კი ჩუმად იყო და თვალზე მომდგარ ცრემლებს ყლაპავდა ფარულად, რომ ან თეითონ იასონისთვის არ შეემჩნევინებინა ტირილი, ან ქმრისთვის.

— ნინო, წავიდეთ! –უთხრა ცოტა ხანს შემდეგ ქმარმა: მC საქმე მაქვს და ქალაქში უნდა წავიდე, შენც ბავშვი უნდა დააწვინო!.. ავადმყოფისთვისაც მოსვენებაა საჭირო!.. ნინო არ ინძრეოდა, თითქო ამას არაფრი ეხებაო და ფართედ გახელილ თვალებით მიჩერებოდა ავადმყოფს, თითქო უნდა ზედ დააკვდეს და თავისი-სული მის სულს შეუკავშიროსო.

— არ გესმის?.. რაღას უყურებ?... გაიმეორა ქმარმა. დიახ, რაღას უყურებს? მოქმედება გათავებულია, და ფარდასაც ახლავე ჩამოუშვებენ. მართალია, გმირი ცოცხალია ჯერ კიდევ, მაგრამ ხომ უნდა მოკვდეს, მოკვდეს ახლავე და უკანასკნელი სულთან ბძოლის ყურება-კი მხოლოდ განუვითარებელ ბრბოს შეშვენის. საბრალო ნინო! რას არ მისცემდა ახლა, რომ წარმოდგენა, რომელმაც სრულიად მოხიბლა, მოაჯადოვა და დაავიწყა ყველაფერი: თაკისი თავიც, ქმარიც, შვილიც, ქვეყანაც და ცაც, არ გათავებულიყო და საუკუნოდ გაგრძელებულიყო, მაგრამ განგება, ეს თავისებური და მიუწდომელი ავტორი, აქ წყვეტდა მოქმედებას, აქ ათავებდა პიესას და ყლაპავდა უმთავრესს გმირს. მაყურებელთაც აღარაფერი აღარ დარჩენოდათ იმის მეტი, რომ გასულიყვენ სათეატრო დარბაზიდან და თავისს კერძო ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. ამ წარმოდგენისა კი მხოლოდ მოგონება შეეძლოთ და სხვა არაფერი...

— როგორ გამოცვლილა, გაკეთებულა, დაქალებულა! — უთხრა იასონმა გიორგის, როცა მარტო დარჩენ.

— დედაა! — თქვა გიორგიმ და დააშტერდა იასონის სახეს, რომელიც თვალდათვალ ილეოდა, ნებოდა. ვის არ დაწვავს გულს ახალგაზდა ჭაბუკის სიკვდილი, მაგრამ კიდევ უფრო საშინლად მოქმედობს იგი ახალგაზდაზედვე. ახალგაზდას გული უტყდება, როცა მომაკვდავ ახალგაზდას ხედავს, რწმენა ესპობა, იმედი ეკარგება. „განა ღირს წვალობდე, ემზადებოდე რაღაცასთვის, როცა არ იცი. რა გელის ხვალ?“ ფიქრობდა გიორგი: საბრალო იასონი!.. უსარგებლოდ, ნაყოფ-გამოულებლად ისპობა მისი სიჭაბუკე, მისი ნიჭი სწორედ მაშინ, როც განვითარდა, მომწიფდა.“

იასონი თითქო მიხვდა, რასაც ფიქრობდა გიორგი, რომელიც ცრემლს ვეღარ იმაგრდება და თვითონაც თვალები აერია.

— „Не разцвѣтши, отдѣлъ въ утрѣ насмѣшныхъ дней“, განა გიორგი?.. ეჰ, რა ვქნათ, ამხანაგი ბევრი მყავს, — დაიწყო იასონმა: გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ სრულიად არაფერი გამიკეთებია ივისთანა, რასაც შეძლებოდა ჩემი ცოტა ხნით მაინც არ დავიწება ამ ქვეყანაზე!... იცი, რა გითხრა? ამ დილას მომაგონდა

დობროლიუბოვის შესანიშნავი ლექსი, აი, ის ლექსი, მის თხუზულებათა კრებულს რომ აქვს ეპიგრაფად, გახსოვს?..

Милый другъ, я умираю
Отъ того, что былъ я честенъ,
Но зато родному краю
Вѣрно буду я извѣстенъ!

Милый другъ, я умираю,
Но спокоенъ я душою,
И тебя благословляю,
Шествуй той-же стезею!

ძლიერი ნათქვამია, მაგრამ მართალია და ამიტომ მშვენიერია!.. ნეტავი იმას, ის არ მოკვდარა და არც რიდისმე მოკვდება; სანამ კეთილს ფასი ექნება, მისი ნაწერები არ მოკლავენ; მე-.. მე-კი ვკვდები კვალ-წმინდად და, აი, ესა მწუვეტავს გულს, თუმცა... იცი, გიორგი, მე ამ დობროლიუბოვის ლექსისებური ლექსი დავწერე ამ დილას... აი, წაიკითხე!.. იასონმა ბალიშ ქვეშიდან ამოიღო ქაღალდის ნახევი და გადაცა გიორგის, გიორგიმ აკანკალებულის ხმით და ცრემლების-ყლაპვით შემდეგი წაიკითხა:

რა ადრე ვკვდები,
შენი ურგები,
მრავალ-ტანჯულო, ჩემო სამშობლო!
ცხოვრებამ მკაცრმა,
სენმა საზარმა
უცებ დამძალეს, მომიღეს ბოლო!

* * *

ვკვდები და ხულსა,
შეწუხებულსა,
ნუგეშად მხოლოდ ის დარჩენია,
რომ, თუმც ხან-მოკლე,
ჩემი სიცოცხლე
ბევრ წმინდა გრძნობა-სურვილთ მჩენია!...

— იასონ!.. ღაიძახა აღელვებულმა გიორგიმ არა თავის ხმით, როცა კითხვა გაათავა: ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო იასონ!.. და გადაეხვია თავისს შეგობარს. ჩამოვარდა გულის შემზარაკი მდუმარება. ოთახში რაღაც იდუმალი ძალა გამეფებულიყო. აშკარა იყო, საშინელი საიდუმლო ახლოვდებოდა.

— იასონ, გინდა ჩვენი კრებების შესახებ ვილაპარაკოთ! — დაიწყო პირველად გიორგიმ: შენ ხომ ძალიან გიყვარს ამაზე ლაპარაკი.

— კარგი, მომიყევი, როგორ მიდის საქმე! — ძლივს წარმოსთქვა იასონმა და გიორგიც ერთხელ კიდევ მოუყვა თავისს მეგობარს მისგანვე დაარსებულ წრის ამბავს. ავადმყოფს სახე გაუბრწყინდა, თვალები ცეცხლით აენთო და უსმენდა უკანასკნელად. გიორგი აღფრთოვანებით მოუთხრობდა, ვინ რას კითხულობდა, ვინ რას სწავლობდა, ვინ რას სწერდა და განგებ აზვიადებდა და აფერადებდა ყოველ ნაბიჯს, ამბანავებისაგან წინ გადადადგმულს; იასონი კი კვდებოდა, ქვეყანას ესალმებოდა, კმაყოფილი და ბედნიერი, რომ სულ მუქთად არ ჩაუვლია ჩემ მოკლე, მაგრამ ბევრ ჭირნახულს სიცოცხლესო...

რამდენისამე დღის შემდეგ სასტუმროდან გამოასვენეს მიცვალებული იასონი. კუბო შეკრიდებს მიქონდათ. ხალხი საკმაოდ მისდევდა ცხედარს ნამეტურ ახალგაზდობა იყო ბევრი. კუბოს წინ ორი ყვავილისა და დაფნის ფოთოლის გვირგვინიც მიქონდათ. ერთზე ეწერა: „ძვირფას მასწავლებელს და საყვარელ მეგობარს, მადლიერი მოწაფე,“ მეორეზე: „დაკარგულ იმედს. ახალგაზდობა“. პირველი ნინოსაგან იყო, მეორე ამხანაგებისაგან..

დაშორებულნი.

I

— მზე გადახრილა; საცაა მატარებელიც მოვა, — თქვა ედუკიმ, როცა, სამზარეულოდან გამოსულმა, მზეს შეხედა და წავიდა აივნისკენ.

— რას შვრები, ნიკიფორე, არ მიდიხარ შესახვედრად? — კითხა ქმარს, როველიც ამ დროს სკამლოგინზე წამოწოლილიყო და, წარბებ შეკრული, ჭერს მიჩერებოდა. — არ გესმის, კაცო? — ხმა აამაღლა ქალმა, როცა პასუხი ვერ მიიღო: მზე გადიხარა; საცაა მოვა მატარებელი.

— რა გინდა, რა? რას ჩამცივებიხარ? — შემოუტია ნიკიფორემ.

— არ დახვდები სვიმონს? — ხმა მოტკბილებით კითხა ახლა ედუკიმ.

— რაზე უნდა დავხვდე? რა და დაჯილდოვებული მოდის, რომ წინ მივეგებო და მშვიდობით მობძანება მივულოცო? — წამოიძახა ნიკიფორემ, გაუყარა ქუსლებ ჩაკეცილ წუღებში ფეხები და დაიწყო აჩქარებით სიარული.

— რავა რაზე უნდა დახვდე? ამდენი ხანია შვილი არ გინახავს, — დაიწყო საყვედურით ქალმა.

— შვილი, თვარა ის რომ დაჩინონიკებული მოდის, — თქვა ამოოხვრით ნიკიფორემ.

— რა ვუყოთ მერე? მარცხი ვის არ მოუვა? ამბობენ, სხვაც ბევრია დათხოვნილიო, — თქვა ედუკიმ.

— იქნება, სხვებს მილიონები აქვთ და შვილებს თავის შესაქცევად ასწავლიდენ მხოლოდ, მე კი უკანასკნელი ვენახი დავაგირავე წელს, რომ სვიმონისთვის საჭირო ფული გამეგზავნა. ვფიქრობდი, ერთი წლის მეტი აღარ დარჩენია, ბარემ გაათავებს სწავლას და შეშველება-მეთქი. ასე მეგონა, დაჩინონიკებული ჩამოვიდოდა და ის-კი გაუბედურებული მოდის! ხმა აუკანკალდა ნიკიფორეს და ცრემლით ავსებული თვალები აპალუხის სახელოთი მოიწმინდა. ედუკიმაც აუკრემლიანდა თვალები და თავი დახარა, თითქო სვიმონის მაგიერ ის იყო დამნაშავე.

— არა, რაზე მოდის, რომ მოდის? — დაიწყო ისევ ნიკიფორემ: — რა პირით მოდის ჩემთან? ყელში დანა გამიყარა, დამკლა თავისი ხელით, გამაუბედურა ცოლშვილიანა და, ვითომ აქ არაფერიაო, მწერს, მოვდივარო. რა უნდა, რომ მოდის?..

— ბეჩა, ნიკიფორე, რას ამბობ? აბა სად უნდა წავიდეს? — გააწყვეტინა ცოლმა.

— სადაც უნდა, იქ წავიდეს! მოჯამაგირედ დადგეს, ზურგზე ჭურტანი მოიკიდოს და იმუშავოს! მისი წონა ფული დამიხარჯავს და კიდევ ჩემთან მოდის სარჩენად? ან ღმერთს რას ეუბნება ის ჩემი ცოდვით სავსე და ან კაცს? მთელი ჩემი საცხოვრებელი იმას გადავალიე და რაღათი უნდა გამოვკვებო ცოლშვილი? როგორ-ღა უნდა გამოვზარდო დანარჩენი შვილები? განა საცოდავები არ არიან ეს, მარგალიტივით, ბავშვები, რომ იმის წყალობით უსწავლელები უნდა დარჩენ? ნიკიფორემ ხელი გაიწვდინა სამ პატარა ერთმანეთის მომდევნო ბავშვებისკენ, რომელნიც ამ ლაპარაკის დროს შეუმჩნევლად მოსულიყვენ დედასთან. ედუკიმაც დახედა პატარებს და თავი ველარ შეიმაგრა: რა ?დენიმე ცვარი ცრემლი გადმოუგორდა თვალთაგან. ჩამოვარდა გულის შემზარავი დუმილი, რომელიც, ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა, რომ ამ ;როს ხეობიდან მატარებლის სტვენის ხმა არ მოსულიყო.

— მაშინა, მაშინა! დაიძახეს ბავშვებმა და ეიშკრისკენ გაიქცენ ხტუნვითა და ყვირილით.

— ეეიმე, დაღუპულო ცოლო და შვილო! ღრმა ამოოხვრით წამოიძახა ნიკიფორემ და ჩამოჯდა სკამლოგინზე.

— წავიდეთ, ჰიშკართან მაინც დავხვდეთ! უთხრა წყნარად ცოლმა, მაგრამ ნიკიფორე, თითქო გაქვავებულაო, აღარ იძეროდა. ედუკი იდგა ცოტა ხანს, შემდეგ ნელი ნაბიჯით წავიდა ჰიშკრისკენ.

ნიკოფორე უყურებდა მიმავალ ცოლს და სახეზე თითქო კმაყოფილება ეხატებოდა. „დედინაცვალიო, იტყვიან-, ფიქრობდა ნიკიფორე: „ღვთის რისხვა ადამიანი დედინაცვალიც გამოვა და დედაც, კეთილი-კი ყოველთვის კეთილად დარჩება! მთელი ჩემი ქონება, რაც გამაჩნდა და თვით მაგისი მზითევიც-კი სვიმონს შევაჭამე... მე, მამას, ნაღველი მისვდება, როცა მოვიგონებ, რომ ამდენნი ხარჯმა უნაყოფოდ ჩამიარა და დედინაცვალი-კი საყვარელ ყაჯმელებს უმზადებს და სულ მის ფიქრშია, როგორ ასიამოვნოს, თითქო დიდად დასაჩუქრებული იყოს მისგან-. ასე ფიქრობდა ნიკიფორე, როცა ჰიშკართან მოძრაობა შეამჩნია: ბავშვები მბიარულის კიეინით გადავიდენ გადაღმა და გაიქცენ; ედუკიც იქით წავიდა.

„ეტყობა, ბოდის... წავალ, არ დავენახვები და საჭმელს მაინც არ დავამწარებ... ეშიერი იქნება. ვინ იცის, რა ხანია ხეირიანად არც კი გამაძღარა!“ გაიფიქრა ნიკიფორემ და სწორედ მაშინ, როცა ჰიშკარს მოუახლოვდენ ყველანი, უკან გავიდა და ჭერის თავებისკენ წავიდა. შორს იმიტომ აღარ წასულა, რომ იცოდა, სვიმონისთვის ღვინო იქნებოდა ამოსაღები და ქალებს ამ საქმეს არაფრისთვის არ ანდობდა.

შეიმალა ნიკიფორე ვაზით შეფუთნულ ტალავერში, რომელიც ჭერის თავებზე იყო გამართული და მარნის მაგიერობას ასრულებდა; ჩამოჯდა საწნეხელზე და დაიწყო თავისს საფარიდან, სადაც მას ვერავინ ვერ დაინახავდა, სახლისკენ ყურება. გავიდა რამდენიმე წამი და ედუკი და სვიმონი, რომელსაც სულ უნცროსი ძმა ხელში აეყვანა, დანარჩენნი-კი კალთებზე ებღაუჭებოდენ და ეკოწიწებოდენ, უკანა აივანზე გამოვიდენ.

— მამა სად არის? მოესმა ნიკიფორეს სვიმონის ხმა და გული აუძგერდა.—ძალიან გულ მოსულია ჩემზე?.. რა ვქნა, ჩემი ბრალი არ არის! მადლობა ღმერთს, რომ ასეც გადაეჩი და. შინ დაებრუნდი!

ნიკიფორეს ესმოდა სვიმონის ლაპარაკი; ხედავდა სვიმონს, რომელსაც სრულიადაც არ ეტყობოდა მწუხარება და, პირ-იქით, ისე ეპირა თავი, თითქო საგმირო საქმე ჩაუდენია და ყველასაგან თანაგრძნობასა და პატივის ცემას ელისო. ეს-კი მეტის-მეტი იყო უიმისოდაც ცეცხლ მთდებულ მამისთვის და ნიკიფორეს მღელვარებასაც საზღვარი აღარ ქონდა.

— ნიკიფორე, ნიკიფორე!.. - მოისმა ედუკის ხმა: — არა, სად დაიკარგა ეს კაცი? ახლა აქ იყო, — წუწუნებდა ქალი და იხედებოდა აქეთ-იქით, უძახოდა ქმარს, მაგრამ ნიკიფორე ხმას არ იღებდა და იყო თავისს ადგილზე, გულ-დამწვარი, სულ-შეწუხებული.

— მართა, შენ ვერ ამოიღებ ღვინოს? დაუძახა ედუკიმ მზარეულ დედაკაცს, როცა იმედი გადაეწყდა.

— კი, ბატონო, სახარჯო ღვინოს ამოვიღებ, უპასუხა მართამ.

— არა, კარგი ღვინო უნდა ამოვიღოთ, უთხრა ედუკიმ.

— კაის ვერ მოვხდი; ჩამივარდება რამე ჭურში და ბატონი მომკლავს, თქვა მართამ.

— წამოდი; მეც მოგეხმარები და ერთად მოვხადოთ როგორმე. სვიმონს სახარჯო ღვინოს რავა დავალევინებ; წევე გუშინ იყო თავის სახლში? თქვა ედუკიმ და მოკიდა დოქს ხელი.

— რა ვქნა, მეშინია: ბატონი გაწყრება, დაიწყო ისევ მართამ!

— წამო, დედა, მე ამოვიღებ ღვინოს! შენ ოღონდ მითხარი, რომელი ჭურია მოსახდელი და, თუ გინდა, ერთიანად ამოვთხრი მიწიდან, წამოიძახა სიცილით სვიმონმა, გამოართვა დოქი ედუკის და ყველანი გაემართენ ჭურის თავებისკენ.

„რა დიდგულზეა? ერთიანად ამოთხრის!.. მისი ოფლით მოწეულია თუ?“ იფიქრა ნიკიფორემ და აღარ იცოდა, რა ექნა, რადგან დაშალეა აღარ შეიძლებოდა: საითაც უნდა წასულიყო, დაინახავდენ.

ნიკიფორე არ მოელოდა, რომ სვიმონი მოსვლის უმალვე ჭურის თავებზე გაჩნდებოდა; ეგონა, ღვინისთვის ან მართა მოვიდოდა, ან თვითონ ედუკი და ღვინოს ნიკიფორე ამოუღებდა. მეტი გზა არ იყო, უნდა დარჩენილიყო და გამოჩენოდა შვილს. ნიკიფორემაც დაავლო ბარს ხელი და დაუწყო ჭურს ხდა.

— მამა! დაიძახა სვიმონმა, როცა ნიკიფორე დაინახა, და გაექანა მისკენ, მაგრამ უკანასკნელს არც კი მიუხედია შვილისკენ. სვიმონს ჟრუანტელმა დაუარა მთელ ტანში, როცა ნიკიფორე ასე შეწუხებული დაინახა, და აღარ იცოდა რა ექნა. იდგა ერთს ადგილზე, გაშეშებული, და თავი ძირს დაეხარა, როგორც მძიმე დანაშაულის ჩამდენს და მონანულს, მაგრამ გვიან-ღა იყო!რომ თავიდანვე შეწუხებული და შეკდემილი ენახა ნიკიფორეს, შეიძლება, ყველაფერი ეპატივებინა კიდეც, მაგრამ სვიმონი მხიარულად მოვიდა ქინ, თითქო საზაფხულოდ ჩამოსულა და სადარდო არა აქვს-რაო, და უიმისოდაც ცეცხლ მოდებულ მამის გულს ნაკვთი დაესხა და აპრიალდა ამკარა იყო, რომ მამა და შვილი ისე დაშორებოდნენ ერთმანეთს, რომ ერთმანეთის აღარაფერი გაეგებოდათ!..

II

როცა სახლში დაბრუნდენ, ნახეს, რომ მართას გაეშალა კიდეც სვიმონისთვის სუფრა და საღვინე ჭიქას რეცხდა.

— ჭინჭილა, ჭინჭილა მოძებნე! სვიმონს ჭინჭილით უყვარს ღვინის სმა, უთხრა ედუკიმ და მართაც მაშინვე გაიქცა ჭინჭილის მოსატანად.

— აბა, სვიმონ, დაბრძანდი და მიირთვი, ნამგზავრი ხარ, მოგშივდებოდა , მიუბრუნდა ედუკი სვიმონს, რომელიც ერთ ადგილზე იდგა და აღარ იძვროდა.

— დაჯექი და ჭამე! ეგ გინდოდა და იყავი; ეგდე სახლში და ჭამე ჭადი, სანამ ისიც არ გამოგვლევია შენი წყალობით, უხრა ხმის კანკალით ნიკიფორემ.

სვიმონი მოუჯდა სუფრას, სახე გაფითრებული, და არ იცოდა, რა ექნა. უცებ თვალი მოკრა პატარა ბავშვებს, რომელნიც იქვე იდგენ და ნდომის თვალით შესცქეროდენ გაშლილ სუფრას. სვიმონმა მაშინვე მოტეხა ქათამს ფრთა-ფეხი, გატეხა აგრეთვე პატარა კეცის ჭადი ოთხად და ხორცი და ჭადი ჩამოურიგა ბავშვებს

— აჰ, აჰ, შენ ჭამე, გენაცვალე! მაგათ დილიდან საღამომდის გამოულევლად ხელში უკავიათ საჭმელი, თქვა ედუკიმ და ბავშვებს

წართმევა დაუპირა, მაგრამ ისინი მაშინვე კარში გავარდენ და თავს უშველეს.

ნიკიფორემ გააყოლა თვალი ბავშვებს და შუბლი შეეკმუხნა. ცხადი იყო, მოთმინების ფიალა გაივსო და უნდა გადადენილიყო.

— არა, ბიჭო, შენი თავი გაიუბედურე, გაიუბედურე, მარა ჩვენ რაღას გვერჩოდი? თუ შენი თავი არ' გებრალებოდა, ჩვენ მაინც რატომ აღარ შეგვიბრალე? რა ეშველება ამ ბავშვებს? ხომ ყველა უსწავლელი უნდა დარჩეს და სწავლას ვინ-ღა ჩივის, თუ სიმშილით არ ამოძვრათ სული, რადგან სულსა და ხორცსა შუა აღარაფერი გაგვაჩნია! ყველაფერი შენ გადაგატანე, რადგან შეგონა კაცი გამოხვიდოდი და ჩემ მაგიერობას გაუწევდი ამ უბედურებს... არა, რათ დაგვმართე მტრის გულის საქმე, რად გაგვიყარე ყველას დანა კისერში?.. რაღა მაინც და მაინც იმ თავზე ხელაღებულებში გაერიე და არეულობაში მიიღე მონაწილეობა .. რა იყო, ვერ დაეტიე შენთვის?... დააბოლავა ნიკიფორემ კითხვით.

— ჩვენ ყველანი ერთად ვიყავით; მხოლოდ ზოგიერთებმა გვიღალატეს და გაგვექცენ. რა გაეწყობა, თავისს დღეში უმსხვერპლოდ არა გაკეთებულა-რა, ყოველ შემთხვევაში ჩვენი მდგომარეობა სჯობია იმათსას, ვინც გვიღალატეს და ათასი კაცის ფურთხის ღირსი შეიქნენ, მტკიცედ თქვა სვიმონმა.

— ვის გიღალატეს? კითხა ნიკიფორემ და წარბები შეიკრა.

— ამხანაგებს, საზოგადო საქმეს...

— საზოგადო საქმეს თქვენ ულალატეთ, შვილო, იმათ-კი არა. ფურთხის ღირსი თქვენა ხართ და არა ისინი. ნეტავი მაჩვენა ის მადლიანის შვილები, რომ ყველას ხელები დავუკოცნო!

— რას ამბობ, მამა? მოღალატეს, იუდას უნდა დაუკოცნო ხელები? გააწყვეტინა მეტად აღელვებულმა სვიმონმა.

— გაჩუმდი! დაიღრიალა ნიკიფორემ:მოღალატე და იუდა, ისინი-კი არა, შენა ხარ: შენ გვიღალატე ყველას, დედა-მამას, დაძმათ, მთელ ქვეყანას; ღმერთი მოგკითხავს ამის სამაგიეროს, შე უსინიდისოვ, უპატიოსნოვ!..

— მამა! საშინელის ხმით წამოიძახა მოთმინებიდან გამოსულმა

სვიმონმა და წამოდგა ფეხზე.— ამისთანა სიტყვები არც შენ გეკადრება და არც მე! შეგიძლია, მისაყვედურო, რომ იმედი გაგიცრუვე. საყვედურს მოვითმენ შენგან, როგორც ჯამისაგან, რადგან მეტი არ გესმის და ვერ გაიგებ ჩემ მოქმედებას, ჩემი სინიდისისა და პატიოსნების შეხების ნებას-კი ვერ მოგცემ, მათ ვერ შეგაბღალინებ...

— ხა, ხა, ხა! საზარლად გადაიხარხარა ნიკიფორემ, როცა სვიმონი შედგა.—გალაბვასაც ხომ არ მიჰირობ, რომ შეურაცყოფა მოგაყენე?.. შენი პატიოსნება თვითონ შენ შებღალე, რადგან დაივიწყე უმთავრესი მოვალეობა: მოვალეობა მშობლების წინაშე!

— ამაზე უფრო მძიმე მოვალეობაც აწვევს კაცს: მოვალეობა საზოგადოებისა, მამულისა და თვით მთელი კაცობრიობის წინაშე, თქვა სვიმონმა.

— ტყუი! დაიწყო გრძნობით ნიკიფორემ.—მარტო შენი თავი გგონია ნასწავლი?.. მეც ვიცი ცოტა რამე. მაშ, ტყუილად ვიყავი იმდენ ხანს მონასტერში? ცხონებული დედა შენი რომ არ მომკვდარიყო, ახლა მღვდელი ვიქნებოდი. ღმერთმა ათი მცნება მოგვცა კანონად და ამათში პირველი ოთხი მცნება რომ ღვთის წინაშე მოვალეობაზე ლაპარაკობს, მეხუთე დედ-მამის პატივსცემასა და სიყვარულს გვავალებს და მხოლოდ შემდეგი მცნებანი ამბობენ დანარჩენ მოვალეობებზე. დიახ, ჯერ ღმერთი, მერე დედ-მამა და მხოლოდ შემდეგ სხვები!

— ეს ათი მცნებით, თქვა სვიმონმა.

— სახარებაც საესებით ეთანხმება ათ მცნებას ამაში... მაცხოვარმა გვ ბრძანა ჯერ ღვთის სიყვარული და მერე მოყვასის და მოყვასთა შორის, რასაკვირველია, პირველი ადგილი ისევ დედ-მამას უჭირავს, უთხრა ნიკიფორემ.

— მე რამდენჯერმე მითქვამს შენთვის, რომ საღმრთო წერილზე შენთან ლაპარაკი არ შემიძლია-მეთქი, გარდა საღმრთო წერილისა სხვაც არის... დაიწყო სვიმონმა.

— არაფერი არ არის, არაფერი ზნეობრივი სწავლის შესახებ საზოგადოდ საღმრთო წერილზე და განსაკუთრებით სახარებაზე უკეთესი! გააწყვეტინა ნიკიფორემ.

— ახლა შენთან ლაპარაკი შეუძლებელია! თქვა უცებ სვიმონმა, დაიხურა ქუდი და გავიდა გარეთ.

— მტყუანი ხარ და იმიტომ! გატყდი მაინც, რომ მტყუანი ხარ და თავს ნულარ მართლულობ! მიაძახა ნიკიფორემ.

— მე სრულიადაც არა ვარ მტყუანი, რადგან არაფერი დამიშავებია და სინიდისი წმინდა მაქვს, ჩაილაპარაკა სვიმონმა და წავიდა.

— მით უარესი შენთვის! როცა შემცოდე ცოდვას არ ინანიებს, ორ წილად ცოდავს! — თქვა ნიკიფორემ, მაგრამ სვიმონს ეს აღარ გაუგონია: ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა უკანა გადასაბიჯისკენ.

— რა იყო, ერთი ლუკმის შეჭმა მაინც გეცლია? მოუკვდა ჩემი თავი, მშიერი წავიდა, — უთხრა ედუკიმ ქმარს და, საშინლად შეწუხებულმა, დაიწყო სუფრის ალაგება.

III

ჯერ კიდევ არ დამშვიდებულიყო ნიკიფორე, რომელიც სვიმონთან ლაპარაკს შემდეგ, დარეტიანებულივით, დადიოდა აივანზე, რომ გაიღო ჭიშკარი და ეზოში მამასახლისი და სოფლის მწერალი შემოვიდენ.

„რაზე მოდიან?“ იფიქრა ნიკიფორემ: „იქნება, მიჩივლა ვინმემ, ან იქნება, ახალი გადასახადი შემოგვაწერეს კიდევ?“ სტუმრები ამოვიდენ აივანზე და მიესალმენ ნიკიფორეს. გაფითრებული ედუკიც გამოვიდა ოთახიდან და მდაბლად თავი დაუკრა მოსულებს.

— რისთვის გარჯილხართ? — დამნაშავის კილოთი მიმართა ნიკიფორემ მამასახლისს. მამასახლისმა მწერალს გადახედა; ამანაც ჩაახველა, წელში გაიმართა, თითქო უნდა ყველას აგრძნობინოს თავისი ძლიერებაო, და გადმოდგა წინ ცალი ფეხი.

— სვიმონი ჩამოვიდა? — იკითხა მან.

— სვიმონი?! — გაკვირვებით განიმეორა კითხვა ნიკიფორემ.

— ამ საღამოს მოვიდა; რავა, რა იყო? — შეშინებულმა დაუმატა და ვედრებით შეხედა მამასახლისს.

— არაფერი მაინც და მაინც, — თქვა მამასახლისმა და კვლავ გადახედა მწერალს.

— ჩვენ მოწერილობა მოგვივიდა, პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფი სვიმონ ნიკიფორის-ძე ძველშავიძე, რომელიც სტუდენტების არეულობაში მონაწილეობის მიღების გამო გამორიცხულია უნივერსიტეტიდან, მოდის მამასთან და თვალ-ყური დაიჭირეთო. —წარმოსთქვა მწერალმა.

— დაიჭირეთო?—იკითხა აღელვებულმა ნიკიფორემ, რომელსაც ამ სიტყვის მეტი არაფერი გაუგონია.

— დიახ, თვალ-ყური უნდა დაიჭიროთ სვიმონზე, რომ არსად დაიწყოს ვაგლახად სიარული, ან აქ არავინ მოვიდეს მასთან —უპასუხა მწერალმა. ნიკიფორემ თავისუფლად ამოისუნთქა.

— ჰო — დამუატა თავის მხრივ მამასახლისმა- —თვალ-ყური უნდა ვადევნოთ სვიმონს და, თუ თუ სადმე წავიდა, იმ წამს მთავრობას შევატყობინოთ სად არის ახლა?

— მგონი, დაიძინა; დაღალულია,—იცრუა ედუკიმ.

— ნახვა გინდათ?—იკითხა ნიკიფორემ.

— არა; ჯერეც მოვესწრებით; ნუ გააღვიძებთ, ნამგზავრია, — თქვა მამასახლისმა. ნიკიფორე დამშვიდდა.

— მშვიდობით ბძანდებოდეთ!—გამოეთხოვა მამასახლისი მასპინძლებს და წავიდა. მწერალიც უკან გაყვა.

— სად ეშმაკში წაკიდა მაინც ის ჩემი ცოდვით სავსე?— კითხა ნიკიფორემ ცოლს, როცა მამასახლისი და მწერალი ჭიშკარში გავიდენ კ. დეც. ალბა თუ ჩვენც ერთ ხათაბალას არ გადაკეკიდოს?

— ლევანისას თუ წავიდა; სხვაგან სად წავიდოდა? უთხრა ედუკიმ.

— ჰე! წავიდეს, თვარა მიართმევენ ნინუცას! ნაღვლიანის ღიმილით დაიწყო ნიკიფორემ:—მიყვარს, მიყვარსო. შეიყვაროს ახლა! როგორც-კი შეეტყო ლევანს სვიმონის ამბავი, მაშინვე ეფრინა მაშუალები აქეთ-იქით. ჩვენს მღვდელს დისწული ყოლია, რომელსაც ეს არის, სემინარია გაუთავებია და ცოლს ეძებდა თურმე, რადგან ამას წინად მამა მოკვდომია და მის ადგილზე უნდა დაინიშნოს. ლევანსაც შეუტყვია თუ არა ეს ამბავი, დაუბარებია ის ყმაწვილი და ამ დღეებში ჯვარის წერაც იქნება თურმე.

— ფურმა იწველა, იწველა, ბოლოს კრა ფეხი და სულ დალვარაო, ისე მოუვიდა ჩვენს სვიმონასაც—მიუგო ნიკიფორემ. —ის ახლა აღარაფერი აღარ არის და სემინარიელი-კი არა, უბრალო ოთხკლასიანიც სჯობია. სამსახურში აღარ მიიღებენ და რად მინდა იმისთანა სწავლა რომელიც გამოსადეგი აღარ არის? ეეჰ, მაინც ყველას ეხარბებოდა, ნიკიფორეს სტუდენტი შვილი ყავსო და ჰა, როგორ გაეხარდებათ ახლა ჩვენი გაუბედურება?..

ედუკიმ ვეღარაფერი ვეღარ უთხრა ქმარს და ჩამოვარდა დუმილი, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ისევ ნიკიფორემ დაარღვია.

— წავალ, იქნება, ცხენი ვიშოვო სადმე. ზ—ში ჩავალ, ვნახავ მაზრის უფროსს და გამოვკითხავ, რა ექნა და როგორ მოვიქცე? სახუმრო საქმე არ არის! თქვა ნიკიფორემ. დაიხურა ქუდი და წავიდა.

დარჩა ედუკი მარტო და მწარე ფიქრებში გაერთო. ,,დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი!'' ფიქრობდა იგი!.. ,,რავა ყველაფერი ასე უცებ გამოიცვალა; ამ ლევანს მაინც რა ეჩქარებოდა იმ გომბიოს გათხოვება? მოუკვდა ჩემი თავი, რა გუნებაზე იქნება ახლა სვიმონი მის შემდეგ, რაც აქ მოხდა და რასაც კიდევ ლევანისას შეიტყობდა? ოო ღმერთო, რატომ მომასწარი ამ დღეს? ჩემი სვიმონი იტანჯება მე ვუყურებ მის ტანჯვას და შველა-კი არ შემიძლია''!.. ედუკის მართლა გულით უყვარდა სვიმონი და თავისს საკუთარ შვილებში არ არჩევდა. მართალია, მასაც ბევრი იმედები გაუცრუვა სვიმონმა, მაგრამ მის მიმართ სიყვარული კიდევ უფრო გაუძლიერ და, რადგან ამ გრძნობას სიბრალულიც ზედ დაერთო და გაორკეცა

IV

იქვე იდგა ედუკი, თვალებზე ცრემლ მომდგარი, როცა სვიმონის ფეხის ხმა მოესმა, და მაშინვე გაექანა მისკენ. ,,ღმერთო მომკალი, კაცის ფერი აღარ დევს'', გაიფიქრა ედუკიმ სვიმონის დანახვაზე და თვითონაც გაფითრდა.

სვიმონ, მობძანდი, შენი ჭირიმე ცალკე ოთახში და მოისვენე!.. მე სამხარს მოგიტან და ცოტა შეჭამე რამე, თვარა არ ვარგა, დასუსტდები და ავად გახდები!—ამ სიტყვებით შეუძღვა

ედუკი სვიმონს პატარა ოთახში, სადაც ყველაფერი მოემზადებინა მისთვის, და საჭმელიც მაშინვე შეუტანა.

— შეჭამე, გენაცვალოს ედუკი, ორიოდე ლუკმა!—კვლავ უთხრა ტკბილად.

— გმადლობ, გმადლობ, ედუკი, რომ შენ მაინც არ შეგიცვლია გული ჩემზე და წინანდებურად გიყვარვარ,—უთხრა მეტის მეტად დაღონებულმა სვიმონმა დედინაცვალს.

— რას გიკეთებ მე უბედური? აბა, შენი ჭირიმე, შეჭამე რაცღა და მოისვენე.

— ვჭამო?.. მართლა, უნდა ვჭამო: დილას აქეთ არაფერი მიჭამია,—თქვა სვიმონმა და მოუჯდა სუფრას!—თუმცა არა მშია, ძალით თუ ვჭამ თვარა... რომ მოვედი, მაშინ კი ძალიან მინდოდა ჭამა, მაგრამ მერე ყველაფერი დამავიწყდა.

— მოგიკვდა ჩემი თავი!—უთხრა ედუკიმ და თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

სვიმონმა ჯერ უნდომრად მოკიდა ხელი საჭმელს, მაგრამ მერე სიმშილმა თავისი მოითხოვა, მადა გაეხსნა და გულიანად დაიწყო ჭამა. ედუკი მიჩერებოდა სიამოვნებით და ღვინოს უსხამდა. სვიმონმაც დალია რამდენიმე ჭიქა ღვინო და სახეზე ფერი მოუვიდა.

— უჰ, მარჯვედ ვიყავი: მთელი დედალი გავათავე!—თქვა ღიმილით სვიმონმა, როცა ჭამა გაათავა, და მ დლობა გადუხადა დედინაცვალს.

— აბა, ახლა მოისვენე, შვილო, დაღალული ხარ, და გულიც დაიმშვიდე!.. ღმერთია მოწყალე, ყველაფერი ისევ გამოკეთდება,—უთხრა ბოლოს ედუკიმ და გაუშალა ქვეშაგები.—კარი, თუ გინდა, შიგნიდან ჩაიკეტე, რომ ბავშვებმა არ გააღონ.—დაუმატა და გავიდა გარედ.

სვიმონმა მართლაც ჩაიკეტა კარი და წამოწვა. „დაგელოცა ღმერთო, სამართალი!.. მამამ შემიძულა, საყვარელმა არსებამაც დამიივიწყა და მხოლოდ დედინაცვალს უყვარვარ და ვახსოვარ კიდევ!" ფიქრობდა სვიმონი და მიჩერებოდა ჭერს, სადაც უხილავი მხატვა უხატავდა სხვა და სხვა სურათებს წარსულ ცხოვრებიდან.

აი, ხედავს სვიმონი მრეცხელ აღათიას ქოხს ქუთაისში, სადაც რამდენიმე წელიწადი გაატარა შეგირდობის დროს. აღათიას ქოხი სულ ორი ოთახისგან შედგებოდა; ერთში ბავშვები უდგა და სასტუმრო ოთახადაც ის მიაჩნდა, მეორეში თვითონ ცხოვრობდა და მუშაობდა კიდეც ზამთრობით, როცა გარედ რეცხა და უთოობა აღარ შეეძლებოდა. საშინელი ნოტიო, ბნელი, ბინძური და მყრალი იყო ორივე ოთახი და ხშირად ლაფი კოჭებამდის წვდებოდა ბავშვებს, რადგან, როცა შინ რეცხდა სარეცხს აღა ოია, ნარეცხ წყალსაც იქვე კუთხეში აქცევდა, საიდანაც პატარა თხრილი მიდიოდა კარში, მაგრამ, რასაკვირველია, ერთად დასხმული წყალი შიგ არ ეტეოდა და აქეთ-იქით გადადიოდა. ამ, ბინაზე გაატარა სვიმონმა მთელი შვიდი წელიწადი, სანამ მეექვსე კლასში გიდავიდა და გაკვეთილები იშოვა. ბედი მისი, რომ სწორედ მაშინ იშოვა გაკვეთილები, თვარა გიმნაზიას სულ უნდა გამოთხოვებოდა, რადგან იმ წელიწადში გიმნაზიის მთავრობამ აღათიას და მისთანაებს აღუკრძალა შეგირდებისთვის ბინის მიცემა, რიგიან ბინაზე დასადგომად-კი კაი ძალი ფული იყო საჭირო. უკანასკნელ კლასებში ყოფნის დროს გვარიანად გაატარა ცხოვრება სვიმონმა, თუმცა ამ ხნის განმავლობაშიაც ბევრი უსიამოვნება გამოუცდია, თუ უნიჭო შეგირდებისა და თუ უსინიდისო მშობლების წყალობით, რომელნიც ხშირად არ აძლევდენ დაპირებულ გასამრჯელოს. ასე, თუ ისე გაათავა სვიმონმა გიმნაზია და ჩავიდა №-ში, სადაც უნივერსიტეტში შევიდა. „ნეტა იმ დროს!" —ფიქრობს სვიმონი და თვალ წინ ეხატება სტუდენტობის პირველი წელიწადი: მართალია, იმედები არ გაუმართლდენ, რადგან სულ სხვა ნაირად ქონდა წარმოდგენილი უნივერსიტეტი დი სტუდენტობა და საქმით-კი სულ სხვა დაუხვდა, მაგრამ მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგან გიმნაზიას გ დარჩა. ნამეტურ იმ ზაფხულს, როცა პირველად დებრუნდა შინ, როგორც სტუდენტი, და ნინოსაც დაუახლოვდა, მის ნეტარებას საზღვარი აღარ ქონდა! ნინო წინადაც ხშირად ენახა სვიმონს, მაგრამ მაშინ პირველად იგრძნო აღგზნებული თავისს გულში ის ციური ცეცხლი, რომელსაც სიყვარული ქვია. ნინო შვილი იყო ნიკიფორეზე კიდევ უფრო ღარიბ აზნაურის და

ქუთაისში ნათლიასთან ცხოვრობდა, რომლის შემწეობითაც გაათავა კიდეც ლარიბთათვის დაარსებული უფასო სკოლა. სვიმონს მოეწონა წყნარი, მშვიდობიანი, გულკეთილი და თან ეშხიანი 16-ის წლის ნინო და გადაწყვიტა, უნივერსიტეტის გათავების შემდეგ, მისი ცოლად შერთვა. ზაფხულის გასულს, როცა სვიმონი მოემზადა ხელ-ახლავ რუსეთში წასასვლელად, გამოუცხადა ნინოს თავისი გულის პასუხი და, რასაკვრველია, ქალის მბრივაც დასტური მიიღო. ამ ნაირად პირობა მიცეს ერთმანეთს ქალ-ვაჟმა, რომ სამი წლის შემდეგ ცოლ-ქმარი გახდებოდენ და, ბედნიერნი, გაშორდენ ერთმანეთს ნინოს მშობლები ხომ ცას დაეწიენ სიხარულით, როცა ეს ამბავი შეიტყვეს; არც ნიკიფორე ყოფილა წინააღმდეგი, თუმცა მზითვიანი ქალი უნდოდა სვიმონისთვის და უმზითვო ნინოს, ცოტა არ იყოს, წუნობდა. დიახ, მაშინ ნიკიფორე წუნობდა ნინოს, რომლის მშობლებიც ამაყობდენ სვიმონის სიძეობით, და ახლა-კი ამათ დაიწუნეს სვიმონი. კაცმა რომ თქვას, არც გასამტყუნარნი არიან, რადგან იციან, რომ ნიკიფორეს აღარაფერი გააჩნია და, თუ სვიმონს დიპლომი აღარ ექნება და სამსახურში ვეღარ შევა, ძალიან გაუჭირდებათ ცხოვრება. ამიტომაც იყო, რომ დააჩქარეს საქმე და გადაწყვიტეს, მიეთხოვებინათ ნინო მღვდლის დისწულისთვის, რადგან ეშინოდათ სვიმონის და უნდოდათ, ბარემ მის ჩამოსვლამდის გაეთავებინათ საქმე. ნინომ ბევრი იტირა, როცა შეიტყო ყველაფერი, მაგრამ რაღას გააწყობდა და დაემორჩილა ბედს.

როცა სვიმონი ამ საღამოს ლევანისას მივიდა, სასიძოც იქ დახვდა. სვიმონმა თავისს ყურებს არ დაუჯერა, როცა ლევანმა პირდაპირ გააცნო ვიღაც ახმამხი ახალგაზდა, ჩემი ნინუცას საქმროაო, და ქალის ნახვა მოინდომა, მაგრამ ავად არისო, უთხრეს და აღარ აჩვენეს. მეტი რაღა გზა იყო და სვიმონიც, გულ შეწუხებული, წამოვიდა ლევანის სახლიდან...

V

დაღამდა და სვიმონი-კი იმავე მდგომარეობაში იყო: იწვა პირაღმა ლოგინზე და ფიქრობდა; ფიქრობდა თავისს მწარე წარ-

სულზე, საშინელ აწმყოზე და კიდევ უფრო საშინელ მომავალზე. უნივერსიტეტიდან გამორიცხეს, ოჯახი დაკარგა, საყვარელი არსებაც წაართვეს! მეტად დასჯილი შეიქნა, მეტად! მერე რისთვის? განა შეეძლო ისე არ მოქცეულიყო, როგორ მოიქცა? შეეძლო გაქცეოდა ამბანაგებს და მონაწილეობა არ მიეღო იმ საქმეში, რომლის სიმართლეშიაც დარწმუნებული იყო? მაშ, რად დაისაჯა ასე საშინლათ? ეთქვათ, უნივერსიტეტიდან დაითხოვეს იმიტომ, რომ არეულობაში მონაწილეობა მიიღო; ნიკიფორე გაუჯავრდა იმიტომ, რომ იმედი გაუცრუა და მაზე დახარჯულ ფულის დაბრუნებას აღარ ელის. მაგრამ ლევანი რაღას ერჩოდა? ნინო რაღაზე წაართვეს, ის ნინო, რომელთანაც სრულიად არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა? რად გაცვალეს იმ სემინარიელში, რომელიც, ხესავით, აწოწვილა და, ხესავითვე, დამუნჯებულა? რითი ჯობია ის სვიმონს?

— „როგორ თუ რითი?.. იმითი, რომ ის სემინარიელია, დღეს, თუ ხვალ, მღვდლად ეკურთხება და ცხოვრებაში ადგილი ექნება; ლუკმა პური საზრუნავი არ ექნება და ქალის დარჩენა შეეძლება, შენ კი აღარაფერი აღარ გაგაჩნია და არც იმედია, რომ ოდესმეც გექნეს რამე, რადგან ცხოვრების მიმდინარეობას ჩამორჩი და ნაპირზე გაირიყე; შენ, სვიმონ ძველშავიძეს, კი არ გაძლევდა ლევანი ქალს, არამედ იმ დიპლომს, რომელიც უნდა გეშოვნა და რომლის შემწეობითაც სამსახურში შეხვიდოდი, მდგომარეობას გაიჩენდი. შენ უდიპლომოდ მხოლოდ ცხოვრებისაგან გარიყული, გამოუსადეგარი არსება ხარ და მთელი შენი სიცოცხლე მის ნაპირზე უნდა ეგდო!“ ეუბნებოდა სვიმონი თავისს თავს.

— „გარიყული, გარიყული!“—წამოიძახა სვიმონმა: -„რადა ვარ გარიყული? ენივერსიტეტი რომ კიდეც დამესრულებინა და, დიპლომი მიმეღო, სამსახურში მაინც არ შევიდოდი!.. მადლობა ღმერთს, ავადმყოფი არც მე ვიყავი და არც ნინო იყო რომ შრომა არ შეგვძლებოდა. ჩვენც ჩვენის შრომით ვირჩენდით ჩვენს თავს და ეს კი უდიპლომოდაც შეგვეძლო... მე უნირსიტეტში დიპლომისთვის სულაც არ შევსულვარ; მე მინდოდა, მხოლოდ სწავლა მიმეღო; გონება განმევითარებინა; განათლებულთა წრეში გავრეულიყავი, ისინი გა-

მეცნო... ყველა ამას მივაღწიე კიდეც და, თუ სრული განათლება არ მიმიღია, გზა ხომ გავიკვალე მისკენ და ამას იქით თვითონაც შეგ-მიძლია, ეს გზა გავიარო უნივერსიტეტოთ... მაშ, მე თუ კმაყოფილი ვარ ჩემის ხვედრისა, სხვას ვის რა უნდა? მე თუ არ ვნაღვლობ, რომ უნივერსტეტიდან დამითხოვეს, სხვას ვის რა ენაღვლება?...''

— ,,როგორ თუ, ვის რა ენაღვლება?'' —გამოკაკვამთა იდუმალი ხმა სვიმონს: —,,ნიკიფორეს ეგოცა, რომ სამსახურში შეხვიდოდი და ათასობით ჩაუჩხრიალებდი ჯამაგირის ფულს წელიწადში; იმიტომ გზდიდა, იმიტომ ხარჯავდა მამაპაპეულ ქონებას, რომ ეკონა, ეს წილად დაუბრუნებდი უკან, თვარა რას დაეძებდა ის შენს სწავლას, განვითარებას?.. დამნაშავე არც შენა ხარ და არც ის არის. დამნაშავეა მხოლოდ გარემოება, რომლის წყალობითაც თქვენ დაშორდით ერთმანეთს და ერთმანეთის აღარაფერი გეყურებათ. თქვენ სრულიად სხვა და სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდით და ხელ მძღვანელობთ: სხვა და სხვა მიზანს ეწესახურებით! ნიკიფორეს უნდოდა, გესწავლა იმიტომ, რომ ფული გეშოვა, ცხოვრებაში კარგი ადგილი დაგეჭირა და შენთან ერთად თვითონ ისიც და მთელი მისი ოჯახიც დაწინაურებულიყო, შენ-კი სწავლობდი იმიტომ, რომ შეგეგნო შენი მოვალეობა, როგორც ადამიანისა, და გცოდნოდა, როგორ გემსახურნა საზოგადებისთვის, სამშობლოსთვის, მთელი კაცობრიობისთვის! იმას უნდოდა შენი დიპლომი, შენ კი თვით სწავლა!..''

— „ოო, როდის დადგება ის სანეტარო დრო, როცა სწავლა სწავლისთვის იქნება მიღოლდ და არა იმ რაღაც ფარატინისთვის, რომელსაც დიპლომი ქვია და რომელიც მეცნიერების ტაძარს პატენტთა დამრიგებელ დაწესებულებად ჰქმნის?"—წამოიძახა სვიმონმა.

— „ძალიან გვიან და, სანამ ეს დრო არ დამდგარა, შენ ყოველთვის მტყუანი იქნები და ნიკოფორე მართალი",—ჩასჩურჩულებდა იგივე ხმა: —„დიახ, შენ დღეს დამნაშავე ხარ მამიშენის წინაშე, რადგან სარგებლობდი მის უცოდინარობით და იმ ფულს, რომელსაც ის დიპლომის სასყიდლად გაძლევდა, სრულიად სხვა რამეზე ხარჯავდი!"

აქ მოაგონდა სვიმონს ერთი თავისი ამხანაგი, რომელიც ლექ-

ციეპის ზეპირობის მეტს არაფერს აკეთებდა უნივერსიტეტში და არც არეულობაში მიუღია მონაწილეობა.

— „აი, ამ ყმაწვილს თუ მამა ყავს, ბედნიერი იქნება, რადგან მამისა და შვილის სურვილი ერთი და იგივეა: ორივეს დიპლომი უნდა, ორივე ერთი მიზანი აქვს“, ეუბნებოდა სვიმონს იგივე ხმა: „შენ-კი დამნაშავე ხარ, რადგან ატყუებდი მამას და სარგებლობდი იმ ფულით, რომელიც შენ არ გეკუთვნოდა. არამედ მხოლოთ იმიტომ გქონდა მობარებული, რომ გაგეზარდა და სარგებლით დაგებრუნებინა ოჯახისათვის. დიახ, შენ ისეთივე დამნაშავე ხარ, როგორც, მაგალითად, მებანკე, რომელიც ფულს ტყუებს საზოგადოებას და ერთ მშვენიერ დღეს იმიანა ქრება, ან ხარჯავს თავისს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და, როცა მოკითხავენ, თავს გაკოტრებულად აცხადებს, და აღარავის აღარაფერს აძლევს!“

თითქო ამ სიტყვების დასასურათებლად მოაგონდა სვიმონს ერთი ამ ნაირი შემთხვევა, რომელიც მის დროს მოხდა №-ში და რომლის მზგავსიც ხშირად ხდება ყოველ დიდ ქალაქში დღეს, როცა ფული და ფულთან ერთად თვით სინიდისი და პატიოსნებაც ბაზარში გამოუტანიათ და გახურებული ეაჭრობაა. ან, უკეთ რომ ვთქვათ, ცარცვა-რბევაა. ვილაცას საბანკო კანტორა გაეხსნა, მოეყარა ფულისთვის თავი და... მშვიდობით, სადღაც გამქრალიყო! სვიმონს შეხვდა გაელა იმ ქუჩაზე, რომელზედაც ეს საბანკო კანტორა იყო გახსნილი, სწორედ იმ დღეს, როცა მისი გაკოტრების და უმთავრეს მებანკის გაპარვის ამბავი მოედვა ქალაქს. ო, რა შემაძრწუნებელი სურათი ნახა მაშინ სვიმონმა! ათასი კაცი და ქალი შემოხვეოდა დაკეტილ და პოლიციისაგან დაბეჭდილ კანტორას, და გაისმოდა ტირილი და წყევლა-კრულვა. „იუდა, მოღალატე, უსინიდისო, უპატიოსნო!“ გაისმოდა გარშემო სწორედ იგივე სიტყვები, რა სიტყვებიც დღეს უთხრა თვითონ სვიმონს მამამ. წარმოუდგა სვიმონს თვალ წინ ეს ამბავი და ახლა-კი იგრძნო თავისი დანაშაული მამის წინაშე; იგრძნო და მის ტანჯვას საზღვარი აღარ ქონდა, რადგან არამც თუ გამოსყიდვა არ შეეძლო თავის დანაშაულისა, უბრალო მონანებაც, სიტყვით აღსარებაც-კი არ შეეძლო მისი: სვიმონმა, რაც მოიმოჭ-

მედა, მოიმოქმედა თავისი სინიდისის თანახმად და კვლავაც რი შეუძლია სხვანაირად მოქცევა..

VI

ამ ფიქრებით გარემოცულს მიეძინა ბოლოს სვიმონს და რამდენსამე ხანს მკვდარივით ეგდო. შემდეგ საშინელმა კარზე რახუნმა გამოაღვიძა. პირველად ვერ მოვიდა გონზე, რადგან ოთახში ბნელოდა და არ იცოდა, სად იყო, მაგრამ შემდეგ მოაგონდა ყველაფერი და სული ვანაბა; იფიქრა, ხმას არ გავცემ და, ვილაცა არახუნებს, თავს დამანებებსო, მაგრამ რახა-რუს ყვირილიც მოყვა.

— სვიმონ, სვიმონ! ხმა მაღლა უყვიროდა ნიკიფორე და თან, რაც შეეძლო, კარებს ურაბუნებდა.

— ძინავს, დაღალულია... დაგვნებეთ ამაღამ თავი; ხვალ ვერ მოასწრებდი ლაპარაკს? მოესმა სვიმონს ედუკის წუნარი ხმა, მაგრამ ნიკიფორემ ყურადღება არ მიაქცია ამ სიტყვებს და კიდევ უფრო მოუმატა რახუნს. მეტი გზა აღარ იყო და სვიმონიც ადგა და გააღო კარები. ოთახში შემოვიდა ნიკიფორე სანთლით ხელში.

— ისე როგორ დაგეძინა, რომ ამდენ ხანს ვერ გაიგე ჩემი ძახილი? უთხრა საყვედურით, დადგა სანთელი და ჩამოჯდა ტახტზედ. სვიმონს ხმა არ გაუცია.

— გითხრა ედუკიმ, რომ ამ საღამოს მამასახლისი და მწერალი იყვენ აქ შენ შესახებ? კითხა ნიკიფორემ.

— არა, იყო პასუხი.

— მოწერილობა მოსვლიათ, რომ შენ თვალყური გადევნონ... ამას შემდეგ ფეხი აღარსად გადაადგა, იცოდე, ეზოდან! მე ხვალ დილით ადრე ზ-ში მივდივარ, რომ დაწერილებით შევიტყო ყველაფერი, და ახლა იმიტომ გაგაღვიძე, რომ გითხრა შენებურად არ დაიწყო სოფელ-სოფელ ხეტიალი, უთხრა ნიკიფორემ.

— სასეირნოდაც არ შემიძლია ტყეში წასვლა? დამცინავის ღიმილით კითხა სვიმონმა.

— არა, მტკიცედ უპასუხა ნიკიფორემ.

— არც ტყეში? განიმეორა კითხვა სვიმონმა

— არც ტყეში და არც მიდორში! გაანჩხლდა ნიკიფორე.

— აბა, სულ სახლში რა გამაძლებინებს?.. დაიწყო სვიმონმა.

— დაჭერილი რომ იყავი, როგორ ძლებდი სატუსაღოში? თანდათან გული მოდიოდა ნიკიფორეს.

— ახლა ხომ დაჭერილი აღარა ვარ და სწორედ არ შემიძლია ტყეში ავით ყოფნა. მამასახლისმა და მწერალმა რა იციან, რა მოწერილობა მოუვიდათ?..

— ბიჭო, ბიჭო, — გააწყვეტინა მეტის-მეტად აღელვებულმა ნიკიფორემ: — ხომ ხედავ ამ თეთრ თმას? ორმოცდა ათი წლის კაცი ვარ... სულ ნუ ჩამამწარებ სიბერეს!.. ჩახვდი ჭკუაში!.. შეიკდიმე და ღმერთიც გაპატიებს და კაციც დანაშაულს!.. თუ რიგიანი ყოფა-ქცევით იქნები, შევეხვეწები მაზრის უფროსს, როელიც დიდი მწყალობელია ჩემისთანა გაჭირვებულების, რომ სამსახურში მიგიღოს. ოთხ კლასიანები არიან ჩინონიკები, ზოგი მდივანია, ზოგი სტოლის უფროსი და შენ მწერლობა მაინც აღარ გეკადრება?.. ო, ბიჭო, თვალ ცრემლიანი გევედრები, ნუ დაიღუპავ სულ შენს თავს და ნურც ჩვენ დაგვღუპავ, ამდენ სულს!.. შენი თავი თუ აღარ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიბრალე! კაცობრიობას, მთელ ქვეყანას უნდა ვემსახუროო, რომ იძახი, განა ჩვენზე უფრო გაჭირვებული კიდევ იქნება ვინმე? მე რომ რამე დამემართოს, ჩემმა ცოლ-შვილმა მათხოვრობა უნდა დაიწყოს, თუმცა ცოცხალსაც რაღა შემიძლია? გაისად ჭადიც აღარ მოგვივა სამყოფი, ჭადიც!.. მე სულ გაკეთებას მოველოდი შენგან და სულ ნუ წაგვახდენ, ბიჭო!.. — აქ ცრემლი ყელში მოებჯინა ნიკიფორეს და ხმა ჩაუწყდა; მხოლოდ მწარედ ქვითინებდა, გულ-ამომჯდარ ბავშვივით, თან ცრემლი ლაპა-ლუპით მოსცვივოდა თვალთაგან და უსველებდა დანაოჭებულ სახეს, თეთრ წვერულვაშს.

სვიმონი არ მოელოდა ამას; პირველად ხედაკდა ნიკიფორეს ატირებულს, მის წინ ქედმოხრილს, დამცირებულს, მთხოვნელს. უიმისოდაც მეტად აღელვებული ახალგაზდა კიდევ უფრო ააღელვა ამ საშინელმა სურათმა; თავი ვეღარ შეიმაგრა და გულაჩქროლებულმა თვითონაც ტირილი დაიწყო. ცოტა კიდევ და სვიმონი სრულიად

იძლეოდა, რადგან მზაკვარი იყო, ფეხქვეშ ჩავარდნოდა მტირალ მამას, უარ ეყო თავისი რწმენა და შენდობა გამოეთხოვა; პირობა მიეცა, რომ დღეიდან სრული მისი მონა-მორჩილი იქნებოდა, რომ თანახმა იყო, თუნდ ახლავე გაყოლოდა მაზრის უფროსთან და უბრალო გადამწერლის ადგილიც-კი მიეღო, ოღონდ ნიკიფორე დაეკმაყოფილებინა, ოღონდ იმის ტირილისთვის აღარ ეყურებინა. საშინელი წამი იყო ეს წამი სვიმონისთვის! ყოფნა, თუ არ ყოფნა; სიცოცხლე, თუ სიკვდილი, სიკვდილი ზნეობრივი, აი, რა უნდა გადაეწყვიტა მაშინ! მაგრამ, საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, ნიკიფორე დიდ ხანს აღარ ყოფილა იმისთანა საცოდავ მდგომარეობაში, რომელიც ასე მოქმედებდა სვიმონზე. სვიმონი ტირის; სვიმონს ებრალება ნიკაფორე! მაშ, ის იძლია და დაუბრუნდა მამას და ნიკიფორეც გახარებული წამოდგა ზეზე.

აბა, ჰე, შენ იცი, შვილო, თუ ჰატივს ცემ ჩემ თხოვნას! — უთხრა მან და თვალების წმენდით გავიდა გარეთ, გავიდა და ამით წააგო კიდეც ბრძოლა, წააგო საუკუნოდ, რადგან სვიმონმა ვერ მოასწრო გრძნობის დამორჩილება სავსებით და სრული დამარცხება.

— ოო, ღმერთო, რა ვქნა? — დაიღრიალა საშინელი ხმით, როცა მარტოდ დარჩა და ჩქარის ნაბიჯით დაიწყო სიარული. დიდხანს იარა სვიმონმა, თავჩაღუნულმა, თითქო რაღაც დაკარგვია და ეძებსო, და შემდეგ უცებ შედგა, სახე გაბრწყინებული. „ჰო, ჰო! — მტკიცედ წამოიძახა მან და მიირბინა მაგიდასთან. „ისევ იქ; იქ, თბილისში, სადაც ამხანაგი მაინც ბევრი მეყოლება!.. აქ ჩემი დარჩენა შეუძლებელია!.. იქ, იქ, დიდ ქალაქში!“ იძახოდა სვიმონი და ეძებდა ქაღალდსა და საწერ-კალამს. აი, იპოვა კიდეც ყველაფერი, მოუჯდა მაგიდას და დაიწყო აჩქარებით წერა. რამდენსამე წუთში დაწერა კიდეც თაბახის მეოთხედი და მოყვა ხმა-მაღლა კითხვას.

„ძვირფასო მამა“ — კითხულობდა სვიმონი: - ვწუხვარ, რომ ასე საშინლად შეგაწუხე, დაგტანჯე. მაგრამ რა ვქნა? ჩვენ ისე ძლიერ დავშორებივართ ერთმანეთს, რომ ერთმანეთისა აღარაფერი გვეყურება და, რაც შენ მიგაჩნია სიკეთეთ, მე სისაძაგლედ მიმაჩნია რასაც მე ვთვლი კეთილად, შენთვის ავია, ბოროტია! ორივე მართალ-

ვართ ჩვენებურად, რადგან ორივეს სხვა და სხვა თვალ-ხედვის ისარი გვაქვს... ვინ არის დამნაშავე?.. არც შენ და არც მე, თუმცა ესეც კია, რომ ბავშობისას, როცა მე ცელქობაზე მეჭირა თვალი და ვზარ-ბაღობდი, შენ სულ იმას ჩამჩიჩინებდი, იკითხე, იკითხეო და ამ კით-ხვამ კი სულ სხვაგან მიმიყვანა და არა იქ, სადაც შენ გინდოდა!.. ყოველ შემთხვევაში მე მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, შეძლებისა და-გვარად. გადაგიხადო, რაც ჩემზე დაგიხარჯავს და ვეცდები კიდეც. მხოლოდ აქ ჩემი დარჩენა შეუძლებელია. მე ამალამვე მივდივარ თბილისში, სადაც ვიშოვი რამე შესაფერ საქმეს (პოლიციაში სამსა-ხური-კი არაფრისთვის არ შემიძლია) და, რაც დღიურ ხარჯს გადამ-რჩება, ყველას შენ გამოგიგზავნი... თუ მივაღწიე საწადელს, ხომ კარგი და, თუ არა, რა გაეწყობა? უბედურებ, ვის არ მოსვლია და შენც ისე იფიქრე, რომ მოგიკვდა მოწიფული შვილი. შენ ხომ გი-ყვარს საღმრთო წერილის კითხვა? მოიგონე ხოლმე მრავალ-ტანჯული იობი, და თავი იმით ინუგეშე, რომ უარესიც შესაძლებელია!.. მაშ, შშვიდობით... მამასახლისს უთხარი, რომ მე თბილისში წავედი, სა-დაც ცხოვრების ნება დართული მაქვს და სადაც მაზედ უკეთესად მადევნებენ თვალყურს... შენი იმედების გამცრუებელი და გამაუბე-დურებელი, თვით უბედური, თანამედროვე ცხოვრებისაგან გარიყული სვიმონი!"

წაიკითხა წერილი სვიმონმა, დადვა თვალსაჩინო ადგილზე და დაიწყო ცდა, როდის მიწყნარდებოდა ფეხის ხმა, რომ გაპარულიყო სახლიდან და ამალამისავე მატარებელს გაყოლოდა თბილისს. დიდ-ხანსაც ალარ დასჭირვებია ცდა, რადგან ხმაურობა მალე სრულიად მიწყდა და მაშინვე, როგორც-კი შეამჩნია, ახლა სწორედ ყველასა ძინავს და ვერავინ შეიტყობს ჩემს წასვლასო, დაიკავა ხელში თა-ვისი პატარა ჩემოდანი და გასწია რკინის გზის სადგურისაკენ...

კნეინა სალომე.

„დღეს ახალი მღვდელია მწირველი“-ო, გაისმა ერთ კვირა დილას სოფელ ციხეშენში და ყველა ცნობის-მოყვარეობამ შეიპყრო. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოხუცი და ყმაწვილი ეკლესიისკენ გაეშურა და მთელმა სოფელმა რაღაც სადღესასწაულო ფერი მიიღო; მხოლოდ შობა-აღდგომას თუ მოიყრიდა ამდენი ხალხი თავს ციხეშენის ეკლესიაში, რომელიც ხშირად მარტო მღვდელ-დიაკვანმნათეს ამარაც ყოფილა ხოლმე დარჩენილი „ახალი მღვდელი“, „ნასწავლი მღვდელი“, „ყმაწვილი მღვდელი“, ისეთოდა ხალხში და იყო ერთი ამბავი; ნამეტურ, ქალების აღტაცებას საზღვარი აღარ ქონდა და ყველა ეჩქარებოდა, მალე ენახა ახალი მოძღვარი...

კნეინა სალომეც დიდი ხანია მოეშზადა წირვაზე წასასვლელად.

ჩვენს კნეინას პირველი ადგილი ეჭირა ციხეშენში, როგორც მებატონის ქვრივს, და ყველა „ქალბატონს“, ან მხოლოდ „ბატონს“ უძახოდა. კნეინაც ისე იბერებოდა, თითქო მართლა გვირგვინოსანი დედოფალი ყოფილიყოს. როგორ შეეძლო ვისმე მთელ ციხეშენში ახლოს მიკარებოდა, მის გვერდით დამდგარიყო? როცა სადმე მიდიოდა კნეინა სალომე, რამდენიმე ნაბიჯით უსათუოდ წინ უნდა ყოფილიყო თავისს თანამგზავრებზე და მხლებლებზე და, თუ დასასვენებლად შედგებოდა, ან ლაპარაკს მოისურვებდა და მოიხედავდა უკან, მთელი კრებულიც უნდა იმ წამს დამდგარიყო, თითქო ჯარისკაცნი არიანო. ეკლესიაშიც მარტოდ-მარტო იდგა კნეინა სალომე საუკეთესო ადგილზე და, თუნდაც სხვაგან ტევა არ ყოფილიყო, მის გარშემო მთელ ერთ საჟენზე ცარიელი ადგილი იყო ხოლმე დატოვებული.

კაცმა რომ თქვას, კიდევაც შეენოდა კნეინა სალომეს ამ ნაირა ქცევა, რადგან მარბლა რომ წამოსადეგი ქალი იყო და დიდებული შეხედულება ქონდა. მთელ სოფელში ვერავინ ვერ შეედრებოლა კნეინას სიმაღლითა და-ახოვანებით და მშვენიერი სანახავი იყო, როცა ის შავ, გრძელ მოსახურავ წამოსხმული, მაღალ ყავარჯენით ხელში, მიუძღოდა ეკლესიისკენ ქალებს, რომელთაც ჩვეულებად ქონდათ წირვამდე ,,სასახლეში'' (ასე უძახოდნენ ციხეშენშა სალომეს სახლს) მისვლა და მისი გაყოლა. კნეინა სალომეც მიდიოდა ყოველთვის წყნარის ნაბიჯით, დადინჯებული და ღრმად ჩაფიქრებული, თითქო მართლა წინამძღვარია ამ ქალებისა და რაღაც მძიმე საქმის შესასრულებლად მიდიანო.

ძველი მღვდელი, რომელიც ციხეშენის გლეხთაგანი იყო და სალომეს ქმრის, ცხონებულ შანშე მაღარაძის წყალობით ქონდა მღვდლობა ნაშოვნი, განსაკუთრებულ პატივს ცემდა კნეინას. ყოველ წირვის დაწყებამდე მოვიდოდა იგი ,,სასახლეში'', რომელიც სოფლისა და ეკლესიის შუაგულ იყო, და გადაიხდიდა მცირე პარაკლისს; შემდეგ კითხავდა კნეინას, წირვაზე წამობრძანდებით, თუ არაო, და, თუ დასტურს მიიღებდა, უიმისოდ წირვას არ დაიწყებდა, თუნდ შუადღე წამოსულიყო.

კნეინა სალომე დარწმუნებული იყო, რომ ახალი მღვდელიც არ უღალატებდა ამ ჩვეულებას და მოვიდოდა ამ დილას. მაგრამ, როგორკ უკვე შეატყობინეს, მღვდელი პირდაპირ ეკლესიაში მისულიყო კიდეც და ამიტომაც ვერ ბძანდებოდა კარგ გუნებაზე ჩვენი ქალბატონი, რადგან ცხადად ხედავდა, რომ მის ბატონობას საძირკველი ეცლებოდა ქვეშიდან. კნეინაც ღრმა ფიქრში იყო, თუ როგორ მოეთვინიერებინა ის ვიღაც „სემინარიელი" და აღედგინა თავისი ავტორიტეტი ციხეშენში.

--- არა, არა, კაი არაფერი იქნება, თქვენი ჭირიმე, ის სემინარიელია, თუ რაღაც ჭადი, იუბნებოდა კნეინა უკვე შეკრებილს მის სახლში მანდილოსანთა კრებულს.

— დიახ, ბატონო, გუშინდელი ბაღანაა თურმე, ის კიდეე ყა-

ძაბის შვილი, და რა შვილი იქნება? დაუკრა კვერი კნეინას ერთმა მანდილოსანმა, დაახლოებულ აზნაურის ცოლმა.

— ჰო, აბა... რა უპირდა, მოთრეულიყო ამ დილას სასახლეში, როგორც ეფრემ ხუცესმა იცოდა და პარაკლისი გადაეხადა? თქვა მეორემ.

— სწორეთ რიგი იყო, რომ მოსულიყო. რა ხანია სოფელშია და ჯერ არც კი ხლებია ქალბატონს, დაუმატა მესამემ.

— ეეჰ, დრო წახდა, ზრდილობა დაიკარგა, უფროს-უმცროსობა გადავარდა! ამოოხვრით წარმოთქვა ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა და შეხედა კნეინას, თან თვალებით ეუბნებოდა: „ჩვენი დრო წასულია, ჩვენი დაფასება მხოლოდ ეფრემ ხუცესს შეეძლო; ის მოკვდა და ჩვენც უკან უნდა გავყვეთ, რადგან ახალ დროს ვერ შევეწყობითო“.

კნეინა სალომე სიბრაზისგან ხმას ვეღარ იღებდა და, ვინ იცის, რა გეგმას არ ადგენდა, რომ როგორმე სამაგიერო გადაეხადა და დაესაჯა ახალი მღვდელი ამ შეურაცხყოფისათვის. „მაცალოს, მისს სეირს ვაყურებინებ. თუ ქალი ვარ!.. დარეკოს დადგომისა!.. ერთს საათს მაინც ვაყურყუტებ შემოსილს!“ ფიქრობდა სალომე, რომელსაც წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ მის მისვლამდე დაიწყებდა წირვას მღვდელი, რადგან შეთვლილი ქონდა, მოვალო. კნეინამ გადაწყვიტა, როცა წირვის დადგომისა დაირეკებოდა, მაშინვე არ წასულიყო და წირვისთვის მომზადებული მღვდელი რამდენსამე ხანს ეცდევინებინა. მართალია, ეფრემ ხუცესი მოკვდა, მაგრამ ეკლესია ხომ იგივე იყო და ეს ეკლესია-კი თიღვის საკუთრებად შიაჩნდა სალომეს, რადგან მისი ქმრის წინაპართა აშენებული იყო. ეფრემ ხუცესი ყოველ ჩამოლოცვის დროს კნეინა სალომესა და მის ქმარს მოიხსენებდა ხოლმე და დღეს წირვის დადგომასაც აღარ უყურებდენ? ასე ფიქრობდა კნეინა სალომე და, მართლაც როცა წირვის დადგომის დარეკეს, არც-კი განძრეულა.

— ბატონო, დარეკეს, არ წამობძანდებით? კითხა ერთმა ქალმა..

— ვიცი, დარეკეს, მაგრამ ჯერ არ წავალ, თქვა სალომემ.

— მერე, რომ წირვა დაიწყოს კიდეც მღვდელმა?

— რა? პარაკლისის გადასხდელად არ მობძანდა და წირვასაც აღარ მიყურებს? გაჯავრდა სალომე—მაშ, მე კნეინა სალომე მაღარაძისა აღარა ვყოფილვარ და ციხეშენის ეკკლესიაც მაღარაძიანთ აშენებული არა ყოფილა. მე განგებ ვიგვიანებ, რომ ვაცდევინო ახალ მღვდელს და შევატყობინო, ვინცა ვარ.

ამას შემდეგ აღარავის აღარაფერი უთქვამს და კნეინა სალომეც იჯდა არხეინად ტახტზე, კრიალოსანს ათამაშებდა და თან სიამოვნებასა გრძნობდა, რომ მღვდელი და მთელი სოფლის ხალხი ამ ჟამად მის ლოდინში იყვენ.

გავიდა ამ ნაირად კარგა ხანი და მხოლოდ შემდეგ ინება კნეინამ ადგომა და წირვაზე წაბძანება.

მიდის კნეინა სალომე ეკლესიისკენ წუნარის ნაბიჯით, დინჯად და მისდევს უკან მთელი გროვა ქალებისა; მიდის კნეინა აუჩქარებლად და დარწმუნებულია, რომ მთელ სოფელს ეკლესიის ეზოში მის მომლოდინეს დაინახავს, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა ეკლესიას მიუახლოვდა და ეზოში კი ერთ ადამიანსაც ვერ მოკრა თვალი. მხოლოდ ეკლესიის კედელზე მიყუდებული კეტები და საძირკველზე ჩამომწკრივებული ქუდები და ყაბალახები მოსჩანდენ გულის გასახეთქად.

— აკი მოგახსენეთ, ბატონო, წირვას დაიწყებს მღვდელი მეთქი? თქვა ერთმა მანდილოსანმა, როცა ჭიშკარში შეიდნენ.

— არა, წირვა ჯერ დაწყებული არ იქნება; საყდარში ტყუილად შევიდოდენ, უთხრა სალომემ და გაუჩქარა ფეხს, მაგრამ, როცა გაღებულ კარებთან მივიდა, შეიტყო, რომ წირვა არამც თუ დაწყებული იყო, თავდებოდა კიდეც. გაბრაზდა კნეინა და უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ გვიან-ღა იყო: ეკკლესიიდგან დაინახეს იგი და ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა, რომ მიწეულ-მოწეულიყვენ და გზა მიეცათ. რაღა გაეწყობოდა და კნეინაც შევიდა ეკლესიაში. წარბებ შეკრულმა გაიარა მისთვის დატოვებულ გზაზე და დადგა. ამ დროს გაისმა აღსაელის კარების ფარდის გაწევის ხმა და კნეინა სალომე ისე მიაშტერდა კარებს, თითქო უნდა თვალებით ჩაყლაპოს მთელი საკურთხეველი საზიზღარ მღვდელთან ერთადაო.

გაიღო კარები და მღვდელმა მოწიწებით გამოასვენა ბარძიმი; სალომესათვის არც-კი შეუხედავს, ისე წარმოთქვა „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით“-ო და შებრუნდა ისევ საკურთხეველში. აღარც შემდეგ გაუხედავს მღვდელს სალომესკენ, თითქო კნეინა სულაც არ იყო ეკლესიაში. ამ გარემოებამ სულ გადარია და გულზე გახეთქა ჩვენი ქალბატონი.

„გაყურებიებ შენს სეირს, თუ ქალი ვარ... დღესვე წიგნერ არ-ქიელს და შევატყობინებ ყველაფერს“-ო, ფიქრობდა სალომე და ვინ იცის, რას არ ემუქრებოდა საბრალო მღვდელს, მაგრამ ამან არაფერი იცოდა და მშვიდათ განაგრძობდა თავისს საქმეს.

გაათავა კიდეც მღვდელმა წირვა, ჩამოილოცა და გამოიტანა ჯვარი; მოკრძალებით დადგა ამბიონზე ჯვარით ხელში და იცდიდა, როდის მივიდოდა ვინმე სამთხვევად. ხალხი შეინძრა და ყველამ სალომესკენ გაიხედა. ჩვეულებრივად, რასაკვირველია, პირველად სალომე უნდა მთხვევოდა ჯვარს. წინად, როცა ჯვარს გამოიტანდა ეფრემ ხუცესი, კნეინა წასდგამდა რამდენსამე ნაბიჯს წინ, მღვდელიც თავისს მხრივ, ჩამოვიდოდა ამბიონიდგან და მოაგებებდა ჯვარს. ღღესაც სალომემ ჯვარის დანახვაზე გამოისახა პირჯვარი, გადადგა ამბიონისკენ ორი ნაბიჯი და გულზე ხელებ დაჭდობილი დადგა; ქალბატონს მიყვენ სხვა მანდილოსნებიც სათითაოდ, უფროს-უმცროსობის მიხედვით და ჩამოწკრივდენ მის უკან, თითქო ქორობიას თამაშობენო.

ამნაირად იდგა ერთ ხანს მღვდელი ჯვარით ხელში და იცდიდა, როდის მივიდოდა ვინმე სამთხვევად; იდგა კნეინა სალომეც თავისს ადგილზე და იცდიდა, როდის ჩამოვიდოდა მღვდელი ამბიონიდან და მოაგებებდა ჯვარს; იდგენ დანარჩენნი მანდილოსანნიც და ხალხი თავიანთ ადგილებზე და იცდიდენ, რით გათავდებოდა ეს ჩუმი ბრძოლა ქალბატონსა და მღვდელს შორის. ბოლოს მოწყინდა მღვდელს ცდა, დაიწია ძირს და მიაწოდა ჯვარი იქვე მდგომ გლეხის პატარა ბიჭს.

— ვისაც გნებავთ, რატომ არ მობძანდებით ჯვარის სამთხვევად? თქვა მან და მიაწოდა ჯვარი ახლა მეორე გლეხის ბიჭს.

სალომე გამოვიდა მოთმინებიდან და, საშინლად განრისხებული, გატრიალდა გასასვლელ კარებისაკენ. მასთან ერთად, თითქმის მისი კუდი ყოფილიყოს, გატრიალდა აგრეთვე მთელი მისი ამალაც და ყველანი, როგორც იდგენ, ისე, გულზე ხელებ დაკდობილები, გაყვენ უკან კნეინას. მღვდელმა აღარ იცოდა, რა ეკნა და ერთ ხანს, გაშტერებული, მიჩერებოდა ამ არა ჩვეულებრივ სურათს, შემდეგ-კი აიჩეჩა მბრეჩი და კვლავ განაგრძო ჯვარის ხალხისთვის მოწოდება.

გამარჯვებული ნოდარი.

— ეეჰ, ბევრი შიში და გაკირვება გამოვიარეთ, ბევრი, მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ჯერ ერთი იუნკრობა აკწაპნე და მეორე, კაი წმიდა გიორგის ჯვარიც გამოვიკარი გულზე! ასე ეუბნებოდა ხმელ-ხმელი, წვერ-მოპარსული და ულვაშებ გაწკიპინებული ნოდარ ვაშაყმაშვილი თავისს თანამგზავრს, სვიმონ შევარდნაძეს.

მგზავრები ჩინებულ ცხენებზე ისხდენ და, რა-კი გზაც მშვენიერი იყო, სიამოვნებით მიქროდენ, თანაც საუბრით ერთობოდენ. მარტო ხანში შესული და ბევრის მნახველი ნოდარი ლაპარაკობდა, ახალგაზდა სვიმონი-კი მხოლოდ ხანდახან ჩაურთავდა სიტყვას, რომ კვლავ წაექეზებინა თავისი მოსაუბრე. ახლაც, როცა ნოდარმა უამბო თავისი ომში ყოფნის ამბავი და განსაკუთრებით ჩოლოყის ბრძოლაზე შეჩერდა, სადაც სხვათა შორის თავი ისახელა და წმიდა გიორგის ჯვარი მიიღო, სვიმონმა ღიმილით შენიშნა:

— მერე რა მოხელეა ეგ შენი იუნკრობა და წმიდა გიორგის ჯვარი? რა სარგებლობა მოაქვს ან ერთს და ან მეორეს? დაილოცა ისევ ჩვენებური, ძველებური დაჯილდოვება, თითო სოფელს რომ უწყალობებდა ხოლმე მეფე, ვინც ომში თავს ისახელებდა.

— რასაკვირველია, სოფელიც კაი საჩუქარია, მაგრამ არც ახლანდელ დაჯილდოებას უკირს რაპე; შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! მიუგო ნოდარმა: რას ამბობ, ყმაწვილო, ხელმწიფისგან ბოძებული ჩინი და ტემლაკი ხუმრობა ხომ არ არის? მიდიხარ, მაგალითად, გზაზე, შეგხვდება წინ სალდათი და გამოგეკიმება უცებ ფრუნტში ჩესტით. სანამ ნებას არ მიცემ, ადგილიდგან ვერ დაიძვრის და მოგჩერებია თვალებში, როგორც კაი დაგეშილი მეძაბარი.

— რას ამბობ, ნოდარ? სალდათი შენ ჩესტს რატომ გაგიკეთებს? აფიცერი რომ იყო, მაშინ სხვა არის, უთხრა სვიმონმა.

— ვინ მოგახსენა?.. დედი მისის შვილია და ნუ გამიკეთებს; ვაყურებიებ სეირს! კაცი იუნკერი ვარ, გულზე წმიდი გიორგის ჯვარი მკიდია და ჩესტსაც არ გამიკეთებს სალდათი? გაცხარდა ნოდარი.

— აბა, რა იცის, რომ იუნკერი ხარ?... აი, მხრებზე რომ კაი ჯინჯილებიანი აპელატები გქონდეს, ჰო!.. არ ეხსენებოდა სვიმონი და თანდათან აბრაზებდა ნოდარს.

ამ ლაპარაკის დროს გზაზე არხეინად მომავალი, მხარზე თოფგადადებული, ჯარის კაცი გამოჩნდა და სვიმონმა მაშინვე მიმართა ნოდარს:

— აბა, ნოდარ, ეგ სალდათი და ეგ შენ; ენახოთ, თუ გაგიკეთებს ჩესტს.

— გამიკეთებს; შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, გამიკეთებს! თქვა ნოდარმა და გადიწია ყაბალახი, რომ გულზე ჩამოკიდებული ჯვარი გამოეჩინა.

— ყაბალახი-კი არა, ჩოხის კალთებიც რომ გადიწიო და შალვარზე წითელი კანტი გამოაჩინო, მაინც ხმას არ გაგცემს, უთხრა სვიმონმა.

— აბა, დავნაძლევდეთ! სთქვა ნოდარმა: თუ გამიკეთოს სალდათმა ჩესტი, შენი სწრაფია ჩემი იყოს და, თუ არა, ამ ჩემ ლურჯაზე ხელი ამიღია!

— ძალიან კარგი, თანახმა ვარ! მიუგო სვიმონმა და გაუწოდა ხელი. ამნაირად უბრალო ლაპარაკი კარგ ფასიან სანაძლეოთი გათავდა, რადგან სვიმონის მწევარი, სწრაფია, ერთ სოფლად ღირსო, ამბობდენ და ნოდარს ხომ თავი მოწონდა თავისი ლურჯათი.

ამასობაში ჯარის კაციც მოახლოვდა და ჩვენი მგზავრები შედგენ. ნოდარი გასწორდა უნაგირზე და იგრიხებოდა, რომ ყურადღება მიექცია, მაგრამ ჯარის-კაცმა მხოლოდ ერხელ შეხედა შორიდან, მერე თავიც აღარ აუწევია ზევით და მიდიოდა თავისსთვის. სვიმონი ერთხანს იმაგრებდა თავს, მაგრამ, როცა ნახა, რომ ჯარის-კაცმა ჩაუარა კიდეც ,ვერდით ნოდარს, თავი ვეღარ შეიმაგრა და

„ფხუ!-ო, დააყარა სიცილი. ნოდარი გაბრაზდა, შემოკრა ცხენს მათრახი და თვალის დახამხამების უმალ“ წინ მოექცა ჯარის-კაცს.

— კუდა პაშოლ, სალდათო?—დაიღრიალა მან და აწია მათრახიანი ხელი ზევით.

— ჩავო —ჰკითხა ჯარის-კაცმა.

— კუდა პაშოლ-მეთქი, შე წუწკო, შენა?

— კუტაის პოშოლ, ტებე ჩტო?

— კაკ ჩტო, მენია ნე ზნაიშ? ია პოხოდ ბილ, ,ჩოლოკ ტურკა ბილ, იუნკერ პოლუჩილ და წჰიდა გიორგის ჯვარი ზდეს! დაიკრა გულზე ხელი ნოდარმა და შეანძრია ჯვარი. სვიმონი თავისთვის იცინოდა; ჯარის-კაცსაც შესკდა სიცილი და დააპირა წასვლა, მაგრამ ნოდარი არ უცლიდა გზას.

— ჩესტ, ჩესტ სიჩას, ჩესტ დელატ, გეუბნები,—ღრიალებდა იგი და მოიმარჯვა ხელში მათრახი.

— ატსტან, ატო სტრელიატ ბუდუ,—წამოიძახა უცებ ჯარის-კაცმა, დაიწია უკან და მართლაც გადმოიღო მხრიდგან თოფი. საქმე სახუმარო აღარ იყო და სვიმონი მივარდა ნოდარს.

— წამოდი, ნოდარ, ერთ ხათაბალას არ გადაეკიდო! ხომ ხედავ, რომ არ გიკეთებს ეგ სალდათი ჩესტს და ალარ დაეხსნები? ამ სიტყვებით მოკიდა ნოდარის ცხენს ლაგამში ხელი და გაათრია იქით.

— გამიშვი, გამიშვი!—ყვიროდა ნოდარი და იწევდა ჯარის-კაცისაკენ, რომელიც უკვე თავისს გზას გაუდგა. გამიშვი, მაგიშვი! ყვიროდა დიდხანს ნოდარი, თუმცა სვიმონმა ხელი გაუშვა კიდეც და ალარ იჭერდა.

— პირობაზე როგორა ხარ, ნოდარ?—კითხა ღიმილით სვიმონმა, როცა კარგა გზა გაიარეს, და ნოდარიც, ცოტა არ იყოს დამშვიდდა.

— რომ გაგეშვი, მე მოგიგებდი, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, რადგან მანამ არ მოვეშვებოდი იმ წუწკს, სანამ ჩესტს არ გავაკეთებინებდი,— უპასუხა ნოდარმა.

— შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს, რომ არ წამომეყვანე, ლაზა-

თიანად გკვბრ̣ედა გულში ტყვიას და დამრჩებოდი მშრალი,—თქვა სვიმონმა.

— რას ამბობ? ხელმწიფის იუნკერს და წმიდი გიორგის ჯვრის კავალერის სალდათი თოფს მესროდა?

— ე თოფი-კი გადმოიღო მხრიდან და რა ვიცი.

— თოფი იმიტომ გადმოიღო, რომ ჩესტი გაეკეთებინა, მაგრამ შენ აღარ დააცალე და წამომათრიე. როცა თოფი უპირავს სალდათს, გულზე მიიბჯენს და ჩესტს ისე აკუთებს, ამას ნაკრაული ქვია. ნაძლევი მე მოგიგე, გამარჯვებული მე ვარ, შენ ნუ მომიკვდე, სვიმონ.

— აგრემც გაგიმარჯვია ყოველთვის?—სიცილით უთხრა სვიმონმა.

— აგრე იყოს,—არ ტყდებოდა ნოდარი და, თითქო მართლა გამარჯვებული ყოფილიყოს, თავმომწონედ მიაქროლებდა ლურჯას, რომელიც, სამართლით ᲘᲐᲡ აღარც-კი ეკუოვნოდა.



ნატოს ცრემლები.

(სასამართლოს ბოქაულის ნაამბობი)

:ერაუერი შვილი თანამდებობა მაქვს, მაგრამ რა ექნა? ნათქვამია, „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.“ როცა კაცი ცოლშვილით დატვირთული ხარ, საიმისო შეძლება არა გაქვს და ხელიდანაც „რაპორტების“ წერის მეტი არაფერი გამოგივა, რასაც მოგცემენ — უნდა დაჯერდე! ახლანდელ დროში მაინც, როცა თვით დიპლომიანებიც, გამგელებული, ეძებენ სამსახურს და ხშირად ერთობ მცირე ჯამაგირს ჯერდებიან, მე, სემენარიიდანაც-კი გამორიცხული, ბედნიერად უნდა ვთვლიდე თავს, რომ ამისთანა ადგილიც ვიშოვე. ვთვლი კიდევაც და კმაყოფილი ვარ ჩემი ბედის, თუმცა, ვინ იცის, რამდენ ნაირი უსიამოვნება არ შემხვდება ხოლმე სამსახურის ასრულების დროს. ლანძღვა-გინებასა და წყევლა-კრულვას ვინ-ღა ჩივის, ბევრჯერ ბეწვზე კიდია თვით ჩემი სიცოცხლეც. ვინ იცის, რამდენჯერ ვყოფილვარ საშინელ მდგომარეობაში; რამდენჯერ ძლივს დამიღწევია თავი კეტისა, ხმალ-ხანჯლისა და თოფ-დამბაჩისაგან? დიახ, ბევრჯერ დამდგომია ცუდი დღე. ბევრჯერ გადმომდენია სიმწრის ოფლი, მხოლოდ იმისთანა შეწუხება, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად გამოვცადე, თავისს დღეში არ გამომიცდია, თუმცა მე პირადად არავითარი საფრთხე არ მომელოდა.

მთელ ზემო იმერეთში სახელგანთქმულს თავისი პურ-მარილით თავად ლევან გადაღმელს, სხვათა შორის, ერთ მდიდარ რაჭველ აზნაურის, პარმენ ჩხირიშვილის, ფული მართებია და, რასაკვირველია, დროზე არ გადუხდია; მოვალესაც განუსაჩივრებია საქმე, აუღია „აღსრულებითი ფურცელი“ და ერთ მშვენიერ დილას, გულმოსულმა მომაყენა კარეზე.

– უეჭველად ახლავე უნდა წამომყვე, ქვე ჭირი მოგკამე, ჩემო ბატონო, და აუწერო სახლის ავეჯი და ძვირფასი ნივთებიო, მითხრა.

მე ჯერ უარი ვუთხარი, ვთხოვე, დაეტოვებინა ჩემთვის „ალსრულებითი ფურცელი", ეგებ აწერამდის არ მიმეყვანა საქმე და ისევ გადამეხდევინებინა ლევანისთვის ვალი, მაგრამ პარმენი არამც და არამც არ დათანხმდა.

— ორი დღის სავალი გზა გამოვიარე და ცარიელი არაფრისთვის არ დაებრუნდები უკან: უმისოდაც რამდენი ხანია ჩემი ფულისთვის მევე, ძაღლივით, მარბენინებს ის უსინდისო, სთქვა გადაწყვეტით.

მეც რაღას ვიზამდი? შევაკაზმვინე ცხენი და გავუდექით გზას. შუა დღე კიდევ არ იქნებოდა—სახლიდან რომ გამოვედით და ჩემი ანგარიშით, სწორედ სადილისთვის უნდა მივეესწრო ლევანისას.

მე ლევანის სახლში წინადაც ხშირად ვყოფილვარ: ბევრი სიამოვნება ბინახავს იქ და დიდი პატივისცემაც მახსოვს, როგორც ლევანის, ისე, განსაკუთრებით, იმის ცოლისა, კნეინა ნატოსაგან.

კნეინა ნატო! ო, ვინც პირადად ვერ იცნობს, ვერც-კი წარმოიდგენს, რა ქალია კნეინა ნატო! სილამაზეს თავი დავანებოთ, თვით განხორციელებული მშვენიერებაა, – თქვენ მისი ხასიათი თქვით, რა კეთილია, რა უბრალოთ უჭირავს თავი, მაგრამ ამასთანავე რა ლირსეულად! სწორედ ციდან ჩამოსული ანგელოსია, ერთსა და იმავე დროს ტურფა, და სიკეთით სავსეც! შეუდარებელია აგრეთვე, როგორც დიასახლისი და სტუმრების გამრთობი. მარადის მხიარული, მარადის მომღიმარი ნატო, თითქო მიწაზე ფეხებს არც-კი აკარებსო, მიმოცურავს ლა იქ განკარგულებას აძლევს მოსამსახურეებს, აქ ერევა საზოგადო მუსაიფში და აცხოველებს ბაასს. ახლა ჩისი სიმღერა. ჩონგურისა და დაირის დაკვრა, ლეკურის ჩამოვლა! მაგრამ რაშელი ერთი ჩამოვთვალო? კნეინა ნატო, როგორც ქალი, სრულია ყოველ-მხრივ და ნეტავი იმას, ვისაც შეუძლიან, ყოველთვის მასთან ყოფნით ტკბებოდეს!

ამიტომაც იყო, რომ, თუმცა არაფერი სასიამოვნო სტუმარი უნდა ვყოფილიყავი იმ დღეს ლევანისათვის და ნატოსთვის. მაინც

სიხარულით მიეფიოდი მათთან. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ნივთების აწერამდის საქმე არ მივიდოდა: ვალს ან ფულად იშოვიდა როგორმე ლევანი, ან ახალ ხელწერილს მიცემდა მოვალეს და დაკმაყოფილებდა, მეკი თითქმის მთელი დღე შემთხვევა მეძლეოდა, ნატოსთვის მეყურებინა, მისი ხმა გამეგონა და ესეც დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის.

ორი საათი სრულდებოდა, როცა ლევანის სახლის ჭიშკართან მივედით. გადავიხედე ეზოში და ელდა-კი მეცა.

წარმოიდგინეთ, ლევანს დიდი წვეულობა ქონოდა იმ დღეს და ცაცხვებ ქვეშ სტუმრები, ბუზებივით, ირეოდნენ; იქვე, ის იყო, გეშალათ მოსამსახურეებს უშველებელი სუფრა და ჭურჭელს აწყობდენ სადილისთვის.

— დღეს თავი დამანებე, ნუ ჩამამწარებინებ ამ ხალხისთვის სიამოვნებას და ნუ შემარცხვენინებ ასე საზოგადოდ ამ დიდებულ ოჯახს-მეთქი, — შეეხვეწე პარმენს, მაგრამ ის ისე გაბრაზებული იყო ლევანზე, რომ გაგონებაც-კი არ უნდოდა ჩემის თხოვნის.

— პირიქით, ამისთანა მოხდენილ დროს როგორ დავკარგავ; სუფრაზე რაც ძვირფასი ოქრო და ვეცხლია, ის აწერე მხოლოდ და მე მეტი არ მინდაო, — თქვა.

რას ამბობ, კაცო, დღეს როგორ უნდა ავწერო რამე? ეუთხარი კიდევ.

— არ აწერ და ახლავე დეპეშას დავუკრავ სასამართლოს, რომ შენს მოვალეობას არ ასრულებო, — მიპასუხა.

საშველი აღარ იყო და შევაღე ჭიშკარი. სწორედ ამ დროს სახლიდან გამოვიდა კნეინა და, დაგვინიხა თუ არა, აფრინა ჩვენკენ ბიჭები. ჩვენც ჩავაბარეთ ცხენები ამათ და წავედით ცაცხვებისაკენ. ნატომ მიცნო და წამოვიდა ჩემკენ. მე ერუანტელმა დამიარა მთელ სხეულში და, გაფითრებული, მუხლებ აკანკალებული, ძლივს მივათრევდი ფეხებს.

— რა ამბავი, სარდიონ, ავად ხომ არა ხართ? — მომძახა კნეინამ, როცა მომიახლოვდა და დამინახა, ასე ფერ-მიხდილი.

— არა, ბატონო, — ამოვილუღლუღე მე და ვაკოცე ხელზე. ნა-

ტომ თავზე მაკოცა, ხელი ჩამოართვა პარმენს, რომელსაც, მგონი, ვერც-კი იცნობდა მანამდის, და ღიმილით მომმართა:

— რა დაგიმადლეო, სარდიონ, რომ დღეს მოხვედით! უცხო სტუმარი მყავს ქალაქიდან და თქვენებურად უნდა მოგვილხინოთ.

— ლევან, ლევან, — მიმართა ნატომ ახლა ქმარს, რომელიც ცოტა მოშორებით ქალალდის სათამაშო მაგიდას უჯდა და „უცხო სტუმართან", ერთ-ერთ დიდი გვარის ქართლელ თავადიშვილთან და რამდენიმე ცნობილ ადგილობრივ მობანქოეებთან ერთად „ბაკაოს" თამაშობდა: აი, კიდეე ვინ გვეწვია, შემოხედე!

ლევანმა აწია თავი ზევით, ღიმილით „ოჰ!-"ო წამოიძახა და გაერთო ისევ თამაშში. მე მივესალმე ლევანს, მივესალმე აგრეთვე „უცხო სტუმარს", რომელსაც გაეცნო კნეინამ და სხვებს, რომლებსაც ყველას ვიცნობდი, და დავდექი მათ შორის, ვინც ქალალდის თამაშს უყურებდა. პარმენი არ მისულა არც ლევანთან და არც სხვებთან; მოშორებით დადგა და გვიყურებდა.

— აბა, სარდიონ, არ მოიწყინოთ და მეც ახლავე მოვალ, — მითხრა ნატომ და წავიდა, ალბად, სადილის შესახებ ახალ განკარგულების მისაცემად.

მომშორდა თუ არა ნატო, მოვიდა პარმენი და ჩამიჩურჩულა ყურში:

— მე დიდხანს ვერ მოვიცდი; ამალამვე უნდა ჩავუსწრო მატარებელს და წავიდე ქუთაისში, სადაც ხვალ სასამართლოში ვარ დაბარებული, და გთხოვ, საქმეს ნულარ აგვიანებო.

— მოიცა, შე კაცო, სადილი ვჭამოთ, სტუმრები წავლენ-წამოვლენ და ეს ნივთები სად წაგვივა, მოვესწრებით აწერას-მეთქი, — ვუთხარი მე, მაგრამ პარმენმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, უეჭველად ახლავე შეუდექი საქმეს, თორემ გიჩივლებო.

რაღა გზა მქონდა? დავამშვიდე, ახლავე მოველაპარაკები ლევანს-მეთქი.

მართლაც მივედი ლევანთან და მოვუჯექი გვერდით. თიმაში გახურებული იყო, ოქროს ფული და ქალალდის ასიგნაციები ისე გადადიოდა-გადმოდიოდა ხელიდგან ხელში, თითქო საბანკო კან-

ტორა ყოფილიყოს, ლევანის წინ იმდენი ფულის გროვა იყო, რომ, ალბად, ვალს, ბევრი აღარა დააკლდებოდა რა. ვიხელთე დრო, როცა ერთი მოთამაშე ქაღალდს ურევდა და წყნარად ვუთხარი ლევანს, ცოტა საქმე მაქვს და ერთ წამს ოთახში გამომყევი მეთქი.

— არამც და არამც არ შემიძლია; მე ახლა ვერაფრისთვის ვერ მივატოვებ თამაშს და, რაც საქმე გაქვს, ნატოს უთხრა და ის გაარიგებსო, მითხრა ლევანმა და ჩაერია ისევ თამაშში; მეც ავდექი, მოვძებნე პარმენი და ერთხელ კიდევ ვცადე, მომელაპარაკა მისი გული.

— სასამართლოში გიჩივლებ, თუ ახლავე არ დაგიკმაყოფილებია, იყო მხოლოდ პასუხი.

სხვა გზა აღარ იყო და ვუთხარი ერთ მახლობელ ლევანის ნათესავს, ასე და ასეა საქმე და კნეინა უნდა ვნახო-მეთქი.

— წავიდეთო, მითხრა და შემიყვანა სახლში.

ნატო სამზარეულოში ყოფილიყო და მაშინვე მოვიდა. მეც დიდი ბოდიშით მოვუყევი ყველაფერი. ნატოს ფერმა გადაკრა, და შეუთვალა ლევანს, საჭირო საქმეა, ერთ წამს შენ მაგიერ ვისმე სხვას სთხოვე, ითამაშოს, და მოდიო. მაგრამ იმან მტკიცე უარი შემოგვითვალა, არაფრისთვის ჩემი ადგომა არ შეიძლებაო.

— ეგებ, რომელიმე თქვენ სტუმრისაგანს აქვს ფული და ესთხოვოთ-მეთქი, ვუთხარი ნატოს და დაეუსახელე რამდენიმე შეძლებული თავადიშვილი, თუ ლევანის, თუ მისი ახლო ნათესავი.

კაცი სტუმრად მოსულა და ფული როგორ ვთხოვოო, თქვა ჯერ ნატომ, მაგრამ მერე დათანხმდა ანაზე და დაიბარა ბიძა ლევანისა, ქაიხოსრო. რომელიც თავისის სიმდიდრით და ამასთანავე ხელმოჭერილობით განთქმულია მთელ იმერეთში. მოვიდა ქაიხოსრო და, როცა შეიტყო, რისთვისაც დავიბარეთ, გაბრაზებული, გავარდა კარში, ფული რომ მომცა, აქ რა მინდოდაო? დავიბარეთ მეორე თავადიშვილი, მესამე, მეოთხე, ვისაც-კი ფული გვეგულებოდა, მაგრამ ყველამ უარი გვითხრა; ზოგმა ისე უკმეხად, როგორც ქაიხოსრომ, ზოგმა დიდის ბოდიშით და თავის მოკატუნებით. დავიბარეთ ახლა პარმენი და თავისი პირით თხოვა ნატომ, ედროვებინა რამდენიმე ხანი იმ პირობით, რომ თავდებად, ვისაც მოისურვებდა

დაუყენებდა. ჯერ დიდ უარზე იყო პარმენი, მაგრამ ბოლოს რო_ გორც იქნა, დათანხდმა, მოეცადა რამდენიმე თვე, თუ თავდებად დადგებოდა თავადი ქაიხოსრო და ხელწერილს მიცემდა, თვითონ გადაეხადა დანიშნულ დროზე ვალი. ვთხოვეთ ახლა ისევ ქაიხოსროს, მაგრამ ამაზედაც უარი გვითხრა: მე დროს გასატარებლად მოვედი აქ დღეს და არა საქმისთვის, რა დროს თავდებობა და ხელწერილების წერაა?

საქმე ცუდად იყო. ეტყობოდა, რომ ნატო თანდათან უფრო და უფრო ღელავდა; თან მოსალოდნელი სირცხვილი და თან ქაიხოსროს უგულობა მეტად აწუხებდა, ტანჯავდა. საბრალო ნატო! მის მბიარულ სახეს საშინელი შავი ღრუბელი გადაკვროდა და თვალები, მარადის მომღიმარი, მოწმენდილ ცასავით მოკრიალებულიი, ცრემლებით ავსებოდენ. ნატო ამისთანა შეწუხებული წარმოუდგენელი იყო ჩემთვის და, თუ ცა ჩემი ბრალი არა იყო-რა, მაინც დიდ დამნაშავედ მიმაჩნდა ჩემი თავი მის წინაშე. ო, რას მივცემდი მაშინ, რომ სასამართლოს ბოქაულად ჩემ დღეში არ გაემბადარიყავი და ნატო ამისთანა მდგომარეობაში არ მენახა? წამს დამავიწყდა ჩემი თავი, დამავიწყდა ჩემი ცოლშვილი და გადავწყვიტე, დამეხსნა ნატო გაჭირვებისაგან, რაც უნდა ძვირად დამჯდომოდა.

— კარგი, რადგან ასეა, თვითონ მე ვკისრულობ თავდებობას და, თუ გინდა, ახლავე მოგცემ თამასუქს— მეთქი, ვუთხარი პარმენს.

— შენი თამასუქი რა ჩემ ფეხებად მინდა, მე გადასაყრელი ფული სადა მაქვს, რომ რამდენი გუდამშიერი მოპელეა, ყველას ვენდოო —მიპასუხა პარმენმა და გავიდა კარში, თან გარედან შემომძახა: ახლავე შეუდექი ნივთების აწერას,- თორემ უეჭველად გიჩივლებ, რომ შენს მოვალეობას არ ასრულებო.

მე უნებლიედ შევხედე ნატოს და სრულიად დამავიწყდა ჩემი შეურაცხყოფა, როცა დავინახე, რომ თვალებზე მომდგარი ცრემლი ველარ შეიმაგრა და ტირილი დაიწყო. ნატო, ჩემი ღვთაება, ვისაც თაყვანს ვცემდი, როგორც წმიდათა წმიდას, —ტიროდა! ნატოს ცრემლები, ცეცხლის წვიმასავით, ეცემოდენ ჩემ გულს და წვავდენ, ჯოჯოხეთურის ალით სდაგავდენ! „მოვკლავ იმ არამზადას, თუ საჭირო იქნა,

და ნატოს-კი მოეწონდ ამ ცრემლებს-" მეთქი, გადავეწყვიტე და გავ-ვარდი მაშინვე კარში. მოვძებნე პარმენი და დავუწყე ხვეწნა-მუდარა. პირადად ჩემი საქმისთვის ისე აოავის შეეხვეწნივარ ჩემ სიცოცხლეში და არც შემიძლია, შეეხვეწო. რომ ეთქვა, მზად ვიყავ. მუხლებზე დავევარდნილვიყავი მის წინაშე და ფეხები დამეკოცნა.

— კარგი, რადგან აგრე ხარ მონდომებული, რა გაეწყობა, თანახმა ვარ; მე შენი გულისთვის ვამბობდი უარს, რომ არ ჩაბმულიყავი და ზარალი არ გენახა, თორემ როგორ არ გენდობი; ნეტავი მეტიც გემართოს ჩემი, რომ მე ის არ დამეკარგოსო, მითხრა ბოლოს პარმენმა.

ნატო ისევ ტიროდა, როცა შეეედი მასთან და მხოლოდ მაშინ მოიწმინდა ცრემლი, რომ შეიტყო საქმე უარგად გათავდა.

— გმადლობთ, გმადლობთ, სარდიონ, და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ამ ერთ თვეში გამოგიგზავნით ამ ვალს, მითხრა გრძნობით.

— არაფერია, პარმენი თანახმაა, ექვსი თვის ვადა მოგვცეს და ამ ექვსს თვეში მე თვითონაც მოვაგროვებ როგორმე ამ ფულს და მივცემ; ასე რომ თქვენ ნუ შეწუხდებით: როცა თავისუფალი ფული გექნესთ, მაშინ მიბოძეთ-მეთქი. ვუპასუხე.

ვექსილის ქაღალდი თან მქონდა; მაშინვე დავუწერე თამასუქი და მივეცი პარმენს, რომელიც ისევე წამს გაუდგა თავისს გზას, მე-კი სადილად იქ დავრჩი.

სადილზე ჩვეულებრივი მხიარულობა იყო. ნატოს ისე ეჭირა თავი, თითქო არაფერი მწუხარება არ ენახოს თავისს დღეში და ამ რამდენისამე წამის წინად ცხარის ცრემლით არ ეტიროს. ლევარს იმ დღეს ბლომად წაეგო, მაგრამ ეს არც-კი ახსოვდა და მის მხიარულებას საზღვარი არა ქონდა. მხიარული იყვენ სტუმრებიც და მეც ძალიან მხიარული ვიყავი, რომ ნატო გამოვიყვანე საშინელი მდგომარეობიდან...

ერთ თვეს კიდევ არ გაევლო იმ დღიდან, რომ ნატომ ვალი დიდი მადლობითა და ბოდიშით გამომიგზავნა: ალბად, რომელიმე ძვირფასი საგვარეულო განძი გაყიდა, ან დააგირავა და ჩემთან პირნათლად გამოვიდა.

„დიდი შეცდომა“

I

დილის ცხრა საათია; მაისის მზის სხივებს ჯერ არ გამოუჩენიათ მთელი თავისი ძალა და კიდევ გრილა. ხანდახან საამური ნიავიც უბერავს და მოაქვს მახლობელ ბაღებიდან ვარდ-ყვავილთა ტკბილი სუნნელობა. ყველა კმაყოფილია ამ მშვენიერ დილით; ყველა ხარობს და ნეტარებს. ხარობენ ჩიტები, რომელთ ცქრიალსა და ჭიკ-ჭიკ-გალობას საზღვარი აღარა აქვს; ხარობენ მცენარენი, შეზურმუხტ-შემარგალიტებულნი; ხარობს მოკრიალებილი ცა; ხარობს მზე, ეს პატრიარქი მთელი სამყაროსი. დიახ, მთელი ბუნება ნეტარებს ამ ჟამად! ან-კი როგორ არ უნდა ინეტაროს? ახლა ხომ გაზაფხულია, დრო ბუნების მკვდრეთით აღდგომისა, მოძრაობისა და სიცოცხლისა, დრო სიყვარულისა და ნაყოფიერ შრომისა!

ნეტარებს მთელი ბუნება; მხოლოდ ვერ ნეტარებენ ქ--ის გიმნაზიის მერვე კლასის შეგირდები, რომელთაც თავი მოუყრიათ გიმნაზიის დიდ ეზოში, შეჯგუფულან ას წლოვან ჭადრის ქვეშ და ზოგნი, გადაფითრებულნი, თვალებ-ჩაცვენილნი, წიგნებს ჩაკირკიტებენ, ზოგნიც უსიცოცხლოდ ჩრდილში მიდი-მოდიან, თავჩაქინდრულნი, თითქო რაღაც დაკარგვიათ და ეძებენო.

მეტად საბრალონი არიან ამ დილას ეს უდროოდ დადინჯებულნი და დაბრძანებულნი ჭაბუკნი! მაგრამ რა მათი ბრალია? განა ძალა-უნებურად არ დადინჯდები და დაბრძენდები იმ საშინელ წამის წინ, როცა საუკუნოდ უნდა გადასწყდეს შენი ბედი? ამათაც ხომ ახლავე დაუძახებენ ლათინურ წერაში გამოსაცდელად, იმ ლათინურისაში, რომელიც ქვა-კუთხედია კლასიკურ გიმნაზიისა და რო--

ᲛᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗᲐᲪ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲙᲕᲓᲐᲕᲡ ᲓᲐᲣᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐᲡ ᲓᲐᲣᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲢᲙᲕᲘᲚ-ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲫᲐᲚᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲠᲘᲣᲚᲘ?

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲢᲐᲠᲔᲑᲘᲐᲗ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝᲗ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠ ᲔᲜᲘᲡ ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲣᲚ ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲞᲘᲠᲘᲠᲘᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲛᲙᲕᲓᲐᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲓ ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ, ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ. ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ! ᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲪᲙᲘ ᲐᲥᲪᲔᲕᲔᲡ ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲛᲝᲡᲣᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ. ᲐᲜ-ᲙᲘ ᲠᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ? ᲛᲐᲠᲗᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲘᲜᲜᲐᲮᲘᲘᲡ ᲣᲮᲐᲠ-ᲛᲐᲮᲐᲠᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲓᲐᲦᲕᲠᲔᲛᲘᲚᲐ. ᲗᲘᲗᲘᲥᲝ ᲗᲐᲜᲐᲣᲒᲠᲜᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲡ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲔᲑᲡᲝ, ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ ᲘᲡ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ ᲒᲐᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲐ? ᲒᲐᲜᲐ ᲖᲐᲛᲗᲐᲠ-ᲖᲐᲤᲮᲣᲚ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲢᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ?

II

ᲬᲐᲛᲘ ᲬᲐᲛᲡᲐ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ-ᲙᲘ ᲓᲠᲝ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲐ. ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ ᲒᲐᲥᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲐᲜᲝ, ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲔᲔᲚᲐᲠ ᲘᲫᲕᲠᲘᲐᲜ, ᲮᲛᲐᲡ ᲔᲔᲚᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲡᲣᲚᲗᲥᲛᲐᲪ-ᲙᲘ ᲣᲫᲜᲔᲚᲓᲔᲑᲐᲗ. Ო, ᲓᲐᲘᲠᲔᲙᲝᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲑᲐᲠᲔᲛ ᲖᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲓᲔᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ, ᲐᲜ ᲐᲕᲐᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ ᲔᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲧᲝᲤᲜᲐ — ᲐᲠ ᲧᲝᲤᲜᲐ!

— ᲐᲒᲔᲠᲐ, ᲑᲚᲔᲡᲘᲜᲐᲫᲔ! — ᲫᲚᲘᲔᲡ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲕᲘᲚᲐᲛᲐᲪ ᲓᲣᲛᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲒᲘᲬᲕᲓᲘᲜᲐ ᲭᲘᲨᲙᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲥᲘᲗ ᲛᲘᲘᲮᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲛᲐᲗᲙᲔᲜ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲚᲘ ᲑᲚᲔᲡᲘᲜᲐᲫᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ; ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲮᲕᲓᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲑᲚᲔᲡᲘᲜᲐᲫᲔ ᲘᲧᲝ, ᲜᲐᲬᲓᲕᲘᲚᲐᲓ-ᲙᲘ ᲛᲐᲗᲙᲔᲜ ᲛᲝᲐᲑᲝᲢᲔᲑᲓᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ, ᲞᲐᲚᲢᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲘ, ᲧᲐᲑᲐᲚᲐᲮᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡᲐᲮᲝᲪᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲤᲣᲗᲜᲣᲚᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲚᲣᲠᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲕᲘᲠᲘ-ᲦᲐ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲑᲔᲚᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲡᲮᲔᲣᲚᲝ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ.

ᲫᲚᲘᲔᲡ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲑᲚᲔᲡᲐᲜᲘᲫᲔ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲔᲑᲗᲐᲜ; ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲦ

დაუკრა თავი ყველას და დაჯდა იქვე მდგარ სკამ-ლოგინზე. შეგირდები ისე გააკვირვა ბლესინაძის დანახვამ, რომ სრულიად გადაავიწყდათ მომავალი განსაცდელი და ყველანი გარს შემოეხვიენ ახალ მოსულ ამხანაგს.

— როგორ ხარ? კითხა ერთმა.

— არა მიშავს რა; თითქო დღეს უკედა ვარ—მოისმა ჩურჩული.

— კაცო, თავს რად იკლავ? თუ შენ აღარ იქნები, ან „ატესტატი" რალად გინდა და ან სხვა რამე?

— მართლა, როგორ არ გაგახსენდა გუშინწინდელი ამბავი?

— ჰო და რა მოგარბეინებდა; ვერ დაეტიე შენს ლოგინზე?— დაესიენ ამხანაგები ბლესინაძეს.

— არა, დღეს ეგ სრულებით კარგად იქნება; დღეს ხომ მაგისი ბენეფისია?

— აბა, ლათინურის „ეგზამენს" როგორ დააკლდებოდა?

— არ დააკლდებოდა და ნახავს თავისს სეირს—ამბობდენ შეგირდები.

— არა, ამ წელიწადს მე ვერ დავკარგავ; რაც უნდა დამემართოს, დავიჭერ ყველა „ეგზამენს." მოვკვდები და უნაყოფოდ არ ჩავატარებ ჩემ ამდენ შრომას... მარტო ლათინური და ბერძნული დარჩა ხომ და ზეპირ „ეგზამენიებისთვის" გამოვკეთდები; მანამდე კიდევ კარგა ხანია,—თქვა ბლესინაძემ.

— რა საკვირველია, ლათინური და ბერძნული შენთვის არაფერს შეადგენს,—უთხრა ღიმილით ერთმა ამხანაგმა.

— ჰო, ლათინურისა და ბერძნულის არ მეშინია,—უპასუხა თავ-მოწონებით ბლესინაძემ.

— ნეტა როგორი ტემა იქნება დღეს?—დაუმატა ამან და გადახედა ამხანაგებს.

— ალბად, ადვილი—მიუგო ერთმა მერვე კლასში მეორე წელს დარჩენილმა:—რადგან შარშან ძნელი იყო და უმეტესობამ ცუდად დაწერა.

— ძნელი-კი არა! როგორ შეიძლება კურსის გათავების დროს

-ამაზე უფრო ადვილი ტემა მიცენ შეგირდებს, ვინემ შარშან იყო? ეს რას ემგვანებოდა?— წარმოთქვა მღელვარებით ბლესიანაძემ.

ძინ, ძინ, ძინ, ძინ! მოისმა ამ დროს ზარის ხმა და ეღვივილ-ხივილით გამოცვივდენ ეზოში უნცროსი კლასის შეგირდები მაშინ, როდესაც მერვე კლასიანებმა კიდევ უფრო ჩამოყარეს ყურები და ზლაზვნით გაემართენ გამოსაცდელ დარბაზისკენ. მარტო ერთი ბლესინაძე გაიმართა წელში და, სიმხნე მომატებული, გაყვა ამხანაგებს. ის გავდა ახლა გამოცდილ მსახიობს, რომელიც უდარდელად მიდის სცენაზე კარგად შესწავლილ როლის წარმოსადგენად.

III

ბლესინაძე გადმოვიდა ქ—ის გიმნაზიაში თ—ის სემინარიიდგან; ძლივს დაიჭირა მეექვსე კლასის გამოცდები და მიღებულ იქნა ამ კლასში. გიმნაზიაში შესვლისთანავე მიიქცია ყურადღება, როგორც მასწავლებლების, ისე ამხანაგებისა; მასწავლებლებს მოწონდათ მისი მეუყაითობა და ბეჯითობა, ამხანაგებს-კი აკვირვებდა მისი ზეპირობის ნიჭი, ან „ზუბრიაკობა", როგორც ისინი ამბობდენ.

ბლესინაძე არ დაკმაყოფილდა მით, რომ გიმნაზიაში შევიდა; მან განიზრახა, „მედალით" გაეთავებინა ი გი, რომ უნივერსტეტში სტიპენდია მიეღო; განიზრახა, ეჯობნა ყველა ამხანაგებისათვის და პირველი შეგირდი ყოფილიყო. მიაღწია კიდეც საწადელს: ლათინურსა და ბერძნულში დიდ ‹ ხანია სწორ-უპოვარის სახელი დაიმსახურა მთელ გიმნაზიაში და კლასიკურ გიმნაზიის შეგირდისთვის სხვა რალაა საჭირო?

ასე გავიდა ორი წელიწადი და ბლესინაძეც 188... წელს გადავიდა მერვე კლასში, როგორც პირველი შეგირდი. სხვა უიმისო, რასაკვირველია, დაკმაყოფილდებოდა ამით და მთელ ზაფხულს თავისუფლად გაატარებდა; მაგრამ ბლესინაძე რის ბლესინაძე იქნებოდა, რომ ასე მოქცეულიყო? არა, მან გადაწყვიტა, თვით ლათინურ და ბერძნულ ენების მასწავლებლებისთვის გადაეჭარბე

ბინა; ამ მიზნით, არამც თუ ის წიგნები შეიძინა, რომელთაც გიმნაზიაში სწავლობენ, თავი მოუყარა თითქმის ყველა კლასიკებს, ჰომიროსიდან და ვერგილიუსიდან დაწყებული მეორე საუკუნის ბერძენ მწერლებამდე და შეუდგა მათ შესწავლას. რასაკვირველია, რომ კარგი რამ არის დედანში ჰომიროსის, ვერგილიუსის და სხვების კითხვა. მაგრამ ბლესინაძემ ესეც აღარ იკმარა: მოძებნა რამდენიმე ლათინურ და ბერძნულ ენებზე გადასათარგმნი მასალების კრებული და დაიწყო მათი თარგმნა. ამნაირად მთელი ზაფხული საშინელ შრომაში გაატარა ბლესინაძემ და, მართალია, ლათინური და ბერძნული ისე შეისწავლა, რომ შეეძლო თავისს მასწავლებლებისთვის მეტოქეობა გაეწია, მაგრამ სამაგიეროდ ჯან ღონეც ზედ შეალია.

გათავდა ზაფხული და გიმნაზიაში ბლესინაძის მაგივრად რაღაც ლანდი-ღა დაბრუნდა. მართალია, მასწავლებლების აღტაცებას საზღვარი აღარ ქონდა, როცა ნახეს, რომ ბლესინაძეს გაუჭირვებლად შეეძლო არამც თუ წერა ლათინურ-ბერძნულ ენებზე, არამედ თითქმის ლაპარაკიც, და ეუბნებოდენ დანარჩენ შეგირდებს: „აი, ნამდვილი კლასსიკი, რომელსაც უნდა მიბაძოთ და იმეცადინოთ და არა უშრომლად ცდილობდეთ „ატესტატის“ მიღებასაო,“ მაგრამ არავისთვის ბლესინაძე მისაბაძავ მაგალითს არ შეადგენდა; პირიქით, ყველა დაცინოდა ამ ჩონჩხად ქცეულ ახალგაზდას, რომელიც კვლავ თავს აკლავდა ლათინურ-ბერძნულ წიგნებს.

გავიდა სექტემბერი და ბლესინაძემაც დაიწყო ავადმყოფობა; ზამთარში სულ ლოგინად ჩავარდა და მხოლოდ „ეგზემენებისთვის“ ადგა. გუშინწინ რუსული გამოცდის დროს კინაღამ გული შეუწუხდა და ძლივს მიიყვანეს ბინაზე. არავის არ ეგონა, რომ დღეს მოვიდოდა მაგრამ თავისს საყვარულ ლათინურში გამოცდას როგორ დაიკლებოდა და მოვიდა კიდევაც.

IV

შუა დღემ მოატანა და ჩამოცხა. უჰ, რა საშინელებაა, იჯდე ახლა კარჩაკეტილ ოთახში და იგონებდე რომელსამე ლათინურ სიტყვას, რომელიც, თითქო შენს სიცოცხლეში არ გაგიგონია, და ყურ-

ში-კი ჩაგძახიან: „წერეთ, წერეთ, თითქმის ყველა სიტყვები გითხრეს და მეტი რაღა გინდათ?"-ო.

ალბად, ცუდს მდგომარეობაში არიან ახლა ჩვენი შეგირდები, რომ ჯერ არავინ გამოსულა!

ჩუ, მოისმა სიცილის ხმა და კარში გამოვიდა რამდენიმე ახალგაზდა. ყველა მხიარულია.

— კაცო, რა ადვილი ტექსტი იყო? ამბობს ერთი სიცილით.

— ჰო, და, მგონი, ერთი შეცდომაც არ მომსვლია,--ეუბნება მეორე.

— ჩინებულად ვისარგებლე შენგან გადმოგდებულ თარგმანით, რომელმაც სწორედ რომ სულზე მომისწრო, თორემ ცუდად იყო ჩემი საქმე! ხომ კარგი თარგმანია? ეკითხება ერთი შეგირდი მეორეს.

— ხუთზეა, ბიკო, ხუთზე, უპასუხებს ეს.

— მაშ, ექვიფობთ, ყმაწვილებო! ვის უნდა კაი ციცი ღვინო და მოხრაკული სულუგუნი? წავიდეთ მიხაკას დუქანში! ყვირის გახარებული ის, რომელიმაც ჩინებულად ისარგებლა სხვისი თარგმანით.

— წავიდეთ, წავიდეთ ყვირიან სხვებიც. ამ დროს დარბაზიდან გამოდის კიდევ რამდენიმე შეგირდი; მათ შორის არის ბლესინაძეც, რომელიც საშინლად აღელვებულია და ძლივს ამბობს რაღაცას; ყველა დადუმდა და მოისმა ბლესინაძის სუსტი ხმა.

— თფუ, თფუ! იფურთხებოდა ბლესინაძე და ამბობდა: ამისთვის მოვიკალი თავი? ამისთვის გავიფუჭე ამდენი სისხლი? ამისთვის... ძლიერმა ხველამ გააწყვეტინა ლაპარაკი, მთელი სხეული უკანკალებდა ციებიანსავით, და რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყუდა.

— რა ამბავია? გული რაზე მოგდის? კითხა ბოლოს ვიღაცამ.

— როგორ თუ რა ამბავია? განა ამისთანა ადვილი საწერი გაგონილა გიმნაზიის გასათავებელ „ეგზამენზე?" დღეს ხომ ყველა კარგად დაწერდა, თვით უკანასკნელი შეგირდიც კი? არა, ეს სკან... -- და ძლიერმა ხველამ ისევ შეაწყვეტინა ლაპარაკი.

— ბიკო და მერე შენ რა გენაღვლება? შენ ხომ მიიღებ შენს „ხუთს" და მეტი რა გინდა? უთხრა ერთმა ბლესინაძეს.

— „ხუთს"? რა თავში ვიხლი იმისთანა „ხუთს", როცა თითქმის

ნახევარ კლასს ექნებათ „ხუთები“? რა განსხვავება უნდა იყოს ჩემსა და იმის შუა, ვისაც არაფერი გაუკეთებია და ლათინურად ნახევარი წიგნიც კი არ წაუკითხავს? ისევ ხველა. ყველანი გაოცებულნი შეყურებენ.

— რაღად მინდა ახლა მე ჩემი ცოდნა? რაღა მოხელეა ჩემი...— კვლავ დაიწყო ბლესინაძემ, მაგრამ საჩქაროდ შეწყვიტა, რადგან შეჯგუფულ შეგირდებისკენ წამოვიდა ერთი მასწავლებელი. შეგირდებმა გზა მიცეს და მასწავლებელიც მივიდა ბლესინაძესთან.

— თქვენ ერთი დიდი შეცდომა მოგსვლიათ! ეს როგორ მოგიხდათ? უთხრა წყნარი ხმით მასწავლებელმა; ბლესინაძე გაშრა, გაფითრდა.

— მაგრამ არაფერია; „ხუთს“ როგორც იქნება, მიიღებთ მაინც,— დაუმატა მასწავლებელმა და წავიდა.

— როგორ? მე მომსვლია დიდი შეცდომა?.. ეს-ღა მაკლდა!..— წამოიძახა საშინელი ხმით ბლესინაძემ, აუტყდა საშინელი ხველა და სისხლმაც თქრიალით გადმოხეთქა პირიდან.

შემდეგ გამოცდებს ბლესინაძე აღარ დასწრებია. უკანასკნელმა შემთხვევამ სრულიად მოუღო ბოლო და უნივერსიტეტის ნაცვლად სამარისაკენ გაისტუმრა...

„დედაკაცო! აჰა, ძე შენი“

თვალისეირი გათავდა და ხალხიც, კმაყოფილი, რომ გაიმარჯვა, მიაღწია საწადელს და ის, ვინც ერჩოდა მისგან, პატივს არა ცემდა საზოგადო ჩვეულებებს და, არამც თუ თვითონ ცხოვრობდა თავისებურად, სხვებსაკ იბირებდა, სამაგალითოდ დასაჯა, ნელ-ნელა იშლებოდა გოლგოთიდან.

ყველანი მხიარულობდენ და დღესასწაულობდენ: მწიგნობარნი და ფარისეველნი, რომ მოიშორეს ძლიერი მტერი და ბრძო, რომ კვლავ თავს ველარ მოაბეზრებდა იესოს სახელის ხსენება, იმ იესოსი, რომელიც ძედ ღვთისად და მეუფედ ურიათა უწოდებდა თავისს თავს და ახლა-კი, როგორც უბრალო ავაზაკი, ნამდვილ ავაზაკთა შორის, ჯვარზე ეკიდა.

„იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა,“ კითხულობდა ერთხელ კიდევ გოლგოთიდან მიმავალი ხალხი ჯვარზე მიკრულ წარწერას და სიამოვნებას გრძნობდა, თუმცა თვით მღვდელმთავარნი არ იყვენ კმაყოფილნი ამ წარწერით.

— „ნუ დასწერ მეუფედ ურიათა, არამედ ვითარმედ მან სთქვა: მეუფე ურიათა ვარი მე“, სთხოვეს მათ პილატეს, მაგრამ პილატემ ყურადღება არ მიაქცია ამ თხოვნას.

— „რომელი დავწერე, დავწერე“, თქვა მტკიცედ და უბძანა, შეუცვლელად დაეტოვებინათ წარწერა.

საკვირველი იყო: ამ ერთი საათის წინად ისე უცებ დაუჯერა ურიათ, და თუმცა ვერავითარი ბრალი ვერ პოვა ქრისტეში და გულით უნდოდა მისი განთავისუფლება, მიცა იგი მათ, „რათა ჯვარს მცვას“, და ახლა უბრალო წარწერის შეცვლაზედაც-კი არ დათან

ასეა: ყოველი სუსტი ხასიათის კაცი მართლა დიდ საქმის გადაწყვეტის დროს, შეიძლება, ადვილად დაემორჩილოს სხვის აზრს და წვრილმანებში-კი გაჯიუტდეს.

მაგრამ, ეგებ, განგებ შეათხზეევინა პილატემ ამ ნაირი წარწერა, რომ სასაცილოდ აეგდო თვით მთელი ურიასტანი? შეიძლება, ასეც იყო; გარემოება ამით სრულიადაც არ იცვლებოდა, რადგან განზრახ სასაცილოდ იგდებდა მთელ ერს პილატე, თუ შემთხვევით მოხდა ეს, ჯვარზე სამ ენაზე დაწერილი: „მეუფე ურიათა“, როგორც რაღაც უცნობისა და მოულოდნელის სიმბოლო, შიშის ზარსა ცემდა ყოველ ურიას, ვინც კი ღრმად ჩაუფიქრდებოდა ამ სიტყვების მნიშვნელობას.

მაგრამ უმრავლესობას არც თავი ქონდა და არც დრო, ჩაფიქრებოდა რასმე ამჟამად; ამიტომაც გარდა ერის მეთაურთა: მღვდელმთავართა და მოხუცებულთა, რომელთათვისაც დღევანდელ გამარჯვებას ჩრდილი ეფინებოდა ამ წარწერით, ყველანი, ვიმეორებ, მხიარულობდენ და დღესასწაულობდენ; თუ აწუხებდა ვისმე რამე, მხოლოდ ის, რომ ასე უცებ გათავდა ყველაფერი და დრო იყო, შინ წასულიყვენ.

— აბა, კაცო, რა შვენოდა ძოწეული სამოსელი და ეკლის გვირგვინი?

— ჰო და, ნამდვილი მეფე იყო, გვირგვინოსანი მეფე!

— იყო და ჩვენც იმიტომ მივძახოდით, როცა ჯვარ ქვეშ, ოთხად მოხრილი, ძლივს მიდიოდა: „გიხაროდენ, მეუფეო ურიათაო!“-ო.

ასე მილაპარაკობდენ გამარჯვებულნი ურიანი და ეშურებოდენ თავ-თავიანთ სახლებისაკენ, რომ მალე გაეზიარებინათ შინ დარჩენილთათვის, რა თვალისეირიც ნახეს.

გოლგოთა თანდათან ცალიერდებოდა. იქ მხოლოდ დარაჯნი-ღა იდგენ ახლა და ისინი, ვინც კიდევ მოელოდენ, რომ რამე უჩვეულო მოხდებოდა და არ უნდოდათ, მოკლებოდენ ახალ სათვალისეირო ამბავს; იესოს ჯვართან შეჯგუფულიყვენ აგრეთვე და ადგილიდან არ იძვროდენ მისი ახლო ნათესავნი და მეგობარნი: დედა, დედის და,

მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალინელი: იქვე იყო მისი საყვარელი მოწაფე იოანეც. ყველა ესენი იდგენ ერთად, თითქო გაქვავებულანო, გაშტერებულნი, და არ იცოდენ, კვლავ რალა უნდა ექნათ?

განსაკუთრებით საშინელი სანახავი იყო თვით დედა იესოსი, რომელიც ტირილსაც-კი ვეღარ ახერხებდა, რადგან თუ უნდოდა, რომ ყურადღება არ მიექცია დარაჯთა, რომელთაც ყოველთვის შეეძლოთ, გაეგდოთ აქედან. და ცოტა ხანს კიდევ ყოფილიყო საყვარელ შვილთან, ჯნდა გულში ჩაეკლა მწუხარება და არავისთვის ეჩვენებინა, რასაც გრძნობდა, რა ცეცხლიც წვაედა მთელ მის არსებას.

საბრალო დედა! მთელი თავისი სიცოცხლე შეწირა ერთად ერთ შვილს: ეს იყო მისი ნუგეში აწმყოში და იმედი მომავალში; ეგონა, ეს დაუტკბობდა სიბერეს, მხარში ამოუდგებოდა მოხუცებულობის დროს, გაუადვილებდა სიკვდილს და ღირსეულად დაიტირებდა მკვდარს! ახლა კი რას ხედავს? იესო, მისი საყვარელი იესო, ასე უდროოდ ლევს სულს და მერე როგორ? როგორც ავაზაკი, ჯვარცმული. ეს იყო? განა, იმიტომ მოვიდენ აღმოსავლეთით მოგვნი, როცა იესო დაიბადა, შეწირეს ძვირფასი ძღვენი და, როგორც მეფეს, თაყვანი ცეს ბაგაში მწოლარე ყრმას, რომ საშინელი ტანჯვა და სამარცხვინო ჯვარზე სიკვდილი ეწინასწარმეტყველებინათ. მისთვის? ნუ თუ ამას მოასწავებდა აგრეთვე აღტაცებულ მწყემსების მოსვლა მაშინ და ღაღადისი, ეს არის გამოგვეცხადა ანგელოსი უფლისა და, როცა შევშინდით, გვითხრა: „ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესე-რა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელ იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა და ესე იყოს თქვენდა სასწაულად: პოვოთ ყრმა იგი შეხვეული და მწოლარე ბაგასა"-ო? ნუ თუ ეს დღე ეხატებოდა თვალ-წინ ნეტარ მოხუც სვიმეონსაც, როცა მიირქვა პატარა იესო და აღფრთოვანებით წამოიძახა: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებაი შენი, რომელ განუმზადე წინაშე

პირსა ყოვლისა ერისასა, ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაილისა“? და ყველა ამის შემდეგ ამნაირი და ასე უდროო სიკვდილი! ო, ეს საშინლება იყო, საშინელება!

საბრალო დედა! იგი გაერთო ფიქრებში და თვალწინ ეხატება წარსული ცხოვრება იესოსი. აი, იესო პატარაა, მშვიდი, წყნარი, ყველას მორჩილი და დედაც ბედნიერია! გონია, რომ ასე იქნება ყოველთვის: არასოდეს აო მიაყენებს მწუხარებას თავისი საყვარელი შკილი! არასოდეს არ მოშორდება; არ გაცვლის არავისში და არაფერში. მთელ იმ ოცდაათის წლის განმავლობაში, სანამ იესო დედ-მამასთან იყო, მხოლოდ ერთხელ შეხვდათ მისგან საწყენი. ეს იყო მაშინ, როცა თორმეტი წლის შესრულდა და, ჩვეულებრივად, იერუსალიმს მოვიდენ დღესასწაულზე დასასწრებლად; როცა დღესასწაული გათავდა და შინ ბრუნდებოდენ, იესო სადღაც გაქრა; დედ-მამას ეგონათ, სხვა მგზავრებთან იქნებოდა და ყურადღება არ მიუქცევიათ ამისთვის; იმათ წარმოდგენაც-კი არ შეეძლოთ, რომ იესო თავისს ნებით სადმე წავიდოდა. ამიტომ, როცა ერთის დღის გზა გაიარეს კიდეც და იესო მაინც ვერსად ნახეს, იძულებულნი შეიქნენ, უკანვე დაბრუნებულიყვენ და მხოლოდ რამდენისამე დღის ძებნის შემდეგ ძლივს იპოვეს ტაძარში. იჯდა თორმეტი წლის იესო განსწავლულ მწიგნობართა და მღვდელმთავართა შორის და განცვიფრებაში მოყავდა ყველა თავისს „გულის ხმის ყოფით“ და „სიტყვის მიგებით.“ გაეხარდათ მშობლებს, როცა იესო ნახეს, თან გაუკვირდათ ამნაირი მისი ქცევა და საყვედურით უთხრა დედამ: „შვილო! რა ესე მიყავ ჩვენ ესრეთ? აჰა ესე რა, მე და მამა შენი ვრონინებთ და გეძიებთ შენ“. იესომ უკმაყოფილოდ უპასუხა ამაზე: „და რასა მეძიებთ მე? არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისათანა ჯერ არს ჩემი ყოფა?“ ეს პასუხი მაშინვე გულში, ისარივით, მოხვდა დედას და, თუმცა იესო იმ წამსვე უკან გაყვა მშობლებს და შემდეგაც ისევ ისე ემორჩილებოდა მათ, როგორც წინად, მაგრამ დედის წინად მგრძნობი გული მიხვდა ყველაფერს და მის ტანჯვას საზღვარი აღარ ქონდა. მას აქეთ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ დედას ახლაც გარკვევით

ესმის ეს სიტყვები: „და რაცა მეძიებთ მე? არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისთანა ჯერ არს ჩემი ყოფა?“ თორმეტი წლის ბავშვი ასე ეუბნება დედას! მაშ, რა ქნას დედამ, თუ თავისი შვილი არ ეძებოს? როგორ შეურიგდეს იმ აზრს, რომ ის, ვინც ცხრა თვეს თავისს არსებაში ატარა, შემდეგ შობა და ზარდა და ვისშიაც განახორციელა თავისი თავი, შეიძლება, სრულიად განშორდეს მას? „არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისთანა ჯერ არს ჩემი ყოფა?“ რომელი მამის? ღვთის? თუნდაც ასე იყოს, დედას რა? მას ვინ გაუწევს შვილის მაგიერობას? ვინ გადუხდის იმ წამების ნაცვალს, რაც შვილისათვის გამოცადა? ნუ-თუ სულ ტყეილ უბრალოდ უნდა დაიკარგოს მისი ამაგი და დარჩეს ეულად მაშინ, როდესაც მისი შვილი... „ოო, ღმერთო!“ ამოიკვნესა საშინლად საბრალო დედამ და შეხედა ჯვარს. ამ დროს იესომაც გადმოიხედა და, როცა დაინახა მწარედ ტანჯული დედა და მის გვერდით თავისი საყვარელი მოწაფე, თითქო მის ფიქრია პასუხად უთხრა:

— „დედაკაცო! აჰა, ძე შენი.“ შემდეგ მიუბრუნდა იოანეს და უთხრა აგრეთვე: „აჰა, დედა შენი.“

დედამ გაიგონა ეს სიტყვები და უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს მოისმა მრისხანე ხმა ასისთავისა:

— ეეი, თქვენ, ვინა ხართ, მანდ რომ დგახართ? ვეღარ მოიგონებთ შინ წასვლას? ხომ ხედავთ, ღამდება? გასწით დაიკარგეთ ახლავე აქედგან! ყვიროდა ასისთავი და მოდიოდა მათკენ.

დარჩენა აღარ შეიძლებოდა და იოანემაც მოკიდა ხელი იესოს დედას, რომელიც დღეიდან, თანახმად იესოს სიტყვებისა, მისი დედა ხდებოდა, და წაიყვანა თავისს სახლში.

და მაშინ, როცა ისინი მიდიოდენ გოლგოთიდან, გოლგოთაზე სულს ღევდა ჯვარცმული ქრისტე...

გალუსტა და გოგიტა.

I

გალუსტა ქალაქელი ვაჭარი იყო. გოგიტა სოფლელი გლეხი.

გალუსტა საქმეების გამო ხშირად დადიოდა სოფელ ცივ-წყაროში და მთელ კვირაობით რჩებოდა თავისს ნათლიმამა გოგიტას სახლში, გოგიტა კი ქალაქში ერთხელაც არა ყოფილიყო

— იცი, გალუსტ, უთხრა ერთხელ გოგიტამ: როცა ჭირნახულს შეეინახავ, მინდა, ქალაქში ჩამოვიდე.

— რო გინდა, საქმე გაქვს რამე? კითხა გალუსტამ.

— არა, ქალაქი მინდა ვნახო; ამხელა კაცი ვარ და არ მინახავს, სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა.

— რა სირცხვილია, რომ სოფლელ გლეხს ქალაქი არ გენახოს? თუ საქმე არაფერი გაქვს, ტყუილად ოჯახს რად უნდა მოცდე და ფული დახარჯო?

— დავხარჯო კი არა, რა უნდა დავხარჯო? გზაზე არა დამეხარჯება-რა და იქ კიდევ ხომ შენა მყევხარ, შე კაი კაცო!

— გალუსტას არ იამა ნათლიმამის მომავალი სტუმრობა, მაგრამ რას იზამდა, უარს ხომ ვერ ეტყოდა, ჩემთან ნუ მოხვალო, როცა თვითონ ისე ხშირად მოდიოდა იმის სახლში.

— მე?.. ჰო, რატომაც არა? მოდი, გაგიმასპინძლდები! მე მხოლოდ შენთვის გეუბნები, რომ ტყუილად დრო დაგეკარგება, და, რაც უნდა იყოს, ცოტა ფულიც დაგეხარჯება, თორემ მე კიდევაც მიამება შენი მოსვლა.

— არაფერიც არა დამეხარჯება-რა; საგზალს შინიდან წამო-

ვილებ და სხვა რაღა დამჭირდება? დავადგები გზას ფეხით და მოვალ, უპასუხა გოგიტამ.

— შენი ნებაა... მობძანდი და მეც იქ დაგხვდები.

მაშ დამიწერე, რომელ უბანში და რომელ ქუჩაზეა შენი სახლი, რომ არ დავიბნე და მალე გიპოვნო! თხოვა გოგიტამ.

გალუსტას შეკმუხვნილი შუბლი უცებ გაეხსნა და პირზე ღიმილმა შეუთამაშა; ეტყობოდა, რაღაც მოისაზრა.

ბატონი ხარ, დაგიწერ... გალუსტამ მართლაც ამოიღო უბის წიგნი, მოხია პატარა ქაღალდი, დაწერა და მიცა გოგიტას, რომელმაც დაკეცა ქაღალდი და გადაცა ცოლს, რომ ყარგად შეენახა

II

გოგიტამ მალე შეისრულა სურვილი: და, მორჩა თუ არა საქმეებს, ჩავიდა ქალაქში.

— ძმობილო, ვის დაეძებ? რა დაგკარგვია, რომ ამდენი ხანია დაეხეტები აქეთ-იქით? კითხა ერთმა ვაჭარმა გოგიტას, როცა დაინახა რამდენჯერმე თავისს დუქნისს წინ გაელილ-გამოელილი.

— გალუსტა თათუზოვის სახლს ვეძებ და მასწავლე, შენი ჭირიმე, თხოვა გოგიტამ.

— ვის სახლს? კითხა ვაჭარმა.

— გალუსტ თათუზოვისას.

— არა, ძმავ, ამ უბანში გალუსტ თათუზოვი არავისა ქვია.

— როგორ არა? გალუსტ თათუზოვი... შვილს მინათლავს...

— შეიძლება, აგრეც იყოს, გააწყვეტინა ვაჭარმა; მე ხომ არ გეუბნები, გალუსტ თათუზოვი ქვეყანაზე არ არის-მეთქი; მე ვამბობ მხოლოდ, რომ ამ უბანში არვინ არის მაგ სახელისა და გვარის.

— მაშ, სად იქნება? კითხა მღელვარებით გოგიტამ.

— აბა, რა ვიცი! ქალაქი დიდია. თუ სწორე მისამართი არა გაქვს, ძნელია აქ კაცის ნახვა.

— როგორ არა მაქვს? აი, აქ დამიწერა, სადაც ცხოვრობს, სთქვა გოგიტამ, ამოიღო გალუსტის ნაწერი ქაღალდი და მიცა.

— „ავლაბარი, არარატის ქუჩა, გალუსტ თათუზოვის სახლები“, წაიკითხა ვაჭარმა და სიცილი დაიწყო.

— რა გაცინებს? კითხა წყენით გოგიტამ.

— ის მაცინებს, რომ სასაცილოდ აუგდიხარ იმ შენს ნათლიას.

— როგორ?!

— ავლაბარში-კი არა, მთელ ქალაქშიაც არ არის არარატის ქუჩა.

— რას ამბობ, კაცო? გალუსტ თათუზოვი შვილს მინათლავს და მაგას როგორ მიზამდა? ალბად, შენ თვითონ მიგდებ მასხარად! მართალი მითხარი, თუ ძმა ხარ; სოფლის ხამი კაცი ვარ, ტყუილად ნუ მაწვალებ! დაეღრიჯა გოგიტა.

— ჩემმა მზემ მართალს გეუბნები. აი ეისაც გინდა კითხე!

გოგიტამ ქუჩაზე მომავალი ქართულად მორთული მანდილოსანი დაინახა და მოკრძალებით მივიდა მასთან.

— შენი პირიმე, ქალბატონო, მიბძანე, არარატის ქუჩა რომელსა ქვია? კითხა გოგიტამ.

— სხვა უბნებისა არ ვიცი და აქ, ავლაბარში-კი მაგისთანა ქუჩა არ არის, შვილო, უპასუხა მანდილოსანმა.

— როგორ არ არის, ბატონო? აი, აქ დამიწერა ნათლიამ... დაიწყო გოგიტამ და აჩვენა ქაღალდი.

მანდილოსანმა დახედა და ღიმილი მოუვიდა.

— მოუტყუებიხარ, შვილო; ალბად, არა ნდომია შენი სტუმრობა და განაგებ დაუწერია, უთხრა მანდილოსანმა და გაშორდა.

გოგიტა დარჩა ერთ ადგილს გაშტერებული...

III

„რა მიყო, რა მიყო იმ არამზადამ! წადი ახლა და კაცს ენდე! რამდენი პატივი მიცია და როგორ გადამიხადა? არც მირონი მოიგონა, არც პურმარილი და ისე მომატყუა!.. მაგრამ არა, აქ რაღაც სხვა ამბავი იქნება: იმ ვაჭარმა და ქალმა არ იციან ქუჩების სახელები!“ ასე ფიქრობდა ერთ-ერთ ქალაქის ქუჩაში მიმავალი გოგიტა, რომ უეცრად თითქო ნაცნობი ხმა მოესმა. მოიხედა უკან და

სახტად-კი დარჩა: გალუსტა ის იყო გამოეთბოვა ვილაცას და წამოვიდა მისკენ.

— ო, გალუსტ, შენი ჭირიმე, რა ხანია დაგეძებ და ძლივს არ გიპოვე! დაავიწყდა გოგიტას ყველაფერი და გახარებულმა ამ სიტყვებით მიაშურა გალუსტას.

გალუსტა შეკრთა, როცა გოგიტა დაინახა, მაგრამ გამოერკვა და წარბები შეიჭმუხნა; ის იყო გოგიტა უნდა მოხვეოდა კიდეც ნათლიას, რომ მოესმა:

— ვა, ვინ გალუსტაო, რას ამბობ, კაცო?

— როგორ თუ ვინ გალუსტაო? გალუსტა არა ხარ, ჩემი შვილის მომნათვლელი? გაკვირვებით კითხა გოგიტამ.

არა, ძმავ, მე გალუსტა-კი არა, გასპარა ვარ, ალბად თვალებმა მოგატყუეს!

— გალუსტ, რას ამბობ? კარგად შემომხედე, ვერა მცნობ შენს ნათლიმამას?

— ვა, გიორგოლერო: გალუსტა-კი არა გასპარა ვარ მეთქი, გეუბნები, თავი დამანებე! და გალუსტ-გასპარამაც გაუჩქარა ფეხს.

— მაშ, ძმა იქნები სწორედ გალუსტასი! არ ეშვებოდა გოგიჩა.

— ვა, არ დამეხსნები, კაცო? რას ჩამციებიბარ? არც ძმა ვარ ღა არც ბიძაშვილი, ის ვილაც გალუსტაა!

— მაშ, გვარად თათუზოვი არა ხარ?

თათუზოვი კი არა პოლოლოვი ვარ, გესმის თუ არა? მომშორდი, თორემ ახლავე პოლიციელს დავუძახებ! სთქვა გულმოსულმა გალუსტ-გასპარამ და, როცა დაინახა, რომ გოგიტა მაინც მხარ-და მხარ მისდევდა, ჩაჯდა იქვე მდგარ ეტლში და წამს თვალიდან მიეფარა.

დარჩა გოგიტა პირჩალა-გამოვლებული და არ იცოდა, რა ეფიქრა, როგორ აეხსნა გალუსტას ქცევა!..

IV

კვლავ დადგა გაზაფხული...

— ო, ნათლიმამ, ნათლიმამ! როგორ გიკითხო, კაცო, ხომ მშვი-

დობითა ხართ, კარგად? მოესმა ერთ მშვენიერ მკათათვის საღამოს კალოზე მყოფ გოგიტას და დაინახა ცხენით მომავალი, მხარზე თოფ გადაკიდებული გალუსტა.

გოგიტას გაკვირვებას საზღვარი არა ქონდა და ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, რომ გალუსტა გადმოხტა კიდევაც ცხენიდან და ბიაბა იქვე მდგარ ურემზე.

გოგიტა დარწმუნებული იყო, რომ გალუსტა თავისს დღეში ველარ დაენახვებოდა, ფეხს ველარ დაადგამდა მის არე-მარეზე და ის-კი ისე არხეინად მობძანდებოდა, თითქო მათ შორის არაფერიც არა მომხდარა რაო. გოგიტა ისე დააბნია გალუსტას მოულოდნელმა მოსვლამ, რომ აღარ იცოდა, რა ექნა.

— თითქო ქალაქში უნდა ჩამოვიდეო? რატომ აღარ ჩამოხვედი? მთელი ზამთარი გელოდი და ძალიან მეწყინა, რომ აღარ ჩამოხვედი, ამბობდა გალუსტა და თან ხელს ართმევდა გაშტერებულ გოგიტას.

— რა ამბავია? როგორ გაშტერებულხარ, თითქო ველარა მცნობო? ასე ადრე არ მომელოდი განა? ხვალ დაბახევში მაქვს საქმე და იმიტომ მოვედი ამალამ; იმედია, ღამეს გამათენებ და დილით ადრე წავალ... სხვა ამბავი, ხაბარი? ნათლი-დედა სად არის, როგორ არის? ხომ კარგათა ხართ ყველანი? ჩემი ნათლული დიდი ბიჭი იქნება ახლა, დააყარა გალუსტამ. მაგრამ გოგიტა ისევ ჩუმად იდგა და მიჩერებოდა უცნაურ სტუმარს. „არა შუბლ გარეცხილობა კი შეიძლება, მაგრამ ასეთი?“ ფიქრობდა იგი.

— ხმა ამოიღე. კაცო, რას შვრები? ავად ხომ არა ხარ? არ ეშვებოდა გალუსტა.

— ცოტა თავი მტკივა, მთელი დღე მზეზე ვმუშაობდი და თუ დამსიცხა, ძლივს უპასუხა გოგიტამ და კვლავ ჩააცქერდა თვალებში! გალუსტამ ახლა-კი ველარ გაუძლო მის ცქერას და თავი დახარა.

„ღმერთმა ნუ ქნას, რომ სამაგიერო არ გადაგიხადო, შე უსინიდისო, შენა!“ ფიქრობდა გოგიტა და ზიზღით მიჩერებოდა თავდახრილ გალუსტას.

რამდენსამე ხანს ასე იდგენ ორივენი. შემდეგ სიამოვნებით

გაიღიმა გოგიტამ და გადაისვა შუბლზე ხელი; ეტყობოდა, რომ რაღაც კარგი აზრი მოუვიდა და დაკმაყოფილდა.

— ამაღამ აქ უნდა დავიძინო; პურს ვერ მივატოვებ და შენთვისაც აქ აჯობებს ღამის გათევა, რადგან სახლში ძალიან ცხელა. ცხენსაც ბორკილი შევუყაროთ და აქვე ნაპურალში გავუშვათ, უთხრა გოგიტამ.

— ძალიან კარგი! დაეთანხმა გალუსტაც.

— ქალაქში წამოსასვლელად შარშან ვეღარ მოვიცალე და სულაც გადავიფიქრე იქ ჩამოსვლა. შენი თქმის არ იყოს, რა მინდა ქალაქში, როცა საქმე არაფერი მაქვს? დაუმატა გოგიტამ.

გალუსტა ძალიან გააკვირვა ამ სიტყვებმა; ეს დარწმუნებული იყო, რომ გოგიტა უსაყვედურებდა, რად მომატყუეო და თავი იმით უნდოდა ემართლებინა, რომ ქალაქში ზოგიერთ ქუჩას ორ-ორი სახელი ქვია და ბევრმა მხოლოდ თითო სახელი იცისო. პირადათ შეხვედრაზე კიდევ შეიძლებოდა არაფერი ეთქვა გოგიტას, რადგან კაცი კაცსა გავხ და ეგონება, რომ მოტყუვდა, ქალაქში ყოფნაზე უარის თქმამ-კი მეტად გააკვირვა გალუსტა!

„მართლა რომ ტეტიაა, გულუბრყვილო, სულელი!“ ფიქრობდა გალუსტა და უხაროდა, რომ გადარჩა საყვედურს.

„მე გოგიტა არა ვყოფილვარ, თუ ფასად არ დაგისვა ჩემი ასე აგდება“! ფიქრობდა თავის მხრივ გოგიტა და სახეზე მაცდური ღიმილი უთამაშებდა...

V

დაღამდა. სტუმარმასპინძლებმა ივახშმეს და მოემზადენ დასაძინებლად, გოგიტამ ცოლშვილი სახლში გაგზავნა, თვითონ და გალუსტა-კი კალოზე დარჩენ.

გალუსტამ ერთხელ კიდევ დაათვალიერა თავისი ცხენი, რომელიც, ბორკილ შეყრილი, იქვე ნაპურალში ბალახობდა და დაწვა მისთვის მომზადებულ საგებზე; თავისი თოფიც, რასაკვირველია, გვერდზე მოიდვა.

— თოფი ხომ გატენილი გაქვს, გალუსტ? კითხა გოგიტამ.

— მაშ, მაშ, ტყვეითა გატენილი, შორ გზაზე დავდივარ, ხანდახან კაიძალი ფულიც დამაქვს ხოლმე, ხუმრობა ხომ არ არის? უპასუხა თავმოწონებით გალუსტამ.

— არა; ჩვენში ყაჩაღების შიში-კი არ არის, მაგრამ დათვი კი ბევრია ამ ბოლოს დროს, უთხრა გოგიტამ.

— დათვი? აქ, ახლოს არის სადმე? შეეშინდა გალუსტას.

— ჰო, არის. აქვე რომ სიმინდის ყანაა, იქაც დადის ხოლმე ხანდახან ერთი დათვი.

— რას ამბობ, გოგიტ, მერე აქაც რომ მოვიდეს, ხომ შეგვჭამა, მღელვარებდა გალუსტა: რატომ წინად არ მითხარი, მეც სახლში წავიდოდი დასაძინებლად.

— არა, აქ რა უნდა, და, თუნდაც მოვიდეს, თოფი ხომ მზად გვაქვს! მოვკლავთ და ის იქნება!

— ცხენი? ცხენი რომ გამიფუჭოს? არ მშვიდდებოდა გალუსტა.

— არა; შენ არხეინად იყავი! მე მაინც ვერ დავიძინებ ამ-ღამ, — პურს უნდა მოვუდგე და შენ ცხენზედაც თვალყურს დავიჭერ.

— აბა, შენ იცი, ჩემო გოგიტ! თუთხმეტი-თუმანი ღირს ჩემი ცხენი, და არ დამღუპო! შეეხვეწა.

— ფიქრი ნუგაქვს! უთხრა უკანასკნელად გოგიტამ და მოშორდა...

VI

წევს გალუსტა და ფიქრობს, ვაი თუ მართლა მოვიდეს დათვი და ცხენი შემიჭამოსო, მაგრამ დაღალულ-დაქანცულს მალე ავიწყდება ყველაფერი და ძილი ერევა.

აი, ძინავს გალუსტას და სიზმარში ხედავს, როგორ ეპარება დათვი მის ცხენს, ხედავს, მაგრამ შველა არ შეუძლია; მხოლოდ წუხს და იტანჯება, უნდა, დაუყვიროს დათვს, ან დაუძახოს გოგიტას, მაგრამ ხმა ვერ ამოუღია; უნდა, აიღოს თოფი და ესროლოს, მაგრამ ხელი ვერ გაუნძრევია. და გალუსტაც მხოლოდ კვნესის, ბორგავს, სული ეხუთება.

— გალუსტ, გალუსტ, გალუსტ!.. გაიღვიძე, კაცო, დათვი, დათვი მოვიდა, ჩაესმა მართლაც ყურში გალუსტას და, შეშინებულმა, გააბილა თვალები.

— ჰო, რა იყო? წამოიძახა ათრთოლებულმა გალუსტამ.

— დათვი ეპარება ეგერ შენ ცხენს! ჩაძახა გოგიტამ.

— დათვი?! წამოიღლუღლუღა გალუსტამ და წამოჯდა, ვერხვისფოთოლივით აკანკალებული.

— ნელა, ნუ ყვირი, აქეთ არ წამოვიდეს!.. შეხედე ეგერ არის! ხომ ხედავ? ახლა კაი მოსაკლავია. დაუმიზნე თოფი და ესროლე, თორემ საცაა, მივარდება ცხენს.

— ცხენს? ღმერთო ჩემო! სასოწარკვეთილებით წამოიძახა გალუსტამ და აიღო თოფი ხელში.—იცი, გოგიტ, შენ ესროლე, მე ვერაფერს ვხედავ, შეეხვეწა გოგიტას.

— მე რუსული თოფისა არა გამეგება რა, ისევ შენ უნდა ესროლო. აი ეგერ არის, როგორ ვერა ხედავ? უპასუხა გოგიტამ და ანიშნა ხელით, სადაც იყო დათვი.

გალუსტა ხააშტერდა იმ ადგილს, სადაც აჩვენა გოგიტამ და მართლაც დაინახა რაღაც.

— მალე, მალე, გალუსტ, თორემ გააფუჭა ცხენი! ჩარჩურჩულებდა კვლავ გოგიტა.

რაღას იზამდა გალუსტა, აკანკალებულის ხელებით მოიმარჯვა თოფი და მოწია ჩახმახს. იგრიალა თოფმა და რაღაც ფეხმოსხლეტით დაეცა მიწაზე. ამავე დროს მოისმა გოგიტას საშინელი ყვირილი.

— ვაიმე, კაცო, რა ქენი? მე საით გაჩვენე და შენ საით ისროლე? დათვი გაიქცა! ყვიროდა გოგიტა.

— როგორ თუ გაიქცა? აი, იქა გდია გაშხლართული. წადი, აბა. ნახე! თქვა გალუსტამ და დაუშვა თოფი.

— ის დათვი კი არა, შენი ცხენია. დათვის მაგიერ შენ შენი ცხენი მოკალი! თითქო ძალიან შეწუხებული, ეუბნებოდა გოგიტა.

— ჩემი ცხენი? ვა, გაგიჟდი თუ? ჩემი ცხენის სიკვდილი ასე ალა-ალა არის? ღრიალებდა გალუსტა და გარბოდა იმ ადგილისკენ, სადაც მკვდარი ცხენი ჯერ კიდევ ფართხალებდა...

სოფიოს სიკვდილი

პატარა სოფო ძალიან ავადაა. რაღაც გადაწდები სენი ჭირს. ამიტომ ლავისს უნცროს და-ძმას მოაშორეს და ცალკე ოთახში დაწვინეს. ლედინაცვალი სულ არ შემოდის მასთან. მამაც დღეში ერთ-ჯელ ან ორჯელ თუ შემოვა; მაშინაც ახლოს არ მოდის, ჭოშორებით დგება და ისე ელაპარაკება.

— უკეთ არა ხარ, გენაცვალე?

— არ ვიცი.

მართლაც, აბა რა იცის სოფომ, უკეთ არის თუ არა?

— სიცხე გაქვს კიდევ?

— არ ვიცი.

— არაფერია, შალე მორჩები!—ეუბნება მამა და მიდის.

რა ქნას? ალბად დრო არა აქვს, რომ მეტხანს დარჩეს სოფოსთან; თან იმისიც ეშინიან, სანდროს და დაროს არ გადასდოს სოფოს ავადმყოფობა.

კიდევ კარგი, დიდედა ჩამოვიდა სოფლიდან. მის მოსვლამდის სოფო თითქმის სულ მარტო იყო; სოფოს მომვლელი მართა ხშირად გადიოდა ოთახიდან და კარგა ხანს რჩებოდა გარეთ. ცოცხალი ადამიანი არავინ იყო სოფოსთან, თორემ ისე-კი სულ მარტო რად იქნებოდა: ღვთისმშობელი პატარა იესოთი აქ არ იყო ყოველთვის? აგრეთვე პირველი დედა, სოფოს საკუთარი დედა, რა ხანია ცაში რომ არის, ხშირად მოდიოდა და ახლაც მოდის.

მართალია, ღვთისმშობლის და პატარა იესოსი მხოლოდ ხატი ასვენია სოფოს პირდაპირ, კუთხეში მიკრულ სახატეზე, მაგრამ ღვთისმშობელი და პატარა იესო ხომ ყველგან არიან? როცა სოფო

ხატს დიდხანს უყურებს, ხედავს, ხატი რაღაცნაირად დიდდება, სხი-ეოსნდება და ბოლოს მართლა ღვთისმშობლად და პატარა იესოდ იქცევა. ღვთისმშობელი ალერსით სავსე სახით დაცქერის სოფოს და პატარა იესოც მხიარულად უღიმის; თან თითქო ხელით ანიშნებს ზეციისკენ და ეუბნება, მოდი იქ ჩემთან და ერთად ვითამაშოთ ჩემ ბაღშიო.

დედა არც-კი ახსოვს სოფოს, მაგრამ იმ სურათიდან, მართას რომ აქვს, კარგად იცნობს და იცის, რომ ის ქალი, ღვთისმშობლის და პატარა იესოს ქვეშ რომ დგება ხოლმე და სიყვარულით სავსე თვალებით მოჩერებია, დედაა. ეს არის მხოლოდ, რომ მარტო ხულია და არ შეუძლიან, დაელაპარაკოს, ან წყალი დალევინოს, ან საბანი შემოუკეცოს.

ერთხელ, ვიდრე დიდედა მოვიდოდა, მართა არ იყო ოთახში და სოფოს ძალიან მოწყურდა. ამ დროს დედა იქ იყო. სოფომ მი-მართა: „დედა, წყალი!“-ო. ეგონა, რაკი მოვიდა, წყალის მოტანაც შეეძლებაო, მაგრამ მოტყუედა: არამც თუ წყალი არ მოუტანა, მა-შინვე გაქრა. მას აქეთ სოფო არაფერს ეუბნება, ეშინიან, კვლავაც არ გაქრეს. აღარც საჭიროა, რამე უთხრას: რაც დიდედა მოვიდა, ფეხმოუცვლელად მასთან არის. თუნდაც ეძინოს, გაშმაშურდება თუ არა სოფო, მაშინვე მის წინ ჩნდება და თხოვნას უსრულებს.

კარგი ქალია დიდედა. კარგი კაცია მამაც. არც დედინაცვალს უშავს-რა. მხოლოდ ეს არის, რომ სანდრო და დარო უფრო უყვარს. იმათ ხშირად ეფერება და კოცნის, არც არაოდეს უჯავრდება, რაც უნდა დააშავონ, სოფოს-კი ერთხელაც არ მოფერებია და რამდენ-ჯერ გაჯავრებია ტყუილ-უბრალოდ, ვინ იცის! მაგრამ რა ვუყოთ? სანდრო და დარო ჯერ ერთი უფრო პატარებია და საკუთარი შვი-ლებია, სოფო-კი გერია. მართა ეუბნება, კიდევ კარგი, რომ ლიზას-თანა დედინაცვალი შეგხვდა, თორემ ზოგიერთი იმისთანა ღვთის რისხვა გამოვა, სულ თვალით არ დაენახვება გერიო. ზღაპარშიაც ბევრია ნათქვამი, რა საშინლად სძულდა დედინაცვალს გერი და რო-გორ ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა. სოფო ასე სულაც არა სძულს დედინაცვალს და, თუ ახლა თავიდან მოიშორა, მხოლოდ

იმიტომ, რომ სანდროს და დაროს არ გადაედოს ავადმყოფობა. აკი წინად სოფოც სანდროსა და დაროს ოთახში იწვა? მამაც ყოველთვის, როცა ბავშვების დასათვალიერებლად შემოვიდოდა და სანდროსა და დაროს აკოცებდა, სოფოსაც აკოცებდა ხოლმე. ო, რა ტკბილია მამის კოცნა! ალბად, დედის კოცნა კიდევ უფრო ტკბილი იქნება!.. ღმერთო, რა საშინლად გაგრძელდა ეს ავადმყოფობა! დეე, ან მალე მორჩეს სოფო, რომ ისევ ტკბებოდეს მამის ალერსით და ან მოკვდეს, რომ დედასთან მაინც წავიდეს და გულზე მიეკრას, ძუძუები დაუკოცნოს. აქ თითქო მეტიც არის სოფო: მამას სანდრო და დაროცა ყავს და დედა-კი სულ მარტოა. საბრალო დედა! ალბად ძალიან მოწყენილია, რომ ასე ხშირად მოდის მის სანახავად. სოფოსთვისაც განა იქ ყოფნა არა ჯობია? იქ ხომ მშვენიერი ბაღი აქვს პატარა იესოს და ეთამაშება ანგელოზებად ქცეულ ბავშვებს, პატარობისას რომ დაიხოცენ. სოფოც აკი კარგი ბავშვია და, უეჭველია, ღირსი იქნება, ეთამაშოს პატარა იესოს! რამდენჯერ მოუკრავს ყური, მასწაელებლები ერთმანეთს რომ ეუბნებოდენ, სოფო სამაგალითო, შესანიშნავი ბავშვიაო. სანდრო და დაროც კარგი ბავშვები არიან; სკოლაშიაც, სადაც რამდენიმე თვეა, რაც დადის, ბევრი კარგი ამხანაგი ყავს სოფოს, მაგრამ აბა სად პატარა იესო და სად ისინი!

სანდროს, რაც უნდა ბევრი სათამაშო ან ყვავილი ქონდეს, სულ თავისთვის უნდა და ძვირად თუ გაიმეტებს რასმე, იმასაც უვარგისს, რაც თვითონ აღარ მოწონს. პატარა იესომ-კი ერთხელ, რაც მის ბაღში ყვავილები იყო, სულ სხვა ბავშვებს უთავაზა თურმე და თავისთვის მარტო ეკლები დაიტოვა. ო, სოფო რომ მაშინ იქ ყოფილიყო, რასაკვირველია, არ დათანხმდებოდა, რომ მას ყვავილები ქონოდა და იესოს ეკლები. ეკლებს თვითონ დაიტოვებდა და იესოს საუკეთესო ყვავილების თაიგულს შეუკრავდა და გვირგვინს დაუწნავდა. მერე რა კარგი თაიგულების შეკერა და გვირგვინების დაწვნა იცის სოფომ! სანდროსაც ძალიან მოწონს მისგან შეკრული თაიგული და დაწნული გვირგვინი. მაგრამ რა? მის მაგიერ, რომ მადლობის ნიშნად კისერზე მოეხვიოს და აკოცოს, ჭირვეულობს და ებუზღუნება. ეს ასე არ არის, ის ისეო. პატარა იესო, რასაკვირველია, ასე არ მოიქცევა.

სწორედ ძალიან კარგი იქნება, რომ მალე მოკვდეს სოფო; თუნდ ამაღამვე. აბა რად უნდა, რომ დიდი ქალი გაიზარდოს? მაშინ ხომ ანგელოზად ველარ გადიქცევა და ველარც პატარა იესოსთან ითამაშებს. ამაღამ-კი რომ მოკვდეს, ანგელოზად გადაქცეული აფრინდება ზეცაში. მაგრამ, მართლა, თეთრი კაბა რომ არა აქვს! უნდა უეჭველად ახლავე შეაკერვინოს დიდედას, თორემ სასკოლო მიხაკის ფერი კაბა, თუნდაც თეთრ წინსაფარ-მოსასხამიანი, რას მოუხდება ანგელოზს? ფული? ფულს მამას გამოართმევს. რასკვირველია, მამა არ დაუჭერს საკაბის ფულს. ეს ხომ უკანასკნელი იქნება და კვლავ აღარა დაეხარჯება-რა სოფოზე. კვლავ შეუძლიან, მარტო სანდროსა და დაროსთვის ზრუნავდეს, მაინც თითქო ენანებოდა დედინაცვალს, მამა რომ რასმე უყიდდა სოფოს. ამას იქით შეუძლიან მოისვენოს: მოზიარე აღარავინ ეყოლება სანდროს და დაროს. მხოლოდ ახლა გამოართმევს სოფო მამას ერთხელ კიდევ ფულს! კვლავ აღარაოდეს.

— დიდედა, დიდედა! —დაუძახა სოფომ დიდედას.

— რა გინდა, ჩემო ანგელოზო?

სოფოს იამა, რომ დიდედა კიდევაც ეძახის „ანგელოზს“ და სახე გაუბრწყინდა.

— მამას უთხარი, ჩემო დიდედა, სოფომ ერთ წამს ჩემთან შემოდი, ძალიან საჭირო საქმე მაქვს-თქო.

დიდედა მაშინვე გავიდა და პატარახანს უკან ისევ შემოვიდა. მამაც თან შემოყვა, შავ სერთუკში გამოწყობილი.

ო, რა ლამაზია ახლა მამა! როგორ უხდება მის ფერმკრთალ, ცოტათი გამხდარ სახეს შავი სერთუკი. ეტყობა, სადღაც მიეჩქარება. რა კარგ დროს დაუძახა სოფომ, თორემ, ეგებ, ველარც-კი მოესწრო ნახვა და ისე მომკვდარიყო!

— რა გინდა, შვილო? კითხა მამამ და ჩვეულებრივზე უფრო ახლოს მივიდა ავადმყოფ შვილთან.

ცოტა ფული მომეცი, ჩემო მამა, თუ გიყვარდე! —შეეხვეწა სოფო.

— რამდენი გინდა, შენი ჭირიმე? ხუთი მანეთი გეყოფა?—კითხა მამამ.

— უჰ, როგორ არ მეყოფა? - უთხრა გახარებულმა სოფომ. ხუთი მანეთი ბევრიცაა, მაგრამ იყოს: რაც მორჩება, დიდედას ეტყვის, მართას მიცეს თავის პელასთვის..

მამამ მაშინვე ამოიღო ჯიბიდან ხუთმანეთიანი და გაუწოდა. სოფომ გამოართვა ფული; თან უცებ პირთან მიიტანა მამის ხელი და რამდენჯერმე აკოცა. მამა, თუმცა პირველად შეკრთა, თავისი ხელი რომ სოფოს ხელში იგრძნო; მაგრამ აღარ წაურთმევია. პირიქით, უფრო მიუახლოვდა. მხოლოდ როცა სოფომ ხელზე კოცნა დაუწყო, საშინლად გააჟრჟოლა. მოაგონდა თავისი პირველი ცოლის, სოფოს დედის, უკანასკნელი წუთები, ისიც სწორედ ასე კოცნიდა მაშინ ხელზე და ემუდარებოდა: „მე ვკვდები, გიტოვებ სოფოს და აბა, შენ იცი, თუ უდედობას არ შეამჩნევინებ!-“ო.

— იცი, მამა, რად მინდა ეს ფული?—კითხა სოფომ, როცა კოცნით გული იჯერა.

— რადა, ჩემო ანგელოზო?

სოფოს სიხარულს საზღვარი აღარა აქვს, – მამაც „ანგელოზს“ უძახის.

— უნდა, დიდედას თეთრი კაბა შევაკერინო.

— ძალიან კარგი,—უპასუხა მამამ.

— აჰა, დიდედა ხვალვე მიყიდე თეთრი საკაბე და შემიკერე, ჩემო დიდედა! რაც ფული გადარჩეს, მართას მიეცი, თავის პელოს უყიდოს რამე ჩემ სახსოვრად. – მიუბრუნდა სოფო დიდედას და გადაცა ფული.

— ხვალვე გიყიდის, გენაცვალოს მამა, და შეგიკერავს, რომ, როგდრც-კი მორჩები და ადგები, მაშინვე ჩაიცვა,—უთხრა მამამ.

— არა, მამა, როცა მოერჩები კი არა, როცა მოვკვდები, მაშინ უნდა ჩამაცვათ ის კაბა.—წარმოსთქვა სოფომ და შებედა მამას.

— რას ამბობ? რა დროს შენი სიკვდილია?—უთხრა ტანჯვით სავსე ხმით მამამ.

— რა უდროვოა? რამდენი ხანია ავადა ვარ! შეიძლება, ამალამაც მოვკვდე.

— არა, არა!..—სხვა ველარაფრის თქმა მოახერხა მამამ და

ცრემლით ავსებული თვალებით დაიხარა, რომ ეკოცნა სოფოსთვის. ამ დროს მოისმა უეცრად კარზე კაკუნი და მრისხანე ხმა: „ვიქტორ, დაგვაგვიანდა! ცხრა საათი სრულდება კიდეეაც! გამოდი მალე!..“ ცოლი აჩქარებდა მას თეატრში წასასვლელად.

მამამ ძლივს მოასწრო სოფოს კოცნა და უცებ აიღო თავი; მის თვალებიდან ერთი ცრემლის წვეთი ჩამოვარდა და ლოყაზე დაეცა სოფოს.

რა ბედნიერია სოფო! ის ამ ცრემლს აღარ მოიწმენდს და თან წაიღებს, რომ დედას მიუტანოს მამის სახსოვრად.

— ნახვამდის, შვილო!

— მშვიდობით, მამამ!

მამა გავიდა საჩქაროდ...

— —

— რა დაგემართა, რომ ამდენხანს ველარ გამოეტიე? რა გქონდათ ამდენი სალაპარაკო?—უკმეხად უთხრა უკვე მორთულმა ცოლმა ქმარს, როცა ეს სოფოს ოთახიდან გამოვიდა: თან ხელში სადეზინფექციო წამლით სავსე სასხურებელი მოემზადებინა და, რაც ძალი და ღონე ქონდა, წამალს ასხურებდა.

— იცი, ლიზა, სოფო შეიძლება ამაღამ გათავდეს კიდეც და მოდი ნულარ წავალთ!—უთხრა მუდარით ვიქტორმა.

— შენ, თუ გნებავს, დარჩი და მე-კი, რომ არ წავიდე, არ შეიძლება.

ვიქტორმა აღარ იცოდა, რა ექნა. მისთვის საიდუმლოს არ შეადგენდა, რომ ლიზას, როგორც ახალგაზდასა და მთელ ქალაქში სილამაზით განთქმულ ქალს, ბევრი თაყვანისმცემელი ყავდა. ნამეტურ, ცნობილი მოარშიყე, თავადი იასონი, ეტყობოდა, გაგიჟებული იყო ლიზას სილამაზით. უეჭველია, ამაღამ ისიც თეატრში იქნება და უვიქტოროდ რომ ნახავს ლიზას... არა, არა, მ.რტო ვერ გაუშვებს. უნდა თითონაც წაყვეს, მეტი ღონე არ არის. რა გაეწყობა? ეგებ, ღვთით, სასიკვდილო არა უშავდეს-რა სოფოს!..

— მოდიხარ თუ რჩები?—კითხა კვლავ მოსახურავე-მოხურულმა ლიზამ ვიქტორს და გავიდა დერეფანში.

— მოვდივარ, მოვდივარ! - ამოილუღლუღა ვიქტორმა და გაყვა უკან.

„მე კი არ ვიცი, რომ მოდიხარ! აბა რას გამიშვებ მარტოს?“ ჩაილაპარაკა თავისთვის ლიზამ და ცბიერის ღიმილით გადახედა მწუხარება-მღელვარებისაგან სრულიად გაფითრებულ ქმარს.

ეტლი მზად იყო და ცოლ-ქმარი თეატრში წავიდენ.

ღამის პირველ საათზე, დაბრუნდენ თეატრიდან თუ არა, ვიქტორი გაექანა სოფოს სანახავად. კარებში მართა შემოხვდა, გულამოსკვნით მტირალი. ვიქტორი მიხვდა: თავზარდაცემული შეეარდა ოთახში, სადაც სოფო უკვე სამუდამოდ თვალებ-დახუჭული და გულხელ-დაკრეფილი ესვენა ლოგინზე, პირზე-კი ტკბილი ღიმილით უკოდა.

— ეს არის გათავდა, საბრალო! სიკვდილის წინად რამდენჯერმე გოკითხა. ეტყობოდა, ძალიან უნდოდა შენი ნახვა.—უთხრა ტირილით ვიქტორს დედამ.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

საკოდავნი	3
სვიმონ მღვდელი	32
ქინაქინა	39
უბრალო მსხვერპლი	46
გოგია და ქანა	65
ფეჩეია .	79
ბალი	96
ტასო	102
მხიარული სამხარი .	124
კეთილი პეტრე	128
პატარა ქველმოქმედი	132
დაკარგული იმედი .	138
დაშორებულნი	155
კნეინა სალომე	175
გამარჯვებული ნოდარი .	181
ნატოს ცრემლები	185
„დიდი შეცდომა“	192
„დედაკაცო! აჰა ძე შენი“	199
გალუსტა და გოგიტა .	204
სოფოს სიკვდილი	212